

**სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა:  
სოციალური მუშაობის პერსპექტივა**



გამომცემლობა ინტელექტი  
თბილისი 2011

ISBN





## სარჩევი

რა არის სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა .....	
სოციალური პოლიტიკის ანალიზი.....	
სოციალური გუზაკის როლი სოციალური პოლიტიკის ასპარეზზე.....	
მონაწილეობრივი პოლიტიკის პრინციპები.....	
სოციალური დახმარების ადმინისტრირებისა და რეგულირების დიქტომია .....	
სამართლიანობა და ანტიკორუპციული პრაქტიკა .....	
საჭიროების თეორია.....	
სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა.....	
სოციალური კეთილდღეობის იდეოლოგია .....	
სოციალური კეთილდღეობა .....	
სოციალური უსაფრთხოება .....	
სოციალური უზრუნველყოფა .....	
სოციალური კეთილდღეობის მოდელები.....	
სოციალური დაცვის სისტემის მოდერნიზაციის პოლიტიკა .....	
სიღარიბე და სოციალური ექსკლუზია.....	
დასაქმების პოლიტიკა .....	
ადამიანის უფლებები და სოციალური გუზაობა.....	
მტკიცებაზე დაფუძნებული გავრცედა კეთილდღეობის პოლიტიკა .....	
გლობალური სოციალური და დემოგრაფიული ტენდენციები.....	



## რა არის სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა

### მიმოხილვა

სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ციკლი  
მთავრობის როლი სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის შექმნაში  
საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის საზომები  
რამდენად სამართლიანია ეფექტიანი გადანაწილება  
პოლიტიკის შექმნის მოდელები

- პოლიტიკა-ადმინისტრაციის დიქტომია
- თანაბარი მოდელი
- შერეული ადმინისტრაციული მოდელი
- შერეული პოლიტიკური მოდელი

საზოგადოებრივი რესურსები და სახელმწიფო დოვლათი  
ზღვრული დანახარჯი-სარგებლის ანალიზი  
მთავრობისა და ბაზრის ძირითადი ფუნქციები  
ეკონომიკა, როგორც ანალიტიკური იარაღი:

- ეკონომიკური რაციონალიზმი
- ზღვრული ანალიზი
- შესაძლებლობის საფასური.

თქვენთვის, როგორც სოციალური მუშაობის მაგისტრანტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ზედმიწევნით კარგად ცოდნა, რადგან თქვენ ხართ ის ხალხი, რომლებმაც სოციალური პრობლემების მქონე ადამიანების ცხოვრება უნდა გააუმჯობესოთ. ეს კი სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარების აღმოჩენისა და მათთვის სოციალური სამართლის აღდგენის მეტ შესაძლებლობას მოგცემთ. ამჟამად ჩვენ შევეცდებით სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის რაობის, მისი შემუშავების ციკლის განხილვას და ამ პროცესში ბაზრისა და მთავრობის როლის გაანალიზებას.

დამეთანხმებით ალბათ, რომ სოციალური პრობლემები მომრავლდნენ და მათი გაანალიზებაც მრავალგვარია, თუმცა სოციალური პრობლემების მხოლოდ ანალიზი მათ მოგვარებას არ განაპირობებს, რადგან ამა თუ იმ არსებული პრობლემისათვის პრიორიტეტის მინიჭება პოლიტიკურ ნებასა და პოლიტიკურ გადანყვეტილებაზეა დამოკიდებული. ეს კი ნათელყოფს პოლიტიკის შემუშავებაში როგორც სოციალური მუშაკის როლის, ასევე ჩვეულებრივი მოქალაქის აზრის აქტუალობას. თუმცა, ამ უკანასკნელის შესახებ ორი მოსაზრება არსებობს, რომლებსაც ჩვენ ქვევით განვიხილავთ.

იმისათვის, რომ დავინყოთ საუბარი სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის შექმნის, შემუშავებისა და განხორციელების პროცესებზე, უნდა გავიაზროთ ის, თუ **როგორ იზომება საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა?** ერთ-ერთი საზომია სამომხმარებლო და მწარმოებლის დანაზოგთა ჯამი, რომელსაც

მთლიან დანაზოგს ვუწოდებთ. სამომხმარებლო დანაზოგი ის სარგებელია, რომელსაც მყიდველები იღებენ ბაზრის ფუნქციონირებაში მონაწილეობით, ხოლო მწარმოებლის დანაზოგი ის სარგებელია, რომელსაც გამყიდველები იღებენ ბაზრის ფუნქციონირებაში მონაწილეობით. ამიტომ, ბუნებრივია მთლიანი დანაზოგის, როგორც საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლის გამოყენება.

**მთლიანი დანაზოგი = (მყიდველთა შეფასებას – მყიდველთა მიერ გადახდილი თანხა) + (გამყიდველთა მიერ მიღებულ თანხას – გამყიდველთა დანახარჯები).**

თუ მათემატიკის ელემენტარული წესებს გავიხსენებთ, მყიდველთა მიერ გადახდილი თანხა = გამყიდველთა მიერ მიღებულ თანხას, ამიტომ შუა ორი შესაკრები ერთმანეთს აბათილებს და შედეგად მივიღებთ მთლიანი დანაზოგის ასეთ გამოსახულებას:

**მთლიანი დანაზოგი = მყიდველთა შეფასებას – გამყიდველთა დანახარჯები.**

თუ რესურსების გადანაწილება მთლიანი დანაზოგის მაქსიმალიზაციას ახდენს, ითვლება, რომ ეს განაწილება ეფექტიანია. მაგრამ აქ საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის გაზომვისათვის აუცილებელია დავსვათ შეკითხვა **რამდენად სამართლიანია ეს ეფექტიანი გადანაწილება?** მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ, რომ შოკოლადის უგემრიელესი ტორტი, კრემში ჩახეხილი ალუბლებით (თუ გნებავთ მარწყვით) უნდა გაიყოს ბაზრის მონაწილეებს შორის. ეფექტიანობა ასახავს, არის თუ არა ეს ტორტი მაქსიმალურად დიდი. სამართლიანობა კი ასახავს, თანაბრადაა თუ არა ეს ტორტი განაწილებული. აქვე ისიც გვახსოვდეს, რომ თანაბარი განაწილება ზოგჯერ ყველაზე დიდი უსამართლობაა. ამ დისკუსიას თანასწორობისა და უთანასწორობის, სამართლიანი და უსამართლო გადანაწილების შესახებ ჩვენ ცალკე ლექციას დავუთმობთ. აქ კი იმაზე შევჯერდეთ, რომ ბაზრის ფუნქციონირების შედეგების სამართლიანობის შეფასება გაცილებით რთულია, ვიდრე ეფექტიანობის შეფასება. მაშინ, როდესაც ეფექტიანობა ობიექტური მიზანია, რომელზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მკაცრად პოზიტიურ საფუძველზე, სამართლიანობა გულისხმობს ნორმატიულ მსჯელობას, რომელიც სცდება ეკონომიკის საზღვრებს და პოლიტიკური ფილოსოფიის რეალობაში გადადის. სწორედ ამ ფილოსოფიაზე დაყრდნობით ფორმირდება სოციალური პოლიტიკა.

პოლიტიკის შექმნის რამდენიმე მოდელი არსებობს. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მოდელი მუშაობს, ზოგიერთში კი მოდელი იცვლება მმართველობის სტილთან შესაბამისად (გუფთა, 2001). რასაკვირველია იმაზე თუ როგორ წარმართება პოლიტიკის კურსი დიდ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკის რამოდელი მუშაობს ქვეყანაში ამ დროს. მოდით **განვიხილოთ პოლიტიკის შექმნის მოდელები (გუფთა, 2002):**



**1. პოლიტიკა-ადმინისტრაციის დიქტომია;** ამ მოდელში ადმინისტრაციის წარმომადგენლები ე.ი. აღმასრულებელი ხელისუფალნი სრულიად ემორჩილებიან და ანგარიშვალეზულნი არიან პოლიტიკოსების მიმართ.


**2. თანაბარი მოდელი;** ამ მოდელში ადმინისტრაცია იერარქიისადმი კი არ იჩენს ლოიალობას, არამედ ეთიკური პრინციპებისადმი. მათ სჯერათ ადმინისტრაციასა და პოლიტიკას შორის როლების თანაბარი გადანაწილებისა და პოლიტიკოსთა თავდადებისა ძალაუფლებამოკლებულთა უფლებების დასაცავად.

**3. შერეული ადმინისტრაციული მოდელი;** ეს მოდელი პოლიტიკის ლიდერების რეპუტაციის შერყევის შედეგია. ყველა პოლიტიკოსს ადმინისტრაციაში საკუთარი გუნდის მოყვანა ედება ხოლმე ბრალად, ამიტომ ადმინისტრაციის ფუნქცია პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების საქმეში ძალიან მცირდება პოლიტიკური ლიდერების გუნდის გამრავალფეროვნების ხარჯზე.

**4. შერეული პოლიტიკური მოდელი.** მზარდი სოციალური პრობლემები და მათი მრავალფეროვნება ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რიცხოვრივი ზრდის საჭიროებას წარმოშობს. ამასთანავე, სწრაფმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა სულ უფრო იოლი გახადა მართვა.

ამასთანავე, უმთავრესი საკითხია რა სახის პოლიტიკას ატარებს მთავრობა: პრევენციულს თუ რეაქციულს? ამ საკითხს დეტალურად განვიხილავთ ლექციაზე სოციალური დახმარების *ადმინისტრირებისა და რეგულირების* დიქტომია.

მოდით, ახლა ზოგადად პოლიტიკის ციკლის განხილვა დავიწყოთ (გუფთა, 2001) და ვნახოთ თუ როგორ ყალიბდება ეს თუ ის პოლიტიკა, რის შემდეგაც იმის საშუალებაც მოგვეცემა, რომ გავანალიზოთ თუ რომელ ეტაპზე იკვეთება სოციალური მუშაკის როლი (რასაც მომდევნო ლექციაზე განვიხილავთ).



**დღის წესრიგი ორგვარია: ინსტიტუციური და სისტემური.** ინსტიტუციური ანუ სამთავრობოა დღის წესრიგი, რომელზეც სამთავრობო ინსტიტუტები მუშაობენ. სისტემურია დღის წესრიგი, რომელზე მუშაობასაც ისინი აყოვნებენ, მიუხედავად იმისა, რომ სისტემური დღის წესრიგი საერთო სახალხო დებატების მუდმივ საკითხებს მოიცავს.

მოდით, **განვიხილოთ როგორ გარდაიქმნება სისტემური დღის წესრიგი ინსტიტუციურ დღის წესრიგად.** პოლიტიკური თეორეტიკოსები 2 მოდელს გამოარჩევენ (გუფთა, 2001): პლურალისტურ ანუ უმრავლესობის მოდელს და ელიტარულ მოდელს.

**უმრავლესობის მოდელის მომხრე თეორეტიკოსები** ფიქრობენ, რომ სისტემური დღის წესრიგი ინსტიტუციურ დღის წესრიგად გარდაიქმნება საზოგა-

დოებრივი მოთხოვნის შესაბამისად, რადგან პოლიტიკური გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მოთხოვნის ანარეკლია. ამ მოსაზრების მიხედვით ძალაუფლება აქტივისტი მოქალაქეების ხელშია, და რამდენადაც უფრო მოხერხებულია და აქტიურია მოქალაქე, მით უფრო სწრაფად გარდაიქმნება სისტემური საკითხი ინსტიტუციურად. **ელიტარული მოდელის მხარდამჭერთა აზრით**, დღის წესრიგის შედგენის ძალაუფლება მხოლოდ მაღალი პოლიტიკური ემელონების ხელშია. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ ზოგიერთი სისტემური საკითხისთვის ინსტიტუციური სტატუსის მინიჭებას მთავრობა აფერხებს კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, რადგან ზოგიერთი საკითხი საზოგადოების გახლეჩას უწყობს ხელს, მკვეთრად მიჯნავს საზოგადოებას მოგებულ და წაგებულ მოქალაქეებად. პოლიტიკოსთა უმთავრესი მიზანი კი კონფლიქტების დარეგულირებაა.

როგერ კობის აზრით, პლურალისტურ მოდელში ინსტიტუციური სტატუსის მისაღწევად საკითხს შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს (გუფთა, 2001):

- სპეციფიკურობა;
- სოციალური მნიშვნელობა;
- დროსთან რელევანტურობა;
- სიმარტივე;
- პრეცედენტი.

**სისტემური დღის წესრიგის შეფასებას ვინყებთ დანახარჯ-სარგებლის ანალიზზე დაყრდნობით (გუფთა, 2001).** შემოგთავაზებთ დანახარჯ-სარგებლის ოთხ ვარიანტს და ერთად გავიაზროთ რომელ ვარიანტს აქვს მეტი შანსი მოხვდეს ინსტიტუციურ დღის წესრიგში:

1. დანახარჯი ფართო მასებს მოიცავს, სარგებელი კი კონკრეტულ ჯგუფებს;
2. დანახარჯი კონკრეტულ ჯგუფებს მოიცავს, სარგებელი კი ფართო მასებს;
3. დანახარჯიცა და სარგებელიც ფართო მასებს მოიცავს;
4. დანახარჯიცა და სარგებელიც კონკრეტულ ჯგუფებს ან ინდივიდებს მოიცავს.

თუ დანახარჯ-სარგებელი ფართო მასებს მოიცავს ე.ი. ის დიფუზიურია. თუ დანახარჯ-სარგებელი კონკრეტულ ჯგუფებს მოიცავს ე.ი. ის არადიფუზიურია. კანონმდებლებისათვის მისაღებად ყველაზე იოლი არის პროექტი თუ ის სარგებელს მოუტანს ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფს, მაშინ როცა დანახარჯი ფართო მასებზეა გავრცელებული ე.ი. ზემოთ ჩამოთვლილი ვერსიებიდან 1. გაცილებით რთულია ისეთი პროექტების მიღება, რომლებსაც სარგებელი აქვთ დიფუზიური და დანახარჯი კი მცირე ჯგუფზე ვრცელდება ე.ი. ვერსია 2. მესამე შემთხვევაში, როდესაც დანახარჯიცა და სარგებელიც დიფუზიურია, პროექტი უძრაობისთვისაა განწირული. მეოთხე შემთხვევასაც, სადაც დანახ-

არჯიცა და სარგებელიც ძალიან ვინრო წრეებზე ვრცელდება არ უნერია ინსტიტუციურ დღის წესრიგში მოხვედრა.

უმრავლესობის აზრით, ვერსია 3 ვერ მოხვედება ინსტიტუციურ დღის წესრიგში, რადგან არავის არ მოუნდება იტვირთოს ხარჯი, როცა პოლიტიკა ისედაც სარგებლის მომტანია ყველასთვის იმისდა მიუხედავად ყველა იტვირთებს თუ არა ხარჯს ამ სარგებლისათვის. რაციონალური ხალხისთვის წარმოდგენილია მონაწილეობის მიღება კოლექტიურ ქმედებაში, როდესაც ისინი ისედაც რაღაცას მიიღებენ არაფრისთვის. მოვედით საზოგადოებრივი რესურსებისა და სახელმწიფო დოვლათის თემამდე. ამ თემას კი ვერ განვიხილავთ ზღვრული დანახარჯისა და ზღვრული სარგებლის განხილვის გვერდის ავლით.

**რა არის ზღვრული დანახარჯი? რა არის საზოგადოებრივი რესურსი ან სახელმწიფო დოვლათი?** ამ კითხვებზე პასუხების ცოდნა დაგვეხმარება სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის შემუშავების ანბანის სწავლაში, ამა თუ იმ მოდელის მიხედვით დოვლათის დისტრიბუციის პრინციპების გაანალიზებასა და სოციალური სამართლის საფუძვლების გააზრებაში სხვადასხვა პოლიტიკური არქიტექტურის სისტემაში.

**ზღვრული (ანუ მინიმალურად ეკონომიკურად ეფექტიანი) დანახარჯი არის პროდუქციის ერთი დამატებითი ერთეულის წარმოებით გამოწვეული მთლიანი ხარჯის ზრდა.** აქვე განვმარტოთ რა არის ზღვრული სარგებელი: პროდუქციის ერთი დამატებითი ერთეულის მოხმარებით მთლიანი ხარჯის ზრდა.

**საზოგადოებრივი რესურსები ის რესურსებია, რომელთა გამოყენება ყველას შეუძლია. იგი არც კონკურენტუნარიანი (იგივე უბილეთო მგზავრის) და არც გამომრიცხავი.** მათი წარმოება კერძო მენარმისთვის რთულია ე.წ. მუქთა მომხმარებლების პრობლემის გამო. მუქთა მომხმარებელი არის პირი, რომელიც იყენებს საქონელს, მაგრამ არ იხდის მასში არავითარ საფასურს. მაგალითისთვის ჩამოვთვალოთ საზოგადოებრივი რესურსები: ხიდები, ქუჩის განათება, გზები და ა.შ. რადგან ეს რესურსი არც კონკურენტუნარიანია და არც გამომრიცხავი, მთავრობა იძულებულია აწარმოოს ის მოსაკრებლებიდან შემოსული თანხებით. მაგალითად, ქუჩის განათების სარგებელი გაცილებით დიფუზიურია, ვიდრე დანახარჯი. თუ აქ ჩვენს წინა გვერდზე წარმოდგენილ 4 მოდელს განვიხილავთ დანახარჯ-სარგებლის დიფუზიურობის მასშტაბებზე დაყრდნობით ამა თუ იმ პროექტის პოლიტიკურ დღის განრიგში მოხვედრის შესახებ, ეს 2 ვარიანტია, რომლითაც პოლიტიკოსთა დაინტერესება რთულია.

როცა კერძო ბაზარი უარს ამბობს საქონლის წარმოებაზე, მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აწარმოოს იგი თუ არა. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას მთავრობა ძირითადად დანახარჯი-სარგებლის ანალიზს ეყრდნობა ხოლმე, რასაც ორი პრობლემა ახლავს:

1. სარგებლის რაოდენობრივი გათვლები რთულია მხოლოდ კითხვარებზე დაყრდნობით და
2. რესპოდენტების არა აქვთ საკმარისი მოტივაცია გულახდილობისთვის.

მოდით განვიხილოთ **რა არის სახელმწიფო დოვლათი. ეს ის რესურსია, რომლის მოხმარება ყველას შეუძლია. ის კონკურენტუნარიანია, მაგრამ არაა გამომრიცხავი რესურსი.** მაგალითად, ვაკის პარკი – იქ ყველას შეუძლია მივიდეს ე.ი არაა გამომრიცხავი, მაგრამ თუ კვირას ძალიან გვიან მიხვალთ ყველა საქანელა დაკავებული შეიძლება აღმოჩნდეს, ყველა სკამი დაკომპლექტებული ან შეყვარებული წყვილებით ან ბავშვიანი მშობლებით. გამოდის, რომ ის კონკურენტუნარიანია. ვინც ახლახანს ყოფილა პარკში, იმაშიც დამეთანხმება, რომ დაკავებულიც რომ არ იყოს საქანელა, გაფუჭებულია ან ისე ჭრიალებს, რომ სანამ ერთი შემოვლა დამთავრდება ველარც ბავშვის სიამოვნებაზე ფიქრობ და ველარც საკუთარი თავით კმაყოფილებაზე, რომ ბავშვი პარკში წამოიყვანე და სამაგალითო მშობელი ხარ. ერთადერთი რასაც ფიქრობ ისაა, რომ მალე დამთავრდეს და აქ მეორედ მომსვლელი აღარ ხარ. პარკის კერძო მფლობელობაში გადასვლის შემთხვევაში, ალბათ შესვლაზე საფასური დანესდება და სკამზეც მხოლოდ ის აღმოჩნდება ვინც გადაიხდის.

ახლა თქვენ ალბათ იკითხავთ, რა ეშველება იმ წყვილებსა და ბავშვიან მშობლებსო. ეკონომიკის ენაზე თუ ვუპასუხებთ ამ შეკითხვას, შევა ის, ვისთვისაც ფასი ზღვრულ სარგებელს უტოლდება ( $P=MB$ , სადაც  $P$  არის Price ანუ ფასი,  $M$  არის marginal ანუ ზღვრული (= მარგინალური), ხოლო  $B$  არის Benefit ანუ სარგებელი). ხოლო პარკის მფლობელი დაანესებს გადასახადს, რომელიც უტოლდება პარკის ინვენტარის გაჩანაგების ან მწყობრიდან გამოსვლის ზღვრულ დანახარჯს. პარკის კეთილგონივრული გამოყენება განისაზღვრება მიწოდებისა და მოხმარების გადაკვეთის წერტილით, სადაც პარკში სკამებზე ჯდომის თუ საქანელებზე კატაობის ზღვრული სარგებელი უტოლდება ზღვრულ დანახარჯს ( $P=MC$ , სადაც  $P$  არის Price ანუ ფასი,  $M$  არის marginal ანუ ზღვრული, ხოლო  $C$  არის Cost ანუ დანახარჯი).

აქ არ შეიძლება არ **განვიხილოთ მთავრობისა და ბაზრის ძირითადი ფუნქციები.** შევეცდები, რაც შეიძლება მარტივი ენით მოგანოდოთ. ბაზრის თავისუფლება ქვეყნის კეთილდღეობის გარანტიაა. მთავრობის ჩაურევლობის შემთხვევაში **„უხილავი ხელი“** ეფექტიანად და პატიოსნად ანაწილებს რესურსებს პროდუქციის 4 ფაქტორს შორის: მიწა, შრომა, კაპიტალი და ორგანიზაცია. თქვენ ალბათ იკითხავთ რა არის „უხილავი ხელი“? მარტივად რომ ავხსნათ, ადამ სმიტის თეორიის მიხედვით, ადამიანს მხოლოდ საკუთარი ინტერესი ამოძრავებს და საკუთარ სარგებელს ემსახურება, ამიტომ აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის დეცენტრალიზება და დერეგულირება, რაც მიმწოდებელსა და მომხმარებელს მოთხოვნისა და მიწოდების ავტომატურად დარეგულირების საშუალებას მისცემს. თუმცა, როგორც მორაზესი და პინტაკი

(მორაზესი & პინტაკი, 2007, გვ. 108 ჰუმანთან 2010) აღნიშნავენ, სმიტიც (ზოგჯერ უსამართლოდაც, იმ თეორიების ავტორად არის მიჩნეული, რომლებიც ახლა ქმნიან მსოფლიოს ორთოდოქსული ნეოლიბერალიზმის ნაწილს) თვლის, რომ სიღარიბის კონცეფცია უნდა შეიცავდეს იმას, რაც აუცილებელია, რომ იცხოვრო საბაზრო დონეზე იმ საზოგადოებაში, რომელსაც ეკუთვნის და არა მხოლოდ იმდენს, რაც აუცილებელია, რომ სიკვდილს გადაურჩე.

აქვე მოდით განვიხილოთ ეკონომიკის რამდენიმე ჩვენთვის აუცილებელი ასპექტი, რადგან ეკონომიკაა მიჩნეული იმ ანალიტიკურ იარაღად, რომელსაც ეყრდნობა ნებისმიერი სოციალური პოლიტიკის განსაზღვრა ან შემუშავება, და არა მარტო ეს. ეკონომიკის, როგორც ანალიტიკური იარაღის ყველაზე ფუნდამენტურ ნვლილზე საუბრისას, ჩვენ არ შეიძლება არ გამოვყოთ ურთიერთკოლერაციაში მყოფი სამი ცნება: ეკონომიკური რაციონალიზმი, ზღვრული ანალიზი, და შესაძლებლობის საფასური. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ეკონომისტების მიერ ჩამოყალიბებული რაციონალური მოდელის მიხედვით, ადამიანს მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებს პირადი სარგებლის მოლოდინში. ასე რომ მარტო ადამ სმიტს ვერ დავემდურებით ამის გამო. ზღვრული ანალიზის მიხედვით, მომხმარებელი შეწყვიტავს შესყიდვას, როცა საქონლის ზღვრული სარგებელი მისი ზღვრული საფასურის ტოლია  $MB=MC$ . მწარმოებელი კი აწარმოებს მანამდე, სანამ ზღვრული შემოსავალი უტოლდება საქონლის ზღვრულ საფასურს. რაც უკვე ვნახეთ ვაკის პარკის შემთხვევაში.

შესაძლებლობის საფასური განსაზღვრავს თუ რას დავთმობთ ჩვენ კონკრეტული საგნის ან მომსახურების მოსაპოვებლად. მაგალითად, ვაკის პარკის შემთხვევაში არ ნავალ კინოში და ნავალ პარკში, ან არც ერთში თუ არ ნავედი, დავზოგავ ფულს და ვიყიდი წითელ წკაპუნებს. საკითხი აქ ასე უნდა დავაყენოთ, მირჩევნია ორი საათი ჟანგბადით გავინოყიერო ფილტვები თუ მთელი ზაფხული წითელი წკაპუნებით ვიტრაშუნო. ეს მე უნდა გადავწყვიტო, და მე ჩემი არჩევნის წინაშე მარტო ვარ, ისევე როგორც მარტოა ვაკის პარკის დირექტორიცა და მეწაღეც. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვიღებთ გადაწყვეტილებებს, მაგრამ მაინც ერთმანეთის გადაწყვეტილებებზე ვართ დამოკიდებული, რასაც გვირეგულირებს ბაზარი, სადაც ბევრი ჩვენნაირია და ყველა თავისი შესაძლებლობების საფასურის გაანალიზებაზე დაყრნობით მოქმედებს.

ახლა კი დროა მივუბრუნდეთ პოლიტიკის ციკლის მეორე ეტაპს - პოლიტიკის ფორმულირების ეტაპი. როგორც კი საკითხი ინსტიტუციურ სტატუსს შეიძენს, კონკრეტული პოლიტიკა უნდა შემუშავდეს. მრავალი ალტერნატიული პოლიტიკიდან კანონმდებლები გამოარჩევენ ერთ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც ყველაზე ეფექტიან შედეგს იძლევა სავარაუდოდ. კანონმდებლები ქმედებათა კურსს შეიმუშავებენ კანონის ჩამოსაყალიბებლად. ჩვენ კი გადავინაცვლებთ შემდეგ ეტაპზე - პოლიტიკის მიღების ეტაპზე. პოლიტიკის

ანალიზის დასრულებისთანავე ის გადაიგზავნება კანონმდებელ ორგანოში. ჩვენს ქვეყანაში ასეთი ორგანო პარლამენტია (სადაც ამჟამად არც ერთი სოციალური მუშაკი არ მუშაობს).

პოლიტიკის მიღებას მოსდევს **პოლიტიკის განხორციელების ფაზა**, რაც აღმასრულებელ ორგანოთა პრეროგატივაა (სადაც ამჟამად დასაქმებულია სოციალურ მუშაკთა თითქმის ნახევარი, უმეტესობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში). ხშირად პოლიტიკა სცილდება მისი განხორციელების მიზნებს, განხორციელების პროცესის არაეფექტიანად წარმართვის გამო.

მომდევნო ეტაპია - **პოლიტიკის შეფასება**, რომლის დანიშნულებაც განსაზღვროს რამდენად მიაღწია გატარებულმა პოლიტიკამ დასახულ მიზანს და რამდენად მოემსახურა საზოგადოებრივ საჭიროებას. ხანდახან პოლიტიკის ესა თუ ის კურსი და საზოგადოების საჭიროება ურთიერთწინააღმდეგობრივია. ხდება ისეც, რომ ერთი პოლიტიკის ეფექტიანობა ზღუდავს მეორისას. ან პოლიტიკის ერთი ასპექტი პოზიტიურად განხორციელდა და შესაბამისად შედეგებიც პოზიტიურია, მაგრამ მეორე ასპექტში ხარვეზებია, ან ამ პოლიტიკის გატარების შედეგად წარმოიქმნა ხარვეზები. ამიტომ პოლიტიკის შეფასებისას, ხშირად აღმოვაჩინებთ შემთხვევებს, როცა პოლიტიკის მიზნის მიღწევის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მისი ზეგავლენისა საზოგადოებაზე.

ხშირად უკვე მიღებული პოლიტიკა რეალურ ცხოვრებაში ცვლილებებს საჭიროებს, რამეთუ შეუძლებელია ყველა დეტალი წინასწარი გათვლისამებრ ამუშავდეს. პოლიტიკის არსებული კურსი სულ მცირე 7 ფაქტორის გამო იცვლება:

- საზოგადოებრივი ცვლილებები;
- ახალი კანონის მიღება;
- კონსტიტუციური ბარიერი;
- ახალი ტექნოლოგია;
- ახალი აღმოჩენები, რომლებიც საზოგადოების მხარდაჭერას ასუსტებს ამ პოლიტიკის მიმართ;
- პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის შეცვლა, და
- არჩევნები.

მივედით ბოლო ეტაპამდე, **პოლიტიკა ან იცვლება ან უქმდება. მეცნიერები პოლიტიკის შეცვლის 4 სახეობას აღნიშნავენ (გუფთა, 2001):**

- სწორხაზოვანი, რომლის დროსაც ერთი პოლიტიკა მეორეთი იცვლება;
- კონსოლიდირებული, რომლის დროსაც მსგავსი მიზნებისაკენ მიმართული პროგრამები ერთიანდებიან;

- გახლეჩილი, რომლის დროსაც, სააგენტო, რომელიც ატარებდა კონკრეტულ პოლიტიკას ძალიან გაიზარდა და ვეღარ ახორციელებს მას ეფექტიანად. იგი უფრო მცირე კომპონენტებად დაიყო და ყოველი მათგანი პირველად პოლიტიკას ნაწილ-ნაწილ ახორციელებს;
- არასწორხაზოვანი, რომელიც გამონვეულია სოციალური პრობლების შეცვლით ან ტექნოლოგიური მიღწევების წინსვლით.

### **მეცნიერები პოლიტიკის გაუქმების 4 სახეობას განსაზღვრავენ:**

- ფუნქციურს, როდესაც მთავრობა იხსნის პასუხისმგებლობას ამა თუ იმ სფეროზე. ხდება მთელი სფეროს პრივატიზაცია, რაც გამოიწვევს ამ სფეროს კერძო სექტორში გადასვლას;
- ორგანიზაციულს, როდესაც მთავრობას აღარ სურს თავისი როლის დასრულება ამა თუ იმ სფეროში, თუმცა სურს შეუნყვიტოს მხარდაჭერა კონკრეტულ განმახორციელებელ სააგენტოს;
- პოლიტიკურს, როცა კანონმდებელს აღარ სურს ამა თუ იმ პოლიტიკის გატარება, რემეთუ პრობლემის აქტუალობას ვეღარ ხედავს და დროსა და რესურსებს ახლად წარმოქმნილ სოციალურ პრობლემებისაკენ მიმართავს;
- პროგრამულს, როდესაც მთავრობა შეწყვეტს კონკრეტული პროგრამის განხორციელებას.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკის ანალიზი უმთავრესი ეტაპია პოლიტიკის გატარებისათვის. მასზეა დამოკიდებული ისიც, თუ როგორ პოლიტიკას გავატარებთ, რა რესურსი დასჭირდება მის გატარებას და ა.შ. მომდევნო ლექციაზე უფრო ღრმად ჩავფიქრდებით იმაზე, თუ რამდენად შესწევს პოლიტიკის ანალიზს უნარი მოიპოვოს გადაწყვეტილება რთული სოციო-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებისათვის.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ საბაზრო ეკონომიკის მექანიზმი მიუკერძოებელ მექანიზმად ითვლება და კაპიტალისტური ეკონომიკის ინდივიდუალური ხასიათი განაპირობებს შემოსავლების განაწილების მაღალ ხარისხს. გთხოვთ დაასაბუთოთ თქვენი პასუხი.
2. ვინ თამაშობს იდეოლოგიურ როლს სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში?
3. რა მნიშვნელობა აქვს დაინტერესებულ პირთა კოალიციის შექმნას საჯარო პოლიტიკის ფორმირებისას? წარმოადგინეთ მაგალითი ახლახანს მიღებული პოლიტიკისა და განსაზღვრეთ ამ პოლიტიკის მხარდამჭერი კოალიცია სტაბილური იყო თუ დროდადრო იცვლებოდა.

4. რა განსხვავებაა ცხოვრების დონის ორ წარმოდგენილ კონცეფციაში?

გაერთიანებული ერების კონცეფცია შვედური მოდელი

1. ჯანმრთელობა შრომა შორმის პირობები
2. კვების პროდუქტების მოხმარება ეკონომიკური შესაძლებლობები
3. განათლება პოლიტიკური შესაძლებლობები
4. დასაქმება და შრომის პირობები სასკოლო განათლება
5. საცხოვრებელი პირობები ჯანმრთელობა და სამედიცინო დახმარება
6. სოციალური უზრუნველყოფა სოციალური შესაძლებლობები (ოჯახისა და ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბება)
7. ტანსაცმელი საცხოვრებელი პირობები
8. დასვენება და თავისუფალი დრო კვება
9. ადამიანის უფლებები თავისუფალი დროის გატარება



## სოციალური პოლიტიკის ანალიზი

### მიმოხილვა

პოლიტიკის ანალიზის უნარი მოიპოვოს გადანყვეტილებები სოციო-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისათვის

ანალიზის ტექნიკები:

- დანახარჯ-სარგებლის ანალიზი
- დანახარჯ-ეფექტიანობის ანალიზი
- მიკრო-სიმულაციური ანალიზი
- მინი-მაქსის სტრატეგია

როგორ გავუმკლავდეთ დაურწმუნებლობას პოლიტიკის ანალიზზე ჩამოყალიბებისას?

- თამაშის თეორია
- პატიმრის დილემა
- გადანყვეტილების ხე

კონფლიქტური და თანამშრომლობითი მოდელი

რაციონალური არჩევნისა და კოლექტიური ქმედების თეორია

მემარჯვენეთა და მემარცხენეთა დამოკიდებულება კეთილდღეობისადმი.

როგორც დავინახეთ, პოლიტიკის ანალიზი უმთავრესი ეტაპია პოლიტიკის გატარებისათვის. მასზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ პოლიტიკას გავატარებთ, რა რესურსი დასჭირდება მის გატარებას და ა.შ. მაგრამ **თუ უფრო საფუძვლიანად განვიხილავთ იმას თუ რამდენად უნარიანია პოლიტიკის ანალიზი მოიპოვოს გადანყვეტილებები რთული სოციო-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისათვის, დავინახავთ, რომ ის საკმაოდ შეზღუდულია.** უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ რაოდენობრივი ტექნიკა უუნაროა სრულყოფილად გაანალიზოს სოციალური პრობლემა, თვისებრივი ტექნიკის გამოყენებას კი, გარდა მის გარშემო არსებული უნდობლობისა, დიდი დრო და ადამიანური თუ ფინანსური რესურსი სჭირდება. ბრძენს კი უთქვამს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რა ვიცით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის ცოდნა რა არ ვიცით. მართლაც საოცარი სიბრძნეა! **ამიტომ სანამ ანალიზის ტექნიკების განხილვას დავიწყებდეთ, აუცილებელია გააზრებული გვექონდეს მისი ლიმიტები, რადგან:**

1. ჩვენ ვერ დავამტკიცებთ ან უარვყოფთ ჩვენს ჰიპოთეზას ლაბორატორიული სიზუსტით;
2. ჩვენი ტექნიკები რეალობის შეზღუდულ აღქმას გვთავაზობენ;
3. ჩვენი მიდრეკილებები, ცრუ შეხედულებები და შეგონებები საღი განსჯის უნარს გვიზღუდავენ;
4. ჩვენ ვერ ავირიდებთ დაურწმუნებლობას, რომელიც ხშირად გვეუფლებს;
5. ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ სოციალურ ფასეულობებს.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებათა სიძლიერე გამოიხატება მის უნარში აქციოს ბუნდოვანი ფილოსოფიური კამათი ზუსტ ობიექტურ ანალიზად – ობიექტურ პროფესიონალიზმად. გუფთასა და სხვა კოლეგების (2001) მეცნიერული არგუმენტაციის პარადიგმა **რთული პრობლემების ანალიზისათვის შემდეგ ხუთ-ეტაპიან პროცესს** გვთავაზობს:

**1. განვსაზღვროთ ძირითადი საკითხი და ჩამოვყალიბდეთ ანალიზის მიზანზე;** ამის გარეშე ანალიზის დაწყება თითქმის შეუძლებელია, ან დროში ძალიან წამგებიანია.

**2. ჩამოვყალიბოთ მოქმედების ალტერნატიული მსვლელობის გეგმა;** ალტერნატივის შერჩევა ორ ფაქტორს უნდა ეფუძნებოდეს: თანმიმდევრულობა და განხორციელებადობა. ჩვენი ალტერნატივა ჩვენს მიზანს უნდა შეეფერებოდეს. უპირველესი არჩევანი უნდა გავაკეთოთ ამ კონკრეტული პროექტის კეთებასა და არაფრის კეთებას შორის. თუ კეთებას ავირჩევთ უნდა გავითვალინინოთ:

- რა დამატებით შემოსავალს მოიტანს პროექტი;
- რა გარეგანი დადებითი თუ უარყოფითი ეფექტები ექნება მას;
- შანტაჟის ფაქტორი;
- სიმდიდრის გადანაწილების ტენდენცია.

**3. პროგნოზირება გავუკეთოთ ალტერნატიული ქმედების შედეგებს;** ამის გარეშე შეუძლებელია მართებული არჩევანის გაკეთება. თუ დაახლოებით მაინც არ ვიცით რას მოგვიტანს ეს თუ ის პროექტი/ღონისძიება, ვერანაირად ვერ გავაკეთებთ სწორ გადაწყვეტილებას რომელი პროექტის/ღონისძიების გატარებაა უმჯობესი ამ მოცემულ მომენტში ამ მოცემული რესურსებით.

**4. სისტემატიურად შევადაროთ და შევაფასოთ ყველა მოსალოდნელი შედეგი;** შედეგების განჭვრეტის გარეშე ვერც პროცესს შევარჩევთ და ვერც მის მოსალოდნელ და ჩვენთვის სასურველ შედეგს გავითვლით.

**5. შევარჩიოთ უპირატესი ალტერნატივა;** აქ რასაკვირველია დიდ როლს თამაშობს ანალიტიკოსის ბუნება. თუ თქვენ რისკიანი ხართ, უპირატესობას მაღალ შემოსავლიან პროექტს მიანიჭებთ მიუხედავად მაღალი რისკისა. თუ თქვენ არ ხართ რისკიანი მაშინ თქვენ გარანტირებულ დაბალ მოგებას არჩევთ გაურკვეველ და საფრთხის შემცველ მიმზიდველ ვარიანტს. თქვენი რისკის გაღების უნარი და სურვილი დიდწილად განაპირობებს საქმის ვითარებას, რადგან ეს დიდ როლს თამაშობს რეალურ ცხოვრებაში, სადაც პოლიტიკის ანალიზის ბევრი ეტაპი არ იძლევა უდავო და ზუსტი პასუხების გაცემის საშუალებას.

ამ რეალობის ცოდნით მოდით **შევუდგეთ ანალიზის ტექნიკების განხილვას, გავიაზროთ განსხვავებები მათ შორის და მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.** ჩვენ განვიხილავთ დანახარჯ-სარგებლის ანალიზს, დანახარჯ-ეფექტიანობის ანალიზს, მიკრო-სიმულაციურ ანალიზს. პირველ ორს განვიხილავთ

უფრო დეტალურად, რომ თქვენ მათი გამოყენების საშუალება მოგეცეთ, ბოლოს კი მხოლოდ განვმარტავთ, რომ თქვენ ამ ეტაპზე მასზე ზოგადი წარმოდგენა შეგექმნათ.

**დანახარჯი-სარგებლის ანალიზის პროცესი** ასეთია:

**1. პროექტის მიზნის (მიზნების) გასაზღვრა;** მიზნის განსაზღვრისას აუცილებელია პროექტის დადებითი და უარყოფითი გარეგანი ეფექტების გათვალისწინება; კერძო სექტორის წარმომადგენლები არც ჯილდოვებიან პოზიტიური გარეგანი ეფექტებისათვის და არც ისჯებიან უარყოფითი გარეგანი ეფექტებისათვის (თუ რასაკვირველია მათი ქმედებები კანონდარღვევას არ წარმოადგენს), ამიტომ ისინი არ ითვალისწინებენ მათ დანახარჯ-სარგებლის ანალიზისას. თუმცა, არსებობს სპეციალური სანქციები ან ნებართვები, რაც კერძო სექტორს წარმოების უარყოფითი გარეგანი ეფექტისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს.

**2. ალტერნატივების გააზრება;** აუცილებელია გავიაზროთ ჩვენი პროექტის ალტერნატიული პროექტი. თუ ალტერნატივა არ არსებობს, მაშინ დანახარჯი-სარგებლის შეფასება ხდება არაფრის კეთებასთან მიმართებით.

**3. ყველა, ანმყო და მომავალი, დანახარჯისა და სარგებლის ამომწურავი ჩამონათვლის შედგენა;** მათი კლასიფიცირება ორ კატეგორიად შეიძლება: პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯი და სარგებელი. პირდაპირია დანახარჯი-სარგებელი, რომელიც პროექტზეც და საზოგადოებაზეც უშუალო ზეგავლენას ახდენს. არაპირდაპირია დანახარჯი-სარგებელი, რომელიც პროექტზე უშუალო ზეგავლენას არ ახდენს, მაგრამ ზემოქმედებს საზოგადოებაზე.

**4. დანახარჯისა და სარგებლის გამოანგარიშება მონეტარულ ერთეულში;** დანახარჯი-სარგებლის ანალიზის ყველაზე მეტი სირთულე არის ის, რომ ზოგიერთი დანახარჯი და სარგებელი მონეტარულად არ იზომება. ისიც პრობლემაა, რომ მათი სამომავლო დაანგარიშება მხოლოდ სავარაუდო გამოთვლებითაა შესაძლებელი. ხშირად ისეც ხდება, რომ ესა თუ ის პროექტი სასარგებლოა და კეთილდღეობის მომტანია ერთთათვის მხოლოდ მეორეთა დაზარალების ხარჯზე. მაგრამ როდესაც წაგებულთა წაგება უტოლდება მოგებულთა მოგებას, საზოგადოებრივი კეთილდღეობა უცვლელია, თუ რასაკვირველია ერთთა წაგებასა და მეორეთა მოგებას სხვადასხვა საზომით არ გავზომავთ.

**5. დანახარჯისა და სარგებლის მომავალი ტენდენციის პროგნოზირება;** ეს ბევრ სირთულეს მოიცავს: ფასდაკლების კოეფიციენტის გამოთვლას, ამ კონკრეტული ფინანსური რესურსის დაბანდების ალტერნატიული გზების ანონ-დანონვას. ეს კი შესაძლებლობის საფასურს ანუ ჩრდილოვან ფასს წარმოქმნის.

**6. ყველაზე მაღალ-სარგებლიანი ალტერნატივის შერჩევა დანახარჯთან შედარებით;** ალტერნატივის შერჩევისას დანახარჯსა და სარგებელს შორის თანაფარდობის გააზრება ჯობია ვიდრე მათ შორის განსხვავებისა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე იდენტურ დასკვნამდე მიგვიყვანს, თანაფარდობა უფრო

ეფექტიან საზომად ითვლება. ყველაზე ეფექტიანია ის პროექტი, რომლის მთლიან სარგებელს გამოკლებული მთლიანი დანახარჯი ე.ი. წმინდა სარგებელი ყველაზე მაღალია.

დანახარჯი-სარგებლის ანალიზზე საუბრისას ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა გავიაზროთ: თითქმის ყველა სახელმწიფო პროგრამა საზოგადოებას მოგებულთა და წაგებულთა ჯგუფად ჰყოფს. საქმე ისაა, როგორ დავაბალანსებთ მოგებას წაგებასთან მიმართებაში?

მოდით, ახლა **განვიხილოთ დანახარჯ-ეფექტიანობის ანალიზი**. რა შესაძლებლობები აქვს მას, რა შემთხვევაში გამოიყენება. დანახარჯ-სარგებლის ანალიზის მთავარი პრინციპია: **ისეთი ალტერნატივის შერჩევა, რომელიც მაქსიმუმ წმინდა სარგებელს იძლევა**. მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით საზოგადოებრივი დანახარჯის შემთხვევაში ბენეფიტის გაზომვა რთულია (გუფთა, 2001). აი, წარმოიდგინეთ პოლიციის უწყებას ახალი მანქანების შეძენა სურს, რომლებიც პრინციპში იგივე საქმეს მოემსახურებიან, რასაც ამჟამად; ამავე უწყებას ახალი კომპიუტერული სისტემის შეძენაც სურს, ესეც პრინციპში იგივე ფუნქციური დატვირთვის მქონეა, რაც ამჟამინდელ სისტემას აქვს. გა მოდის, რომ ყველა ალტერნატივა სანაცვლოა, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველი მათგანი თანაბარი სარგებლის მომტანია, ე.ი. სარგებელი უცვლელია. ამიტომ უნდა ავირჩიოთ უფრო იაფი ალტერნატივა ე.ი. მცირე დანახარჯიანი.

ახლა წარმოიდგინეთ, ფული გამოყოფილია უსახლკარო ოჯახების შვილების სწავლებისათვის, და საუკეთესო პროექტი უნდა შევარჩიოთ. ყველა ალტერნატივა ზუსტად იდენტური დანახარჯისაა ე.ი. დანახარჯი უცვლელია. ასეთ შემთხვევებშიც ჩვენ გამოვიყენებთ დანახარჯ-სარგებლის ანალიზის დაჩქარებულ ვერსიას – დანახარჯ-ეფექტიანობის ანალიზს. მას კი ორი მარტივი წესი აქვს:

1. თუ სარგებელი იდენტურია, ნაკლებ დანახარჯიან ალტერნატივას ვირჩევთ.

2. თუ დანახარჯი იდენტურია, მეტად სარგებლიან ალტერნატივას ვირჩევთ.

ასე რომ, ზემოთ მოყვანილი პოლიციის მანქანების შემთხვევაში, ფოკუსირებული ვიქნებით შესყიდვის დანახარჯის მინიმიზაციაზე, ხოლო უსახლკარო ბავშვების სწავლების შემთხვევაში სარგებლის მაქსიმალიზაციაზე.

დანახარჯ-სარგებლის ანალიზი ძალიან მძიმე სამუშაოა, განსაკუთრებით კი მთავრობისათვის, რომელიც საზოგადოებრივი საქონლის ძირითადი მწარმოებელია. მან უნდა განსაზღვროს რა სახის საზოგადოებრივი საქონელი მიანოდოს და რა რაოდენობით. მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობას სურს გზატკეცილის გაყვანა ჩემს სოფლამდე, სოფელი ახლოსაა, მაგრამ იმის გამო, რომ ცუდი გზაა 4-ჯერ მეტ დროს ანდომებ იქ ასვლას. მე და ჩემს თანასოფლელებს ეს გვიხარია, რადგან უფრო სწრაფად და შესაბამისად

უფრო ხშირად შევძლებთ იქ ასვლას. ეს გზა ხელმისაწვდომი იქნება ყველა-სათვის, და მას ყველა უფასოდ გამოიყენებს. ამიტომ ჩვენთვის არ არსებობს ფასი, რომელსაც შეიძლება მისი დანახარჯი გავუტოლოთ. სარწმუნო შედეგებს ვერც მოსახლეობის გამოკითხვა მოგვცემს იმის თაობაზე, თუ როგორ აფასებს გზატკეცილს, ვინაიდან სარგებლის რიცხოვნობად გამოხატვა რთულია კითხვარში მოცემული შედეგების მეშვეობით და, ამასთანავე რესპონდენტებს არ აქვთ სიმართლის თქმის სტიმული. ის, ვინც ამ გზატკეცილის გამოყენებას ვაპირებთ, გავაზვიადებთ სარგებელს, რათა ხელი შევუწყოთ ამ პროცესს. ის კი, ვისაც მისი გაყვანა დააზარალებს, გააზვიადებს დანახარჯებს, პროცესისათვის ხელის შეშლის მიზნით.

ამიტომ, საზოგადოებრივი საქონლის ეფექტიანი მინოდება გაცილებით რთულია, ვიდრე კერძო საქონლისა. ამ უკანასკნელის მინოდებას ბაზარი უზრუნველყოფს. კერძო საქონლის მყიდველები, განურჩევლად იმისა, ეს სურსათია, ტანსაცმელი თუ ტექნიკა, საქონლის შეფასებისას შემოიფარგლებიან იმ ფასით, რომლის გადახდაც უღირთ ამ საქონელში. გამყიდველები კი თავიანთ დანახარჯებს იმ ფასით გამოხატავენ, რომლის მიღებაც უღირთ ამ საქონელში. ამიტომაცაა მიახლოებითი ანალიტიკოსთა მიერ შესრულებული დანახარჯი-სარგებლის ანალიზი. საზოგადოებრივი რესურსების მინოდებისას.

**მიკროსიმულაციის მოდელი ნაცვლად იმისა, რომ გამოიკვლიოს პროგრამის ზემოქმედება ზოგადად მაგალითად, ეკონომიკაზე ან დემოგრაფიაზე, იკლვევს მის ზეგავლენას ინდივიდუალურ ერთეულზე, მაგალითად, ოჯახზე თუ ეს შემოსავლის მხარდაჭერის პროგრამაა, საავადმყოფოებსა და ექიმებზე თუ ეს ჯანდაცვის ხარჯების ანაზღაურების პროგრამაა და ა. შ. ამ მოდელში ყოველი ერთეული წარმოდგენილია უნიკალური განმსაზღვრელით და ისეთი ასოცირებული განსაზღვრებებით, როგორცაა მაგ., ადამიანთა სია, ასაკის, სქესის, მერიტარული სტატუსის, დასაქმების სტატუსის მიხედვით. ამ ერთეულებზე დაწესებული წესების (სატრანზიტო ალბათობა) გამოყენებას მივყავართ მათი მდგომარეობისა და საქციელის სიმულაციურ ცვლილებამდე. ეს წესები შეიძლება იყოს დეტერმინისტული (ალბათობა = 1), როგორცაა მაგალითად, საგადასახადო ვალდებულების ცვლილება საგადასახადო რეგულაციების ცვლილების შედეგად, ან სტოქასტური (შემთხვევითი ალბათობა  $\leq 1$ ), მაგალითად როგორცაა სიკვდილის, დაქორწინების, ბავშვის გაჩენის შანსი. ნებისმიერ შემთხვევაში დისტრიბუციაში ცვლილებების გააზრებისათვის, მიკროსიმულაციის მოდელები ხშირად გამოიყენება ფისკალური და დემოგრაფიული ცვლილებების (და მათი ინტერაქციის) სოციალურ თანასწორობაზე ზეგავლენის გამოსაკვლევად. მაგალითად, სატრანსპორტო მიმოქცევის პოლიტიკის შესაძრავებლად ამ მოდელს იყენებენ.**

თუ ჩვენ არ გვაქვს ე.წ. „კვლევის ანალიზის“ ჩასატარებლად საკმარისი დრო ან/და მონაცემები გადანყვეტილების მიღება „მიახლოებით გამოთვლაზე“

დაყრდნობით გვინევს, როგორცაა მაგალითად **მინი-მაქსის სტრატეგია, რომელიც ყველაზე არასასურველი ვარიანტის მინიმიზაციას გვთავაზობს**. ბენი და ვაუპელი (ბენი და ვაუპელი, 1982 გუფთასთან, 2001) სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების ხუთ საფეხურს გვთავაზობენ:

1. ფიქრი;
2. გაანალიზება;
3. გამარტივება;
4. ზუსტად განსაზღვრა;
5. გადახედვა/ხელახლა გააზრება.

პოლიტიკის ანალიზზე ჩამოყალიბებისას, ყველაზე დიდ სირთულეს დაურწმუნებლობა წარმოადგენს. როგორ გავუმკლავდეთ მას? ცნობილი ეკონომისტი ფრანკ ნაიტი ანსხვავებდა რისკს დაურწმუნებლობისაგან. მისი აზრით, რისკი არის როდესაც შეგიძლია გამოითვალო მომავალი შედეგის ალბათობა, ხოლო დაურწმუნებლობაა, როდესაც ამას ვერ აკეთებ. რისკის გამოთვლისას ჩვენ ობიექტური ალბათობით ვხელმძღვანელობთ, დაურწმუნებლობის შემთხვევაში კი ობიექტურ ვარაუდებს ვეყრდნობით. **დაურწმუნებლობის შესახებ ლიტერატურა მის ოთხ ძირითად წყაროს ასახელებს:**

1. ცოდნის არასაკმარისობა;
2. ტენდენციური/არაობიექტური არგუმენტაცია;
3. ადამიანთა ქმედებების ურთიერთდამოკიდებულება;
4. დაურწმუნებლობის მთავარი არსი.

ნიუმანისა და მორგენსტერნის (2001) მიხედვით, მოქმედების ოპტიმალური კურსის გაანალიზებისათვის სოციალურ მეცნიერებათა და გამოყენებითი მათემატიკის განშტოებას, რომელიც დაურწმუნებლობისას გადაწყვეტილების მიღების პროცესს შეისწავლის თამაშის თეორია ეწოდება (მას ჩვენ მოგვიანებით დეტალურად განვიხილავ). როდესაც გადაწყვეტილების მიმღები აკეთებს მოქმედების არჩევანს ის იყენებს **გადაწყვეტილების ხეს – დიაგრამას, რომელიც გამოხატავს სამომავლო ქმედებებს შესაბამის მოსალოდნელ ციფრებში (გუფთა, 2001)**. გადაწყვეტილების ხე სქემატურად იყოფა მოქმედებად და შედეგებად. ქმედებები წინასწარ განსაზღვრულია, შედეგები კი სავარაუდო. **გადაწყვეტილების ხე შედგება ოთხი განაყოფისაგან:**

1. **გადაწყვეტილების განაყოფი;** პუნქტი, რომელშიც გადაწყვეტილების მიმღები ირჩევს მოქმედების კურსს.
2. **შესაძლებლობის განაყოფი;** პუნქტი, რომელიც მოქმედების შედეგს გვიჩვენებს.

**3. ალბათობის განაყოფი;** პუნქტი, რომელიც მოქმედების შედეგს აფასებს. ალბათობა განისაზღვრება ან ობიექტურ ალბათობაზე დაკვირვებით ან ექსპერტთა სუბიექტური შეფასებების შედეგად.

**4. უკუგება;** ამ კონკრეტული გადანყვეტილების შედეგად მიღებული მოგება ან ნაკება. ის შეიძლება მონეტარულად გამოისახოს, ან რაიმე სხვა შეთანხმებულ ერთეულში. ის შეიძლება იყოს რეალური ან ალქმადი მოგება ან ნაკება.

იმისათვის, რომ გადანყვეტილების ხე ანალიზის ეფექტიანი ინსტრუმენტი იყოს, ის რაც შეიძლება ამომწურავი უნდა იყოს ყველა შესაძლო შედეგის ინდენტიფიკაციაში. ალტერნატივების იდენტიფიკაციის პროცესი კოლექტიურად ამომწურავი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ერთი პოტენციურად განხორციელებადი ვარიანტი არ უნდა აღმოჩნდეს განხილვის მიღმა მისი გამოცხრილვის დანვრილებითი დასაბუთების გარეშე. უფრო მეტიც, ვარიანტები ერთობლივად გამორიცხვადი უნდა იყოს. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა განისაზღვროს ისე, რომ მათ ერთმანეთი არ გადაფარონ.

გადანყვეტილების ხე გაურკვეველ სიტუაციებში გადანყვეტილების მიღების სქემატური გამოსახვის მეთოდია. ის, როგორც ზევით ავლნიშნეთ, თამაშის თეორიის ქვეშ მოიაზრება. **თამაშის თეორია არის მათემატიკური ტექნიკა ორი ან მეტი ოპონენტის სტრატეგიული ურთიერთქმედების შესაფასებლად, რომელიც მათი შესაძლო ქმედების მოლოდინს ეფუძნება.** ეს ტექნიკა განსაკუთრებით გამოსადეგია აქტიური კონფრონტაციის სიტუაციებში, როცა სტრატეგიული გადანყვეტილებაა მისაღები, და დარწმუნებული არ ხართ თქვენი ოპონენტის მოსალოდნელ ქმედებაში. მისი ხიბლი იმაშია, რომ შესაძლებლობას იძლევა სტრატეგია ახსნას სხვადასხვა სცენარში, იქნება ეს შახმატის თამაში, პროფკავშირების გარიგება თუ საერთაშორისო მოლაპარაკებები (გუფთა, 2001). რადგან მათემატიკურ მოდელირებას ეფუძნება ლიტერატურა მასზე შესაძლოა იყოს მარტივიც და ძალიან რთულიც, პრაქტიკულიდან ეზოთერულამდე. თამაშის თეორიაზე დაყრდნობით შეგვიძლია მივაგნოთ დომინანტურ სტრატეგიას – სტრატეგიას, რომელიც ყველაზე მომგებიანია ჩვენთვის იმ კონკრეტულ სიტუაციაში. ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევას კი შეცდომის დაშვების ალბათობის მინიმიზაცია სჭირდება ე.ი. რაც გაურკვეველ სიტუაციებში ყველაზე სწორი გადანყვეტილების მიღების საშუალებას მოგვცემდა. **გუფთა (2001) ამისათვის ოთხ ოქროს წესს გვთავაზობს:**

**1. დავგემოთ და ამავედროულად საწინააღმდეგო ვერსიაც გავიაზროთ;** წარმატებული სტრატეგია დამოკიდებულია გააზრებულ წინასწარ ანალიზზე. თუმცა, დავგემვისას აუცილებელია ვიფიქროთ ოპონენტების მოსალოდნელ რეაქციაზე და მოქმედებათა მსვლელობის საწინააღმდეგოდ განვითარებაზე.

**2. თუ დომინანტი სტრატეგია გვაქვს, განვახორციელოთ;** ეს შესაძლოა მეგობრებსა და/ან თანამოაზრეებს არ მოგვიტანს, მაგრამ თუ გვაქვს დომინანტი სტრატეგია უნდა გავითამაშოთ, მიუხედავად სიტუაციისა. ეს წესი გან-

საკუთრებით სასარგებლოა ნულოვანი-ანგარიშის თამაშის შემთხვევაში, როცა მოთამაშეთა ინტერესები მკვეთრად გადაკვეთილია და ერთის მოგება მეორის ნაგებას ნიშნავს.

**3. თანმიმდევრულად გამოვცხრილოთ ყველა დომინანტი სტრატეგია განხილვიდან;** თუ რამდენიმე ალტერნატივა გვაქვს, უნდა შევადაროთ შედეგები და გამოვცხრილოთ დომინანტი სტრატეგიები, რაც ოპტიმალურ, ყველაზე სასურველ სტრატეგიამდე მიგვიყვანს.

**4. ერთადერთი დომინანტი სტრატეგიის უქონლობის შემთხვევაში, ვიპოვოთ წონასწორობის წერტილი (ეკვილიბრიუმი);** დომინანტი სტრატეგიის უქონლობისას, დავყაბულდეთ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტზე მოცემულ სიტუაციაში მოცემული მოთამაშეებისათვის. თამაშის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ერთზე მეტი წონასწორობის წერტილიც არსებობს და არც ერთიც.

**სოციალური თანამშრომლობის საკითხის განხილვას თუ დავინყებთ აუცილებლად მოგვინევს თამაშის თეორიის ერთ-ერთი განშტოების პატიმრის დილემის განხილვა, რაც არის სოციალური ერთიერთობების ახსნის მათემატიკური მცდელობა.** ნებისმიერი თამაში რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება – მოთამაშეები, წესები, სტრატეგიები, შედეგები, რომლებიც ურთიერთკავშირში არიან: ჩემი სტრატეგია განვითარდება ან შეიცვლება ჩემი შეხედულების მიხედვით შენს სტრატეგიაზე და პირიქით. ამიტომ თამაში არის ურთიერთგარდაქმნის, მუდმივი უკუკავშირის პროცესი და თამაშის თეორეტიკოსებს სჯერათ, რომ სოციალური ინტერაქცია რთული თამაშია, რომელშიც მონაწილე (სოციალური აქტორი) ცდილობს მისთვის სასურველი შედეგის უზრუნველყოფას მოწინააღმდეგის ქმედების ან საპასუხო რეაქციის მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით (გუფთა, 2002).

**ძირითადად ორი ტიპის თამაში არსებობს: კონფლიქტური და თანამშრომლობითი.** კონფლიქტურია თამაში, რომელშიც მოსაგებ რესურსთა გარკვეული რაოდენობაა ე.ი. რესურსი განსაზღვრულია (ნულოვანი ანგარიშის თამაში ან „უარყოფითი თამაში“), სადაც მოთამაშე იძულებულია ბრძოლით მოიპოვოს და არა თანამშრომლობით: ეს შესაძლოა საბაზრო ინდივიდუალიზმიდან დაწყებული კლასობრივი კონფლიქტებით დამთავრებული (დამოკიდებულია იმაზე, მოთამაშე ინდივიდია თუ კლასი). თანამშრომლობითი თამაშები ის თამაშებია, რომელშიც რესურსები განუსაზღვრელია (არა-ნულოვანი თამაში ან „პოზიტიური თამაში“). ასეთ თამაშებში შესაძლოა ყველა იყოს მოსარგებლე, თუ ისინი ითანამშრომლებენ. ეს თანამშრომლობა ასოციაციურია და სპონტანური. იგი დასაბამს საზოგადოების „ძირიდან“ იღებს ან ის შესაძლოა თავს მოხვეული და ცენტრალიზებული იყოს, „ზემოდან“ მომავალი. კეთილდღეობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ლიბერალური დემოკრატიის ფორმა, რომლის განხორციელება „ზევიდან-ქვევით“ თანამშრომობითაა შესაძლებელი. პატიმრის



დილემა თეორიულ საშუალებას გვაძლევს ვიდავოთ იმაზე, თუ რომელ მოდელს შეესაბამება სოციალური ურთიერთობა: კონფლიქტურსა თუ თანამშრომლობითს.

წარმოგიდგინოთ ერთ მაგალითს (ფიცპატრიკი, 2001): წარმოვიდგინოთ ჰიპოთეზური სიტუაცია, რომელშიც ორი ექვმიტანილია დაკავებული ჩადენილ ყაჩაღობაზე, რომლის დროსაც მკვლელობა მოხდა. არც ერთს არ ჰყავს მონმე და ვერც ერთს ვერ უმტკიცებენ მკვლელობას, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ ეს დანაშაული მათი ჩადენილია. ისინი ცალ-ცალკე საკანში არიან, ერთმანეთთან კომუნიკაციის გარეშე. გამოძიებას მათგან აღიარებითი ჩვენება სჭირდება. აღიარების მიღწევის მიზნით, გამოძიებელი თითოეულ მათგანს სთავაზობს სამ ვარიანტს და ეუბნება, რომ ამავე ვარიანტებს სთავაზობს მის მეგობარს. ვარიანტები ასეთია:

1. პირველი დაკავებული აღიარებს, რომ მისმა მეგობარმა ჩაიდინა მკვლელობა. ასეთ შემთხვევაში მას მიუსჯიან 2 წელს, ხოლო მეგობარს 15 წელს;
2. თუ ისიც და მისი მეგობარიც აღიარებენ მკვლელობას, ორივეს მიუსჯიან 15 წელს;
3. თუ ის არ აღიარებს დანაშაულს, ხოლო მისი მეგობარი აღიარებს მას მიუსჯიან 20 წელს, ხოლო მეგობარს გაანთავისფულებენ.

მას არ ეუბნებიან რა ხდება თუ არც ერთი არ აღიარებს, მაგრამ იგი ხვდება: ორივეს ათავისფულებენ, რადგან არ არსებობს არც აღიარება და არც მონმე. მაგრამ საქმე ისაა, ენდობა კი ის თავის მეგობარს ამდენად? ან ენდობა მას მისი მეგობარი? თუ ამ კითხვაზე პასუხი არის „არა“ ან „არ ვარ დარწმუნებული“, მაშინ პირველ დაკავებულს ურჩევნია თავად აღიაროს და 5 წლით ნაკლები სასჯელი მოიხადოს, ვიდრე მისი დუმილისას მეგობარმა აღიაროს და მან 5 წლით მეტი სასჯელი მიიღოს. საქმე ისაა, რომ მეორე პატიმარიც სწორედ ამ ლოგიკას მიჰყვება. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს უპირატესი არჩევანი არის დუმილის შენარჩუნება, პირადი ინტერესი, კომუნიკაციის ნაკლებობა, სხვა მსგავსი შემთხვევების შესახებ მათი ცოდნა მათ ორივეს აღიარებისაკენ უბიძგებს, რაც 15 წლიან პატიმრობას ნიშნავს ორივესათვის. პატიმრის დილემა ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ როგორ შეუძლია პირად ინტერესს სიტუაციის ყველასათვის უარესობისაკენ წარმართვა და ასევე იმის დემონსტრირებაც რატომ შეიძლება პირადი ინტერესი იყოს უფრო რაციონალური სტრატეგია ვიდრე ალტრუიზმი.

პატიმრის დილემის წარმოდგენილ ვერსიაში, სოციალური ურთიერთობის კონფლიქტური მოდელი დომინირებს, რომელიც რაციონალური ადამიანის თვით-კოორდინირების საუკეთესო საშუალებად ბაზარს მიიჩნევს. თუმცა, წარმოდგენილი ექსპერიმენტის პირუკუ ეფექტის მიღებაა შესაძლებელი თუ თანამშრომლობითა და რესპროკალური ალტრუიზმით ვხელმძღვანელობთ. თუ მაგალითად, თამაშის წესებს შევცვლიდით და პატიმრებს კომუნიკაციის

საშუალებას მივცემდით ან ისინი მეტად ალტრუისტები იქნებოდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში ძნელია სრული სიზუსტით იმის თქმა თუ რომელი მოდელია უმჯობესი. საზოგადოება არც არსებითად კონფლიქტურია და არც თანამშრომლობითი. ამიტომ, სოციალური პოლიტიკა სოციალურ ფაქტებზე პასუხი კი არ არის, არამედ ის არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც სოციალური ფაქტებია გააზრებული. სოციალურ პოლიტიკის დანიშნულებისადმი ნორმატიული დამოკიდებულება განპირობებულია არა იმდენად იმ საზოგადოების მიერ, რომელშიც ვცხოვრობთ, არამედ უფრო იმ საზოგადოების მიერ, რომელშიც გვსურს ცხოვრება.

მოდით ეხლა განვიხილოთ სტრატეგია, რომელიც პატიმრის დილემას გადაგვაღაზინებს. როგორც ვხედავთ უმთავრესი მიზეზი, რატომაც ადამიანები პატიმრის დილემის წინაშე აღმოჩნდებიან არის ის, რომ მათ ერთმანეთის ნდობა არ აქვთ. ასევე ისიც, რომ მათ ვერ შეძლეს „თანხმობამდე“ ე.ი. ორივე მხარისათვის მეტ-ნაკლებად მისაღებ პოზიციამდე მისვლა. მარტივად რომ ვთქვათ, მათ ვერ მოახერხეს გარიგება. ეს ორივე კი ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიად მიიჩნევა.

**კონფლიქტური და თანამშრომლობითი მოდელი შეესაბამება რაციონალური არჩევნისა და კოლექტიური ქმედების თეორიას.** მოდით თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ. როგორც წინა ლექციიდან გახსოვთ, **რაციონალური არჩევნის თეორიის მიხედვით, საზოგადოება შედგება რაციონალური ინდივიდებისაგან, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი ინტერესი ამოძრავებთ.** ინდივიდები, განურჩევლად მათი ფასეულობებისა და უპირატესობების იერარქიისა, რაციონალურად მოქმედებენ, როდესაც ისინი ცდილობენ საკუთარი სარგებლის მაქსიმალიზაციას და დანახარჯის მინიმალიზაციას. ხოლო რადგანაც თანამედროვე საზოგადოება ინდივიდუალიზმისაკენ მიექანება და ის არჩევანის თავისუფლებას აღიარებს, ბაზარი მიიჩნევა უფრო მეტი ალტერნატივის შემთავაზებლად ვიდრე ბიუროკრატია.

რაციონალური თეორიის მიხედვით, სოციალური პოლიტიკა არის რაციონალური და ინდივიდუალური ინტერესის ნაერთი. საუკეთესო შემთხვევაში, მისი პრო-კეთილდღეობის პოზიცია შემოიფარგლება ინდივიდუალისტური და არა კოლექტიური თვალსაზრისით. უარეს შემთხვევაში კი, ის აღიარებს ანტი-კეთილდღეობით პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფო სოციალური მომსახურებების მიმწოდებელთა (ექიმები, მასწავლებლები და ა.შ.) ინტერესების დაცვას ემსახურება და არა მომსახურების მომხმარებელთა (ფიცვატრიკი, 2001). რაციონალური არჩევანის თეორია სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის პრივატიზაციისა და მარკეტიზაციისაკენაა მიდრეკილი (ამ საკითხს, მის უარყოფით და დადებით მხარეებზე საუბარს ჩვენ ცალკე ლექციას დავუთმობთ, რადგან აუცილებელია სწორად გვესმოდეს მომსახურებების პრივატიზაციისა და მარკეტიზაციის პრო/კონტრ არგუმენტები).

არსებობს რასაკვირველია უამრავი მიზეზი, რატომაც ეს თეორია უარყოფილია, როგორც საზოგადოებისა და სოციალური აქტივიზმის არაადეკვატური განმარტება. ფიცპატრიკის აზრით (2001), უპირველეს ყოვლისა ის სუბიექტის შებლუდული განმარტებაა. ანალიზის ცენტრალურ ერთეულად ინდივიდის განხილვა, როგორც საზოგადოების ატომად, მისი კლასიკური ეკონომიკისათვის საყვარელ რობინზონ კრუზოს ფიგურამდე დაყვანა. ეს ასევე ბევრი თეორიის უარყოფაა, რომლებიც გასული საუკუნე-ნახევრის განმავლობაში წარმოაჩენდნენ სუბიექტებს, როგორც ურთიერთდამოკიდებულ და სოციალურად განსაზღვრულ არსებებად. მეორე, თეორია მოისუსტებს ძალაუფლების გააზრებაში. რაციონალური თეორია, მიიჩნევს რა ძალაუფლებაში უთანასწორობას რაციონალური და თვით-ინტერესით გამოწვეული გადაწყვეტილებების საბოლოო პროდუქტად, უგულვებელყოფს იმას, თუ რა როლს თამაშობს ძალადობრივი ქმედება ადამიანურ ურთიერთობებში, მაგალითად იმ ფაქტს, რომ ადამიანი ხშირად რჩება ისეთ სიტუაციაში, სადაც დანახარჯი სარგებელს აღემატება და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ აქვს ან ჰგონია რომ არ აქვს არჩევნის თავისუფლება. მესამე, თეორია უუნაროა ახსნას ალტრუიზმის არსებობა და კოლექტიური ქმედება. და ბოლოს, ის სათანადოდ ვერ აფასებს იმას, თუ რამდენად დამოკიდებულია საბაზრო ურთიერთობები ისეთ არარაოდენობრივ მაჩვენებლებზე როგორცაა ნდობა, მეგობრობა და თანამშრომლობა: ბაზარი არ არის უბრალოდ ეკონომიკურ გამოთვლებზე დამოკიდებული, როგორც ამის წარმოჩენა რაციონალური არჩევანის თეორიას სურს. მოკლედ, ამ თეორიის მონინაალმდეგეთა აზრით, ის უბრალოდ უუნაროა ზოგადად სოციალური ქმედებების და კერძოდ კი სოციალური პოლიტიკის ახსნისათვის.

**კოლექტიური ქმედების თეორიის მიხედვით, ადამიანებს საერთო ინტერესებისათვის გაერთიანება მეტ სიკეთეს მოუტანს და უფრო მცირე დროში, ვიდრე ერთეული ინიციატივისას.** ამ თეორიის კრიტიკოსთა აზრით კი, არავინ მოისურვებს საზოგადოებრივი რესურსით სარგებლობისაგან თავშეკავებას. მათი მოტივაცია ასეთი რესურსისათვის დანახარჯი/კონტრიბუცია გაიღონ მცირეა ან არ არსებობს. მაგრამ რა იქნება, რომ საზოგადოებრივი რესურსი კოლექტიურ მფლობელობაში იყოს, რა იქნება, რომ ადამიანები ჩაერთონ ეგალიტარულ, დემოკრატიულ დებატებში თავიანთ მეზობლებთან იმის თაობაზე თუ როგორაა უმჯობესი გამოიყენონ საერთო რესურსი და ცენტრალური მთავრობა დაფიქრდეს იმის თაობაზე, თუ როგორ მოაგვაროს მუქთა მომხმარებლის პრობლემა უფრო ნაკლებ ავტორიტარული გზით. როგორც ვხედავთ, რაციონალური არჩევანის თეორიაცა და კოლექტიური ქმედების თეორიაც საკმაოდ უუნაროა ახსნას ზოგადად სოციალური ქცევა და თანამშრომლობა, თუმცა პირველი სრულიად უუნაროა, მეორე კი გარკვეულ გამოსავალს მაინც გვთავაზობს.

რეალურად ეს დებატები უდევს საფუძვლად მემარჯვენეთა და მემარცხენეთა დამოკიდებულებას კეთილდღეობისადმი. მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ კეთილდღეობა არის ინდივიდუალისტური, კოლექტიური აგრეგაცია კი შეუძლებელია, რადგან უმეტესი საქონელი კერძოა თავისი მოცემულობით მუქთა მომხმარებლის საფრთხისა და იმის გამო, რომ ინდივიდუალური ინტერესების სამსახური ადამიანის ქმედების ყველაზე რაციონალური სტრატეგიაა. ამიტომაც, მათი აზრით, სოციალური პოლიტიკა საბაზრო პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. მემარცხენეები კი თვლიან, რომ კეთილდღეობა ინდივიდუალურიცაა და კოლექტიურიც, რადგან არსებობს სოციალური კეთილდღეობა და არსებობს უამრავი საჯარო, გუნდური და ღირსებაზე ორიენტირებული საქონელი და ჩვენ ყველა ვართ მუქთა მომხმარებლები გარკვეულნილად. თანამშრომლობა კი ყველაზე რაციონალური სტრატეგიაა მართებულ სიტუაციაში. ამიტომაც, სოციალური პოლიტიკა კოლექტიურ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, რაც სახელმწიფო ჩარევას ითხოვს (ფიცპატრიკი, 2001).

მემარჯვენეთა აზრით, ძალიან მცირეა ადამიანის სურვილი იზრუნოს სხვების ინტერესების დაკმაყოფილებაზე, თუ ის ამ სხვებს არ იცნობს. მათი აზრით უმჯობესია, რომ ბაზარს მივანდოთ ინდივიდუალური ქმედებები, რაც უკეთეს სოციალურ შედეგს მოგვიტანს, ვიდრე განზრახ მიმართული ქმედებები. მემარცხენეთა აზრით კი, ჩვენ გვმართებს სხვა ადამიანებზე ზრუნვა, მაშინაც კი თუ ჩვენ მათ არ ვიცნობთ, რადგან პირადი ინტერესი არის და უნდა იყოს რეგულირებული თანამშრომლობით, თანაზიარობითა და ალტრუიზმით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩემი კეთილდღეობა დამოკიდებულია სხვათა კეთილდღეობაზეც.

რადგან ნებისმიერი საჯარო პოლიტიკის, და მათ შორის სოციალური პოლიტიკის უპირველესი მიზანია სოციალური კეთილდღეობის მაქსიმალური ზრდა აუცილებელია ობიექტური ანალიზი. ამისათვის კი უნდა ჩამოვყალიბდეთ ანალიზის რამეთოდს გამოვიყენებთ. **საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსები პროექტის მიზანს ინვესტირებას უკავშირებენ ე.ი. შედეგს უკავშირებენ მისი მიღებისათვის განუღებულ შენატანს. ეს სამ მიზეზს ემსახურება:**

1. იმ მეთოდისა ან ანალიტიკური პროცესის არჩევას, რომელიც დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის იდენტიფიცირებას მოახდენს;
2. შედეგების განზოგადებას;
3. კონტროლის ან პოლიტიკის მიმართულების დადგენას.

პრობლემა ისაა, რომ ხშირად ყოვლისმომცველი სოციალური მიზანიც კი წინააღმდეგობაში მოდის ინდივიდუალურ თავისუფლებასა და ინდივიდუალურ უფლებებთან. ხოლო თუ ჩვენ დავუშვებთ კოლექტიური სურვილის არსებობის ფაქტს, ეკონომიკურ ტერმინებში კი „სოციალური მიზნის“ არსებობას, ჩვენ აშკარად ვაღიარებთ მის დომინირებას ინდივიდუალურ მისწრაფებებზე.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. თქვენი აზრით, რაში დაგეხმარებათ ანალიზის წარმოდგენილი მეთოდები სოციალური მუშაობის მომსახურების მიწოდებისას?
2. წარმოდგენილი ანალიზის ტექნიკებიდან რომელია ყველაზე მეტად რელევანტური სოციალური მუშაობის მომსახურების დახვეწისათვის?
3. სოციალური მუშაობის მომსახურება ძირითადად საქონლის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება? რატომ?

**მიმოხილვა**

სოციალური მუშაობა პოლიტიკური პროფესიაა  
მაკრო პრაქტიკა მაკრო ცვლილებების განხორციელების ხელშემწყობია  
პოლიტიკური სოციალური მუშაობის მიმართულებები  
სოციალური მუშაკის როლი პოლიტიკის ციკლის ეტაპებზე  
რომელ დონეზე უნდა ხორციელდებოდეს სოციალური მუშაობა: მაკრო თუ მიკრო დონეზე?  
სოციალური მუშაკის როლი საქართველოში მიმდინარე რეფორმებში  
„შენარჩუნების თეორია თუ „რადიკალური სოციალური სამუშაო“  
სოციალური მუშაკი, როგორც ცვლილების აგენტი  
სისტემური მიდგომა ეფექტიანი მაკრო პრაქტიკის განხორციელებისათვის  
რა ფასეულობები შეინარჩუნა სოციალურმა სამუშაომ  
სოციალური მუშაობის წინაშე არსებული პროფესიული დილემები.

მოგეხსენებათ, დიდია სოციალური მუშაკის როლი პოლიტიკურ ასპარეზზე. უპირველეს ყოვლისა ამის მიზეზი ის არის, რომ სოციალური მუშაკი სოციალური და ეკონომიკური თანასწორობისათვის მეზობლია, ადამიანები კი, ვისთანაც ის მუშაობს ხშირად სწორედ არასწორი სოციალური პოლიტიკის მსხვერპლნი არიან და მათი დახმარება სწორედ მაკრო დონეზე ცვლილებების გატარებითაა შესაძლებელი.

რობერტ ადამსის აზრით (2001), **სოციალური მუშაობა პოლიტიკური პროფესიაა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ასოცირდება კეთილდღეობის სისტემის ტრანსფორმაციასთან**, რაც აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია პოლიტიკოსთა თავსატეხია. მარქსისტული თვალთახედვით, სოციალური მუშაკი სოციალური კონტროლის უმთავრესი აგენტია. თუმცა, ჯერჯერობით სონის აზრით, სოციალური მუშაობა შეგვიძლია ასევე გნვიხილოთ, როგორც კეთილდღეობის სისტემაში მიმდინარე ცვლილებების თანმხლები ტრანსფორმირებადი სუბიექტი, რომლის პრაქტიკა, კვლევა და თეორია მიმდინარე ტრანსფორმაციის შესაბამისად იცვლება.

სოციალური პოლიტიკის განვითარებას სწორედ ის მოვლენები უდევს საფუძვლად, რომელშიც სოციალური მუშაობის პრაქტიკა ხორციელდება. თუმცა, ურთიერთობა ამ ორს შორის უფრო ღრმაა ვიდრე ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ პოლიტიკა უქმნის საფუძველს პრაქტიკას. რეალობა ის არის, რომ პოლიტიკა მოიცავს პრაქტიკას და პრაქტიკა კი მრავალმხრივ ზემოქმედებს პოლიტიკაზე.

თქვენ წინა წლებში ისწავლეთ, რომ სოციალური მუშაობის სამ დონეზე ხორციელდება: მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე. თუ მიკრო პრაქტიკა კლიენტების პრობლემებს აწესრიგებს პირდაპირი კლინიკური დახმარების აღმოჩენ-

ნით, ხოლო მეზო დონეზე პრაქტიკა სააგენტოების ადმინისტრირებასა და მათი პოლიტიკის შემუშავება-გატარებას ან ცვლილებების ამ დონეზე გატარებას გულისხმობს, **მაკრო პრაქტიკა ხელს უწყობს საზოგადოებრივი მაკრო ცვლილებების განხორციელებას, რაც უფრო მასობრივი სოციალური პრობლემების მონესრიგებას გულისხმობს.**

ამ რეალობიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკი მართლაც გვევლინება სოციალური პოლიტიკის არა მარტო განხორციელების, არამედ შექმნის პროცესის განუყოფელ ნაწილად, რამეთუ ყველაზე ეფექტური პოლიტიკა ის პოლიტიკაა, რომელიც „თანამონაწილეობის მეთოდის“ გამოყენებით იქმნება. სწორედ ეს მეთოდი ნათელყოფს მომხმარებლის პრობლემებსა და მისი მოგვარების რეალისტურ გზებს. ის ხელს უწყობს დიალოგის გამართვას პოლიტიკის შემუშავებელ პირებსა და მომხმარებელს შორის. შედეგად კი, ვლტულობთ ისეთ პოლიტიკურ სტრატეგიას, რომლის განხორციელებაც აკმაყოფილებს სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს. ამ კონტექსტში, **სოციალური მუშაკი არის მთავარი გამტარი მოსახლეობასა და ხელისუფალთა შორის, მთავარი ძალა, რომელსაც რეალური ცვლილების გამონვევა ძალუძს.**

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიაცა და ანმყოც განსხვავებულ სცენარებს გვთავაზობს, **პოლიტიკური სოციალური მუშაობა, ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება:**

**1. საარჩევნო პოლიტიკა** – სოციალური მუშაკები არჩევენ, მხარს უჭერენ და საარჩევნო ბრძოლის მოგებაში ეხმარებიან კანდიდატს, რომელიც სოციალური პრობლემების ქომაცია.

**2. ლობირება** – სოციალური მუშაკები თანამშრომლობენ არჩეულ პირებთან პოლიტიკის შემუშავებაზე საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში. ლობირება გულისხმობს ინდივიდთა ინფორმირებას კონკრეტული საკითხის შესახებ, მათი აქტიური მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.

**პოლიტიკური კამპანიის დროს კი სოციალურ მუშაკს შემდეგი ფუნქციები აკისრია:**

- **დამცველი** – ნარადგენს კანდიდატს ჯგუფების წინაშე;
- **განმანათლებელი** – აცნობს კამპანიის სტრატეგიას თანამშრომლებსა და მოსახლეობას. აწოდებს ინფორმაციას კანდიდატის შესახებ პოლიტიკურ მხარდამჭერებს;
- **მობილიზატორი** – უნაწილებს ფუნქციებს თანამშრომლებს და მოხალისეებს;
- **კონსულტანტი** – პასუხისმგებელია პრობლემათა გადაჭრასა და სტრატეგიის შემუშავებაზე;
- **მგეგმავი** – ევალება საზოგადოებრივი საქმიანობისათვის კანდიდატურები სშერჩევა და საარჩევნო წარმატების პერსპექტივებისგან ჭვრეტა.

- **მზრუნველი** – ემოციურ მხარდაჭერას უწევს კანდიდატებს, მათ ოჯახებს, მეგობრებს, მხარდამჭერებს;
- **მონაცემთა ბაზის მენეჯერი** – ქმნის მონაცემთა ბაზას, რაც სწრაფი მოხმარების საშუალებას იძლევა;
- **ადმინისტრატორი** – ქმნის და ავითარებს ეფექტიანად ფუნქციონირებად საარჩევნო სტრუქტურას კანდიდატების ინტერესების შესაბამისად.

თუ დავუბრუნდებით ჩვენს წინა ლექციაზე განხილულ პოლიტიკის ციკლს, ვნახავთ, რომ **პოლიტიკის ციკლის რამდენიმე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი**. საკითხის სისტემურიდან ინსტიტუციურ დღის წესრიგში მოხვედრა დიდწილადაა განპირობებული სოციალური სამსახურის აქტიურ ფუნქციონირებაზე ქვეყანაში, რამეთუ სწორედ სოციალური მუშაკია ინფორმაციის გამტარიცა და ცვლილების აგენტიც ეფექტიანად ფუნქციონირებად სახელმწიფოში. ასეთივე სახელმწიფოში სოციალური მუშაკი აქტიურადაა ჩართული პოლიტიკის ფორმულირების ეტაპში, რადგან იგი ახმოვანებს ხალხის ხმას, რომელსაც შემდეგ სამართლებრივად იურისტები და მოცემული სფეროს პროფესიონალები შეიმუშავებენ. პოლიტიკის მიღების ეტაპზე ყველაზე ნაკლებია სოციალური მუშაკის როლი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკანონმდებლო ორგანო სოციალური მუშაკებითაა დაკომპლექტებული. მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი ორგანო პარლამენტია, სადაც ჯერ არც ერთი სოციალური მუშაკი არ მოღვაწეობს. პოლიტიკის მიღებას მოსდევს პოლიტიკის განხორციელების ფაზა, რაც აღმასრულებელ ორგანოთა პრეროგატივაა. აქაც დამეთანხმებით ალბათ, რომ სოციალური მუშაკის როლი უზარმაზარია. იმისათვის, რომ პოლიტიკა არ ასცდეს მისი განხორციელების მიზნებს, განხორციელების პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანად უნდა წარიმართოს. ჩვენს ქვეყანაში მაგალითად, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის გატარება სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა სოციალური მუშაკების ჩართულობის გარეშე. სამწუხაროდ, ისინი არ არიან ჯერ დანახული აუცილებელ რესურსად სხვა მიმდინარე რეფორმების გატარებისთვის, მაგალითად, სიღარიბის დაძლევის, ჯანდაცვის ან სასაჯელსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმებში. თუმცა ამ უკანასკნელშიც არის სასიკეთო ძვრები. გაუთვალისწინებელია ასევე სოციალური მუშაკის როლი მიმდინარე განათლების სფეროში, როგორც სკოლაში, ასევე წინასასკოლო სწავლების სისტემაში. როგორც გახსოვთ, მომდევნო ეტაპია - პოლიტიკის შეფასება, რომლის დანიშნულებაც განსაზღვროს რამდენად მიაღწია გატარებულმა პოლიტიკამ დასახულ მიზანს და რამდენად მოემსახურა საზოგადოებრივ საჭიროებას. დამეთანხმებით ალბათ იმაშიც, რომ სოციალური მუშაკის როლი ამ ეტაპზეც უმნიშვნელოვანესია. მივედით ბოლო ეტაპამდე, პოლიტიკა იცვლება ან უქმდება. ამ ეტაპზე სოციალური მუშაკის როლი შემოიფარგლება შეფასებისას მიღებული დასკვნებისა და რეკომენდა-



ციების ლობირებითა და პოლიტიკოსთათვის პრობლემის აქტუალობის შესუსტების ან პირიქით გამძაფრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, რასაც მოსდევს „არასწორხაზოვანი“ ცვლილება ან „პოლიტიკის გაუქმება“.

დღემდე დებატებია იმის თაობაზე სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია უნდა ხორციელდებოდეს მაკრო თუ მიკრო დონეზე. სტრუქტურულ ანალიზსა და ყოველდღიურ საქმიანობას შორის კავშირის ნაკლებობა სტრუქტურული პრობლემების მარგინალიზაციას იწვევს სოციალური მუშაობის პრაქტიკაში. სოციალური მუშაობისადმი კრიტიკა სტრუქტურული პრობლემების უგულვებლყოფისათვის ჯერ კიდევ წინა საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდიდან სოციალური მუშაობა სოციალური მუშაკების ინდივიდუალური პრაქტიკის განხორციელებით შემოიფარგლა, და სოციალური მუშაობის პრაქტიკის მეთოდებიცა და ტექნიკებიც საზოგადოების რეალური მასობრივი პრობლემების გადაჭრისათვის გამოუსადეგარია. არადა მაკრო პრაქტიკის საუკეთესო მაგალითები გვაქვს პროფესიის განვითარების ჩანასახშივე. გავიხსენოთ ჯეინ ადამსის *პარალელური მოძრაობა*, რომელმაც გაზარდა პოლიტიკური აქტივიზმი და ხელი შეუწყო არა მხოლოდ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, არამედ პაციფისტთა მოძრაობასაც. რაც პროფესიის განვითარების დასაწყისში უდაო და ნათელი იყო პროფესიული მისიისა და ფასეულობების შესახებ, სადაო ხდება ამჟამად.

**მარტინ დევისის აზრით (1985), სოციალური მუშაობის მისია სტაბილურობის შენარჩუნებაა, მაგრამ არამც და არამც სტატიკურობის.** ისინი უნდა უწევდნენ დახმარებას იმ ადამიანებს, ვინც ამას საჭიროებს. ავითარებს რა „შენარჩუნების თეორიას“, დევისი სოციალურ მუშაკებს მოიაზრებს, როგორც შენარჩუნების მექანიკოსებს, რომლებიც საზოგადოების ინტერპერსონალურ ბორბლებს ზეთავენ. მისი აზრით, სოციალური მუშაკები მხარს უნდა უჭერდნენ საზოგადოების პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ქმედობაუნარიანობას და იმ პოლიტიკურ ფილოსოფიას, რომელსაც ის ეფუძნება. ეს მიდგომა სოციალურ სამუშაოს უთანასწორობასთან ბრძოლასა და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებაში ზღუდავს. ამ ფუნქციას დევისი თავად სახელმწიფოს აკისრებს. მას სჯერა, რომ თავად სახელმწიფოა მოვალე და თავდადებული სამართლიანი და ჰუმანური საზოგადოების შექმნისათვის, რომელშიც საზოგადოების ყოველი წევრის უფლება დაცულია, განსაკუთრებით კი ყველაზე მოწყვლადი ინდივიდებისა. თუმცა ის არც სოციალურ სამუშაოს ათავისუფლებს რესურსების მომსახურების მიმღებთაკენ მიმართვისა და დისტრიბუციის ფუნქციისაგან და დისკრიმინირებულთა დაცვისაგან. მაგრამ ამის განხორციელებას იგი მხოლოდ ადვოკატობის მექანიზმის გამოყენებით უშვებს და არა პოლიტიკური აქტივობით.

სრულიად საწინააღმდეგო მიდგომაა „**რადიკალური სოციალური სამუშაო**“, ამ მოძრაობის მიმდევარნი სახელმწიფოს კონკრეტული დომინანტი ჯგუფის ინტერესების დამცველად ხედავენ. მათი აზრით, სახელმწიფო ვერ

შეასრულებს ნეიტრალურსა და ჰუმანური ინტერესების დამცველის როლს. ისინი სახელმწიფოს ვერ ხედავენ მონყვლად ინდივიდთა ინტერესების ქომაგად. ისინი სწორედ სოციალურ სამუშაოს მოიაზრებენ ოპრესიული სისტემის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად. ამ მოძრაობის მიმდევარნი სწორედ სოციალურ მუშაკებს აკისრებენ მომსახურების მიმწოდებელსა და მიმღებს შორის ურთიერთობის ტრანსფორმატორის ვალდებულებას და მათში უფლებამოსილების მინიჭებისა და მონყვლადთათვის ძალაუფლების გადამცემის როლს ხედავენ.

ისტორიულად, ამ მიდგომას ჯვინ ადამსთან და *ნაჭუჭის სახლის* წარმომადგენლებთან მივყავართ, რომლებიც იყვნენ ფემინისტების, პაციფისტების ქომაგები და ქალ დასაქმებულებთან ერთად მონაწილეობდნენ პროფესიული კავშირების ორგანიზებაში. ეს მიდგომა 1960–80–იან წლებში აღორძინდა (ფუკი, 1993, ლავარეტი და ფერგისონი, 2007). მისი მიმდევრები აკრიტიკებენ სოციალური პრობლემების სელექტიურ ფსიქოლოგიურ ახსნას, განსაკუთრებით კი ნაცვლად „განსაჯაროებისა“ მათ პირად პრობლემად განხილვას; საზოგადოების მიერ მსხვერპლის დადანაშაულებას; სოციალური მუშაობის მომსახურების ინდივიდუალიზაციას, რაც ბენეფიციართა კოლექტიური ქმედებისაგან ჩამოშორებით ხორციელდება. ამ არგუმენტებს ახლავს სოციალური კეთილდღეობის სისტემის დაუნდობელი კრიტიკა, რაც ხაზს უსვამს სოციალური სააგენტოების გადამეტებულ სპეციალიზაციასა და ფონდების შემცირებას; ამ სააგენტოების მეინსტრიმის წარმომადგენლების მიერ მართვას, აქ დასადგურებულ ბიუროკრაციას და „ღარიბთა მოთაფლვას“.

ამ მიდგომის გავრცელებული თეორიული ჰიპოთეზა იყო, რომ მომსახურების მიმღებებს – ღარიბებს, დაუსაქმებლებს, ქალებს (განსაკუთრებით კი მარტოხელა დედებს), აფრო–ამერიკელებს და ა.შ. – უნდა ემოქმედათ რაციონალურად თავიანთი ჭეშმარიტი ინტერესების დაცვით, როგორც კი გააანალიზებდნენ, რომ მათი პრობლემების ჭეშმარიტი მიზეზი თავად კი არ არიან, არამედ დისკრიმინაციული, ექსპლოატაციური და ოპრესიული სოციალური სტრუქტურული და კულტურული მოცემულობა. მეორე მხრივ, სოციალური მუშაკები არ უნდა ხარჯავდნენ თავიანთ დროსა და ენერგიას ბენეფიციარის ქცევის შეცვლაზე მხოლოდ იმისათვის, რომ ის გახდეს ე.წ. ნორმის სტანდარტის მიმდევარი (შტაუბ–ბერნასკონი, 2009).

**სოციალური მუშაკი, როგორც ცვლილების აგენტი, განუწყვეტლივ უნდა ახდენდეს ცვლილების აუცილებლობისა და ამ ცვლილების მიღწევისათვის სამოქმედო ასპარეზის დონის დადგენას, რომ სისტემა უფრო მგრძობიარე გახდეს სამიზნე მოსახლეობისადმი. ამისათვის კი მოქმედებაა საჭირო. ინდივიდთა მოქმედება ან არასაკმარისი მოქმედება ან უმოქმედობა კი დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც გარემო მყოფებზე, ასევე თემზე და ორგანიზაციაზე. ე.ი. გამოდის, რომ მიკრო და მაკრო პრაქტიკა ურთიერთდამოკიდებულია. აუცილებელია იმის განსაზღვრა რომელ დონეზეა მოქმედება საჭირო მოცემულ სიტუაციაში და რა ფორმით.**

აქვე ხაზს ვუსვამთ მაკრო პრაქტიკის აქტივიზაციის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი გლობალურ ჩრდილოეთში გაბატონებული ტენდენციის ფონზე, სადაც მიკრო-პრაქტიკამ აქტიურად ჩაანაცვლა შედარებით ფართო საკითხების მაკრო დონეზე განხილვის ტრადიცია, მაგალითად როგორცაა სილარიბის ან სოციალური დეპრივაციის სხვა ფორმების მიკრო-დონეზე დაყვანით. ეს კი რეალურ პრობლემას წარმოადგენს ბევრგან. ამავდროულად, ეს არ არის მონოდება მიკრო-დონის პრაქტიკის უკუგდებისკენ, არამედ, ეს გულისხმობს ფართო ხედვის განვითარების იდეას სოციალური მუშაობის ძირითად საქმიანობასა და მეთოდებში (ჰუგმანი, 2010).

**რა არის აუცილებელი ეფექტიანი მაკრო პრაქტიკის განხორციელებისათვის?** ბევრი თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის აზრით – სისტემური მიდგომა. ის გულისხმობს სამი ურთიერთდამოკიდებული ასპექტის გააზრებას:

- პრობლემა;
- მოსახლეობა და
- ასპარეზი.

ხარისხიანი სოციალური მუშაობა საჭიროებს როგორც ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის გაგებას, ასევე იმ პრობლემის გააზრებას, რაც ამ ადამიანებს აწუხებთ და იმ გარემოს შესწავლას, რომელიც ამ პრობლემის გამწვავებას ან შენარჩუნებას უწყობს ხელს. სოციალური პრობლემებისა და საჭიროებების ეფექტიანად მოგვარება საჭიროებს იმ პოლიტიკური გარემოს ზედმინვენით კარგად ცოდნას, სადაც ამ პრობლემას ვხვდებით. წარმოიდგინეთ, რომ სოციალურ მუშაკს სურს დაეხმაროს მომსახურების მიმღებს, რომელიც ალკოჰოლზეა დამოკიდებული. განა შესაძლებელია მისი დახმარება იმის ცოდნის გარეშე თუ რა არის ალკოჰოლიზმი, რა ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს ამ პიროვნებას, რა შინაგანი პრობლემები აქვს მას, რა არის ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზი, რა გარემოში უწევს მას ცხოვრება, ეს პრობლემა საზოგადოების რომელ ფენას აქვს ძირითადად და ა.შ. როგორც ხედავთ ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ასპექტის გათვალისწინება გვჭირდება.

იყო სოციალური მუშაკი ნიშნავს შეგეძლოს დაინახო მომსახურების მიმღები მის გარემოში, მრავალი ერთიერთგადამკვეთი სისტემის ნაწილად და არა განყენებულად. სოციალური მუშაობა სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლას მოიცავს. ეს კი ზოგჯერ სცდება კონკრეტული ინდივიდის ან ოჯახის პრობლემას. სოციალური მუშაკი, რომელიც მაკრო პრაქტიკას არიდებს თავს, როდესაც ეს საჭიროა, არ ახორციელებს სოციალურ სამუშაოს. აი, წარმოიდგინეთ მომართვა გვაქვს ბავშვის უგულვებლყოფის შესახებ, და იკვეთება ასეთი სიტუაცია:

*დედა ცხოვრობს სოციალურ საცხოვრისში, სადაც იგი არ იცავს დაწესებულ საყოფაცხოვრებო ნორმებს და ამავე დროს ამოიწურა მისი იქ ცხოვრების ვადა. მას გასახლება ემუქრება და ასევე ვალდებულება, რომ დაზიანება მოახსრიგოს.*

წარმოიდგინეთ ამ ქალის მდგომარეობა. განა პროფესიულად გამართლებული იქნება სოციალური მუშაკის ქმედება, რომელიც მისი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციით დაკავდება მხოლოდ? ეს უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ არაა საკმარისი. განა სწორი ვიქნებით, რომ თავი ავარიდოთ სისტემური ცვლილებისათვის ბრძოლას, რაც უკავშირება საცხოვრისში ცხოვრების პოლიტიკისა და შინაგანანესის ცვლილებას? პირველის შემთხვევაში ცენტრალური მთავრობის შეჯანჯღარება მოგვიწევს, მეორის შემთხვევაში კი ადგილობრივი მთავრობისა და საცხოვრისის ადმინისტრაციის. თუ მხოლოდ ამ ქალბატონის შინაგანი მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვას დავინწყებთ განა ამით პრობლემას მოვაგვარებთ? ვერავითარ შემთხვევაში. და ჩვენ ეს უნდა გვესმოდეს.

ან წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომელშიც თქვენ თემში დანაშაულის პრევენციაზე მუშაობთ. ამ თემში ძალიან ხშირია ქურდობის ფაქტები. მაკრო პრაქტიკა არაეფექტიანი იქნება თუ არ ვიცით პრობლემის არსი. ამ თემში ასეთი მობილიზებული პრევენციული სამუშაოს ჩატარება აზრს დაკარგავს, თუ ქურდობა არის ნარკოტიკებზე დამოკიდებული ახალგაზრდების მცირე ჯგუფის ნარკოსაჭიროების დაკმაყოფილების მიზნით ჩადენილი დანაშაული. გამოდის, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ და განყენებულად დანაშაულის, არამედ ნივთიერებაზე დამოკიდებულების პრევენციასთან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს პრობლემის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევას, საჭიროებათა პროფილის შექმნას და მხოლოდ ამის შემდეგ იმის განსაზღვრას თუ რა სახის და რა მასშტაბის პრაქტიკის დაგეგმვა და განხორციელებაა საჭირო.

მიკრო და მაკრო პერსპექტივებს შორის ხანგრძლივ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, ოლსონმა (ოლსონი, 2007) განაცხადა, რომ ახლანდელი სიტუაცია წარმოიშვა მიკროს მაკროზე დომინირების ხანგრძლივი პროცესის შედეგად. ის ამტკიცებს, რომ ამის მიზეზია სოციალური სამართლიანობის ფასეულობის არამართებულად დაკნინება პროფესიონალიზმისკენ სწრაფვის გამო. მისი აზრით, სოციალური მუშაობის მიზანი უფრო სოციალური ნებსრიგის ხელშეწყობა უნდა იყოს. ოლსონი ფიქრობს, რომ თანამედროვე სოციალური მუშაობა ზედმეტად არის დაკავებული უნარების და ცოდნის ძიებით, რომლებიც სოციალურ სამუშაოს „ავთენტურ“ პროფესიად აქცევენ. შეერთებულ შტატებში დასახლებების მოძრაობის და ქველმოქმედების ორგანიზების სულისჩამდგმელებთან მიმართებით, ოლსონი ამბობს, რომ ამ ძიებიდან გამომდინარე, სოციალური მუშაობა „ლაპარაკობს, როგორც ჯეინ ადამსი და იქცევა, როგორც მერი რიჩმონდი“ (ოლსონი, 2007, გვ. 60).

გარდა ამისა, ჩვენ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რამდენად იზიარებს მიკრო და მაკრო დონეებს შორის განსხვავების შესახებ დისკუსია მოსაზრებას, რომ მაკრო დონის პრაქტიკა უცილობლად უნდა საზრდოობდეს სოციალური სისტემების კრიტიკული ანალიზით, იყოს „პროგრესირებადი“ ან იზიარებდეს და იცავდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ამიტომ, სოციალური მუშაობის ნებისმიერი პრაქტიკის განხილვისას, იმაზე კი არ უნდა გავამახვი-

ლოთ ყურადღება, მისი ორიენტაცია მიკროს თუ მაკრო, არამედ, იმაზე თუ რამდენად არის ეს პრაქტიკა ჩართული ასეთ კრიტიკულ ანალიზში, ან რამდენად ილწვის სოციალური სამართლიანობისაგან (ლანდი, 2004).

მაკრო მოდელი ფუნდამენტური სოციალური პოლიტიკის საკითხებზეა ორიენტირებული. ამიტომ აუცილებელია ის ემყარებოდეს სოციალურ თეორიასა და ანალიზს. რა თეორიული საფუძველი აქვს მაკრო პრაქტიკას? სისტემის თეორია ყველაზე მეტად შეესაბამება მიკრო და მაკრო პრაქტიკას. იგი ამტკიცებს, რომ ნებისმიერი არსებული გაერთიანება შედგება შემადგენელი ნაწილებისაგან, იქნება ეს ჯგუფი, ორგანიზაცია, თუ თემი. გაერთიანება არის სისტემა ურთიერთდამოკიდებული კომპონენტებით, რომლებიც გარკვეული საერთო პრინციპებით ერთიანდება. სწორედ ეს პრინციპები გვეხმარებიან სისტემის გაგებაში, განურჩევლად იმისა ეს სისტემა არის ისეთი დიდი, როგორც მაგალითად, საერთაშორისო კორპორაცია თუ ისეთი პატარა, როგორც ოჯახი. არიან რესურსები, რომლებიც სისტემას ფუნქციონირებისათვის სჭირდება, ეს შესაძლოა იყოს ადამიანები, აპარატურა, ფინანსები, ცოდნა, და ა.შ. სწორედ ამ რესურსთა ურთიერთქმედებით სისტემის შიგნით წარმოიქმნება სისტემის პროდუქტი. საზოგადოებრივი სისტემის მომხიბლაობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი შედგება თანადროულად არსებული განსხვავებული ფასეულობების მქონე მრავალი ჯგუფისა და ორგანიზაციისაგან. თემის მკვლევარი როლანდ უორენი (1978) სოციალური სისტემას ასე განმარტავს:

*დროში მიმდინარე ერთეულთა ურთიერთობის სტრუქტურული ორგანიზაცია. მას აქვს როგორც გარეგანი, ასევე შიდა ასპექტები, რომლებიც მას სისტემასთან აკავშირებს და მის ერთეულებს ერთმანეთთან. ის ხასიათდება გარემოთი, რომელიც ასრულებს საზღვრის შენარჩუნების ფუნქციას. ის ცდილობს წონასწორობის შენარჩუნებას ისე, რომ გარედან მომდინარე ცვლილებამ მინიმალური ზეგავლენა მოახდინოს ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და დაარეგულიროს შესაბამისი ურთიერთობები.*

უორენის განმარტების მრავალი ელემენტი მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და ორგანიზაციის, როგორც პრაქტიკის ასპარეზის გააზრებისათვის. მისი განმარტება, რომ სისტემა დროს უძლებს ეხმაურება სოციალური მუშაკების პრაქტიკას. ისინი ხშირად მუშაობენ თემთან, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს ის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც მას წარსულში ჰქონდა. მაგალითად, მოხუცი, რომელიც ცხოვრობდა ერთი და იგივე ქუჩაზე მთელი ცხოვრების მანძილზე, ყოყმანობს შეიცვალოს საცხოვრებელი 60 წლის ასაკში, მიუხედავდ იმისა, რომ ამ ქუჩაზე ძალიან იმატა კრიმინალურმა საფრთხემ, რაც მის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას ემუქრება.

უორენი შიდა და გარეგან სტრუქტურებს ვერტიკალური და ჰორიზონტალური საზოგადოებრივი კავშირების სახით წარმოგვიდგენს. ვერტიკალური კავშირები აკავშირებენ საზოგადოებრივ ერთეულებს (ადამიანები, ჯგუფები, ორგანიზაცია) საზოგადოების გარეთ მყოფ ერთეულებთან. ეს კავშირებია,

მაგალითად სოციალური მომსახურების სააგენტოს კავშირი მის მონათესავე სააგენტოებთან სხვა თემში, ადგილობრივი ერთეულის კავშირი ცენტრალურ ერთეულთან, რომლის მითითებებსაც ის ექვემდებარება. ვერტიკალური კავშირების წარმოდგენისას ის ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ ბევრი გადანყვეტილება მიიღება ცენტრალური ერთეულის მიერ და შესაძლოა ადგილობრივი ერთეულის მონაწილეობის გარეშეც. შესაბამისად დიდია ადგილობრივი ერთეულის საუკეთესო ინტერესების უგულვებელყოფის შანსი.

ჰორიზონტალური საზოგადოება გეოგრაფიულად შემოსაზღვრულია და წარმოდგენილია უამრავი კავშირებით ამ ლოკაციაში არსებულ ორგანიზაციებსა და სამეზობლოებს შორის. მაგალითად, ადგილობრივი მოხუცთა სახლი შესაძლოა თანამშრომლობდეს მეზობელი უბნის სკოლასთან თაობათაშორისი პროგრამის განვითარებისათვის რეზიდენტებსა და ბავშვებს შორის. ურთიერთობების ტიპებს შორის განსხვავებების ხაზგასმით, უორენი ცდილობს დაგვეხმაროს შიდა საზოგადოებრივ და ამ საზოგადოების უფრო ფართო საზოგადოებასთან შესაძლო ურთიერთობების გააზრებაში.

სისტემის თეორიის ნაწილია საზღვრების შენარჩუნებაც. **საზღვრების დანესება უმნიშვნელოვანესია სისტემის შენარჩუნებისათვის.** საზღვრების გაუფერულების შემთხვევაში საზოგადოება, როგორც კონკრეტული ურთიერთობის ფორმა ან ორგანიზაცია და როგორც ცალკეული ერთეული ნაკლებ შესამჩნევი ხდება.

**რა ფასეულობები შეინარჩუნა ჩვენმა პროფესიამ?** ფასეულობები, რომლებსაც ჩვენ განსვსაზღვრავთ, როგორც იმ ნორმებსა და პრინციპებს, რომლებსაც საზოგადოების ბევრი ან უმრავლესი წევრი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ფუნდამენტურია სოციალური მუშაობის პრაქტიკისათვის. გარკვეულწილად, ფასეულობები თეორიების მგავსია – ისინი ქმნიან ჩარჩოს სიტუაციების გაგებისა და ანალიზისათვის. ეთიკის ნორმები კი მოდელის მსგავსია – ისინი წარმოადგენენ გზამკვლევს პრაქტიკისთვის. სოციალური მუშაობა ხშირად ეთიკური დილემის წინაშეა, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც სიტუაცია, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანი კონკურენტული არჩევნის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს. მაკრო პრაქტიკასთან ბევრი პრინციპის დაკავშირება შეიძლება, მაგრამ ჩვენ ამჟამად **ჯენსონის (2008) მიერ კლასიფიცირებული სამეული განვიხილოთ, რომელიც სოციალურ სამუშაოს ეთიკური დილემის წინაშე აყენებს: ავტონომია, მონყალეობა, სოციალური სამართალი.**

თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება ცხოვრებაში. **უფლებამოსილების ცნება ავტონომიის პრინციპს ეფუძნება, რადგან საკუთარ ცხოვრებაზე ძალაუფლების ან კონტროლის ქონა ნიშნავს საკუთარი გადანყვეტილების შანსის არსებობას.** მაგალითად, აბორტის მომხრეთა აზრით, ქალის უფლების შელახვაა მისი აკრძალვა, ხოლო მოწინააღმდეგეთა აზრით, აბორტის ლეგალიზაცია ნაყოფის უფლების დარღვევაა. **თუ ავტონომიას**

განვიხილავთ როგორც ინდივიდუალისტურ საკითხს და შესაბამისად უშუალო პრაქტიკის არეალში განვითავსებთ, გამოდის რომ ორივე მხარის ინტერესები უნდა დავიცვათ თანაბრად. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალური მუშაკი არღვევს ავტონომიის პრინციპს.

**მონყალება დამხმარე პროფესიის წარმომადგენელთა მოტივატორია.** ეს კი მოითხოვს მომსახურების მიმღებისადმი ჰოლისტურ მიდგომას. მაგალითად, ხომ არ შეიძლება ექიმი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემას განიხილავს არ ითვალისწინებდეს იმას, რომ მას არ აქვს საშუალება ჯანმრთელი დიეტა ჰქონდეს. მონყალება მოითხოვს, რომ ექიმმა პაციენტი ჯანსაღი კვების პროგრამაში ან დამატებითი კვებითი ვაუჩერის მისაღებად გადაამისამართოს (რასაკვირველია იქ, სადაც ადამიანებს ამის ფუფუნება აქვთ), თუმცა ეს ექიმის ვალდებულება არ არის. ამ დროს სისტემაში აუცილებელია სოციალური მუშაკი იყოს. მაგრამ თუ სოციალური მუშაკი ვერ აფასებს ბენეფიციარის ყველა საჭიროებას, ის უგულებელყოფს მონყალების პრინციპს.

**სოციალური სამართლიანობა ძალიან კომპლექსური ეთიკური პრინციპია.** სოციალური სამართლიანობა მიიღწევა რესურსებისა და ბენეფიტების სამართლიანი დისტრიბუციის გზით. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ ყოველი მოქალაქე დამსახურებულ პორციას იღებს. სოციალური მუშაობა რესურსების დისტრიბუციისა და რედისტრიბუციის ბიზნესია, განურჩევლად იმისა, არის ეს ისეთი ხელშესახები რესურსი, როგორც ფული ან დასაქმება, თუ ისეთი არახელშესახები, როგორც ქმედობაუნარიანობა ან თვით-ღირებულების გრძნობა. ამიტომაც მაკრო პრაქტიკოსები სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებული მუდმივი დილემის წინაშე დგანან.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით, სოციალური სამართლიანობა სოციალური მუშაკისათვის ეთიკური პრინციპია და ის ასე განიმარტება:

სოციალური მუშაკები ებრძვიან სოციალურ უსამართლობას. სოციალური მუშაკები ახორციელებენ სოციალურ ცვლილებებს საზოგადოების დაუცველი ფენების წარმომადგენელთა სახელით. სოციალურ სამუშაოში აქცენტი კეთდება ისეთ საკითხებზე, როგორც არის სიღარიბე, უმუშევრობა, დისკრიმინაცია და სოციალური უსამართლობის სხვა გამოვლინებები. სოციალური მუშაკები თავიანთი საქმიანობით ცდილობენ გამოიწვიონ საზოგადოების რეაგირება ადამიანთა გარკვეული ნაწილის ჩაგვრაზე და ასევე მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ. სოციალური მუშაკები უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ინფორმაციის, მომსახურებისა და რესურსების ხელმისაწვდომობას, საზოგადოების ნებიზისმიერი წევრისათვის თანაბარ შესაძლებლობებს, ყველა ინდივიდის მონაწილეობას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

სამართლიანობის საკითხზე ნუხილი მწვავედება, როდესაც ბენეფიციარს არ შეუძლია მომსახურების ფასის გადახდა. მანამდე, სანამ ნებეფიციარს შესწევს უნარი გადაიხადოს საჭირო მომსახურებაში, პრაქტიკოსის გადანყვეტილების მიღების პროცესი არ არის წინააღმდეგობაში ფართო საზოგადოებასთან, რადგან არ დგება რესურსების რედისტრიბუციის საკითხი. შესაბამისად, სანამ ბენეფიციარები იხდიან მომსახურებაში, პროფესიებს შეუძლიათ ოპერირება საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში. ხარისხიანი ზრუნვა გადაიცვლება ეკონომიკურ რესურსში, უფრო ხშირად მესამე-მხარის ანგარიშსწორებით. უმთავრესი ელემენტი ის არის, რომ ბენეფიციარს აქვს დაზღვევა ან საკმარისი პირადი კაპიტალი. მაგრამ როგორც კი ბენეფიციარს არ აქვს მომსახურების მიღებისათვის გადასახდელი თანხა, მისთვის საჭირო რესურსისადმი ხელმისაწვდომობაც შეზღუდულია. ამ რესურსებით მართვად სისტემაში, სოციალური მუშაკებისათვის ძალიან რთულია და თითქმის შეუძლებელია შეინარჩუნონ თანამგრძობი საზოგადოების შესახებ ოცნება, რომელშიც ყველა იღებს საჭირო დახმარებას. გამოდის, რომ ავტონომიის, მონყალების და სამართლიანობის მოთხოვნის დაბალანსებას სჭირდება ანალიტიკური მიდგომა გადანყვეტილების მიღებისა და ინტერვენციისათვის. ამიტომ მაკრო პრაქტიკოსი ხშირად ისეთი ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე, რომელიც სცდება ეთიკის კოდექსის ფარგლებს. ამიტომ სწორი გადანყვეტილების მიღებას სჭირდება ძლიერი პროფესიული იდენტობა.

დგება დრო ჩავფიქრდეთ იმაზე, თუ **როგორ გადავჭრათ ჩვენს წინაშე არსებული პროფესიული დილემები.** ძალიან სტრესულია გარემო, რომელშიც სოციალური მუშაკი მოღვაწეობს, ინდივიდის დონეზეც და მაკრო დონეზეც. განსაკუთრებით საქართველოში, სადაც არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი, არამედ კიდევ ბევრი სხვა დილემის წინაშეა იგი ყოველდღიურ საქმიანობაში. ის ამავე დროს დგას რესურსების სიმწირის, საზოგადოების, მათ შორის დამქირავებლების მხრიდან პროფესიის შესახებ დაბალი ინფორმირებულობის პრობლემის წინაშეც. ადამიანებს კი სურთ სასიკეთო ცვლილებები, მათ სჭირდებათ ამ ცვლილებისათვის დარაზმვა, კოორდინირება. ამ დილემების გადასაჭრელად შერმანი და ვენოკური (1983) შემდეგ გამოსავალს გვთავაზობენ:

**1. გადანვა და პროფესიის/სამუშაო ადგილის მიტოვება;** იმედგაცრუებული სოციალური მუშაკისათვის ეს გამოსავალი სიტუაციის გარიდებისა და ახალი შესაძლებლობების წინაშე აღმოჩენას ნიშნავს. ცხოვრების ამ კონკრეტულ ეტაპზე ეს შესაძლოა მართლაც მართებული გადანყვეტილებაა, თუმცა ამას დრო გვიჩვენებს უკეთ. ზოგჯერ ორგანიზაციიდან წასვლა უკეთესი გამოსავალია, რადგან შესაძლოა იმ კონკრეტული ორგანიზაციის მანდატია პროფესიული ფასეულობების შემზღუდველი და შემლახავი, ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიიდან წასვლაა საჭირო. აქ რასაკვირველია ადამიანის ბუნებაა გადანყვეტი: მისი რისკის გაღების ხარისხი, მისი ბრძოლის, დღევანდელი



სიტუაციის შეფასების, მომავლის განჭვრეტისა და საკუთარი ძალების რეალ-ისტურად შეფასების უნარი და ა.შ.

**2. გადანვა, მაგრამ პროფესიაში/სამუშაო ადგილზე დარჩენა;** ზოგიერთი პრაქტიკოსი გადანვის მიუხედავად არათუ არ იცვლის პროფესიას, არამედ სამუშაო ადგილზეც რჩება. ისინი თავს სისტემის მსხვერპლად, მასთან ბრძოლაში უუნაროდ გრძნობენ, ეგუებიან იმ ფაქტს, რომ არ აქვთ სიტუაციის კონტროლის ბერკეტი. ისინი ცდილობენ გააკეთონ მაქსიმალური ნებეფიციარისათვის, მაგრამ უგულვებელყოფენ უფრო ფართო პრობლემებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იღებენ ორგანიზაციულ ნორმებს და თმობენ ადვოკატობის ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში პროფესია „მონოდება“ აღარაა, ის „უბრალოდ სამუშაოა“.

**3. „ტუნელის“ ხედვის განვითარება;** ხშირ შემთხვევაში, ისეთ სოციალურ მუშაკსაც კი, რომელიც არ არის ჯერ გადამწვარი, უფითარდება პრობლემისადმი ძალიან ვიწრო ხედვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეხმარება ბენეფიცია-რს ინდივიდუალურ დონეზე, მას არ შესწევს უნარი იბრძოლოს უფრო ფართო პლანში, უფრო ზოგადი პრობლემების მოგვარებისათვის ამკარად და დაუფარა-ვად. ის ორგანიზაციაში რჩება, მაგრამ ის ორგანიზაციისა და თემის ცხოვრების მიღმაა. იგი ბენეფიციაზე ორიენტირებული რჩება და არ იბრძვის ცვლილები-სათვის მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. განსხვავება წინა გამოსავალ-თან შედარებით ისაა, რომ თუ წინა შემთხვევაში არსებობს ორგანიზაციასთან იდენტობის გრძნობა, ამ შემთხვევაში ის არ არსებობს.

**4. ენერჯის საღმე სხვაგან მიმართვა;** ზოგიერთი სოციალური მუშაკი აქტივისტი ხდება და უერთდება იმდენ ორგანიზაციასა და ჯგუფს, რამდენის საშუალებასაც დრო და ენერჯია აძლევს. სისტემური ცვლილების მიღწევას ისინი ნებისმიერი შესაძლო გზით ცდილობენ. ორგანიზაციისაგან განყენებული და დამოუკიდებელი პოზიციის გამო, ისინი არათანამშრომლობით და მოუმწიფე-ბელ პროფესიონალებადაც კი მიიჩნევიან ხანდახან, თუმცა ეს მათ ცვლილები-სათვის ბრძოლაში არ აფერხებს.

**5. ცვლილების ინიცირება;** ეს ცვლილებისათვის უფრო მობილიზებული ბრძოლაა, წინა გამოსავლისაგან განსხვავებით. სოციალური მუშაკები ერთი-ანდებიან კოლეგებთან, ბენეფიციარებთან და სხვა მოქალაქეებთან ერთად სისტემური ცვლილებისათვის საბრძოლველად. რეალურად განხორციელებად ცვლილებას სჭირდება სელექტიურობა, იმის აღიარება, რომ ყველა პრობლემა ერთდროულად მოგვარებადი არაა, და საჭიროა გონივრული არჩევანის გა-კეთება. ამავე დრო არჩევანი გასაკეთებელია ცვლილების მიღწევის სტრატე-გიისა და ტაქტიკის შესახებ. ყველა ცვლილება დროს მოითხოვს, ერთბაშად მიზნის მიღწევა რთულია, ამიტომ ხშირად ნაბიჯ-ნაბიჯ სვლაა საჭირო. ხოლო ამ სვლის თანმიმდევრობა პრობლემის შესახებ ღრმა ცოდნასა და მისი მოგვა-რებისათვის გონივრულად დაგეგმილ ბრძოლას ითხოვს. ხშირად ეს სოციალ-ური მუშაკები კოლეგებისაგან კრიტიკას იმსახურებენ ფართო პრობლემების მოგვარებისათვის ინდივიდუალური პრობლემების მსხვერპლად გაღების გამო.

ალბათ ხვდებით სულთ მეზობელი და უდრეკი მაკრო პრაქტიკოსისათვის რომელი ვარიანტია შესაფერისი და რატომ.

**სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. ეთანხმებით ოლსონის მოსაზრებას, რომ მიკრო პრაქტიკის მაკროზე დომინირება სოციალური სამართლიანობის ფასეულობის დაკნინების შედეგია პროფესიონალიზმისკენ სწრაფვის გამო? რაიმე სხვა მიზეზს ხომ ვერ ხედავთ ამ შედეგის ასახსნელად?
2. როგორ გესმით დევისის მოსაზრება სოციალური მუშაობის როლის შესახებ? ეთანხმებით? რატომ?
3. თქვენი აზრით, მხოლოდ მონყალეაა დამხმარე პროფესიის წარმომადგენელთა მოტივატორი? თუ პირიქით დომინანტი როლით ტკობა?

## მონაწილეობრივი პოლიტიკის პრინციპები

### მიმოხილვა

მონაწილეობრივი პოლიტიკის არსი  
მონაწილეობის სხვადასხვა ხარისხის მიღწევის გზები  
მონაწილეობრივი პოლიტიკის პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები  
მონაწილეობრივი პოლიტიკა სოციალური კეთილდღეობის სხვადასხვა იდეოლოგიაზე დაყრდნობით.

სოციალური მუშაკებისათვის მონაწილეობრივი პოლიტიკა პოლიტიკის შექმნის ყველაზე სასურველი გზაა. მონაწილეობრივი პოლიტიკა სხვადასხვა დონეზე ხორციელდება. ის შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პოლიტიკის, ასევე პროგრამის ან პროექტის ფორმირების, განხორციელების თუ შეფასების ეტაპზე. ამიტომ აუცილებელია ზედმინევით კარგად გვესმოდეს რას გულისხმობს ის, რა პრინციპებს ეყრდნობა, რა არის მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. გააზრებული უნდა გვექონდეს ასევე რა შედეგები მოაქვს მას არა მარტო მომსახურების მიმღებთათვის, არამედ მიმწოდებლებისათვის და მთელი საზოგადოებისათვის. ეს იმის საშუალებას მოგვცემს, რომ გავიაზროთ რა სიტუაციაში რა მასშტაბის და ფორმის მონაწილეობაა უფრო ეფექტიანი.

**მონაწილეობრივი პოლიტიკის მთავარი მიზანია ინკლუზიის მხარდაჭერა კონსულტაციებით, პროცესში ინდივიდებისა თუ ჯგუფების ჩართვით და ამით ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა აქტიურობის პრეცედენტის შექმნა.** ეს პროცესი შესაძლოა ზევიდან-ქვევით (ე. ი. მთავრობის/ორგანიზაციების მიერ ინიცირებული მონაწილეობრივი პოლიტიკა) ან ქვევიდან-ზევით (ე. ი. კონკრეტული დაინტერესებული პირები ცდილობენ მონაწილეობრივი პოლიტიკის მხარდაჭერას ან პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართვას). არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გარე ძალები (მაგალითად დონორები) ცდილობენ ასეთი მიდგომის პროპაგანდას.

თავისთავად მონაწილეობა ერთდროულად არის საშუალებაც და მიზანიც. მონაწილეობა დაკავშირებით სოციალურ ერთსულოვნებასთან, აუმჯობესებს მას და მიზნად ისახავს გაათანაბროს ძალაუფლების იერარქიები. მონაწილეობრივი პროცესისათვის მთავარია ძალაუფლების განაწილების და გადანყვეტილების ერთობლივად მიღების დემოკრატიული პრინციპები. მაგრამ კორნუალი (კორნუალი, 2002 ლიონსთან, მენიონთან, კარლსენტან, 2006) აგრეთვე გამოჰყოფს (განსაკუთრებით გენდერული) თანასწორობის მნიშვნელობას მონაწილეობრივ მიდგომაში.

მონაწილეობრივი პოლიტიკა შეიძლება ერთჯერადი ღონისძიება იყოს ან პოლიტიკის შექმნის ჩვეული მეთოდი. მართალია მთავრობას დიდი როლი აკის-

რია ამგვარი თანამშრომლობის დაწყებაში, ამ პროცესის ხელშეწყობისათვის პოლიტიკური სივრცის გახსნაში და შესაბამისი პირობების შექმნაში, დიდია ასევე სამოქალაქო საზოგადოების როლი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს უკანასკნელი არის ინიციატორი ამგვარი თანამშრომლობისა.

1970-იან წლებში პოპულარული გახდა განვითარების ფარგლებში თემის მონაწილეობა. მაშინ დაისვა ფუნდამენტური შეკითხვები, მათ შორის, ვინ უნდა განსაზღვროს განვითარების შედეგები და რამდენად უნდა იქნას ადგილობრივი ცოდნა გამოყენებული? თემის მონაწილეობა იყო იმ მიდგომის მკვეთრი, „თავდაყირა ამოტრიალება“, რომელიც განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი ცოდნის გამოყენებას და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას. ჩემბერსი, რომელსაც ხშირად მიიჩნევენ განვითარებაში მონაწილეობრივი მიდგომის დამფუძნებელ მამად, ამტკიცებს, რომ დემოკრატიული და მონაწილეობრივი მეთოდები აუცილებელია სოციალური მდგრადობისთვის და აცხადებს, რომ სიღარიბე გარდაუვალი კი არ არის, არამედ, უფრო სოციალური ქმედების პრობლემაა (ჩემბერსი, 1997 ლიონსთან, მენიონთან, კარლსენთან, 2006). ჩემბერსის აზრით, პროფესიონალებს აქვთ ტენდენცია ზედმეტად გაამარტივონ კომპლექსური საკითხები. ამან კი განაპირობა თემებში ცუდად მორგებული პროგრამების განვითარება. მონაწილეობისეული მიდგომა ახლა მთავარ მიმართულებად იქცა. მას ისეთი სხვადასხვაგვარი ჯგუფები მოიხმარენ, როგორც გახლავთ მსოფლიო ბანკი და სათემო ორგანიზაციები. ამ მიდგომამ მთავრობისა და კერძო სექტორის პოლიტიკაშიც კი გამოიწვია გზა. იმ ორგანიზაციების უმრავლესობა, რომელთაც უნდათ, რომ სერიოზულად გამოიყურებოდნენ მრავალფეროვან სოციალურ ნუსხაში, არ გეგმავენ ისეთ პროგრამებს და პოლიტიკას, რომელიც (ქალაქზე მაინც) არ უჭერს მხარს მონაწილეობრივ მიდგომას.

მონაწილეობრივი მეთოდოლოგიის ოპონენტები, მათ შორის კრეიგი და პორტერი (პორტერი, 1997 ლიონსთან, მენიონთან, კარლსენთან, 2006), ამტკიცებენ, რომ მონაწილეობრივი ბევრი მიდგომა მხოლოდ გარეგნულად არის ინკლუზიური; სინამდვილეში კი კონტროლის არსებულ სისტემებს უფრო ამყარებს. არსებითად, თუ მონაწილეობა ნიშნავს თემის ლიდერისთვის დამატებითი ხმის უფლების მიცემას, მიდგომა არც ძალაუფლების სტრუქტურას ცვლის თემში და არც ყველაზე მოწყვლადი ადამიანების მოსაზრებას იძიებს. თავად ჩემბერსი (ჩემბერსი, 1997 ლიონსთან, მენიონთან, კარლსენთან, 2006) მიუთითებს მონაწილეობრივი მიდგომის ერთ ხარვეზზე, იმაზე, რომ მან შეიძლება გააძლიეროს ძალაუფლების არსებული სტრუქტურა. ის კითხულობს, თუ როგორ შეიძლება დაჩაგრულთა ხმების გაგონება, თუ სერიოზულად აღქმა და რა მოჰყვება ძალაუფლების დინამიკის შეცვლას. ჩემბერსი კითხულობს – შეუძლია თუ არა გარეშე პირს გაიგოს თემის შიდა დინამიკა; როგორ ზეგავლენას მოახდენს ძალაუფლების იერარქიებზე მათი ურთიერთქმედება კონსენსუსის

მილნევის პრაქტიკასთან (ჩემბერსი, 1997 ლიონსთან, მენიონთან, კარლსენთან, 2006)?.

მონანილეობრივი პოლიტიკის პროცესი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს და შემთხვევიდან შემთხვევამდე იცვლებოდნენ ის მახასიათებლები, რამაც პროცესის წარმატება უზრუნველყო. **წარმოგიდგინო ერთ-ერთ მონახაზს, რომელიც შვიდ სხვადასხვა საფეხურს მოიცავს, რომლებზეც მონანილეობის სხვადასხვა ხარისხი მიიღწევა** (კარლი, 2002 რეიტბერგენ-მაკკრაკენთან, 2002):

• კონტრიბუცია: მოხალისეთა ან სხვა სახის კონტრიბუცია პროგრამის/პროექტის მონახაზის გაკეთებისათვის.

- ინფორმაციის გაზიარება: დაინტერესებული პირები/მხარეები ინფორმირებული არიან თავიანთ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე.
- კონსულტაციები: დაინტერესებულ პირებს ეძლევათ ინტერაქციისა და უკუკავშირის მიცემის შესაძლებლობა.
- თანამშრომლობა და შეთანხმებამდე მისვლა: დაინტერესებული პირები თანხმდებიან პოზიციებზე და პრიორიტეტებს სახავენ.
- გადანყვეტილების მიღება: დაინტერესებულ პირებს დიდი როლი აქვთ გადანყვეტილების, პროექტის/პოლიტიკის ფორმულირებისა და განხორციელების პროცესში.
- პარტნიორობა: დაინტერესებული პირები ერთობლივად მუშაობენ საერთო მიზნის მიღწევისათვის.
- გაძლიერება: დაინტერესებული პირებისათვის კონტროლის გადაცემა გადანყვეტილების მიღებასა და რესურსებზე.

როგორც მოგახსენეთ, **მონანილეობრივი პოლიტიკის პროცესს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები**. მოდით დადებითის განხილვით დავიწყოთ. ვეიტისა და ვოლაირის აზრით (ვეიტი და ვოლაირი, 1998 რეიტბერგენ-მაკკრაკენთან, 2002), მონანილეობრივ პოლიტიკას ახასიათებს:

- მეტი ინფორმირებულობა: პოლიტიკის შექმნის პროცესი ან პოლიტიკის რეფორმირება ითხოვს მრავალგვარი ინფორმაციის შეგროვებასა და ექსპერტიზას. მონანილეობრივი მიდგომა ჩვეულებრივ ანოყიერებს პროცესს ინფორმაციით, იდეებით, პერსპექტივებითა და გამოცდილებით.
- მეტი სამართლიანობა: პოლიტიკას, რომელიც ადგილობრივთა და იმ პირთა საჭიროებებიდან გამომდინარე ფორმირდება, ვისაც ის უშუალოდ ეხება მეტი შანსი აქვს უფრო სამართლიანი იყოს. ცუდად

ფორმირებული პოლიტიკა უარყოფით გავლენას ახდენს ღარიბებზე ან სხვა მონყვლად ჯგუფებზე.

- მეტად გამჭირვალეობა და ანგარიშვალდებულება: მონანილეობრივი პოლიტიკა ხელს უწყობს ინსტიტუციური კულტურის დამკვიდრებას და საზოგადოების ყურადღების მიპყრობას პოლიტიკის შექმნის პროცესისაკენ. ეს კი ანგარიშვალდებულებას ზრდის ორივე მიმართულებით.
- გაძლიერებული მიკუთვნებულობა: პოლიტიკის რეფორმირების პროცესში დაინტერესებულ პირთა უფრო ფართო ჯგუფების მოზიდვით, მათ მეტი პასუხისმგებლობა და პროცესისადმი მიკუთვნილობის გრძნობა უჩნდებათ. ეს კი უფრო ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს.
- მარგინალიზებული ჯგუფების უნარ-ჩვევების გაძლიერება და ინკლუზია: მონანილეობრივ პროცესში მარგინალიზებულ დაინტერესებულ პირთა ჩართვით, გარდა იმისა, რომ მათ ეძლევათ საშუალება თავიანთი ხმა მიანვდინონ მაკრო დონეზე, მათ ასევე საკუთარი ინტერესების დაცვის უნარ-ჩვევები უძლიერდებათ და მათი სატკივარი ყველასათვის ცნობილი ხდება. ეს პროცესი ძალაუფლების გადანაწილების პროცესსაც ცვლის.
- მთავრობის უნარ-ჩვევების გაძლიერება: რიგ შემთხვევებში მონანილეობრივი პროცესი სიახლეა მთავრობისთვისაც და შესაბამისად დამხმარე საშუალებაა მრავალი სხვადასხვა ხედვის აღიარებისა და გააზრებისათვის. პროცესში ჩართულებისათვის ეს ახალი გამოცდილება და პრაქტიკული უნარები კი სამომავლო ინტერაქციაში დამხმარე საშუალებაა სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობისათვის.
- საერთო შეხედულებები: მონანილეობრივი პრინციპი ხელს უწყობს საერთო ხედვის ჩამოყალიბებას რთული და საკამათო საკითხების ირგვლივ.

მოდით, ახლა მონანილეობრივი პოლიტიკის გამონწვევებსა და რისკებს ჩავუღრმავდეთ:

- დრო და რესურსები: მონანილეობრივი პოლიტიკის პროცესი მეტ დროსა და რესურს ითხოვს, განსაკუთრებით თუ დაინტერესებულ პირთა წრე ფართოა.
- გაზრდილი მოლოდინი: ხშირად, როდესაც ადამიანებს ვინწევთ პოლიტიკის შექმნის პროცესში მონანილეობის მისაღებად მათ უჩნდებათ მოლოდინი იმისა, რომ მათი ყოველი შეხედულება გათვალისწინებული იქნება. ეს კი არ არის რეალისტური მოლოდინი,

რადგან ხშირად შეუძლებელია. ამ შეზღუდვების შესახებ აუცილებელია მათი ინფორმირება თავიდანვე.

- კონფლიქტების გაღვივება: მონაწილეობრივი პროცესი კონფლიქტების გამონვევისაკენაა მიდრეკილი სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს შორის, რადგან მათ ხშირად აქვთ განსხვავებული შეხედულებები და შესაძლოა დაძაბული ურთიერთობებიც. ასევე, თუ პროცესში მონაწილეობის გარეშე დარჩა ჯგუფი/ჯგუფები, რომლებიც თვლიან, რომ მათ აზრს მნიშვნელობა აქვს, ამან შესაძლოა კონფლიქტამდე და ამ პროცესისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფის შექმნამდეც მიიყვანოს საქმე. გარდა ამისა, პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს არასამთავრობო სექტორის გახლეჩა თუ განსხვავებულ ჯგუფებს განსხვავებული შეხედულებები აღმოაჩნდებათ.
- დამოუკიდებლობის დაკარგვა: მთავრობის მიერ წარმართულ პროცესში ჩართვით, არასამთავრობო სექტორი რისკავს (შეიძლება გარისკოს) საკუთარი დამოუკიდებლობით. ამან კი შესაძლოა შედეგად სანდოობის ხარისხი შეამციროს.
- პოლიტიკური რისკები: არასამთავრობო სექტორის აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკის ადვოკატობის პროცესში, მთავრობა ხშირად მიიჩნევს პოლიტიკურ საკითხებში ჩარევისა და მთავრობის მიერ „საქმის წარმოების“ მოქნილობის საფრთხედ.

ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც მონაწილეობრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესშია ჩართული შეიძლება აღმოჩნდეს ზემოთ წარმოდგენილი რისკების წინაშე. ამ რისკების ასარიდებლად კი რამდენიმე რჩევას გთავაზობთ (რეიტ-ბერგენ-მაკკრაკენინ, 2002):

- შეარჩიეთ საბრძოლო ასპარეზი: ყველა პოლიტიკის ფორმირების პროცესს არ სჭრიდება თქვენი მონაწილეობა, უნდა იყოს სტრატეგიული არჩევანის გაკეთებაში და უნდა რეალისტურად შეძლოთ იმის ანონ-დანონვა სად არის თქვენი ჩარევა უფრო მეტი სასიკეთო ცვლილების მომტანი;
- განსაზღვრეთ თქვენი როლი: რა არის თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, რა უნარები გაქვთ; რა დონეზე გსურთ პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართვა;
- გააკეთეთ თქვენი დავალება: კარგად გაიაზრეთ პოლიტიკის საკითხები, პროცესის დინამიკა (ვინ არის გამარჯვების უფრო მეტი შანსის მქონე, რა არის ყველაზე მწველი ინტერესის საგანი);
- დაგეგმეთ თქვენი მონაწილეობა: დაინტერესებულ პირთა რომელ ჯგუფთან გსურთ თანამშრომლობა? ვისთვის არის საჭირო განსაკუთრებული ყურადღების დათმობა? მონაწილეობის რა მეთოდებს

გამოიყენებთ? რომელია საუკეთესო დრო მონაწილეობრივი პროცესის პოლიტიკაზე გავლენის გაძლიერებისათვის?

- დახვეწეთ თქვენი უნარ-ჩვევები: კონცენტრირდით საჭირო უნარების განვითარებაზე, მაგალითად როგორცაა მოლაპარაკების, ლობირების, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების, ან მონაწილეობრივი ტექნიკების განვითარება.

ევერსი თავის ნაშრომში *ევროპული პერსპექტივა და კეთილდღეობის მომსახურებების მომავალი გამონვევები* (2006) გვთავაზობს ძალიან საინტერესო მოსაზრებებს მონაწილეობრივი პოლიტიკის პროცესის ირგვლივ, როდესაც ის მას აშუქებს ხუთი მიმართულებით: „კეთილდღეობიზმი“, „პროფესიონალიზმი“, „კონსუმერიზმი“, „მენეჯერიალიზმი“ და „პარტისიპატორიზმი“. მიუხედავად იმისა, რომ „კეთილდღეობიზმი“ და „კონსუმერიზმი“ უფრო ფართო იდეოლოგიის გამომხატველია და მთელ საზოგადოებას ეხება, ვიდრე „პროფესიონალიზმი“, რადგან იგი უფრო ლიმიტირებული მახასიათებელია, რომელიც კეთილდღეობის იდეოლოგიის პარალელურად ვითარდებოდა, და იგივეს თქმა შეიძლება „მენეჯერიალიზმზე“ და მის კავშირზე „კონსუმერიზმთან“, ბაზარზე ორიენტირებულმა კონცეფციებმა შეცვალა ლექსიკონიცა და კავშირიც სოციალური მომსახურებების ადმინისტრაციაში. „პარტისიპატორიზმი“ არის შეზავებული „კეთილდღეობიზმის“ კონცეფციასთანაც, რომელიც დიდ როლს ანიჭებს პოლიტიკას და შესაბამისად მომსახურების მიმღებებს, როგორც მოქალაქეებს, და „კონსუმერიზმის“ კონცეფციასთანაც, რომელიც ხაზს უსვამს ბაზრის როლს და შესაბამისად მომსახურების მიმღების როლს, როგორც მომხმარებლისა.

ამ ყველაფრის უკან შემდეგი ტენდეციები იკვეთება:

1. სოციალური მომსახურების სფერო თანდათანობით აღარ არის ცალკე განყენებული სფერო, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ფინანსდება და მიეწოდება. ამ სფეროში შემოჭრილია საბაზრო ლოგიკა, კომერციული მიმნოდებლები და ახალი ინიციატივები სამოქალაქო საზოგადოებიდან, რომლებსაც განსხვავებული პრაქტიკა, შეხედულებები და პრიორიტეტები აქვთ. ამას კი ორიენტაციის პლურალიზმი და პრაქტიკის მრავალსახეობა მოყვება.
2. ყველა განვითარებულ ქვეყანაში იგრძნობა უფრო ეფექტიანი და მომგებიანი გზების ძიებისაკენ მიმართული ძალისხმევა, განსაკუთრებით კი ისეთ სფეროებში, სადაც სახელმწიფო დაფინანსება და მწირი რესურსებია. ეს კი მენეჯერიალიზმის აღზევების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია.
3. სოციალური მომსახურებები სახელმწიფო კეთილდღეობის ნაწილია, რომლის ფარგლებში მიწოდებული მომსახურებები მოუსაფრებზეა გათვლილი და არ მიესადაგება უმრავლესობის საჭიროებებსა და ინტერესებს. ამას ფლურალიზაციამდე და პოლარიზაციამდე მივყავართ,



ზრდის რა სოციალური კომპეტენციის დონეს, მაგრამ ამავე დროს წარმოქმნის მარგინალიზაციის ახალ ფორმებს. ეს კი მომსახურებების მიმღებთა ჩართულობის მნიშვნელობას ზრდის მომსახურებების ფორმირებისა და მიწოდების პროცესში, მაგრამ ამავე დროს სირთულეებსაც წარმოქმნის, რადგან სხვადასხვა მომსახურების მიმღებთა საჭიროებებიც და კონტრიბუციის შესაძლებლობებიც არათანაბარია. ზოგიერთები შეიძლება ნაკლებად განათლებულნი იყვნენ და მომსახურების მიმწოდებლებთან და პროფესიონალებთან კომუნიკაციის ნაკლები უნარები ჰქონდეთ, მაშინ, როდესაც სხვები განათლებული და დახვეწილი მომხმარებლები; ამ დროს ორივე ჯგუფს დახვეწილ, მათი საჭიროებებისა და სურვილების შესაბამის მომსახურებაზე აქვთ პრეტენზია.

ამიტომ, მომსახურების მიმღებთა ერთი, განზოგადებული პროფილის შექმნა დამოკიდებულია არა მხოლოდ სხვადასხვა შეხედულებებს შორის კომპრომისის გაკეთებაზე, არამედ განსხვავებულ გადაწყვეტილებებზე მომსახურების სფეროებში და მათ შორის.

მოდით ჩავუღრმავდეთ თითოეულ მიმართულებას: „კეთილდღეობიზმის“ კონცეფციაში მონაწილეობრივი მიდგომები მომსახურების მიმღებთადმი თითქოს უადგილოა, თუმცა არის რამდენიმე გამონაკლისი: სოციალური და პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლები, როგორცაა პროფესიული კავშირები და მოხალისეთა სექტორი, რომელიც კეთილდღეობის სისტემის „შვილობილი“ სექტორი იყო. ტრადიციული მომსახურების სისტემის პრო-მომსახურების მიმღებთა მონაწილეობის არგუმენტად გამოდგება მომსახურებების უნიფიცირება და რუტინიზაცია მკაფიო საბაზისო სოციალური უფლებებით, მაგალითად გარანტირებული ადგილი სკოლაში, დაუსაქმებლობის დახმარების გარანტია, და სამედიცინო დახმარების უფლება. სწორედ ეს „უფლებების ენა“ შეიძლება „უფლებების წესდებად“ ჩამოყალიბდეს მომსახურების სხვადასხვა სფეროში (ფოლბერგი, 2000 ევერსთან 2006). ხშირად ეს არის უფლებები, რომლებიც ვერ გადაიქცევიან გარანტირებულ უფლებებად; ეს ეხება, მაგალითად, მოპყრობის ფორმებს საავადმყოფოში. აქ შეიძლება „ქცევის წესები“ დაარსდეს – მომსახურების კულტურა, რომელიც ასეთ წესდებაში აისახება და დაეხმარება დაუნერგელი დე ფაქტო უფლებების შექმნას, რომლებიც მისაღები იქნება მომსახურების მიმღებთათვის. ასე რომ ამ მხრივაც შეიძლება „კეთილდღეობიზმის“ დაკავშირება „კონსუმერიზმთან“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი სტილის „კეთილდღეობიზმი“ და მისი ინსტიტუტები კვლავ ამჟღავნებენ პროფესიულსა და ადმინისტრაციულ ავტორიტარიზმს, სტანდარტიზაციით. თანასწორობის კონცეფცია კი არ იძლევა მრავალფეროვნების საშუალებას, ქმნის უფრო მეტ ბარიერებს ვიდრე შანსებს მომსახურებების მიმღებთა ჩართულობისათვის. თუმცა მეორე მხრივ, მეტი

შესაძლებლობები იქმნება მათი ირიბი წარმომადგენლობისათვის კოლექტიური გარიგებების საშუალებით, მაგალითად, პროფესიული ორგანიზაციების ადვოკატობის გზით.

„პროფესიონალიზმისათვის“, ამ დრომდე, დამახასიათებელია მომსახურების ხარისხისა და თავად პროფესიონალების ინდივიდუალური სამუშაოს ხარისხის სინონიმებად აღქმა. ნაცვლად ტრადიციული „ძლიერი“ პატერნალიზმისა დღევანდელი მომსახურების მიმღებთა და მიმწოდებელთა ურთიერთობა ხასიათდება „მსუბუქი“ პატერნალიზმით, რომელიც ასახულია მათი ეთიკის კოდექსში და არეგულირებს მათ ქცევას მომსახურების მიმღებთადმი მათივე ინტერესების სამსახურში (მაკკალუფი და უეარი, 1985 ევერსთან, 2006:260). მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფაზე კონტროლი პროფესიონალის პროფესიონალზე კონტროლით ხორციელდებოდა: ექიმისა ექიმზე, სოციალური მუშაკისა სოციალურ მუშაკზე და ა.შ. ამჟამად კი პროფესიონალიზმის კონცეფცია უკავშირდება პროფესიის გარეთ მყოფთა მხრიდან მოწოდებულ შეფასებებს, შესაბამისად მომსახურების მიმღებთა თანამშრომლობისა და თანამწარმოებლობის უნარების გაძლიერებას.

სამწუხაროდ, პროფესიონალიზმი ხშირად განწირულია იზოლაციისაკენ, რადგან ის კარგავს კავშირს საზოგადოებასთან. პროფესიონალები ხშირად განათლების ამაღლებასა და რესურსების გამრავალფეროვნებას მიიჩნევენ მომსახურების სფეროს დახვეწისათვის აუცილებელ მინიმუმად. მომსახურების მეთოდები კი კვლავ დანესებული ფორმის მიხედვით წარმოებს. მომსახურების მიმღებთა ჩართულობის ერთის შეხედვით ყველაზე ინტენსიური მომსახურების – შემთხვევის მართვის დროსაც კი მომსახურების მიმღებმა თუ არ გამოამყდავანა ჩართულობის სურვილი ის მომსახურების დაკარგვის რისკის წინაშე აღმოჩნდება.

რომ დავაჯამოთ, პროფესიონალიზმს ორი მხარე აქვს: ერთი არის ხშირად გაკრიტიკებული ქედმაღლობა, მაშინ როცა მეორე მხარე პასუხისმგებლობის ტვირთია. სწორედ უკანასკნელის ფარგლებში უნდა განხორციელდეს მომსახურების მიმღებთა მაქსიმალური ჩართულობა.

„კონსუმერიზმის“ მიხედვით, მომხმარებელს უნდა მივცეთ არჩევანისა და მომსახურების ბაზრიდან გამოსვლის საშუალება. მიმწოდებელთათვის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა მომხმარებელზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას უწყობს ხელს. მომსახურების მიმღებთათვის სამომხმარებლო არჩევანის ზრდა ითვალისწინებს დაბალშემოსავლიანთათვის შემოსავალზე დამოკიდებული სუბსიდიების დანიშვნას ან ვაუჩერების შემოღებას; ან მომსახურებას, რომელიც კონსულტაციებითა და შემთხვევის მართვითაა გაჯერებული. თუმცა ყველა კონკურენტულ გარემოს ავტომატურად არ მივყავართ მომხმარებელთა არჩევანის გამრავალფეროვნებამდე; ამის მაგალითად გამოდგება, სახელმწიფოს მიერ გამართული „კონკურენტული ტენდერები“, რომლებიც სახელმწიფო მოხელეების აზრით საუკეთესო მიმწოდებლის არჩე-

ვას გულისხმობს, მაგრამ შესაძლოა სრულებითაც არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის არჩევანს.

„მენეჯერიალიზმი“ ფოკუსირებულია არა მომსახურების მიმღების ინტერესების დაკმაყოფილებაზე, არამედ მწარმოებლის, პოლიტიკის ადმინისტრატორისა და მოქალაქისა (ე.ი. ეკონომიკური ტერმინოლოგიით ამომრჩეველზე და გადასახადების გადამხდელზე), რომელიც გადახდილი გადასახადების სანაცვლოდ შეძლებისდაგვარად კარგი მომსახურების მიღებას ელოდება. მისი მთავარი პრობლემაა ეკონომიკური ეფექტიანობის პროფესიული მიზნებისა და სოციალური სამართლიანობის შეჯერება. სოციალური მომსახურებების ბიუჯეტირება და მიზნების პრიორიტიზირება უფრო ნაკლებად ემსახურება უფლებადაცვით მიზნებს, ვიდრე „სოციალური ინვერსტირებისას“. მართული ზრუნვა მომსახურების მიმღებთა ჩართულობისათვის ახალ კონტექსტს გთავაზობს და ზემოდან-ქვემოთ პოლიტიკის გამოხატულება უფროა, ვიდრე პერსონალური ზრუნვის „ძველ-მოდური“ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობისა (ემი და ლევილი, 2000 ევერსთან, 2006). მომსახურების მიმღებთა მონაწილეობის ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა კონსულტირება დღითიდღე ელექტრონული სივრცის მომსახურებად ყალიბდება, რომელმაც ჩაანაცვლა პერსონალური დიალოგი. რამდენადაც სტანდარტიზირებულია მომსახურების მიწოდება ზუსტად იმდენადაა სტანდარტიზებული მიწოდების რეპერტუარიც.

„პარტისიპატორიზმი“ აგრეგირებული „ინტერესის“ ორგანიზებას გულისხმობს. მისი ძირითადი მახასიათებელია რწმენა იმისა, რომ ადამიანებმა პერსონალურად უნდა მიიღონ მონაწილეობა მომსახურებების შექმნაში. ამ ხედვით, მომსახურების მიმღები თანამიმნოდებელია განსხვავებით „კეთილდღეობიზმის“ დაპირებისა მიწოდების მთელი სპექტრის შეთავაზების შესახებ და „კონსუმერიზმის“ „სწრაფი შეკეთების“ კონცეფციისა. თუმცა პერსონალური სოციალური მომსახურებების მონაწილეობრივი კულტურის გარეშე, რაც მრავალმხრივი ადგილობრივი და დეცენტრალიზებული თანამშრომლობის, კო-პროდუქციისა და პერსონალური ჩართულობის საშუალებას იძლევა, მონაწილეობრივი შესაძლებლობები და მომსახურების მიმღებთა და მოქალაქეთა მოტივაცია გაიღვეა და ისინი აქტიურ მხარდამჭერთაგან გადაიქცევიან დამკვირვებლებად, რომლებიც დელეგირებენ ისეთ საკითხებს, რაც ნაკლებად ესმით და/ან ჰგონიათ, რომ არ აქვთ ზეგავლენის შანსი (პუტენემი, 2000).

ევერსის აზრით (2006), ყველაზე არასასურველი ტანდემი არის ბაზრისა და სახელმწიფოს კონტროლის ნაზავი, რასაც ბიუროკრატიზაციამდე და კომერციალიზაციამდე მივყავართ.

სოციალური მუშაობისათვის განსაკუთრებით მისასაღმებელია გადანყვებილების მიღების მონაწილეობრივი მიდგომა. საბედნიეროდ ის სოციალური მუშაობის პრაქტიკაში უკვე აქტიურად ინერგება. ტომპსონის აზრით (ტომპსონი, 2002 ვიდემსეკთან, 2009), სოციალურმა მოძრაობამ მრავალმხრივი ზემოქმედება მოახდინა სოციალური მუშაობის პრაქტიკაზე. მომსახურების მიმ-

ღებთა მოძრაობამ პროფესიონალიზმის ტრადიციული მოდელი შეცვალა მომსახურების მიმღებთა უფლებებისა და გამოცდილების ხაზგასმით. ამას მოჰყვა მომსახურების მიმღებთა კვლევებში ჩართვა, ძალაუფლებისათვის ბრძოლა. კვლევებში მომსახურების მიმღებთა მონაწილეობას კი მოაქვს ახალი ტიპის ცოდნა – ცოდნა, რომელიც გამოცდილებას ემყარება. შესაბამისად მომსახურების მიმღებნი შეიძლება თავიანთი ზრუნვის ექსპერტებად ჩავთვალოთ (ვიდემსეკი, 2009). სოციალური მუშაობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსახურების მიმღებთათვის მონაწილეობის შანსის მიცემა გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე. მონაწილეობის ეთიკის დანერგვა ხომ სოციალური მუშაობის ძირეული პრინციპია. სოციალური ძალაუფლების არ მქონეთა ჩართვით სოციალური მუშაკები ინკლუზიისა და მრავალფეროვნების მხარდამჭერებად გვევლინებიან.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. თქვენი აზრით, ყველა სოციალური დაცვის საჭიროების მქონე პირის ჩართვა სასიკეთოთ წაადგება პოლიტიკის ფორმირების პროცესს?
2. საქართველოში სოციალური მომსახურებების მონაწილეობრივ პრინციპზე შექმნის, განხორციელებისა და შეფასების კულტურის დანერგვის შემთხვევაში რა იქნება ყველაზე უფრო რთულად მოსაგები საბრძოლო ასპარეზი? როგორ ფიქრობთ პრობლემები იქნება ინდივიდუალურ თუ სტრუქტურულ დონეზე? რატომ?

## სოციალური დახმარების ადმინისტრირებისა და რეგულირების დიქტონარია

### მიმოხილვა

სახელმწიფო მექანიზმები

სოციალური მომსახურებების რეგულირება

რა არის კეთილდღეობა, როგორ იზომება ის, რაზეა მისი ზრდა ან კლება დამოკიდებული?

რას გულისხმობს მაკრო დონეზე განხორციელებული სოციალური დახმარება?

რაზეა დამოკიდებული ქვეყნის ცხოვრების დონე

რა განსაზღვრავს

რა განსხვავებაა მთლიან შიდა პროდუქტსა და მთლიან ეროვნულ პროდუქტს შორის?

ხარჯებით მანიპულირების რა ეფექტიანი საშუალებები არსებობს?

რა არის საზოგადოებრივი დანაზოგი?

რა არის ბიუჯეტის გარდამეტი და ბიუჯეტის დეფიციტი?

რა არის სახელმწიფო ვალი?

რა ხდება, როდესაც მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტს განიცდის?

სოციალურ სფეროზე ზემოქმედების ბერკეტები

რა შემთხვევაში ერევა მთავრობა შემოსავლების განაწილებაში ბაზარზე?

თავისუფალი ბაზრის ძირითადი მახასიათებლები

მთავრობის ძირითადი ფუნქციები

როგორ შეუძლია მთავრობას ბაზრის მანიპულირება?

რა არის მომხმარებლის და მომწოდებლის რენტაბელურობა?

რატომ განიცდის მთავრობა მარცხს კეთილდღეობის განსაზღვრაში?

სოციალური მუშაობის მაგისტრანტებისათვის აუცილებელია ისეთი სახელმწიფო მექანიზმების ზედმინეწვით კარგად გაანალიზება, როგორცაა: ფულადი დახმარებების სისტემა, არაფულადი დახმარებების სისტემა; კარგად უნდა გვესმოდეს რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი, რისგან შედგება ის. ეს ილუზიების სამყაროდან გამოგვიყვანს და უფრო რეალისტურ შეხედულებებს შეგვიქმნის სახელმწიფო სისტემის მუშაობის შესახებ. საუკეთესო სურვილებიც კი უტოპიური და უმაქნისია თუ ის რეალობისგან დაშორებულია. უნდა ვიცოდეთ როგორ შეგვიძლია სოციალური მომსახურებების რეგულირება. გვჭირდება თუ არა რეგულირება, თუ გვჭირდება რა დოზით?

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემემამდე კი უნდა შევთანხმდეთ იმაზე თუ რა არის კეთილდღეობა, როგორ იზომება ის, რაზეა მისი ზრდა ან კლება დამოკიდებული. ნინა ლექციაზე შევთანხმდით, რომ საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი საზომია სამომხმარებლო და მწარმოებლის დანაზოგთა ჯამი, რომელსაც მთლიან დანაზოგს ვუნოდებთ. ამიტომ, ბუნებრივია მთლიან დანაზოგს ვიყენებთ, როგორც საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელს.

სოციალური დაცვა სოციალური დახმარების მინოდებას გულისხმობს. ის შესაძლოა განხორციელდეს როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. **მიკრო დონეზე ხორციელდება მომსახურებების მინოდება, როდესაც იგი მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტზეა გათვლილი.** ეს შესაძლოა იყვნენ მარტოხელა დედები, ქუჩის ბავშვები, უსახლკაროები, ძალადობის მსხვერპლნი, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებული პირები, პროსტიტუციულ საქმიანობაში ჩართულნი და ა.შ. ეს მომსახურებები კონკრეტული სოციალური პრობლემების მოგვარებისაკენაა მიმართული.

**მაკრო დონეზე განხორციელებული სოციალური დახმარება გულისხმობს მთელი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობისათვის გამიზნულ საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ სამართლებრივ ნორმებს.** ამის მაგალითია საგადასახადო პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, სავალუტო პოლიტიკა, კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ და ა.შ. ეს ნორმები მოსახლეობისათვის მისაღები ცხოვრების დონის მიღწევას/შენარჩუნებას, შესაბამისად მათთვის საკმარისი შემოსავლების მიღებისა და სამართლიანი გადანაწილების უზრუნველყოფას ემსახურება.

**რაზეა დამოკიდებული ქვეყნის ცხოვრების დონე?** რასაკვირველია, ამ ქვეყნის უნარზე, აწარმოოს საქონელი და მომსახურება.

**რა განსაზღვრავს ქვეყანაში ცხოვრების დონეს?** ცხოვრების დონისა და მთლიანი შიდა პროდუქტის გრძელვადიანი ზრდის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელები არიან დანაზოგები და ინვესტიციები.

**რა არის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)?** ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც ინარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში (მენკიუ, 2000). მარტივად თუ ვიტყვით, იგი ეკონომიკაში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე განეული ხარჯებია. იგი იყოფა ხარჯების ოთხ კომპონენტად:

- მოხმარებად;
- ინვესტიციებად;
- სახელმწიფო შესყიდვებად;
- წმინდა ექსპორად (= ექსპორტს-იმპორტი)

მშპ ორ სიდიდეს ზომავს: ეკონომიკის ყველა წევრის მიერ მიღებულ მთლიან შემოსავალსა და ეკონომიკის საქონელსა და მომსახურებაზე გაღებულ მთლიან ხარჯებს. რადგანაც მთლიანი შემოსავალი და მთლიანი ხარჯები, სინამდვილეში, ერთი და იგივე სიდიდეა, მთლიანი ეკონომიკისათვის შემოსავალი ხარჯების ტოლი უნდა იყოს.

**რა არის მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ)?** დროის მოცემულ პერიოდში ქვეყანაში მისი მოქალაქეების მიერ წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება. მეპ ქვეყნის მოქალაქეთა მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულებაა.

ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობა ეკონომიკაში მონაწილე საშუალო პიროვნების შემოსავალსა და ხარჯებს გვიჩვენებს, ამიტომ რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია ცხოვრების ხარისხი. მშპ საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლადაც მიიჩნევა, მაგრამ იგი მაინც არ არის კეთილდღეობის სრულყოფილი მაჩვენებელი. ზოგიერთი რამ, რასაც თავისი წვლილი შეაქვს კარგად ცხოვრებაში, მშპ-ის გარეთაა დარჩენილი, მაგალითად დასვენება, გარემოს მდგომარეობა. ვინაიდან საქონლისა და მომსახურების შეფასებისათვის მშპ საბაზრო ფასებს იყენებს, ამიტომ ის ყველა იმ საქმიანობის ღირებულებას არ ითვალისწინებს, რომელიც ბაზრებს გარეთ წარმოებს. მაგალითად, ბავშვების აღზრდა და ნებაყოფლობითი შრომა საზოგადოების გარკვეული ნაწილის კეთილდღეობას ზრდის, კეთილდღეობის ეს ნამატი კი მშპ-ზე არ აისახება. თუ მშობლები სამუშაო საათების რაოდენობას შეამცირებენ, რათა ბავშვებს მეტი დრო დაუთმონ, ეკონომიკა ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას აწარმოებს და მშპ შემცირდება, მაგრამ ამ ცვლილებამ, შესაძლოა, ცხოვრების ხარისხის შემცირება არ გამოიწვიოს (მენკიუ, 2000).

რაც შეეხება მთლიან ეროვნულ პროდუქტს, არსებობს მოსაზრება, რომ ამ მაჩვენებლით გამოხატული ეკონომიკური ზრდა ყველას მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობაა, რადგან ზრდისგან მიღებული სარგებელი მდიდრებისგან ღარიბებსაც გაუნაწილდებათ (ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მეშვეობით) (ჰილი, 2008). თუმცა, ხშირად ზრდის სარგებელი არ ნაწილდება ყველაზე (მდიდრისგან ღარიბზე). იმ ქვეყნებში, სადაც სწრაფად ხდება ზრდა, ადამიანების კეთილდღეობა ყოველთვის არ უმჯობესდება. ხშირად მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა ნაკლებად უკავშირდება ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მაგალითად, 1965 წლიდან 1986 წლამდე ბრაზილიის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 4,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კოსტა-რიკაში მხოლოდ 1,6 პროცენტით. ზუსტად ამავე პერიოდში კოსტა რიკამ წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა წელიწადში 5 პროცენტით შეამცირა, ბრაზილიამ კი – მხოლოდ 2,9 პროცენტით. ამ პერიოდში 5 წელზე მცირე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობა კოსტა-რიკაში წელიწადში 6,8 პროცენტით მცირდებოდა, ხოლო ბრაზილიაში მხოლოდ – 2,3 პროცენტით (გაეროს ბავშვთა ფონდი, 1990). ეს ერთი მაგალითია ბევრთაგან, რომლებიც ადასტურებენ, რომ ზრდასა და განვითარებას შორის კავშირის იდეა მცდარია. ამის მიხედვით, აშკარაა, რომ ეკონომიკური ზრდა საიმედოდ ვერ იქნება გადაბმული სოციალური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან (ჰილი, 2008).

**ხარჯებით მანიპულირების რა ეფექტიანი საშუალებები არსებობს?** რიკარდოს არგუმენტი ასეთია (რიკარდო მენკიუსთან 2002): თუ მთავრობა გადასახადებს შეამცირებს საკუთარი ხარჯების შემცირების გარეშე, ბიუჯეტის შემცირების შედეგად, საზოგადოებრივი დანაზოგი მცირდება. თუ ოჯახები დაზოგავენ მთელ იმ თანხას, რომლითაც გაიზრდება მათი შემოსავალი გადასახადის შემცირების შემდეგ, კერძო დანაზოგი ზუსტად იმავე სიდიდით

გაიზრდება, რომლითაც შემცირდება საზოგადოებრივი დანაზოგი. ეროვნული დანაზოგი კი, რომელიც კერძო და საზოგადოებრივი დანაზოგების ჯამია, არ შეიცვლება.

**რა არის საზოგადოებრივი დანაზოგი?** იგი საგადასახადო შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც მთავრობას ხარჯების გაღების შემდეგ რჩება. მთავრობა გადასახადებიდან იღებს კონკრეტულ თანხას, ხოლო საქონელსა და მომსახურებებზე ხარჯავს ამ თანხის ნაწილს. თუ გადასახადებიდან შემოსული თანხა აღემატება საქონელსა და მომსახურებებზე გაღებულ ხარჯებს მთავრობას **ბიუჯეტის გარდამეტი** აქვს. სწორედ ეს გარდამეტი წარმოადგენს საზოგადოებრივ დანაზოგს. თუ მთავრობა იმაზე მეტს ხარჯავს საქონელსა და მომსახურებებზე, რასაც საგადასახადო შემოსავლის სახით იღებს, მაშინ მთავრობა **ბიუჯეტის დეფიციტს** განიცდის და შესაბამისად საზოგადოებრივი დანაზოგიც უარყოფითი ციფრია. წარსულში დაგროვილი ბიუჯეტის დეფიციტების ჯამს **სახელმწიფო ვალი** ეწოდება.

**რა ხდება, როდესაც მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტს განიცდის?** როდესაც მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტს განიცდის, საზოგადოებრივი დანაზოგი უარყოფითია, ეს კი ეროვნულ დანაზოგს ამცირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც მთავრობა საკუთარი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად ფულს სესხულობს, ამცირებს სასესხო კაპიტალის მიწოდებას, რომელიც საჭიროა საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების მიერ ახალი ინვესტიციების დასაფინანსებლად. სასესხო კაპიტალის მიწოდების შემცირება სარგებლის განაკვეთის ზრდას იწვევს, რაც ცვლის სასესხო კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირებაში მონაწილე საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების ქცევას. კერძოდ, სარგებლის გაზრდილი განაკვეთი სასესხო კაპიტალის მრავალ მსურველს სესხებას გადააფიქრებინებს. ნაკლები ოჯახი იყიდის ახალ სახლს და ნაკლები ფირმა ააშენებს ახალ ქარხანას. მთავრობის მიერ სესხის აღების შედეგად ინვესტიციების შემცირებას **გამოდევნა** ეწოდება ე.ი. როდესაც მთავრობა ფულს სესხულობს საკუთარი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად, ამით გამოდევნის კერძო მსესხებლებს, რომლებიც საკუთარი ინვესტიციების დაფინანსებას ცდილობენ.

რომ დავაჯამოთ ზემოთ თქმული: **როდესაც მთავრობა ეროვნულ დანაზოგს ამცირებს ბიუჯეტის დეფიციტის გამო, ამ დროს სარგებლის განაკვეთი იზრდება, ხოლო ინვერსტიციები მცირდება. ვინაიდან ინვერსტიციებს დიდი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ეკონომიკურ ზრდას ანელებს.** ყველაზე უარეს შემთხვევაში კი სახელმწიფო ფარავს დეფიციტს ფულის ემისიის გზით, რაც ფასების ზრდას იწვევს. შემდეგი და შემდეგი დეფიციტის წარმოქმნა ნიშნავს შიდა ვალის ზრდას, რომლის მომსახურება და გადახდაც უნდა მოხდეს მომავალში გადასახადების ზრდის ხარჯზე.



ბიუჯეტის ხარჯების მომატებით შიდა მოთხოვნების ზრდა იმავდროულად ინვეს იმპორტის ზრდას, რადგან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია მოხდეს ადგილობრივი მწარმოებლების მიერ. აქედან გამომდინარეობს ასევე ისიც, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ფინანსების ზრდის მიმართ ზომების მიუღებლობამ და მოთმენამ შესაძლოა გამოიწვიოს იმპორტისა და ექსპორტის შორის ისეთი უფსკრულის წარმოშობა, რომ მთელი ეროვნული მეურნეობა აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე და რამდენიმე წლის განმავლობაში დაკარგოს განვითარების ტემპები. ამიტომ უმჯობესია დროზე შეეზღუდოთ დეფიციტი, გარკვეული პერიოდის მანძილზე ეკონომიკის განვითარების ტემპების შენელების ხარჯზეც კი. ამ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების ტემპები, მაგალითად 5 წლის განმავლობაში უფრო მაღალი იქნება, ვიდრე წინა შემთხვევაში იქნებოდა.

მთავრობა გონივრულად უნდა ზემოქმედებდეს როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სფეროზე. სოციალურ სფეროზე ზემოქმედებისას იგი იყენებს როგორც ეკონომიკურ, ასევე სამართლებრივ ბერკეტებს. **ეკონომიკური ბერკეტებია:** საშემოსავლო გადასახადი, ფასების რეგულირება ზოგიერთ პროდუქტზე, კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ. **სამართლებრივი ბერკეტებია:** კანონი მომხმარებელთა უფლების დაცვის შესახებ, ანტი-მონოპოლიური ნორმები, ხარისხის პოლიტიკის მარეგულირებელი ნორმები და ა.შ.

**რა შემთხვევაში ერევა მთავრობა შემოსავლების განაწილებაში ბაზარზე?** რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ახდენს ბაზარზე დადგენილი ფასების მოდიფიკაციას. ამის მაგალითებია გლეხებისათვის მათ პროდუქციაზე ფასების გარანტირება, მინიმალური ხელფასი (ამას უფრო დეტალურად განვიხილავთ სესიაზე „დასაქმების პოლიტიკის პრინციპები“). ასე ცდილობს მთავრობა მოსახლეობის გარკვეული სეგმენტისათვის შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფას. სწორი პოლიტიკაა ეს თუ არა? ალბათ გესმით განუწყვეტელი დებატები ამ თემაზე ჩვენს პოლიტიკურ სივრცეშიც.

უპირველეს ყოვლისა, გვჭირდება ვიცოდეთ **თავისუფალი ბაზრის 4 ძირითადი მახასიათებელი:**

1. ბაზარზე თავისუფალი შესვლა და გამოსვლა;
2. ბევრი მყიდველი და გამყიდველი;
3. ინფორმაციის შეუფერხებლად გაცვლა-გამოცვლა;
4. არავითარი ექსტერნალიები/გარეგანი ეფექტები.

ამ 4 კომპონენტიდან ნებისმიერი ერთის არარსებობა ბაზარს მარცხის რისკის წინაშე აყენებს. აქვე უნდა გავაცნობიეროთ **მთავრობის 4 ძირითადი ფუნქცია:**

1. გამოყოფა;
2. დისტრიბუცია;

3. ზრდა;
4. სტაბილიზაცია.

**თავისუფალ ბაზარზე მთავრობის ჩარევის გარდუვალობას 2 მიზეზი განაპირობებს:**

1. ბაზარს არ შესწევს უნარი გადაანაწილოს საზოგადოებრივი საქონელი და
2. რადგან ბაზრის სიმპათია მდიდრების მხარეს იხრება, აუცილებელია მთავრობის ჩარევა მოსახლეობის იმ ფენების დასახმარებლად, რომლებიც სიღარიბის უწყვეტ წრედში არიან მოქცეულნი.

მოდით ახლა განვიხილოთ როგორ შეუძლია მთავრობას ბაზრის მანიპულირება. ბაზრის სტიმულაცია ხორციელდება მთავრობის მიერ დერეგულირების, ლეგალიზაციის ან პრივატიზაციის პოლიტიკის გატარებით. ბაზრის სტიმულაციისას კი სახელმწიფო აწესებს ფასს იმ პროდუქტზე, რაც ადრე უფასო იყო. ეს კი ქმნის მომხმარებლისთვის ან მიმწოდებლისთვის უფრო რენტაბელურ სიტუაციას. **სიტუაციას, რომელშიც ზღვრული სარგებელი ზღვრული ფასის ტოლია მომხმარებლის რენტაბელურობა ენოდება. ხოლო როდესაც ზღვრული შემოსავალია ზღვრული ფასის ტოლი – მიმწოდებლის რენტაბელურობა.**

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებისას მთავრობა მარცხს ძირითადად შემდეგი მიზეზების გამო განიცდის:

- არა აქვს უნარი სწორად განსაზღვროს სოციალური კეთილდღეობა;
- დემოკრატიის ლიმიტებისა და კენჭისყრის პარადოქსულობის გამო;
- უუნაროა ზღვრული დანახარჯის/სარგებლის განსაზღვრაში;
- პოლიტიკური ბარიერების;
- ინსტიტუციური ბარიერების;
- ლეგალური ბარიერების;
- კულტურული ბარიერების;
- განათლების და ანალიტიკური ბარიერებისა და
- დროის ფაქტორის გამო.

ნებისმიერი შედეგის მისაღებად, მისი გამომწვევი მიზეზები უნდა გამოვირკვიოთ, ამას კი დრო სჭირდება. ეს კი ხშირად აყოვნებს პოლიტიკის შემუშავებას. შემუშავების შემდეგ კი, მის მიღებასა და განხორციელებას მიაქვს დრო, და შეიძლება აღმოჩნდეს, რომ განხორციელების მომენტისთვის პრობლემა აღარც კი არსებობს ან იმდენად სახეცვლილი ფორმითაა წარმოდგენილი, რომ მთელი ციკლი თავიდანაა დასაწყები და კიდევ ერთხელ ვაწყდებით დროის დაუმორჩილებლობით გამონვეულ პრობლემებს.

ახალ მოდით განვიხილოთ როგორ ხორციელდება გაცემული დახმარების კონტროლი? რა დონეზე ახორციელებს მთავრობა ამ კონტროლს? საკანონ-

მდებლო, აღმასრულებელ თუ საზოგადოებრივ დონეზე. მოდით თითოეული ცალ-ცალკე განვიხილოთ.

**საკანონმდებლო დონეზე კონტროლი საკანონმდებლო ორგანოს მიერ ხორციელდება.** მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში, ეს შესაძლოა მოხდეს ცენტრალურ, რეგიონულ ან რაიონულ დონეზე შესაბამისი კომისიების მიერ, რომლებიც პოლიტიკის ან პროგრამის განხორციელების პროცესს ან მისი შედეგების მონიტორინგს ახორციელებენ. აღმასრულებელ დონეზე ეს ხორციელდება ან შიდა სტრუქტურული ერთეულის მიერ ან ექსტერნალური სტრუქტურული ერთეულის მიერ, მაგალითად როგორცაა კონტროლის პალატა. მომსახურებების საქმიანობის რეგულირების ფუნქცია, მაგალითად სამედიცინო მომსახურებების ობიექტებზე ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, სპეციალური სკოლების კონტროლი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ და ა.შ.

**საზოგადოებრივი კონტროლი კი გულისხმობს საჯარო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების და/ან პოლიტიკის განხორციელების პროცესზე და შედეგებზე კონტროლს სხვა სექტორის წარმომადგენლების მხრიდან,** მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ეს უკანასკნელი ჯერ პასიურ როლშია, არადა ყველაზე ეფექტიანი და დემოკრატიული ინსტრუმენტია როგორც მომსახურებებისა და პროცესების ობიექტური და მიუკერძოებელი მონიტორინგის, ასევე საზოგადოების ინფორმირებულობისა და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის თვალსაზრისით ირიბად თუ პირდაპირ. ეს კი სოციალური სამართლიანობის გაძლიერებას უწყობს ხელს, რომლის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს საშემსრულებლო კულტურის ამაღლებაში, სხვათა თავისუფლებისა და ინტერესების პატივისცემასა და გათვალისწინებაში და ა.შ.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. ხომ არ გახსენდებათ კულტურული ბარიერებით გამონვეული მარცხი, რაც მთავრობისათვის მისი ძირითადი ფუნქციების განცხორციელებაში ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა.
2. თქვენი აზრით, რატომ არის არასამთავრობო სექტორი საქართველოში პასიურ როლში სოციალური კეთილდღეობის სისტემის ტრანსფორმაციის სქემაში?

## სამართლიანობა და ანტიოპრესიული პრაქტიკა

### მიმოხილვა

ანტიოპრესიული პრაქტიკის მიზანი  
ანტიოპრესიული პრაქტიკის მთავარი ელემენტები  
ანტიოპრესიული პრაქტიკის განვითარების ისტორია:  
ანტიოპრესიული პრაქტიკის ფასეულობები და პრინციპები  
ანტიოპრესიული სოციალური მომსახურებების რაგვარობა

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, რა არის ანტიოპრესიული პრაქტიკა ზოგადად? რას გულისხმობს ის სოციალურ სამუშაოში? საჭიროა თუ არა მისი გათვალისწინება სოციალური პოლიტიკის ფორმირებისას? როგორია მისი განვითარების ისტორია? რა პრინციპებს ეფუძნება? რა ფასეულობებზე აღმოცენდა იგი? რა იყო ამ ფასეულობების ჩამოყალიბების წინაპირობა? რატომ არის მისი განხორციელება ხშირ შემთხვევაში გარკვეულ სირთულეებთან დაკავშირებული სოციალური მუშაკებისათვის? წინამდებარე თავში ამ კითხვებზე შევეცდები გიპასუხოთ და ამავე დროს დავაკავშირო ანტიოპრესიული პრაქტიკა სოციალურ სამუშაოში მკარო დონის სოციალურ სამუშაოს პრაქტიკასთან.

როგორც წინა თავებში ვნახეთ, რეალური სოციალური ცვლილების განხორციელება შეუძლებელია სოციალური მოძრაობისა და პოლიტიკური ქმედების გარეშე. სოციალური მუშაკის უშუალო ფუნქციაა ამაში დახმარება გაუწიოს საზოგადოებას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ადამიანებს მათთვის სასიკეთო სოციალური ცვლილებების განხორციელებისათვის დახმარება სჭირდებათ ამ ცვლილებების აუცილებლობის გაცნობიერებაში; ან თუ მათ აკლიათ ცოდნა, შემართება და ორგანიზების უნარი.

ანტიოპრესიული პრაქტიკა ნიშნავს რადიკალურ, სტრუქტურულ, ფემინისტურ, ანტი-რასისტულ, კრიტიკულსა და განმანთავისუფლებელ პრაქტიკულ მიდომებს (ბელი & ბრეიკი, 1975; დომინელი, 1988; დომინელი & მაკლეოდი, 1989; ფუკი, 2002; ლეონარდი, 2001; მორეუ, 1993; როშე, დიუისი, ტრეილვივერი, ალექსანდერი, ქადი & ჰანდი, 1999). ამიტომაც ანტიოპრესიული სოციალური მუშაობა აერთიანებს ისეთ თეორიებსა და პრაქტიკებს, რომლებიც სოციალური სამართლიანობის პრინციპებს ეფუძნება. დომინელისათვის (1998) ანტიოპრესიული სოციალური მუშაობა არის სოციალური მუშაობის პრაქტიკის სახეობა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სოციალურ დაყოფასა და სტრუქტურულ უთანასწორობაზე მომსახურების მიმღებთან მუშაობაში. ანტიოპრესიული პრაქტიკის მიზანია უფრო შესაფერისი და სენსიტიური მომსახურებების მიწოდება ადამიანებისათვის მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, განურჩევლად იმისა რა სოციალური სტატუსის მატარებელი არიან ისი-

**ნი.** ანტიოპრესიული პრაქტიკა პიროვნებაზე ორიენტირებული ფილოსოფიის მატარებელი პრაქტიკაა, ეგალიტარულ ფასეულობებზე დამყარებული და ცდილობს სტრუქტურული უთანასწორობით გამონვეული საზიანო შედეგების აღმოფხვრას; ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც ფოკუსირებულია როგორც პროცესზე, ასევე შედეგზე; ის ინდივიდებს შორის ურთიერთობის სტრუქტურირების საშუალებაა, რომლის მიზანია მომსახურების მომხმარებლების გაძლიერება და იერარქიის ნეგატიური შედეგების შემცირება მათ ურთიერთობებში და იმ საქმეში, რასაც ისინი ერთად აკეთებენ.

კარნოილის აზრით (2000), ანტიოპრესიული პრაქტიკის მთავარი ელემენტია ადამიანის პირადი პრობლემებისა და საზოგადო პრობლემების დაკავშირება: სოციალური მუშაკებისათვის, რომლებიც ანტიოპრესიულ პრაქტიკას ახორციელებენ, ძალიან მჭიდრო კავშირია ერთი მხრივ უუფლებოთათვის ინდივიდუალური დახმარების აღმოჩენასა და მეორე მხრივ ამ ჯგუფების მხარდასაჭერ სოციალურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობას შორის. ტომპსონის აზრით (1993), ანტიოპრესიული პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს შევებრძოლოთ დისკრიმინაციას არა მარტო სხვა ინსტიტუციურ სტრუქტურებში, არამედ აღმოფხვრათ იგი ჩვენზე პრაქტიკიდან, რადგან სოციალურ მუშაკს აქვს გარკვეული ძალაუფლება და კონტროლი, რაც ნებით თუ უნებლიეთ იძლევა ამის საშუალებას. ის ჩვენგან ითხოვს, რომ ჩვენ მუდამ ჩართულები ვიყოთ კრიტიკული თვითშეფასების პროცესში, რაც თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს, რომ ჩართულები ვიყოთ ცვლილების პროცესში.

დალრიმლისა და ბურკეს აზრით (დალრიმლი და ბურკე 1995 სტრუქტურულ და ბინიმინთან, 2009), ანტიოპრესიული პრაქტიკა შემდეგ ჩარჩოში თავსდება:

- პროფესიული ცოდნა;
- სოციალური სისტემების ცოდნა და ანალიზი;
- სხვადასხვა ჯგუფებისა და კულტურების შესახებ ცოდნა;
- ცოდნას იმის შესახებ თუ როგორ გამოვიწვიოთ და გავუმკლავდეთ პერსონალურ და სტრუქტურულ პრობლემებს;
- ცნობიერება იმის შესახებ, რომ აუცილებელია „კვლევაზე დაყრდნობით მოქმედება“ (ევერიტი და სხვები 1992);
- მოქმედებისა და ცვლილებისათვის მზადყოფნასა;

საუკუნეზე მეტია, რაც დინამიკური დაძაბულობა მათ შორის, ვისაც სოციალური მუშაობის მისიად „მკურნალობა და კონტროლი“ მიაჩნია და მათ შორის, ვისაც ამ პროფესიის მისიად „ტრანსფორმაცია და წინააღმდეგობის განწევა“ მიაჩნია. სანამ ეს დაძაბულობა გამოიხატებოდა დაუსრულებელ დებატებში რა არის ან რა უნდა იყოს სოციალური მუშაობა ინდივიდუალური მიდგომა თუ სოციალური რეფორმა, მიზეზებთან ბრძოლა თუ შედეგებთან, შეგუება თუ სოციალური ცვლილება, პირადი თუ საზოგადო საკითხი, ჩამოყალიბდა

სოციალური მუშაობის თეორია და პრაქტიკა. მხარდაჭერა იმ თეორიებმა და პრაქტიკებმა მოიპოვეს, რომლებიც სოციალურ სამუშაოს განიხილავენ, როგორც „მკურნალობის, კონტროლისა და ინდივიდუალური მიდგომის“ პროექტს (აბრამოვიჩი, 1998; ფრანკლინი, 1986; ჰეინისი, 1998; ჰოუი, 1987; როტმანი, 1985 კემპელტან 2003). ამიტომაც, სანამ ანტიოპრესიული პრაქტიკის განვითარების წინაისტორიას გავეცნობით ანტი სოციალური სამართლიანობის თეორიები და პრაქტიკები უნდა გავიხსენოთ.

1900-70 წლებში მოღვაწე სოციალურმა მუშაკებმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ დასახლების სახლების მოძრაობაში, პროგრესულ ერაში, რიგითი ჯარისკაცების მოძრაობაში, ახალი გარიგების ინიციატივაში, სოციალური სახარების მოძრაობაში, სოციალური რეკონსტრუქციის კანადურ ლიგაში, ხელი შეუწყვეს სოციალური სამართლიანობის მიზნების დასახვას სოციალურ სამუშაოში (ენდრიუსი და რეიში, 1997; კარლტონ ლა-ნი, 1994; ფიშერი, 1980; ჰარლტმანი, 1986; ჰიკი, 2002; ირვინგი, 1992 კემპელტან, 2003). თუმცა ბოლო 3 დეკადის განმავლობაში ანტიოპრესიული პრაქტიკა ძალიან განვითარდა სოციალურ სამუშაოში, რომელმაც ჩაანაცვლა პერსონალური რეაბილიტაციისა და ინდივიდუალური მიდგომის უფრო ტრადიციული სოციალური მუშაობის მოდელები. ანტიოპრესიული მიდგომის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ფემინისტურმა, სამოქალაქო უფლებების, გეი და ლესბიანთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სხვა სოციალურმა მოძრაობებმა.

1970-იან წლებში ხალხმა დაიწყო ლაპარაკი და წერა რადიკალურ სოციალურ სამუშაოზე (ბეილი და ბრეიკი, 1975; კორიგანი და ლეონარის, 1978; გალპერი, 1975, 1980; პრიჩარდი და ტეიორი, 1978 კემპელტან, 2003). რადიკალურმა სოციალურმა სამუშაომ, რომელიც მარქსიზმის მატერიალიზმიდან იღებს სათავეს გაგვაცნო კლასის ანალიზი სახელმწიფო კეთილდღეობაში და სოციალური მუშაობის მომსახურებების მიწოდებაში. ამ მიდგომის მიმდევრები დასაქმებულებს მოუწოდებდნენ სოციალური კეთილდღეობის სააგენტოების როლის კრიტიკული ანალიზისაკენ და სააგენტოებსა მომსახურებების მიმღებთა შორის ინტერესთა კონფლიქტის აღიარებისაკენ. **რადიკალური სოციალური მუშაობის თეორეტიკოსები** მომსახურების მიმღების პრობლემის „ინდივიდუალიზაციას“ პოლიტიკურ იდეოლოგიად თვლიდნენ, რომლის ჩანაცვლებაც აუცილებლად მიიჩნეეს ისეთი იდეოლოგიით, რომელიც პრობლემებს კაპიტალიზმის სოციალურ სტრუქტურაში განათავსებდა. და ბოლოს, ისინი აკრიტიკებდნენ პროფესიულ ძალაუფლებასა და კონტროლს (ბეილი და ბრეიკი, 1975 კემპელტან, 2003). „რადიკალური სოციალური მუშაობის მოძრაობამ კი გააფართოვა თანამედროვე სოციალური მუშაობა. ეს კი დიდი გამოწვევა იყო ინდივიდზე ორიენტირებული ვინრო ხედვის ტრადიციული მიდგომისა, წარმოადგინა უფრო ფართო საკითხე-

ბი და დღის წესრიგში პოლიტიკა დააყენა“ (ლანგანი და ლი, 1989:2 კემპბელთან, 2003).

**სტრუქტურული თეორეტიკოსები** მიუხედავად იმისა, რომ არ უარყოფდნენ რადიკალურ თეორიას, აკრიტიკებდნენ მას იმის გამო, რომ ის კლასის ანალიზზე კონცენტრირებას სხვა სტრუქტურული ფაქტორების ხარჯზე ახდენდა. მათ განავითარეს სოციალური მუშაობის პრაქტიკის სტრუქტურული მიდგომა (კარნიოლი, 2000; ლეკომტი, 1990; მორე, 1993; მულელი, 1997; როუზი, 1990 კემპბელთან, 2003). ადამიანური ურთიერთობები ემსხვერპლებოდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში დამკვიდრებული რასობრივი, კლასობრივი, გენდერული, სექსუალური ორიენტაციის, უნარების, ასაკზე დაფუძნებული ძალაუფლებისა და პრივილეგიების უთანასწორობას. სტრუქტურული თეორეტიკოსები ითხოვდნენ ამ სისტემატიურად იგნორირებული მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელთა აქტიურ ჩართვას სოციალური მუშაობის თეორიასა და პრაქტიკაში. მარქსისა და ფრეიერის ზეგავლენის ქვეშ მყოფმა სტრუქტურულმა სოციალურმა სამუშაომ დიდი წვლილი შეიტანა ანტიოპრესიული პრაქტიკის განვითარებაში.

1970 წელს **ფემინისტმა სოციალურმა მუშაკებმა დაიწყეს სტრუქტურული მიდგომის კრიტიკა**, რადგან მათი აზრით, თეორიული ანალიზი და პრაქტიკა შესაბამის ყურადღებას არ აქცევდა გენდერულ საკითხებს (დიანგსონი, კრავერტი და ლიპტონი, 1975 კემპბელთან, 2003). სწამდათ რა, რომ ქალების გამოცდილება არც შეფასებულია შესაბამისად და არც დაფასებული, ისინი შეუდგნენ სოციალური მუშაობის ფემინისტური ანალიზის განვითარებას.

ფემინისტური მოძრაობისადმი ზოგადად კრიტიკული დამოკიდებულების შედეგად სტრუქტურული და ფემინისტური სოციალური მუშაობის თეორია გაკრიტიკდა რასიზმის უარყოფითი ზეგავლენისადმი ყურადღების ნაკლებობით, როგორც ინსტიტუციურ, ასევე პერსონალურ დონეზე. ანტი-რასისტული და კროს-კულტურული თეორეტიკოსები მოითხოვდნენ რასული ანალიზის ცენტრირებას, რაც გარკვეულ გამონვევას წარმოადგენდა ევრო-ცენტრული ჩანასახის მქონე სოციალური მუშაობისათვის (დომინელი, 1988; შილე, 1997 კემპბელთან, 2003).

**პოსტ მოდერნისტი თეორეტიკოსები** აკრიტიკებდნენ ანტიოპრესიულ თეორიებს იმისა გამო, რომ ის რედუქციულად მიაჩნდათ, რომ ის მცდარ დუალიზმს ავრცელებს მიზეზსა და შედეგს შორის, ხაზს უსვამს ადამიანის იდენტობას, იდეოლოგიურია, და მოძველებული მოდერნისტული ტრადიციის გადმონაშთია.

**მოდით, ახლა ანტიოპრესიული პრაქტიკის ფასეულობებსა და პრინციპებს გავეცნოთ.** აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერენ ანტიოპრესიულ მიდგომას:

- იზიარებენ თანასწორობის, ინკლუზიის, გაძლიერების და თემის ფასეულობებს;
- ესმით, რომ „საზოგადოების ბუნება და ინდივიდის ან ინდივიდების ცნობიერება ურთიერგადაჯაჭვულია“ (ჰოუი, 1987:121 კემპბელთან, 2003) და ამიტომ ადამიანის ფიქრებს, გრძნობებს და საქციელს უკავშირებენ მატერიალურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას;
- აკავშირებენ პირად პრობლემებს და საზოგადოებრივ საკითხებს;
- თვლიან, რომ ძალაუფლება და რესურსები არათაბრადაა გადანაწილებული, რასაც მივყავართ ოპრესიულ და დომინირების პერსონალურ და ინსტიტუციურ ურთიერთობამდე;
- მხარს უჭერენ კრიტიკულ ანალიზს;
- ყურადღების ცენტრში აქცევენ იმ ადამიანების ცოდნასა და ხედვას, რომლებიც მარგინალიზებულნი იყვნენ და ცდილობენ მათი ხედვის პოლიტიკასა და პრაქტიკაში ინკორპორირებას;
- სოციალურ სამუშაოს მიიჩნევენ ისეთ სოციალურ ინსტიტუტად, რომელსაც აქვს პოტენცია თავისი წვლილი შეიტანოს და გარდაქმნას ოპრესიული სოციალური ურთიერთობები, რომლებიც ბევრი ადამიანის სიცოცხლეს მართავენ;
- მხარს უჭერენ სოციალური მუშაობის ტრანსფორმაციულ პოტენციას სხვადასხვა ინდივიდებთან, ჯგუფებთან და საზოგადოებასთან მუშაობაში;
- აქვთ ეგალიტარული მომავლის რწმენა.

ლენსის აზრით (ლენსი, 2001 სტრიერთან & ბინიამინთან, 2009), პრობლემის განმარტება უმნიშვნელოვანესი საკითხია სოციალურ სამუშაოში. ის არ მოიცავს ობიექტურ და მეცნიერულ განსაზღვრებას, არამედ ექცევა მრავალი ფაქტორისა და მოლაპარაკების საგნის ზეგავლენის ქვეშ მუშაკსა და ბენეფიციარს შორის. როგორც ფრიერი (ფრიერი, 1971 სტრიერთან & ბინიამინთან, 2009) აღნიშნა, რეალობა არის პრობლემა, რომელსაც განსაზღვრა სჭირდება. რეალობის არსის ასეთი გააზრება ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას პრაქტიკის ფორმირებისათვის. პრობლემის დეფინიცია კი განაპირობებს სოციალური მუშაკსა და ბენეფიციარის მიერ ინტერვენციის მიზნებსა და წარმატების კრიტერიუმებზე შეთანხმებას. უამრავი კვლევა ცხადყოფს, რომ ღარიბი ადამიანები თავიანთ ძირითად პრობლემად შემოსავლის ნაკლებობას მიიჩნევენ (ბულოკი 1999; სანდფორტი და სხვები 1999 სტრიერთან & ბინიამინთან, 2009). კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს კორელაცია ეკონომიკურ სტატუსსა და სიღარიბის სოციალურ აღქმას შორის: რაც უფრო დაბალი სოციალური სტატუსის მქონეა ადამიანი, მით უფრო დიდია იმის შანსი, რომ სიღარიბე სტრუქტურულ-ფაქტორადაა მიჩნეული და ინდივიდიც უფრო მგრძნობიარეა ისეთი სტრუქტურული ფაქტორებისადმი, როგორცაა უმუშევრობა, დისკრიმინაცია, დაბალი



ხელფასი, სოციალური მომსახურებებისადმი ხელმიუწვდომლობა (ბულოკი და ლიმბერტი 2003სტრიერთან & ბინიამინთან, 2009).

ბუნებრივია, რომ სიღარიბე ზრდის ცნობიერებას იმის შესახებ, რომ სისტემური ბარიერები ცხოვრების შანსებს ამცირებენ. სოციალურ მომსახურებებში ხშირია, რომ პროგრამები ისეთ დეფინიციებზეა დაფუძნებული, რასაც არ იზიარებენ ამ მომსახურებების მიმღებნი, უფრო მეტიც ენინაალმდეგებიან კიდევ (ბუჩინდერი და სხვები 2004; ჰოჯი 2004 სტრიერთან & ბინიამინთან, 2009). ანტიოპრესიული სოციალური მომსახურებები კი პირიქით ღარიბთათვის ისეთ პროგრამებს ავითარებენ, რომლებიც რეალისტურია და შეესაბამება ბენეფიციართა დეფინიციას (კემბელი 2003 სტრიერთან & ბინიამინთან, 2009).

ანტიოპრესიული პრაქტიკა სოციალურ მუშაკებს სისტემური ცვლილებების ინიცირებისაკენ მოუწოდებს ინდივიდების, ჯგუფების, საზოგადოების აქტიური ჩართვითა და პოლიტიკის ადვოკატობის გზით. ანტიოპრესიული სოციალური მუშაობა უნდა ცდილობდეს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას ბენეფიციართათვის, უზრუნველყოფდეს მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე, როგორც მენეჯმენტის, ასევე პოლიტიკის დონეზე. ამის განხორციელება უნდა ხდებოდეს ბენეფიციართა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნით, ბენეფიციართა საკონსულტაციო ჯგუფების შექმნით ან სხვა ორგანიზაციული საშუალებებით.

სიღარიბეში ცხოვრება ძალიან ტრავმატული გამოცდილებაა. სიღარიბის ეს ტრავმატული ბუნება სოციალური მუშაკებისაგან ითხოვს პროფესიული ეთიკის ფარგლებში მოქმედებას, რაც მათგან ფსევდო ნეიტრალობაზე უარის თქმას მოითხოვს. ეს მათგან სოციალურ მოძრაობაში ჩართულობას ითხოვს და მათთან მოითხოვს როგორც პროფესიულ, ასევე პერსონალურ და ემოციურ დონეზე ჩართულობას. ეს კი ფორმალური ვალდებულებების შესრულებას სცილდება. ჩართულობის პროცესის შექმნა მათგან მოითხოვს გასცდნენ ორგანიზაციული სისტემის ფარგლებს, სადაც ისინი უსაფრთხოდ არიან და სიტუაცია მათი კონტროლის ქვეშაა. ჩართულობა კი დაგეგმვისა და წინასწარ განჭვრეტის საშუალებას არ იძლევა. ეს ბუნებრივია მრავალ რისკთანა დაკავშირებული, რაც სოციალურ მუშაკს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. თქვენი აზრით, საქართველოში დღეს ანტიოპრესიული სოციალური მუშაობის პრაქტიკა ხორციელდება? დაასაბუთეთ პასუხი.
2. გაგვაცანით ანტიოპრესიული სოციალური მუშაობის პრაქტიკის ერთი მაგალითი, რომელიც თქვენ ყველაზე მეტად მოგწონთ.

## საჭიროების თეორია

### მიმოხილვა

საჭიროების განსაზღვრება  
არლტის საჭიროების თეორია  
მასლოუს საჭიროებათა იერარქია  
სოციალური მუშაკის როლი საჭიროებების დაკმაყოფილებაში  
საჭიროებების თემა სოციალურ პოლიტიკაში  
ობიექტურობა საბაზისო სოციალური საჭიროებების დადგენაში  
სხვადასხვა მიდგომა საჭიროებისადმი:

- ობიექტური და უნივერსალური
- შედარებითი და სუბიექტური
- გამოსატყუი
- ნამდვილი და ხელოვნური
- რეალური და არარეალური
- კარგი და ცუდი
- იმპუტირებული ანუ მიწერილი
- ცნობიერი და არაცნობიერი

სარტრი საჭიროების გაცნობიერების ფორმების შესახებ  
ლუკაჩი საჭიროებათა სისტემის მანიპულირების შესახებ

თუ დავფიქრდებით რაზეა დამოკიდებული ადამიანის კეთილდღეობა, რა ახდენს მასზე დადებით ან უარყოფით ზეგავლენას, გავანალიზებთ შეძლებულთა და უმწეოთა ყოფას, დავრწმუნდებით, რომ არსებობს საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია არსებობა, მაგრამ ამავე დროს არსებობს საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშეც შეუძლებელია კეთილდღეობა. ამ საჭიროებების ჩამონათვალი სხვადასხვაა, რადგან კეთილდღეობის სხვადასხვა თეორეტიკოსი განსხვავებულ შეხედულებას ავითარებს. ამჟამად, ჩვენი მიზანია გავეცნოთ სხვადასხვა მოსაზრებებს და ჩამოვიყალიბოთ, ან უფრო სწორედ შევეცადოთ ჩამოვიყალიბოთ ჩვენი მოსაზრება.

**მოდით, ჯერ განსვსაზღვროთ რა არის საჭიროება?** კეთილდღეობის უდიდესი თეორეტიკოსის, ილს არლტის აზრით (1933), საჭიროება არის მისი დაკმაყოფილების წინმსწრები მენტალური პროცესი. ის ვითარდება შიდა სასიცოცხლო პროცესში ან გარე ფაქტორების ზეგავლენით. ის შესაძლოა იყოს ცნობიერიც და არაცნობიერიც.

ამავე დროს, მოდით ჩამოვიყალიბდეთ იმაზეც თუ რისთვის გვჭირდება ჩვენ ადამიანთა საჭიროებების ცოდნა? როდესაც ვამბობ „ჩვენ“ ვგულისხმობ არა მხოლოდ ჩვენ როგორც ადამიანებს, ან როგორც მოქალაქეებს, არამედ როგორც ჩვენი პროფესიის წარმომადგენლებს, რომელთათვისაც ადამიანთა კეთილდღეობაში წვლილის შეტანა, მათზე ზრუნვა და მათი მდგომარეო-

ბის გაუმჯობესება პროფესიული მოვალეობაა. ეს კი, არლტის აზრით (1958), [ზრუნვა] არის არა მხოლოდ კეთილდღეობის მომსახურება, არამედ საჭიროებათა შეფასება, რომელიც ყველას საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურება. შეუძლებელია სიღარიბის, როგორც თითქმის ყველა სოციალური პრობლემის განმაპირობებელი ფაქტორის, მართებული პოლიტიკის შემუშავებაც კი საჭიროებების განსაზღვრის გარეშე, რამეთუ სიღარიბე გაზომვადია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყველა ადამიანური საჭიროება გამოვლენილია და თუ ის იზომება ამ საჭიროებების დაკმაყოფილებასთან მიმართებით. ამავე დროს, არა მხოლოდ საჭიროების დაუკმაყოფილებლობა ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის შემცველი, არამედ დეფიციტის ხარისხიც.

არლტის მიხედვით, ყველა ადამიანი დგას შემდეგი 13 საჭიროების წინაშე:

1. ჰაერი/შუქი/გათბობა/წყალი;
2. საკვები;
3. საცხოვრებელი;
4. პირადი ჰიგიენა;
5. ტანსაცმელი;
6. სამედიცინო დახმარება და მოვლა;
7. ავარიათა პრევენცია და პირველადი დახმარება;
8. რეკრეაცია;
9. ოჯახი;
10. განათლება;
11. სამართლის ადმინისტრირება;
12. ეკონომიკური ეფექტიანობის ტრენინგები;
13. ინტელექტუალური აღზრდა.

რასაკვირველია, ყველა საჭიროების გაზომვა თანაბრად ადვილი არ არის. მაგალითად, მენტალური ან განათლების საჭიროების გაზომვა ისე ზუსტად, როგორც საკვები საჭიროებისა რთულია. თუმცა, ნორმალური გონებრივი შესაძლებლობების ზღვარი დადგენილია ყველა ასაკისათვის. საჭიროებათა გაზომვის არლტის მეთოდის მიხედვით, ადამიანის ყოველი საჭიროებისათვის უნდა დადგინდეს ზღვარი, რომლის მიღმაც იწყება გაჭირვება ე.ი. საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა. ეს სოციალურ მუშაკებს საჭიროებების გაზომვის მსგავსი ინსტრუმენტის გამოყენებისა და საკუთარი გამოცდილების შეჯამების საშუალებას მისცემდა. არლტის აზრით, ასეთი მეთოდი არ წარმოშობს მექანიკური სოციალური კვლევის რისკს, პირიქით თუ ყველა საკითხს, რომელიც ზუსტი კვლევის საშუალებას იძლევა გამოვიკვლევთ ზუსტი მეთოდით, დრო და ენერგია დაიზოგება. ამ მეთოდის საშუალებით, შევძლებდით გაჭირვებისა და საჭიროებების სხვადასხვა ვარიანტების გამოვლენას, რაც ცხადყოფდა, რომ მათი დაკმაყოფილება არ ექვემდებარება საერთო „მკურნალობას“ (1933:10).

საჭიროებათა არტლტისეული ჩამონათვლის ინდივიდუალიზაციისას, მარტივი მათემატიკური გამოთვლით, დაუკმაყოფილებელი საჭიროების 8190 კომბინაციის მიღებაა მოსალოდნელი. მათი დაკმაყოფილებისათვის სულ მცირე „ნორმალური მიწოდების“ უზრუნველყოფაა საჭირო, თუმცა ეს არ არის ხშირად საკმარისი (არლტი, 1933:7). ეს კი სოციალურ მუშაკს ერთი შესაძლო სერიოზული გართულების წინაშე აყენებს: ნორმალური მიწოდება საკმარისია მხოლოდ თუ საჭიროებაა ნორმალური. რას გულისხმობს ეს? თუ წლების მანძილზე ამ კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილება არა საკმარისად ხორციელდებოდა, ეს საჭიროება აღარაა ნორმალური, არამედ ზეჭარბი. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ როგორ ამოვავსოთ ეს დეფიციტი. არლტის აზრით, საჭიროებების დაკმაყოფილებას 4 კომპონენტი სჭირდება: მატერიალური რესურსები, დრო, გააზრება, ცოდნა. გარდა მატერიალური რესურსების დეფიციტის გამო გამონვეული დაუკმაყოფილებელი საჭიროებებისა, ბევრია ისეთიც, რომელიც ერთი მხრივ ადამიანის საჭიროებების შესახებ უცოდინრობის, ან ამ საჭიროებების დაკმაყოფილების ეფექტიანი გზების არ ცოდნითაა გამონვეული.

ადამიანის საბაზისო საჭიროებების თემა არსებითია სოციალური პოლიტიკისათვის, რადგან მათი დაუკმაყოფილებლობა ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხარისხი მცირდება ან მას გადარჩენის საფრთხე ემუქრება. მაგრამ სოციალური პოლიტიკა უნდა ინტერესდებოდეს იმ საშუალებებითაც, რომლითაც ინდივიდები შეძლებენ მათი არა-საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებასაც. სოციალური პოლიტიკა ასევე უნდა ინტერესდებოდეს სოციალური საჭიროებებით. პრობლემა არის იმაზე შეთანხმება, თუ სად გადის დემარკაციის ხაზი საბაზისოსა და არა-საბაზისო საჭიროებებსა და სოციალურსა და არა-სოციალურ საჭიროებებს შორის.

საბაზისო საჭიროებებზე საუბრისას სიღარიბის პრობლემამდე მივდივართ, რადგან მათი დაკმაყოფილება არსებობის საკითხს უკავშირდება. როგორ გავზომოთ ადამიანი საჭიროებათა მიხედვით სიღატაკის ზღვარს ქვევითაა თუ არა? არლტი ფიქრობს, რომ ეს შესაძლებელია:

1. ამ კონკრეტული საჭიროებისადმი მისი ამჟამინდელი მდგომარეობისა და
2. ამ კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებისათვის მის ხელთ არსებული

რესურსებისა და შესაძლებლობების გამოკვლევით.

თქვენ იცნობთ აბრაამ მასლოუს „საჭიროებათა იერარქიას“. ეს ერთ-ერთი პირველი ცდაა მატერიალური და სოციალური საჭიროებების დაკავშირებისა. მასლოუმ იერარქიულად შემდეგნაირად წარმოადგინა ადამიანის საჭიროებები: ქვედა, ყველაზე დაბალ საფეხურზე ფიზიოლოგიური საჭიროებებია მოთავსებული, რომელთა დაკმაყოფილება ჩვენს არსებობას უკავშირდება. მომდევნო საფეხურზე ფიზიკური უსაფრთხოების, მომდევნოზე ჩვენი საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის, შემდეგზე აღიარებისა და დაფასების, მწვერ-

ვალზე კი შემოქმედებითობისა და თვით-რეალიზაციის. მასლოუს სჯეროდა, რომ ყოველ ახალი საფეხურზე მოთავსებული საჭიროების დაკმაყოფილება მომდევნო საფეხურის საჭიროების აქტუალიზაციას იწვევს.

**შესაძლებელია თუ არა ობიექტურობა საბაზისო სოციალური საჭიროებების დადგენაში?** იქნებ ეს არის ის, რასაც არსებული რესურსები გვთავაზობენ. ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ განვსაზღვროთ საზოგადოების განვითარება სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიხედვით, ჩვენ განვსაზღვრავთ საჭიროებას საზოგადოების განვითარების მიხედვით. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ვრისკავთ უნივერსალიზმით, რომელსაც ობიექტური მიდგომა გვთავაზობს, რადგან ვინცებთ საბაზისო სოციალურ საჭიროებებზე ფიქრს, როგორც კონკრეტულ და არა ყველა საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უნივერსალურსა და ესენციალურ საჭიროებებზე (ჰელერი, 1986:294).

საჭიროებების განსაზღვრისას სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებსა და ექსპერტებს განსხვავებული მიდგომები აქვთ. ამ შემთხვევაში ობიექტურსა და უნივერსალურ მიდგომებს ვჩრდილავთ შედარებითი და სუბიექტური მიდგომებით. არადა საჭიროება მართლაც ხომ ის არის, რასაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი გრძნობს, რომ სჭირდება. ამიტომაც გამოდის, რომ ეს საჭიროებები შეიძლება სუბიექტურიც იყოს. ახლა კი ჩვენი მცდელობა დემარკაციისა ბუნდოვანი ხდება და ჩვენ საჭიროებებზე საუბარს გადავზრდით სურვილებსა და საჭიროებებზე საუბარში, ან „გამოხატულ საჭიროებებზე“ საუბარში. ეს კი ისეთი საჭიროებებია, რომელსაც ადამიანები პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ კონტექსტში წარმოადგენენ. ხოლო რადგანაც „გამოხატული საჭიროებები“ პოლიტიკურ განხილვას ექვემდებარება ის თითქოს უნდა გამორიცხავდეს სუბიექტურობას (ჰელერი, 1986:292).

ყველაზე მნიშვნელოვანი „გამოხატული საჭიროება“ ის არის, რომელიც დროს უძლებს და რომლის გარშემოც სოციალური კონსენსუსი შედგა. პრობლემად ერთადერთი ის რჩება, რომ ასეთ საჭიროებებზე „მოთხოვნა“ მათ მიერ ხორციელდება, ვინც ამ ინტერესების, ძალაუფლებისა და რესურსების უკან დგას. გამოდის, რომ სუბიექტურობის ელემენტი „გამოხატულ საჭიროებებშიც“ ძევს. ახლა ჩვენ ჩიხში მოვექცით. ერთი მხრივ ობიექტურობა და უნივერსალური მიდგომა რისკავს საჭიროების კონცეფციის მატერიალისტურ არსამდე დაყვანას, მეორე მხრივ კი სუბიექტური და შედარებითი მიდგომა რისკავს იმას, რომ ბუნდოვანი რჩება.

სანამ დავასრულებთ ამ დისკუსიას აუცილებელია ვისაუბროთ განსხვავებაზე „ნამდვილსა“ და „ხელოვნურ“ საჭიროებებზე. ძალაუფლებაზე რადიკალური შეხედულების მქონეთა აზრით, ხელმოკლე, დისკრიმინირებულ, ექსპლუატაციურულ ადამიანებს არ აქვთ უფლება იცოდნენ და/ან ფორმულირება გაუკეთონ თავიანთ ჭეშმარიტ ინტერესებს: მათ მართავენ საკუთარი ინტერესების ჩამოყალიბებაში ისინი, ვინც მათ ჩაგრავენ (მუშებს დამქირავებლები, ქალებს მამაკაცები და ა.შ.). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს უვითარდებათ

„ხელოვნური“ საჭიროებები, რომლებიც მათ ჭეშმარიტ ინტერესებს არ გამოხატავენ. გამოდის, რომ რეკლამირება და მთელი კომერციალიზმის ეთოსი „ხელოვნური“ საჭიროებების შთაგონების საშუალებებია.

ემპირიული კლასიფიცირების მეთოდით, კონკრეტული საჭიროებები იყოფა „რეალურ“ და „არარეალურ“ საჭიროებებად (ჰელერი, 1986:282). მაგალითად, საკვების მიღების საჭიროება „რეალურია“, ხოლო თევზის „არარეალური“, წარმოსახვითი. თევზის ჭამის საჭიროება „რეალურია“, მაგრამ მისი ყოველდღე მიღების საჭიროება „არარეალური“. ამ ლოგიკით ყველაფერი, რაც გადარჩენისათვის აუცილებელ მინიმუმს აღემატება ჩამოქვეითებულია „არარეალური“ საჭიროების კატეგორიამდე. საჭიროებების „რეალურად“ და „არარეალურად“ დაყოფა წინასწარვე ირელევანტურად მიიჩნევა „არარეალური“ საჭიროებების დაკმაყოფილებას. ეს არგუმენტაცია კი წააგავს დიქტატორის მიერ ხალხის ნაცვლად გადანყვეტილების მიღებას რა არის „რეალური“ საჭიროება. მაგრამ აქვე აღბათ დაგვებადება კითხვა – თუ ყველა საჭიროება რეალურია, ყველა უნდა დაკმაყოფილდეს? თუ ეს არ არის შესაძლებელი მაშინ ხომ არ უნდა დავეთანხმეთ „არარეალური“ საჭიროებების ირელევანტურად მიჩნევის იდეას?

საჭიროება, რასაკვირველია ყოველთვის იმაზე მეტია, განსაკუთრებით თანამედროვე საზოგადოებაში, ვიდრე დაკმაყოფილება შესაძლებელი, მაგრამ **აუცილებელია შეიქმნას სისტემა, რომელიც ნებისმიერ მოცემულ მომენტში უპირატესობას მიანიჭებს კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას.** ასეთი სისტემა არააქტუალურს ხდის „რეალური“ და „არარეალური“ საჭიროებების გამიჯვნას, რამეთუ აქტუალიზაციას უკეთებს „უფრო საჭირო“ და „ნაკლებად საჭირო“ საჭიროებების გამოკვეთას. ასეთი უპირატესობების განსაზღვრა კი ისეთი სისტემის რეალისტური ამოცანაა, რომელიც სახალხო-დემოკრატიული დისკუსიის საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების ინსტიტუციონალიზაციას მოახდენს.

საჭიროებების დაკმაყოფილების შესახებ დისკუსია ბუნებრივად წამოჭრის მორალურ ასპექტებს. ამ ჭრილში საჭიროებები უნდა დაიყოს „კარგ“ და „ცუდ“ საჭიროებებად. ამას თუ ვუფიქრებლყოფთ, გამოდის რომ ყველა „რეალური“ საჭიროება განურჩევლად „კარგია“ ეთიკური თვალსაზრისით. მაგალითად, ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს, თანაც ხშირად, სხვისი ჩაგვრის ან დამცირების გამოკვეთილი საჭიროება. თუ ადამიანი მორალური შეზღუდვის გარეშე შეეცდება დაიკმაყოფილოს ასეთი საჭიროება, მაშინ უნდა ვალიართ ჩაგვრისა და დამცირების საჭიროების დაკმაყოფილების ლეგიტიმურობა. ამით ცხადი ხდება „რეალურის“ კარგთან“ შეუთავსებლობა. გამოდის, რომ განურჩევლად ყველა საჭიროების დაკმაყოფილება თეორიულადაც კი უსაფუძვლო და მიუღებელია. თუმცა, საქმეს თუ გავირთულებთ იმაზეც უნდა ჩავფიქრდეთ, რომ ცვალებადია კარგისა და ცუდის არსი დროსა და სივრცეში, და გავიაზროთ ამის მიზეზები.

დამეთანხმებით ალბათ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანის საჭიროებათა სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანების მიერ არჩეულ საჭიროებათა სისტემას. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ადამიანებმა თავსმოხვეულ საჭიროებებს მიანიჭონ უპირატესობა. ამას „იმპუტირებული“ ანუ მიწერილი საჭიროებები ეწოდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს მიენერებათ საჭიროებები, რომლებიც მათ არ აქვთ გათვითცნობიერებული როგორც საკუთარი საჭიროებები. მიუხედავად იმისა, რომ არლტი საჭიროების განსაზღვრისას საუბრობს ცნობიერსა და არაცნობიერ საჭიროებაზე, მაინც უნდა დავსვათ კითხვა – ცნობიერია თუ არა საჭიროება? განა ის საჭიროება საჭიროებაა, რომელიც ადამიანს არ აქვს გათვითცნობიერებული? უნდა დავეხმაროთ თუ არა ადამიანს გაათვითცნობიეროს საკუთარი საჭიროებები?

მოდით, ჩავფიქრდეთ კითხვაზე – ერთგვაროვანია თუ არა გაცნობიერების ფორმა და დონე? ჯან პოლ სარტრი გვთავაზობს ძალიან ნიშანდობლივ განსხვავებას საჭიროების გაცნობიერების ფორმებს შორის. მისი აზრით, არსებობს საჭიროება როგორც „დეფიციტი“ და საჭიროება როგორც „პროექტი“. პირველი არის მხოლოდ საჭიროების არსებობის ცნობიერება და მეორე კი მისი დაკმაყოფილებისაკენ გამიზნული ცნობიერი ქმედება. შესაძლოა პირველს მეორე მოსდევდეს, თუმცა ეს ყოველთვის არ არის რეალისტური. მაგალითად, თუ ვინმე თავს ეულად გრძნობს, ამიტომ მისთვის ცხოვრება უაზრო და უმიზნოა და თუ ეს არის საზოგადოებაში გათვითცნობიერებული როგორც შინაარსიანი ცხოვრების დეფიციტი და აღიარებულია ამ დეფიციტის ამოვსების საჭიროება, მაშინ გამოდის რომ საჭიროება არსებობს ზოგად ფორმაში. თუმცა, არ არსებობს მისი დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ქმედება ან ცნობიერება რამდენად შესაძლებელია მისი დაკმაყოფილება ან როგორია მისი დაკმაყოფილების ფორმები. გვიჩნდება კითხვა რატომ? პასუხი ცალსახაა: არ არსებობს სოციალური მისწრაფებები, მიზნები და ინსტიტუტები, რომლებიც ამ საჭიროების დაკმაყოფილებისაკენ წარმართავდნენ პროცესს, ანუ გადააქცევდნენ „დეფიციტს“ „პროექტად“ (სარტრი, 2006).

**საჭიროა თუ არა საჭიროებათა სისტემის მანიპულირება?** გააჩნია მანიპულაცია რა ფორმებს მიიღებს. გეორგ ლუკაჩი ორ უკიდურეს ფორმაზე საუბრობს: ერთს „სასტიკ“ ფორმას უწოდებს, ხოლო მეორეს „რაფინირებულს“. პირველი არსებულ საჭიროებებს არარსებულად ასაღებს და კრძალავს თვითნებური გადაწყვეტილებით ამ საჭიროების დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვას. ამას შეგვიძლია ვუწოდოთ დიქტატორობა საჭიროებებზე. „რაფინირებულ“ მანიპულაციაზე კი გავლენას ახდენენ „აღიარებული საჭიროებები.“ „რაფინირებული“ მანიპულირების სისტემა სთავაზობს ინსტიტუტებს უკვე არსებული და უნივერსალური „პროექტების“ ამუშავებას. მაგრამ უგულბებელყოფილია „დეფიციტი“. ის ცხოვრების ალტერნატიულ გზას არ გვთავაზობს, ის არ წარმოშობს საპირისპირო ინსტიტუტებს და შედეგად, „დეფიციტი“, რომელიც ვერ დაკმაყოფილდება „პროექტებით“ აკუმულირდება და თავს იჩენს სრულიად არ-

არაციონალურ ფორმებში: ნევროზებისა და ძალადობის სახით. გამოდის რომ ორივე ფორმით მანიპულაციას მივყავართ საჭიროებების „რეალურ“ და „არარეალურ“ საჭიროებებად დაყოფისაკენ. გამოდის, რომ საჭიროების ყველა ტიპის მანიპულაცია არღვევს ნორმას იმის თაობაზე, რომ ყველა საჭიროება უნდა იყოს აღიარებული და დაკმაყოფილებული გარდა იმ საჭიროებებისა, რომლებიც კანტის კატეგორიული იმპერატივის მიხედვით ადამიანისათვის მეორე ადამიანს „მხოლოდ საშუალებად აქცევს“ (მეისი, 2010).

თუ პოლიტიკა არის იმის შესახებ თუ როგორი უნდა გავხადოთ სამყარო და ასევე იმის შესახებაც თუ როგორს გვხდის ჩვენ ის, კეთილდღეობის სისტემა, მისი რაგვარობა არსებითი მნიშვნელობისაა. კეთილდღეობის განმსაზღვრელ კომპონენტებს შორის კი, გახსოვთ ალბათ წინა ლექციებიდან, საჭიროება ერთერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტადაა მიჩნეული.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. გაიხსენეთ დროსა და სივრცეში სახეცვლილი საჭიროებების შემთხვევები და გაიაზრეთ რა არის ამის მიზეზი?
2. წარმოადგინეთ საჭიროებათა სხვა თეორეტიკოსების (რომლებიც კონსპექტში არ არიან წარმოდგენილნი) ის მოსაზრება, რომელსაც ყველაზე მეტად იზიარებთ.



## სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა

### მიმოხილვა

როულსი თანასწორობის თაობაზე

სოციალური თანასწორობისა და ინდივიდუალური თავისუფლების მოდელები

ლე გრანდის თანასწორობის კლასიფიცირების მოდელი:

ჯონ სმიტის მიერ ჩამოყალიბებული სოციალური სამართლიანობის კონცეფცია  
გარი კრეიგი სმიტის კონცეფციის თაობაზე

რიჩარდ ტიტმუსი სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებების მიწოდების  
თაობაზე

მომსახურების მოდელები:

- უნივერსალური
- სელექტიური

დადებითი დისკრმინაცია

დებატები კომპლექსურსა და მარტივ თანასწორობაზე.

სოციალური განვითარების იდეოლოგია თეორიული მოდელები:

სოციალური სამართლიანობის მოაზრების ორი სკოლა:

- იდენტობაზე დამყარებული
- რესურსებზე დამყარებული

სოციალური სამართლიანობისკენ მიმავალი სამართლებრივი გზები:

სოციალური მუშაობა სოციალური სამართლიანობისათვის

სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის ცნება დაუსრულებელი დისკუსიების საგნადაა ქცეული. ჯონ როულსი, მეოცე საუკუნის მორალური და პოლიტიკური ფილოსოფოსი, ჰიუმის, არისტოტელეს, ჰეგელის, კანტისა და სხვა მორალურ ფილოსოფოსთა მსგავსად სოციალურ სამართლიანობად მიიჩნევდა სოციალური ინსტიტუტების მიერ ფუნდამენტური უფლებების, მოვალეობებისა და სოციალური თანამშრომლობის შედეგად მიღებული სარგებლის განაწილების განსაზღვრას. მისი აზრით, ყველა სოციალური ფასეულობა – თავისუფლება და შესაძლებლობები, შემოსავალი და სიმდიდრე, და თვითპატივისცემის სოციალური საფუძვლები უნდა გადანაწილდეს თანაბრად ყველა შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რომელიმე ან ყველა ამ ფასეულობის არათანაბარი გადანაწილება ყველასათვის სარგებლის მომტანია.

**როულსის** აზრით, თანასწორობა არის როგორც ფილოსოფიური ცნება ასევე პოლიტიკური პრინციპი. თანასწორობა არის რესურსის სამართლიანი განაწილება, ხოლო თანასწორობის სახეობას რესურსის სახეობა განსაზღვრავს. როულსის აზრით, თუ ჩვენი მიზანი ღარიბთა მდგომარეობის

გაუმჯობესებაა, მაშინ კერძო მესაკუთრეობამ და თავისუფალმა ბაზარმა უნდა შექმნას დოვლათი და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი გადანაწილება. ამ დოვლათის სამართლიანი გადანაწილების უზრუნველსაყოფად აუცილებელია რედისტრიბუციული საგადასახადო სისტემის, ეგალიტარული კეთილდღეობის სისტემის, გარკვეულწილად სოციალიზირებული საკუთრების მფლობელობის არსებობა, და ლიმიტირებული საბაზრო რეგულირება (ფიცვატრიკი, 2001).

სოციალური თანასწორობა შეიძლება განისაზღვრებოდეს სიმდიდრის მინიმუმის ზღვართ, რომლის ქვევით არავინ არ უნდა აღმოჩნდეს, და რომლის ზევითაც არავის არ უნდა ჰქონდეს აღმოჩენის უფლება. საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით თანასწორები, რამეთუ ჩვენ ყველა განსხვავებულები ვართ. თუმცა, არ უნდა დაგვაგინყდეს ისიც, რომ არსებობს ნიშნები რომელთა მიხედვითაც ჩვენ ყველა განვსხვავდებით, იმ ნიშნებზე დამატებით, რომელთა მიხედვითაც ჩვენ ყველა მსგავსნი ვართ. არ უნდა აგვერიოს თანასწორობა იდენტურობაში (ფიცვატრიკი, 2001).

სოციალურ პოლიტიკოსთა აზრით, **სოციალური თანასწორობისა და ინდივიდუალური თავისუფლების შემდეგი მოდელები** არსებობს (ფიცვატრიკი, 2001):

- სოციალური თანასწორობა დომინირებს ინდივიდუალურ თავისუფლებაზე;
- ინდივიდუალური თავისუფლება დომინირებს სოციალურ თანასწორობაზე;
- კომპრომისები მათ შორის.

პირველი მოდელი გულისხმობს საკმაოდ რეგულირებად ეკონომიკას და საზოგადოებას, რომელშიც კეთილდღეობის მომსახურებები გადანაწილებადია, და მაღალ მაჩვენებლიან საგადასახადო სისტემას. მეორე მოდელი, „უხილავი ხელით“ რეგულირებად ეკონომიკას და ლიბერალურ საზოგადოებას მცირე კეთილდღეობის მომსახურებით და ძალიან დაბალ მაჩვენებლიანი საგადასახადო სისტემით. მესამე კი, კეთილდღეობის სისტემას წარმოადგენს პირველ ორს შორის კომპრომისის რაგვარობის მიხედვით.

რესურსთა თანასწორობა იდეალური ვარიანტია, რომლის მიღწევა სამწუხაროდ თითქმის შეუძლებელია, ამიტომ ყველაზე მეტი რისი იმედიც შეიძლება რეალურად ვიქონიოთ არის *რესურსთა მოპოვებისათვის თანასწორობის* შესაძლებლობის შექმნა. ისინი, ვისაც სჯერათ კეთილდღეობისა და რესურსთა თანასწორობისა არიან **ლიბერალური ეგალიტარები** (ე.ი. სოციალურ თანასწორობას ანიჭებენ პრიორიტეტს), ხოლო ისინი ვინც მხარს უჭერენ რესურსთა ან კეთილდღეობის მოპოვების თანასწორობის შესაძლებლობას, არიან **ეგალიტარი ლიბერალები** (ე. ი. თავისუფლებას ანიჭებენ პრიორიტეტს). უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალური თანასწორობის იდეას უნივერსალური მხარდაჭერა არ მოჰყოლია თვით კეთილდღეობის სისტემის შემქმნელ-

თა შორისაც. მაგ., ბისმარკმა 1870 შექნა საპენსიო და უმუშევართა დაზღვევა იმ მოტივით, რომ შეეფერებინა სოციალისტთა ეგალიტარული რეფორმების გატარება გერმანიაში (ფიცპატრიკი, 2001).

თანასწორობის *კლასიფიცირების სხვადასხვა მოდელი* არსებობს. განვიხილოთ ჯულიან ლე გრანდის თანასწორობის მოდელი (ფიცპატრიკი, 2001), რომელიც შემდეგ სახეობებს აყალიბებს:

- **სახელმწიფო დანახარჯის თანასწორობა:** სახელმწიფო დანახარჯი კონკრეტულ სოციალურ მომსახურებებზე უნდა განაწილდეს ყველა რელევანტურ სუბიექტს შორის, მაგ. თანაბარი ზომის 2 სახელმწიფო საბავშვო ბაღს უნდა გამოეყოს თანაბარი რაოდენობის თანხა.
- **საბოლოო შემოსავლის თანასწორობა:** ეს ვერტიკალურ გადანაწილებას გულისხმობს მდიდრებიდან ღარიბებამდე.
- **თანაბარი ღირებულება:** ყველა მომსახურე პერსონალი თანაბარი პირადი ღირებულების ან შესაძლებლობების წინაშე უნდა იყოს. არ შეიძლება ერთი და იგივე მომსახურებაზე ერთის საფასური აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს მეორეზე.
- **შედევების თანასწორობა:** ეს კეთილდღეობის სამსახურის მომხმარებლისთვის შედეგების ეკვივალენტურობას გულისხმობს.

**ჯულიან ლე გრანდის აზრით**, ბრიტანეთში კეთილდღეობის სისტემამ არ იმუშავა და ის ამ მარცხისთვის თავიდანვე იყო განწირული თავისი ურთიერთწინააღმდეგობრივი რაგვარობის გამო. მიუხედავად განზრახვისა თანასწორობის პრინციპზე აგებულიყო კეთილდღეობის სისტემა, ამის გაკეთება შეუძლებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც ძირშივე უთანასწორობაა მის წევრებს შორის. მაგ., მდიდრები 40 %-ით მეტს იღებენ სამედიცინო მომსახურებიდან ვიდრე ღარიბები. კეთილდღეობის სისტემიდან ბენეფიტების მოხმარებისას ღარიბები უმეტესწილად თავიანთივე კონტრიბუციებით სარგებლობენ. მხოლოდ L1/5 შეადგენს ის წილი, რაც მდიდრებიდან ღარიბებს ხმარდებათ (კრეიგი, 2002). თუმცა, ლე გრანდის აზრით, არ იქნება ეფექტიანი რესურსების სრული გათანაბრება, რამეთუ ეს გამოიწვევს იმ ნაწილის მხარდაჭერის დაკარგვას, რომლისგანაც ეს რესურსები მოედინება.

**ჯონ სმიტის** მიერ ჩამოყალიბებული სოციალური სამართლიანობის კონცეფცია შემდეგ პრინციპებს ემყარება (კრეიგი, 2002):

- ყველა მოქალაქე თანაბარად ღირებულია;
- ყველა სარგებლობს საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების თანაბარი უფლებით;
- რაც შეიძლება თანაბრადაა გადანაწილებული შესაძლებლობები და ცხოვრების შანსები;

- უსამართლო უთანასწორობა შემცირებულია და სადაც შესაძლებელია აღმოფხვრილია.

სმიტის თითქოს ყოვლისმომცველ კონცეფციას წუნს დებს **გარი კრეიგი** (2002) იმის გამო, რომ ის მონყვლადი ფენის წარმომადგენლებს სოციალური უთანასწორობის მსხვერპლად განიხილავს და არა აქტორად, რომელმაც სამართლისათვის უნდა იბრძოლოს და მას მიაღწიოს. კრეიგის აზრით, სოციალური სამართლიანობა მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ კურსს, და ემყარება განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების მიმდებლობას შემდეგ ფასეულობებზე დაყრდნობით:

- შედეგების თანასწორობა და სამართლიანობა;
- განურჩევლად ყველას ღირსების აღიარება;
- საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება;
- სიმდიდრის, შემოსავლის და ცხოვრების შანსების უთანასწორობის მაქსიმალურად შემცირება, და
- ყველას, მათ შორის ყველაზე მონყვლადთა მონაწილეობა.

ეს პრინციპები კი სოციალური მუშაობის იდეოლოგიას და პრინციპებს ზედმინეწვით ასახავს. სოციალური მუშაკისათვის აუცილებელია ჩამოყალიბებული ჰქონდეს სტრატეგია, რომელსაც მიმართავს სოციალური სამართლიანობის მიღწევისათვის. კრეიგის აზრით (2002), უპირველეს ყოვლისა სოციალურმა მუშაკმა მტკიცებულებების შეგროვება და გავრცელება უნდა უზრუნველყოს. სოციალური პროგრამების შექმნაში ძირითადად ცენტრალური ხელისუფლებისა და ძალაუფლების მქონე არასამთავრობო ან/და კერძო სექტორის წარმომადგენლები არიან ჩართულნი, რომლებიც საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებენ, ხოლო ისინი ვისთვისაც ეს პროგრამები მზადდება, ადგილობრივი ხელისუფლების თუ თემის წარმომადგენლები ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ამ ინიციატივებში ჩართულნი. ისინი, რომც იყვნენ ჩართულნი, ძღვევამოსილი პარტნიორობის ინტერესებისა და მთავრობის მიერ განსაზღვრული მიზნების ტყვეობაში უფრო არიან, ვიდრე მომსახურების მიმდებთა. სოციალურ მუშაკებს, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორში დიდი როლის თამაში შეუძლიათ ამ უგულებელყოფილი მოქალაქეების კონსულტაციებში ჩართვაში. მისი აზრით, სოციალურმა მუშაკებმა სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლა ამ პრინციპების თავიანთი დასაქმების ორანიზაციებში გატარებით უნდა დაიწყო. სოციალური მუშაკები უნდა დაფიქრდნენ როგორ დაიცვან თავი იმისაგან, რომ არ გახდნენ მთავრობის მიერ გატარებული ცვლილებების აგენტები, ნაცვლად იმისა რომ ისინი პროფესიული ფასეულობების ერთგულ და მომსახურების მიმდებთა ინტერესების დაცვისაკენ მიმართული ცვლილებების აგენტებად დარჩნენ, რაც პროფესიის ისტორიული მემკვიდრეობაა.

**რიჩარდ ტიტმუსის აზრით**, სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებების მიწოდება მომხმარებლისთვის იმგვარად უნდა ხორციელდებოდეს, რომ ეს არ იყოს მათი სტატუსის, ღირსებისა და პატივისცემის შემლახავი აქტი. სახელმწიფო დახმარების სისტემა არ უნდა იყოს სტიგმატიზირებული და მომხმარებელს არ უნდა რჩებოდეს შთაბეჭდილება, რომ იგი მოიაზრება საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან, როგორც „საზოგადოებრივი ტვირთი“ (ტიტმუსი, 1968:129 ფიცპატრიკთან, 2001). ის კი, მიუხედავად სოციალური კეთილდღეობის სხვადასხვა მეტად თუ ნაკლებად წარმატებული მოდელების ოპერირების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ძნელი მისაღწევი აღმოჩნდა.

თუ განვიხილავთ **მომსახურების უნივერსალურსა და სელექტიურ მოდელებს**, დავრწმუნდებით, რომ ცალსახად უნაკლო და ბრმად დასაწერგი არც ერთია და არც მეორე. უნივერსალური მომსახურება გულისხმობს მომსახურების იმ სახეობას, რომელიც გამოწვეულია საჭიროებით, რომლის დაკმაყოფილებაც შეუძლებელია ინდივიდის მოცემული შემოსავლით. სელექტივიზმის შემთხვევაში კი, ხორციელდება მდგომარეობის ტესტირება და იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი ამ ტესტის ქვედა ზღვარს ქვევითაა, მას შანსი აქვს მოხვდეს ამა თუ იმ დახმარებისა და შეღავათის მიმღებთა კატეგორიაში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალური მომსახურება მოქალაქეობრივ ეთიკას მოიცავს, იგი გარდა იმისა, რომ ძალიან ძვირადღირებული მომსახურებაა, ეგალიტარულ პრინციპსაც ეწინააღმდეგება გარკვეულწილად, რამეთუ მდიდარმა და მისმა მეზარეულმა ერთი და იგივე სოციალური უზრუნველყოფის პაკეტი უნდა მიიღოს, ეს კი მათ შორის კიდევ უფრო გაზრდის უკვე არსებულ უთანასწორობას. ამიტომ, სელექტიური მომსახურება უფრო ვერტიკალური დისტრიბუცია გამოდის.

მდგომარეობის ტესტირებით დადგენილი სარგებელი გადასახადებიდანაა დაფინანსებული და მხოლოდ იმათ ხმარდება, ვინც შემოსავლის დადგენილ ზღვარს ქვევით აღოჩნდება. სელექტივიზმი გულისხმობს ხალხის არათანასწორ მომსახურებას იმ მიზეზით, რომ მათი შემოსავლები არათანაბარია. სამწუხაროდ, სელექტივიზმიც ეწინააღმდეგება ეგალიტარულ პრინციპებს, რამეთუ ის ხალხს „მქონეთა“ და „არა-მქონეთა“ კატეგორიებად ჰყოფს, და სელექტიური პრინციპით შერჩეულთა კატეგორიის სტიგმატიზირებას იწვევს. სელექტივიზმი, განვითარებადი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., როგორიცაა საერთაშორისო მონეტარული ფონდი და მსოფლიო ბანკი), უპირატესი სტრატეგიაა.

განსხვავებები შემოსავლების ზრდაში შემოსავლების დისტრიბუციის ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ დონეზე ზრდის მთლიან უთანასწორობას. ხელისუფალნი, განსაკუთრებით კი ნეო-ლიბერალური შეხედულებისა, ხშირად არ ახდენენ სწრაფ რეაგირებას მაღალი შემოსავლების სწრაფ ზრდაზე, რადგან ამას საერთო მდგომარეობისთვის სასიკეთო ტენდენციად მიიჩნევენ. თუმცა

ბევრ ქვეყანაში და მათ შორის გაერთიანებულ სამეფოში 1980-1990 წლების სიტუაციამ გამოაშკარავა ჩაურევლობის მიდგომის (laissez-faire approach) წარუმატებლობა, რომელიც მდიდართა მდგომარეობისა და ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებას ანიჭებდა უპირატესობას იმ მოლოდინით, რომ ეს ავტომატურად „გაუმკლავდება“ სიღარიბეს (ჰილსი და კოლეგები, 2009:359). უთანასწორობასთან გამკლავების სხვადასხვა მიდგომები და შეხედულებები არსებობს, ზოგიერთთა აზრით, ეს მიდგომები დროისა და სიტუაციის მიხედვით უნდა იცვლებოდეს. ამ ცვლილებებს კი სხვადასხვაგვარი წინაპირობები აქვს, მაგალითად, დაიამონდი და გიდენსი თვლიან, რომ სამემოსავლო და ქონებრივი უთანასწორობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღმოიფხვრას თუ ის „აფერხებს სხვა სოციალური სამართლიანობის მიზნების რეალიზაციას მათ შორის სიღარიბესთან ბრძოლას“ (დაიამონდი და გიდენსი 2005 ციტირებული ჰილთან და კოლეგებთან 2009:350). სხვა საკითხია რა ჩაითვლება „შეფერხებად“. ეს მაინც პოლიტიკური ინტერპრეტაციის სფეროა.

ლიონსის და მისი კოლეგების აზრით (ლიონსი, მენიონი & კარლსენი, 2006), ბევრი ჩვენგანი მერიტოკრატიაში ცხოვრობს, მაგრამ მაინც ვართ დაყოფილი დამსახურებულ მქონებლებად და დაუმსახურებელ არმქონებლებად. ეს თვალსაზრისი ამყარებს რწმენას, რომ ისინი, ვინც სიღარიბეში ცხოვრობენ, იმსახურებენ ასეთ ბედს, ან მათი სიღარიბე არის მათივე პირადი ნაკლის შედეგი. ხოლო, შეძლებულებმა მძიმე შრომისა და ბრძნული გადაწყვეტილებების საშუალებით მოიპოვეს ყველაფერი. ეს დაყოფა მიმზიდველი ჩანს, რადგან საქმეს აადვილებს და მქონებლებს ათავისუფლებს უქონელთათვის მსხვერპლის გაღების ვალდებულებისგან. ასეთი რწმენა მქონებლებს აძლევს უფლებას გვერდიდან უდრტივინველად უყურონ სხვადასხვანაირ, უბედურება (შიდს-ი, შიმშილი და ომი) როგორ ანადგურებს იმათ, ვისაც როგორც ჩანს, არ აქვთ საკუთარი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ინიციატივა. ასეთი მოსაზრება უპირისპირდება სოციალური მუშაობის მორალურ წანამძღვრებს, იმას მაინც, რომელიც სოციალურ სამართლიანობას ემყარება.

კეთილდღეობის პრინციპებზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ **დადებითი დისკრიმინაციის** თემას, რაც გულისმობს ადამიანთა იმ ჯგუფების ინტერესებისა და მოთხოვნილებების უპირატესად დაკმაყოფილებას, რომლებიც ოდითგან უსამართლობისა და უთანასწორობის მსხვერპლნი არიან. ამ იდეის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ ეს არასწორი და უსამართლო პოლიტიკაა, რამეთუ იმ ადამიანთა მოთხოვნილებების დისკრიმინაციას იწვევს, რომლებიც ოდითგან დისკრიმინირებულთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან და ნიადაგს უმზადებს ახალი ასეთი ჯგუფის შექმნას. ეს პრინციპი გულისხმობს ნიჭიერი არაპრივილეგირებული ჯგუფის წევრის პრივილეგირებას არა მისი ნიჭის ან დამსახურების მიხედვით, არამედ კვოტის გამო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი ყისმათიანი ადამიანი არაპრივილეგირებულთა

წრიდან სარგებელს ღებულობს, როგორც არაპრივილეგირებულთა, ასევე პრივილეგირებულთა ხარჯზე. დადებითი დისკრიმინაციის მომხრეთა აზრით კი, არაპრივილეგირებულთა მოკლევადიანი პრივილეგიები პრივილეგირებულთა ხარჯზე არა თუ ვერ გაათანაბრებს, არამედ ვერც გადანონის პრივილეგირებულთა გრძელვადიან კეთილდღეობას (ფიცვატრიკი, 2001).

ლიონსის და მისი კოლეგების აზრითაც (ლიონსი, მენიონი & კარლსენი, 2006), თანამშრომელთა დაქირავების პრაქტიკის მაგალითზე ვხედავთ, რომ თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკა ხშირად დასაქმების უფრო დიდ შანსს აძლევს იმათ, ვინც ამ კონკრეტულ დარგში ნაკლებ კომპეტენტურია (შეიძლება უფრო უმცირესობის სტატუსის გათვალისწინებით, და არა კვალიფიკაციის). კონტრარგუმენტი კი გახლავთ ის, რომ ძალაუფლების ისტორიული დისბალანსის და უსამართლო „იზმების“ გამოსასწორებლად, თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის მხარდაჭერა ქმნის აუცილებელ მექანიზმს ბალანსის მისაღწევად. დისკუსიები სოციალური სამართლიანობის შესახებ ხშირად თანაბარ შესაძლებლობებსაც ეხება და სწორედ ეს წარმოქმნის ამ თეორიის სადავო ასპექტებს.

ბოლო წლებში გამართულ დებატებს შორის სოციალურ თანასწორობაზე, საინტერესოა **დებატები კომპლექსურსა და მარტივ თანასწორობაზე**. მარტივია თანასწორობა, რომელიც განხორციელდება საზოგადოებაზე სამართლიანი გადანაწილების ერთეული სისტემის საფუძველზე. ეს კი თავის მხრივ ეწინააღმდეგება, როგორც მრავალსახეობის, ასევე პლურალიზმისა და ადგილობრივი ავტონომიის პრინციპებს. კომპლექსური თანასწორობა კი გულისხმობს არა სხვადასხვა სოციალური საქონლის ერთი სამართლებრივი გადანაწილების სისტემაში ჩართვას, არამედ ყოველი საქონლის თავისი გადანაწილების სფეროში მიწოდებას იმ ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც არაა აუცილებლად მსგავსი სხვა სფეროებში. თანასწორობის ორივე თეორიის მიზანია, არ დაუშვას მონოპოლია, მაგრამ მარტივი თანასწორობა რისკავს ეკონომიკური მონოპოლიის (მდიდართა ძალაუფლების) შეცვლას პოლიტიკური მონოპოლიით (სახელმწიფო ძალაუფლებით), მაშინ როცა კომპლექსური თანასწორობა ყალიბდება კომუნალური და დემოკრატიული წარმოებისა და მიწოდების პრინციპებზე, ეს კი სამოქალაქო საზოგადოების პრინციპის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ზოგადად, სოციალური განვითარების იდეოლოგია სხვადასხვა ტენდენციებით ხასიათდება, თუმცა ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი თეორიული მოდელებია: სამრეწველო, სათემო, სახელმწიფო და ინსტიტუციური.

**სამრეწველო განვითარების მომხრეები** თავიანთი პოზიციის სისწორეს ამ სტრატეგიის ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებლობით ასაბუთებენ. მათი აზრით, ინდივიდუალური მიდგომა, ბაზარი, და კერძო მენარმეობა ადამიანთა

სოციალური კეთილდღეობის საწინდარია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრენველობის განვითარების მომხრეები არ უჭერენ მხარს საბაზრო ეკონომიკის „უხილავი ხელის“ პრინციპს, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს ჩარევას საბაზრო ეკონომიკაში. ისინი მხარს უჭერენ ინდივიდუალურ ძალისხმევას და სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახის აქტიურობას მიესალმებიან, რომელიც კერძო მენარმეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. მათ მიაჩნიათ, რომ მხოლოდ კერძო სექტორის განვითარებას შეუძლია ცხოვრების სტანდარტის ამაღლება მესამე მსოფლიოს ქვეყნებში. მათი აზრით, მთავრობამ უნდა შეამციროს გადასახადები, მოახდინოს მომსახურებების პრივატიზება და ეკონომიკის დერეგულირება, რაც კომერციული მენარმეობის აყვავებას და უმუშევრობის შემცირებას გამოიწვევს, რაც თავის მხრივ გაზრდის შემოსავლებს და ცხოვრების სტანდარტს.

**სათემო სტრატეგია** თემის როლს უსვამს ხაზს სოციალური განვითარების საქმეში. თუ სამენარმეო სტრატეგიის მომხრეები ინდივიდის როლს ანიჭებენ უპირატესობას სოციალური განვითარების საქმეში, სათემო სტრატეგიის მომხრეები ამ უპირატესობას თემს ანიჭებენ. მათი აზრით, თემს უკეთ შეუძლია ადგილობრივი რესურსების კონტროლი.

**სახელმწიფო სტრატეგიის მომხრეები** კი თვლიან, რომ სოციალური განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს, სპეციალიზებული სააგენტოების, პოლიტიკის შემუშავებელთა, მგეგმავთა და ადმინისტრატორთა თანამშრომლობა. მათი აზრით, სახელმწიფოს ყველაზე მეტად ხელენიფება რესურსების მობილიზება, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზება მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

**ინსტიტუციური მიდგომა** კი ითვლისწინებს თემის, ბაზრისა და ინდივიდის ერთობლიობას სოციალური განვითარების პროცესში.

ბევრი თეორეტიკოსის აზრით, სოციალური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა სოციალური სამართლიანობა. ჰუგმანის აზრით (2010), სოციალური სამართლიანობა ემყარება სოციალური კონტრაქტის ბევრ თეორიას. ამ თეორიათაგან ბევრი აღიარებს, მთავრობის მიერ მონოდებულ სოციალური კეთილდღეობის იდეას (ადამიანის უფლებების ჩათვლით). მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის კონტრაქტი ხალხსა და მთავრობას შორის, თანაბარი სარგებლის მისაღებად (ნუსბაუმი, 2000ა). **დოვლათისა და რესურსების ყველასთვის სამართლიანად და თანასწორად მიწოდება არის მთავარი სოციალურ სამართლიანობაში. მაგრამ ის აგრეთვე პასუხისმგებლობების თანაბრად განაწილებასაც გულისხმობს.** ამიტომაც, ისინი, ვინც სოციალურ სამართლიანობას უჭერენ მხარს, იბრძვიან სიღარიბის და მიკერძოებული, რასისტული პოლიტიკის აღმოფხვრისთვის.

ტაილერის და მისი თანაავტორების თქმით (1997), **სოციალური სამართლიანობის მოაზრების ორი სკოლა შეიძლება გამოვყოთ:** იდენტობაზე, დამყარებული და რესურსებზე დამყარებული. **იდენტობაზე**



**დამყარებულისოციალური სამართლიანობა** გულისხმობს, რომ „ადამიანები სხვებთან ურთიერთობას ამყარებენ, რათა საკუთარი თავი იგრძნონ კარგად (გვ. 185) და, რომ სწორედ ეს სოციალური ურთიერთობა არის თავიდათავი უსამართლობისა და სამართლიანობისა. **რესურსებზე დამყარებული სოციალური სამართლიანობა** ვარაუდობს, რომ „ადამიანები ურთიერთობას ამყარებენ, რათა საკუთარი თავისთვის მოიპოვონ რესურსები“ (გვ. 181) და, რომ ეს ურთიერთობა არის თავიდათავი უსამართლობის და სამართლიანობისა.

**სამართლებრივ ჩარჩოებზე თუ ვისაუბრებთ, არსებობს სოციალური სამართლიანობისკენ მიმავალი სამი მთავარი გზა:** დისტრიბუციული, პროცედურული და რეტრიბუციული სამართლიანობა. **დისტრიბუციული სამართლიანობა** ეხება სამართლიან შედეგებს ან გამოსავლებს. ამის მაგალითად გამოდგება კომპენსაციის მოთხოვნა და თანასწორ შესაძლებლობებზე დავა. **პროცედურული სამართლიანობა** ეხება პროცედურების და მმართველობის სამართლიანი სისტემის შექმნას და მხარდაჭერას. კარგი მთავრობის კონცეფციამ ბოლო წლებში შექმნა მნიშვნელოვანი ჩარჩოები განვითარებისთვის. ამით დონორებისთვის, როგორცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მიმღებ მთავრობებთან თანამშრომლობის ახალი გზა გაიხსნა, რათა განვითარებისთვის მონოდებულ დახმარებას ნამდვილად ჰქონდეს კარგი შედეგი და ხანგრძლივი ეფექტი. **რეტრიბუციული სამართალი** გულისხმობს სამართლიან პასუხისგებას ან სასჯელს (ტაილერი და სხვები, 1997). ეს სისხლის სამართლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა და მოიცავს კანონის დამრღვევის დაპატიმრების იდეას. ზოგადად ეს ორი მიზეზით კეთდება: დამრღვევის დასასჯელად და მოსახლეობის დასაცავად. ამ სისტემის ყველაზე უკიდურესი ფორმა გახლავთ ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის აშშ-სა და ჩინეთში) მიღებული სიკვდილით დასჯა. ყველა ეს მოვლენა ეხება სოციალური მუშაკების მიერ მომსახურების განვითარებას დასავლეთში, ისევე, როგორც სოციალური და თემის განვითარების პროგრამებს სამხრეთის ქვეყნებში.

**სოციალური კეთილდღეობის და სისხლის სამართლის სისტემებში, იზრდება ყურადღება მეოთხე სფეროზე – აღდგენით სამართალზე** (ლოსონი და კატზი, 2004). ანაზღაურების სამართლისეული მიდგომა ნასესხებია (მაგ., კანადისა და ახალი ზელანდიის) კულტურასა და სამართალზე დაფუძნებული პრაქტიკიდან (ფოქსი, 2005). ეს ცვლის იმ გზას, რომლითაც ზოგიერთი პოლიციური ძალები უდგებიან დანაშაულს, განსაკუთრებით, ახალგაზრდების დანაშაულს. იდეა ის გახლავთ, რომ დამნაშავეს თხოვენ მსხვერპლთან პირისპირ, უსაფრთხო მოლაპარაკების გზით გამოასწოროს/ანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ამ სიტუაციაში მსხვერპლს შეუძლია, გამოთქვას, თუ რა ზეგავლენა იქონია მასზე დანაშაულმა (მაგ., საკუთრების დაკარგვა, ემოციური ზენოლა). ასეთი მოლაპარაკებისას შეიძლება ანაზღაურებაზე შეთანხმება,

რომელიც ჩანაცვლებს დამნაშავეს დაკავებას. თუ ეს ეფექტური აღმოჩნდა, ეს არა მხოლოდ შეაჩერებს რეციდივიზმს, არამედ, დაეხმარება ახალგაზრდებს გაისიგრძეგანონ მათივე დანაშაულის უარესი შედეგების შესაძლებლობა (ლოსონი და კატზი, 2004). შეიძლება შედეგი სამმაგი იყოს – შერიგება, ანაზღაურება და ტრანსფორმაცია (იქვე). აღდგენითი სამართლის პრინციპებსა და პრაქტიკას ვხვდებით მაკრო დონეზეც; მაგალითად, სამხრეთ აფრიკასა და რუანდაში გავრცელებულ ჭეშმარიტებისა და შერიგების პროცესებში.

მოდით, შევეცადოთ გავიაზროთ როგორი არის და/ან უნდა იყოს სოციალური მუშაკის როლი სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლაში. ლიონსისა და მისი კოლეგების აზრით (ლიონსი, მენიონი & კარლსენი, 2006), სოციალური სამართლიანობა და ადამიანის უფლებები ორივე შეიძლება შევაფასოთ, როგორც სოციალური ქმედებების საფუძველი, რომელიც უპირისპირდება უთანასწორობის ნეგატიურ შედეგებს – ძალაუფლების დაუბალანსებლობას და სოციალურ დაყოფას. სოციალური მუშაობა არის პრაქტიკული პროფესია ფასეულობათა ძლიერი სისტემით და სავარაუდოდ ის ემყარება სოციალურ სამართლიანობას. ამერიკის სოციალური მუშაკთა ეროვნული ასოციაციის განცხადებით:

*სოციალური სამართლიანობა არის ხედვა იმისა თაობაზე, რომ ყველა იმსახურებს თანასწორ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს და შესაძლებლობებს. სოციალური მუშაკების მიზანია, გახსნან მიღწევისა და შესაძლებლობების კარი ყველასთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მეტად უჭირს (ასმეა, 2004).*

სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის და სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციების განმარტებით (IFSW, IASSW, 2006) კი:

*სოციალური მუშაობის პროფესია ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებას, ცდილობს პრობლემის გადაჭრას ადამიანთა ურთიერთობებში, ასევე ადამიანთა გაძლიერებას და თავისუფლებას კეთილდღეობის ასამაღლებლად. ადამიანის ქცევის და სოციალური სისტემების თეორიების გამოყენებით, სოციალური მუშაობა ინტერვენციას ახდენს ადამიანის გარემოსთან ურთიერთქმედების დონეზე. ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სოციალური მუშაობისთვის.*

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ეთიკის კოდექსში პრეამბულა ხაზს უსვამს სოციალური მუშაკების ფუნქციას ხელი შეუწყონ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას მომსახურების მიმღებთა სახელით და მათთან ერთად (სსმა ეთიკის კოდექსი, 2006). კოდექსი ასევე ამბობს, რომ:

*სოციალური მუშაობის ეთიკური პრინციპები დაფუძნებულია სოციალური მუშაობის ისეთ ძირითად ფასეულობებზე, როგორც არის სოციალური სამართლიანობა, პიროვნების ღირსება, ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობები, საზოგადოების ერთიანობა და სოციალური მუშაობის პროფესიონალთა კომპეტენტურობა. ეს ფასეულობანი ასახავენ იმ იდეალებს, რომლებსკენაც უნდა ისწრაფოდეს ყველა სოციალური მუშაკი.*

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის იდენტურია შეხედულებები იმის თაობაზე თუ როგორი უნდა იყოს სოციალური მუშაკის როლი სოციალური სამართლიანობის საქმეში (განსაკუთრებით კი პროფესიულ წრეებში), განსხვავებული შეხედულებები არსებობს იმის თაობაზე, თუ რამდენად ასრულებს სოციალურ მუშაკი ამ პუნქციას. ჰუგმანის აზრით (2010), ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის პოსტსაგანმანათლებლო ეპოქისეული აღქმა (უფრო ხშირად) ძალიან თავისებურ ხასიათს იძენს. ფრაზები „სოციალური ჰარმონია“ ან „სოციუმის ერთსულოვნება“ ჩრდილოეთის ქვეყნებშიც შეიძლება გაიგონოთ სოციალური მუშაკისგან, თუმცა როგორც სტატუს კვოს მხარდაჭერა გარიყული და დისკომფორტირებული ადამიანების ინტერესთა ხარჯზე. როგორც შევნიშნეთ, სამხრეთის ქვეყნებში ტრადიციული მოსაზრებები ოჯახისა და თემის შესახებ ისევ საკმაოდ მნიშვნელოვანია, როგორც მთავარი ასპექტი სამართლიანი სოციალური წესრიგისა. სოციალური მუშაობისთვის მხოლოდ ზედმეტად ინდივიდუალისტური აღქმის ქონა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივალნიოთ ამ ფასეულობებს ასეთ კონტექსტში შეიძლება არანაყოფიერი გამოდგეს და იმავდროულად, წარმოქმნას აშკარა ფორმა ნეოკოლონიალიზმისა. ეს არ ნიშნავს, რომ სოციალურ მუშაკებს აფრიკაში, აზიაში, წყნარი ოკეანის რეგიონში, სამხრეთ ამერიკაში ან (ადგილობრივ სოციალურ მუშაკებს) ჩრდილოეთის ქვეყნებში არ აქვთ იგივე ფასეულობები, რაც მათ კოლეგებს სხვაგან იმის თაობაზე, რომ სოციალური მუშაკის მხრიდან მიუღებელია ვინმეს შეურაცხყოფაში ან დაშავებაში მონაწილეობა. ეს ნიშნავს, რომ დასკვნები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს დისკრიმინაცია, უნდა გადაისინჯოს იმ გარემოსთან მიმართებით, სადაც მოქმედება ხდება.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. როგორ ფიქრობთ დახმარების სისტემა საქართველოში მოი-აზრება საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან, როგორც „საზო-გადოებრივი ტვირთი“? თქვენი აზრით, არის ის „საზოგადოებრივი ტვირთი“? დაასაბუთეთ თქვენი არგუმენტი.
2. თქვენ გაეცანით დადებითი დისკრიმინაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებას. რომელს იზიარებთ? და რატომ? მოიყვანეთ დადებითი დისკრიმინაციის ისეთი არგუმენტი, რომელიც თქვენს პოზიციას გაამყარებს.
3. მოიყვანეთ რამდენიმე შთამბეჭდავი მაგალითი სოციალური მუ-შაკების თავდადებისა სოციალური სამართლიანობისათვის ბრძო-ლაში.
4. იპოვეთ ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ყველაზე შთამბეჭდავი განცხადება, სადაც ასახუ-ლია სოციალური მუშაკის სოციალური სამართლიანობისათვის ბრ-ძოლის ვალდებულება.

**მიმოხილვა**

კეთილდღეობის სხვადასხვა იდეოლოგიის წარმომადგენელთა მიდგომა სოციალური პოლიტიკისადმი:

- რადიკალ მემარჯვენეები
- კონსერვატორები
- სოციალ-დემოკრატები
- მარქსისტები
- ფემინისტები

სოციალური დაცვის სისტემების ესპინ-ანდერსენისეული ანალიზი.

სოციალური კეთილდღეობის სისტემის გაანალიზებისათვის აუცილებელია გავეცნოთ კეთილდღეობის სხვადასხვა იდეოლოგიას. მოდით, განვიხილოთ რადიკალ მემარჯვენეთა, კონსერვატორთა, სოციალ-დემოკრატთა და მარქსისტთა მიდგომები. ასევე გავეცნოთ ფემინისტურ მიდგომებს სოციალური პოლიტიკისადმი. ეს გარკვეულწილად შეგვიქმნის წარმოდგენას თუ რა ძირითად პრინციპს ეფუძნება კეთილდღეობის სხვადასხვა მოდელი.

**რადიკალ მემარჯვენეთა აზრით**, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს სოციალური კეთილდღეობის მართვაში, რადგან ეს ასუსტებს საზოგადოების მორალს. მათი კრიტიკის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემა არღვევს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს წარმატების ნახალისების შემცირებით და წარუმატებლობის ტვირთის შემსუბუქებით. იგი ადამიანებს კაპიტალის ინვესტირებისა და მუყაითად მუშაობის მოტივაციას უქრობს მაღალი გადასახადების გამო, რადგან თუ ბევრს იმუშავებენ ბევრითაც დაიბეგრებიან, ხოლო თუ არ იმუშავებენ მსუყე სოციალურ დახმარებას მაინც მიიღებენ სახელმწიფოდან. მათი აზრით, რაც უფრო ფართოვდება საჯარო სექტორი, მით უფრო მცირდება კერძო, რადგან მათ ერთმევათ რესურსები, რომლის საშუალებითაც უნდა აყვავდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრი არა-მწარმოებელი სარგებლობს დოვლათით, ცოტა მწარმოებლის შრომის ხარჯზე. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს მონოპოლია კეთილდღეობის მიწოდებაზე. რადგან სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებს აქვთ ყველა „ხმა“, მაშინ როდესაც მომსახურების მიმღებებს არა აქვთ ნებაყოფლობით „გამოსვლის“ საშუალება და სხვა მომსახურებების შესყიდვის არჩევანი. ამავე დროს, თუ მონოპოლია ბაზარზე მუდმივი რისკის წინაშეა, ხისტი სახელმწიფო მონოპოლია არ არის მგრძნობიარე ბაზრის პრინციპებისა და მომხმარებლის არჩევანის მიმართ, რასაც მიყვავართ ფართოდ გავრცელებულ უყაირათობამდე.

საჯარო არჩევანის თეორეტიკოსები ფიქრობენ, რომ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ დიდი ინტერესი საჯარო სექტორის გაფართოებისა და სოციალური დანახარჯის გაზრდისა, რადგან სჭირდებათ ელექტორატის ხმები. არადა ფუნ-

ქციურად გადატვირთულ მთავრობას არ შესწევს უნარი გაუმკლავდეს კეთილდღეობის მიწოდების ფუნქციასაც და თანაც ეფექტიანად. ამას ემატება ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კეთილდღეობა ამცირებს სხვაობას შემოსავლებსა და დოვლათს შორის, ის ამავე დროს ზრდის უმწეოთა სახელმწიფოზე დამოკიდებულების ხარისხს. **რადიკალ მემარჯვენეთა კრიტიკოსები ფიქრობენ**, რომ დაბალი სოციალური დანახარჯი აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას და აღვივებს კრიმინალურ გარემოს. მათი აზრით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფო რეგულირებისა და ინტერვენციის გარეშე დაინგრეოდა. ეს განსაკუთრებით სოციალური კეთილდღეობის მომსახურებების მიწოდების საკითხს ეხება, სულ მცირე იმის გამო, რომ ბაზარს არ უყვარს ღარიბები.

მოდით, ახლა **კონსერვატორების იდეოლოგია** განვიხილოთ. აქ მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ფილოსოფიური და სოციალური კონსერვატიზმი. ფილოსოფიური კონსერვატიზმი ედმუნდ ბურკესაგან იღებს სათავეს. კონსერვატორთა აზრით, ახლის კეთება ძველ გამოცდილებაზე დაკვირვებით უნდა დავიწყოთ, რადგან ისტორია და კულტურა მრავალი თაობის მიერ გამოყენებულ ცოდნას ემყარება. ამიტომაც, ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ. მათი აზრით, ყველა სახის ლიბერალიზმი, მარქსიზმი და სოციალიზმი ემყარება საზოგადოების ყოფიერების გააზრებას არსებული გამოცდილებისაგან განყენებულად. ისინი ფიქრობენ, რომ სოციალური ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმატებული თუ ის არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს; გარედან თავს მოხვეულ რევოლუციებსა და ტრანსფორმაციებს კი დიქტატურასა და/ან ანარქიამდე მიყვავართ. კონსერვატიზმი არის ჩარჩოებისა და შეზღუდვების ფილოსოფია. კონსერვატორთა აზრით, უთანასწორობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღმოიფხვრას, თუ ის არსებულ სტაბილურობასა და სოციალურ წესრიგს შორის წონასწორობას არ დაარღვევს.

სოციალ-კონსერვატორები მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური იდეებით ხასიათდებიან. მათი აზრით, დამკვიდრებული ტრადიციები და მემკვიდრეობით გადმოცემული ფასეულობებია ძირითადი გზამკვლევი სახელმწიფო მართვაში. ისინი მიესალმებიან სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემას. ისინი ხშირად სოციალ დემოკრატთა პოლიტიკის მომხრენიც კი არიან ანიჭებენ რა უპირატესობას შერეულ ეკონომიკას. სახელმწიფო განათლების ქომაგნი, თავისუფალი ბაზრის დესტრუქციულ და სოციალური წესრიგის დესტაბილიზატორულ როლზეც საუბრობენ ხშირად.

**კონსერვატორთა კრიტიკოსების აზრით**, სახელმწიფო მართვაში მემკვიდრეობით გადმოცემული ფასეულობებით ხელმძღვანელობა კაცობრიობის განვითარებისათვის შემაფერხებელია, რადგან პროგრესი ძიებასა და დამოუკიდებელი არჩევანის კეთებაშია. მემარჯვენე ლიბერალები თვლიან, რომ ადამიანის თავისუფალი არჩევანი უწყობს ხელს კაცობრიობის განვითარებას.

ეს კი გამოხატულია მომხმარებელთა უფლებაში საკუთარი არჩევანის მიხედვით ისარგებლონ საქონლითა და მომსახურებებით ბაზარზე. კონსერვატორები კი ანტი-მომხმარებლური ეთიკისა და კეთილდღეობის ინსტიტუციონალიზაციის მომხრეები არიან. მემარცხენეებიც აკრიტიკებენ სოციალ კონსერვატორებს იმის გამო, რომ ისინი სიღარიბისა და უთანასწორობის მიმართ უფრო ლოიალურნი არიან ვიდრე ამას სოციალური სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს და ამავე დროს იმის გამოც რომ ისინი მქუხარე ნაციონალისტები არიან. მემარცხენე იდეოლოგები კი ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის გამტარებლები არიან, რაც სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთა ექსპლუატაციასთან ბრძოლას ნაციონალიზმის საზღვრებში ვერ ატევს. მათი აზრით, კონსერვატორთა დილემას ის წარმოადგენს, რომ ერთი მხრივ ისინი თითქოს პასიურად მიყვებიან ისტორიულ დინებას, მეორე მხრივ კი თვალთმაქცურად წარმატებულთა ინტერესებს წარუმატებელთა ინტერესებზე მაღლა აყენებენ. ფემინისტები კი სოციალ კონსერვატორებს აკრიტიკებენ მათი დამოკიდებულებისათვის ოჯახის ინსტიტუტის მიმართ, რაც ქალს არახელსაყრელ და დამაკნინებელ პოზიციაში აყენებს, შემოსაზღვრავს რა მის როლს მხოლოდ ოჯახში. ამით კი, ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას, ძალადობასა და სექსიზმს.

სოციალური კეთილდღეობის იდეოლოგიაზე საუბრისას არ შეიძლება დეტალურად არ განვიხილოთ **სოციალ-დემოკრატიული მოდელი**, რომელიც ორი თეორიის ნაზავია: სოციალური ლიბერალიზმისა და დემოკრატიული სოციალიზმისა. სოციალური ლიბერალიზმის თეორიის მიხედვით, ადამიანის თავისუფალ არჩევანს ენიჭება უმთავრესი მნიშვნელობა, თუმცა ინდივიდუალური ავტონომია სოციალურ ვაკუუმში არ წარმოიშობა და საბაზრო ეკონომიკა მართლაც თავისუფლების აუცილებელი ატრიბუტია, მაგრამ არა ერთადერთი. მათი აზრით, სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შექმნა და ეროვნული დოვლათის თანაბარი დისტრიბუციაა.

სოციალ-ლიბერალიზმი აღიარებს ძლიერ ურთიერთკავშირს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ თანასწორობას შორის. სოციალ-კონსერვატორები მხარს უჭერენ კეთილდღეობის მომსახურებას სოციალური არეულობის არიდების მიზნით, მაშინ როცა სოციალ-ლიბერალები მხარს უჭერენ მას ლიბერალ დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერების მიზნით. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თუ პირველი არსებული სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას ემსახურება, უკანასკნელი სოციალური თანასწორობის სასურველი დონეების მიღწევას ისახავს მიზნად. სოციალური ლიბერალების აზრით, თანასწორობა ნიშნავს შესაძლებლობათა თანასწორობას და არა შედეგთა თანასწორობას.

მაშინ, როდესაც სოციალ-კონსერვატიზმი და სოციალ-ლიბერალიზმი თავისუფალ საბაზრო ეკონომიკასა და სახელმწიფო კოლექტივიზმს შორის მერყეობს, დემოკრატიული სოციალიზმი მერყეობს კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის. დემოკრატ-სოციალისტები თავიანთ მემარჯვენე კოლეგებს თუ

იმაში ეთანხმებიან, რომ ლიბერალური დემოკრატიის კონსტიტუციური და ელექტორული პროცედურები უნდა იყოს დაცული, თავიანთ მემარცხენე კოლეგებს იმაშიც ეთანხმებიან, რომ საზოგადოების ტრანსფორმაცია შესაძლებელი და სასურველიცაა. ასე რომ დემოკრატიული სოციალიზმი, ალტერნატიულ ხედვას გულისხმობს როგორც საბაზრო კაპიტალიზმისა, რომელიც ჩაფლავდა სოციალური სამართლის გააზრებაში, ასევე კომუნიზმისა, რომელმაც თავისი დაგეგმილი ეკონომიკით ვერც დემოკრაციას და ვერც სამოქალაქო თავისუფლებას ვერ მიაღწია. დემოკრატ-სოციალისტები სიღარიბეს კაპიტალიზმის მუდმივთანმხლებ მოვლენად მიიჩნევენ, რადგან საბაზრო ეკონომიკა, რომელიც მოგებასა და კერძო საკუთრებაზეა დამყარებული მოითხოვს დაბალ-შემოსავლიან მუშახელს. ისინი, სოციალ-დემოკრატების მსგავსად კლასობრივ უთანასწორობას ებრძვიან და კონკურენციას თანამშრომლობას ამჯობინებენ. ისინი კაპიტალიზმს დაუსაქმებლობის გამო ადამიანური რესურსების ფუჭად გახარჯვასა და ჭარბპროდუქტიულობის გამო მატერიალური რესურსების არაეფექტიანად გამოყენებაში ადანაშაულებენ.

როდესაც თავად დემოკრატ-სოციალისტებს თავიანთი ხედვა მიაჩნიათ რომ პრაქტიკულიცაა და რადიკალურიც, **კრიტიკოსები**, მაგალითად რადიკალ-მემარჯვენეები კატეგორიულად არ ეთანხმებიან მათ შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ თანამშრომლობას შეუძლია გახდეს ეკონომიკის ორგანიზების პრინციპი, მეამიტურს უწოდებენ. რადიკალ მემარჯვენეების აზრით, მხოლოდ პირად ინტერესებს შეუძლია ინდივიდუალური შემოქმედებითობის ზრდა. მათი აზრით, ადამიანს შეუძლია იყოს ალტრუისტი, მაგრამ ალტრუიზმს არ შესწევს საზოგადოების ორგანიზების უნარი, რადგან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბაზარი არის საუკეთესო საშუალება სოციალური პროდუქტის დისტრიბუციისათვის, რამეთუ იგი კონკურენციის საფუძველზე ფასების შემცირებას იწვევს.

მოდით, ახლა განვიხილოთ **მარქსისტული შეხედულება** სოციალური კეთილდღეობის იდეოლოგიაზე კაპიტალისტურ სამყაროში. მათი აზრით, კაპიტალიზმი ძალიან დინამიკური ეკონომიკური სისტემაა. ეს დინამიკურობა წარმოშობილია მწარმოებელთა მუდმივი წადილით ინვესტირება გააკეთონ პროდუქციაში, ახალ ტექნოლოგიებში, შექმნან ახალი დოვლათი, გაყიდონ სულ უფრო მეტი საქონელი. მარქსისტული იდეოლოგიის მომხრეები პრობლემას იმაში ხედავენ, რომ მაშინ როცა თითოეული კომპანია დაკავებულია თავისი წარმოების დაგეგმარებით, თავად სისტემა დაუგეგმავი რჩება. სახელმწიფო კაპიტალის საშუალებით იღებს ფინანსებს, რომლის საშუალებითაც მან უნდა მოახერხოს ეკონომიკური მდგომარეობის ზრდა და აკუმულირება. ამავე ფინანსებს იყენებს სახელმწიფო სოციალური კეთილდღეობის პროგრამების მიწოდებისათვის, რომლის საშუალებითაც სანაცვლოდ იღებს თავის მოქალაქეთა ლოიალობასა და მადლიერებას. კეთილდღეობა ორგანიზებული კაპიტალიზმის განუყოფელი ნაწილია. მართალია ეს კაპიტალიზმს „აკუმულირების კრიზისის“

წინაშე აყენებს (რაც სოციალური ხაჯებითა და მაღალი გადასახადებითაა გამონეული), მაგრამ ამის გარეშე კაპიტალიზმი ვერასოდეს ვერ მიაღწევდა ლეგიტიმურ სტატუსს, რომელიც მას ასე სჭირდება (ლავარეტინ და პრატინ, 2006).

მარქსისტული შეხედულებით, სამუშაო ძალის რეპროდუქცია განსაკუთრებით სასარგებლოა კაპიტალისტებისთვის. ბავშვები იზრდებიან მინიმალური დანახარჯით ქალის აუნაზღაურებელი შრომის – დიასახლისობის ხარჯზე. ამიტომ, მათ ირიბი კაშირი აქვთ კაპიტალთან, მაგრამ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ რაც მამაკაცი მუშახელის ექსპლუატაციის საშუალებას იძლევა. ნორმან გინსბურგი კეთილდღეობის სისტემას ასე ახასიათებს: „სახელმწიფო ძალაუფლება გამოიყენება სამუშაო ძალის რეპროდუქციის მოდიფიცირებისთვის და დაუსაქმებელი მოსახლეობის შესანარჩუნებლად კაპიტალისტურ საზოგადოებაში“ (გინსბურგი, 1990 ლავარეტთან და პრატთან, 2006).

მარქსისტები ფემინისტური იდეოლოგიის გამზიარებლებიც არიან, მათი აზრით, ქალის ფუნქცია სამუშაო ძალის რეპროდუქციითა და ინდუსტრიის სარეზერვო ფონდში ყოფნით შემოიფარგლება მხოლოდ. სოციალური უსაფრთხოების სისტემამ არა მარტო ასახა არამედ გააძლიერა ქალის დაქვემდებარებული პოზიცია როგორც უხელფასო შინა მოსამსახურისა ოჯახში და ხელფასზე მომსახურისა ოჯახს გარეთ. მას არც გადაწყვეტილების მიმღების და/ან ძალაუფლებისა და აღიარების მომტანი პოზიცია აქვს და არც დასაქმების ბაზარზე და საზოგადოებაში აქვს რაიმე როლი.

**მარქსისტა კრიტიკოსების აზრით**, მარქსისტები გადაჭარბებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კლასის ერთიანობას, მაშინ როცა სათანადოდ ვერ აფასებენ შიდა კონფლიქტებსა და დაჯგუფებებს სახელმწიფოში, რომელიც ფლურალისტური ბრძოლისა და პოლიტიკური კონკურენციის შედეგია. კრიტიკოსები მარქსისტებს ბრალს სდებენ კეთილდღეობის სისტემისათვის მხოლოდ კაპიტალის რეპროდუქციის ფუნქციის მინიჭებაში. მათი აზრით, კეთილდღეობის სისტემას ტრანსფორმაციული პოტენციალი გააჩნია, რასაც მარქსისტები უგულვებელყოფენ. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მარქსისტები პრაქტიკული რეფორმებისათვის ბევრს ვერაფერს გვთავაზობენ, რადგან მათი იდეოლოგია მხოლოდ მორალურ პრინციპებს ეფუძნება და არა ისტორიულ გამოცდილებას, ამიტომ შეუძლებელია წინასწარ იმის გათვლა თუ რამდენად იმუშავებენ ისინი პრაქტიკაში. გარდა ამისა, რომც მივიღოთ სასურველი რეალისტურად, ბრძოლა ფესვგადგმული კაპიტალისტური ინტრესების წინააღმდეგ ძალიან გრძელვადიანად მიაჩნიათ. მათი აზრით, შეუძლებელია იყო ნეიტრალური სოციალისტურსა და კაპიტალისტურ სისტემებს შორის, რამეთუ ეს ორი სამართლიანობის სრულიად განსხვავებულ კონცეფციას ეფუძნება (ლავარეტი და პრატი, 2006).

და ბოლოს, განვიხილოთ **ფემინისტური იდეოლოგია**, რომელიც ცენტრალურ მნიშვნელობას გენდერის კატეგორიას ანიჭებს. ფემინისტა ერთი



სკოლის წარმომადგენლები მუდამყამს არსებულ სქესობრივ ბრძოლას ანიჭებენ მნიშვნელობას. სხვა სკოლის წარმომადგენლები გენდერულ პრობლემებს კლასობრივ, რასულსა და ეთნიკურ უთანასწორობას უკავშირებენ. პოსტ-ფემინისტები აქცენტს აკეთებენ შეზღუდულ შესაძლებლობასა და ქალის, როგორც ძირითადი მზრუნველისა და ზრუნვის მიმღების როლზე. არიან ასევე ასაკის ანალიტიკოსი ფემინისტები, რომლებიც ხაზს უსვამენ ასაკოვანი ქალის სხეულის დევალვაციისა და სილამაზისა და ახალგაზრდობის რევალვაციის ტენდენციებს. არსებობენ ეკო-ფემინისტები, რომლებიც ქალისა და ბუნების დომინანტობას უსვამენ ხაზს და ორივე პატრიარქალური სამყაროს მსხვერპლად ესახებათ.

ფემინისტთა კრიტიკა სოციალური პოლიტიკისადმი სამ სფეროს მოიცავს: ოჯახი, სახელმწიფო და დასაქმების ბაზარი. ამ კრიტიკის ძირითადი ობიექტი ის არის რომ, სოციალური პოლიტიკა განასახიერებს პატრიარქალური საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ძალაუფლებას, რომელსაც ინარჩუნებს მამაკაცებზე ქალთა დამოკიდებულების ზრდით და მასკულიზური ფასეულობებისათვის უპირატესობის მინიჭებით. „მარჩენალის“ მოდელი ქალის როლს ოჯახის შიდა მეურნეობის გაძლოლით, ბავშვის აღზრდით და ოჯახის წევრებისადმი „ძალდატანებითი ალტრუიზმით“, დამოკიდებულ პირთა დახმარების მამაკაცთა ბენეფიტებზე მიბმით შემოფარგლავს ფიცპატრიკი, 2001: 142. მარგარეტ სტივისის აზრით კი, აუცილებელია „მომსახურებებს“ ერთ მთლიანობაში შევხედოთ, დავაკავშიროთ ის, რასაც ქალი სახლში აკეთებს იმასთან, რაც პროფესიონალიზებულია კეთილდღეობის სისტემაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რეფორმები ნაწილობრივი გამარჯვება იყო ფემინისტებისათვის: ოჯახური შეღავათები უკვე პირდაპირ დაედასტურებოდათ, თუმცა ოჯახსა და საშინაო მეურნეობაში მათ მაინც შეუნარჩუნდათ დომინანტი როლი. ბევრიჯის 1943 წლის რეფორმას ქალთა თავისუფლების ლიგის წარმომადგენლებმა, აბოტმა და ბომპსმა, „შეცდომა“ უწოდეს ქალისათვის დამოუკიდებელი სტატუსის არ მინიჭების გამო, რომლის აზრითაც სოციალური უსაფრთხოება გათხოვილი ქალებისათვის მეორად დატვირთვას ატარებს მათთვის მეუღლეების მიერ შეთავაზებული უსაფრთხოების გამო. თუმცა იგი იმასაც აღიარებდა, რომ განქორწინების შემთხვევაში ეს უსაფრთხოება გაუჩინარდება.(...)

მოვალეობები, რომლებიც ადამიანს მოქალაქედ აყალიბებს და მას მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობის საშუალებას აძლევს არის ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების თანმხლები მოვალეობები. არაანაზღაურებადი სამუშაოს – მოხალისეობა, მშობლობა, ხანდაზმულზე ზრუნვა – მოაქვს შეზღუდული ან საერთოდ არ მოაქვს მოქალაქეობრივი უფლებები. ფემინისტთა კრიტიკა სოციალური პოლიტიკისადმი ასევე ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომის უთანასწორო დანაწილებას ეხება.

**ფემინისტებს დაუნდობლად აკრიტიკებენ** ამ მოძრაობის დასაბამიდანვე. მათ აკრიტიკებენ თეორიულ ექსტრემიზმსა და ბუნების კანონების წინააღმდეგ

გალაშქრებაში. კონსერვატორები კი მათ აკრიტიკებენ, რადგან მათი აზრით, მამაკაცი არსებითად ნადავლის მომხვეჭელია, ქალი კი მზრუნველი და ისინი ამ როლების შეცვლის აუცილებლობას არ აღიარებენ.

კეთილდღეობის ჩვენს მიერ განხილული იდეოლოგიები „წმინდა“ სახით არ არის წარმოდგენილი დღევანელი მსოფლიოს ქვეყნებში, რადგან მათ წარმოშობის ქვეყნის მიუხედავად დიდი ცვლილებები განიცადეს იგივე ან სხვა ქვეყანაში, სადაც ისინი დაინერგა თავდაპირველად. ამიტომ, გაგაცნობთ **ესპინ-ანდერსენის (ესპინ-ანდერსენი 1980 მეზვრიშვილთან 2003) მიერ კლასიფიცირებულ კლასტერებს, რაც თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სოციალური დაცვის სისტემების ანალიზს ეყრდნობა.** იგი გამოყოფს შემდეგ მახასიათებლებს:

1. **სოციალ-დემოკრატიას**, რომლის ინდიკატორებია უნივერსალიზმის საშუალო მაჩვენებლები (მოსახლეობის წილი, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფო პენსიებით, ავადმყოფობისა და უმუშევრობის დაზღვევით) და სახელმწიფო დახმარებების თანაბრობის მაჩვენებელი (სამივე პროგრამის ბაზისურ და მაქსიმალურ მაჩვენებლებს შორის სხვაობა).
2. **ლიბერალიზმს**, რომლის ინდიკატორებად მიჩნეულია კერძო პენსიების პროპორცია მთელ საპენსიო სისტემასთან მიმართებით, კერძო ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მთელ დანახარჯებთან მიმართებით.
3. **კორპორატიზმს**, რომლის ინდიკატორებია პროფესიებსა და დასაქმების ტიპზე განსხვავებულ საპენსიო სქემებსა და სახელმწიფო მოხელეთა პენსიებზე დანახარჯებს შორის დამოკიდებულება.

ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით, კუმულატიური ინდექსის საფუძველზე მხოლოდ ორი ქვეყანა გამოვლინდა, როგორც შედარებით „სუფთა“ ტიპი: ამერიკის შერთებული შტატები, რომელიც უჩვენებს უმაღლეს მაჩვენებელს უმაღლეს მაჩვენებელს ლიბერალიზმის განზომილებაში და ნულოვან მაჩვენებლებს დანარჩენ განზომილებაში; და შვედეთი, რომელიც უჩვენებს უმაღლეს მაჩვენებელს სოციალ-დემოკრატიის განზომილებაში და ნულოვანს დანარჩენ ორ განზომილებაში. მაგალითად გერმანია, შერეული მოდელია, რომელშიც კორპორატიზმია დომინანტური განზომილება, თუმცა ლიბერალიზმისა და სოციალ-დემოკრატიის მაჩვენებლებიც სახეზეა.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის ჭიდილში, რომელ მხარეს იხრებით? რატომ?
2. ესპინ-ანდერსენის ანალიზის ფარგლებში იდენტიფიცირებულ ინდიკატორებზე დაყრდნობით საქართველოს რომელ კლასტერს მიაკუთვნებდით?

## სოციალური უსაფრთხოება

### მიმოხილვა

ტერმინთა განმარტება სოციალური დაცვის სისტემაში  
სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანი  
სოციალური უსაფრთხოების სისტემის რედისტრიბუციის ოპერირების ფორმები

სოციალური უსაფრთხოების სისტემის პრინციპები

მსოფლიო ბანკის საპენსიო სქემები

საპენსიო ასაკის დადგენა

საქართველოს საპენსიო სისტემა:

- მარეგულირებელი ჩარჩო
- პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძვლები

სოციალური დაცვის პოლიტიკის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა უნდა შევთანხმდეთ ტერმინებზე, რათა ზუსტად გვესმოდეს რა იგულისხმება თითოეულ მათგანში. ტერმინთა ასეთი განსაზღვრება არის არა საყოველთაოდ აღიარებული შეთანხმება, არამედ უფრო მეტად გავრცელებული და უახლესი შეთანხმებების გაზიარება სოციალური დაცვის სისტემაში ტერმინოლოგიის გამოყენებაზე. ასეთი შეთანხმება ჩვენ დაგვეხმარება კომუნიკაციაში კურსის მსვლელობისას - შექმნის იმის გარანტიას, რომ ჩემს მიერ ლექციაზე ნახსენები ტერმინის ქვეშ თქვენ სწორედ იმას გულისხმობთ რისი თქმაც მსურდა. ხოლო პრეზენტატორსა და ადრესატს შორის გამართული კომუნიკაცია წარმატების საწინდარია უმრავლეს სიტუაციებში, განსაკუთრებით კი სწავლის პროცესში. ამავე დროს, რამდენადაც სწორედ სხვადასხვა დასახელება განსაზღვრავს განსხვავებას მათ შორის, აუცილებელია მათი სწორად გამოიყვანა.

**სოციალური უსაფრთხოება** პენსიონერთა, მარჩენალდაკარგულთა, უმუშევართა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარებას გულისხმობს. სოციალური უსაფრთხოების დახმარებები განვითარებულ სამყაროში მეტწილად ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადმინისტრირებს. არსებობს შემოსავლების დისტრიბუციისა და შენარჩუნების, როგორც ფულადი, ასევე არაფულადი დახმარებები. არაფულადი დახმარებები კეთილდღეობის დოვლათისა და მომსახურებების სუბსიდირებას გულისხმობს, როგორცაა მაგალითად, საბინაო, საკვები და კომუნალური შეღავათები. სოციალური უსაფრთხოების ძირითად კომპონენტად კი მაინც დასაქმების კომპონენტი რჩება, რაც დაუსაქმებლობის შემთხვევაში დახმარების აღმოჩენას გულისხმობს.

დღესდღეობით ყველაზე გავრცელებული სოციალური უსაფრთხოების დახმარებებია დახმარებები მოხუცთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ბავშვიან დედათა მიმართ. კვლევებმა გვიჩვენა, რომ 179 ქვეყნიდან, რომელთაც სახელმწიფო სოციალური უსაფრთხოების სქემები აქვთ, მხოლოდ

8 პროცენტს აქვს დახმარებათა სრული სფექტრი: მოხუცთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ბავშვიან დედათა და უმუშევართათვის. უნდა ავლნიშნოთ ისიც, რომ სქემები ხანდახან იმდენად არაეფექტიანადაა აგებული, რომ ხშირად ყველა სოციალური რისკები არ არის მოცული. უფრო მეტიც, დახმარებით ზოგჯერ ის ხალხი ვერ სარგებლობს, რომლებსაც ეკუთვნით დახმარება. ამის მიზეზი მოქალაქეთა არასაკმარისი კონტრიბუციის, საპენსიო ასაკის მიღწევამდე უკვე გახარჯული დახმარებების გარდა, ომის, ბუნებრივი კატასტროფების ან კიდევ ეკონომიკური ვარდნით გამოწვეული არსებული სქემების ქმედობაუნარიანობის დაკარგვაა.

მილიონობით სოციალური რისკის წინაშე მდგომ ადამიანს კი, სჭირდება მართებულად აგებული სოციალური უსაფრთხოების სისტემა და მისი მართვის უნარი ხელისუფალთა მხრიდან. ეფექტიანი სოციალური უსაფრთხოების ქსელი საჭიროებს სამუშაო ძალის სამუშაო ადგილებით მუდმივ უზრუნველყოფას, სამუშაო ბაზრის სტაბილიზაციას, რომლის მონიტორინგის მეშვეობით შესაძლებელი ხდება სავალდებულო კონტრიბუციების შეგროვება. ეს პირობები კი, არ შეესაბამება დასაქმების მსურველთა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის არსებული პოლიტიკის კურსს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, სადაც სამუშაო ადგილებით მათი დაკმაყოფილება და შემოსავლების სტაბილიზაცია ვერ ხერხდება. ამ ქვეყნებში მომსახურე ადამიანი დროებითი შემოსავლების გამომუშავებით იმდენადაა დაკავებული, რომ სამომავლო დანაზოგებსა და მოხუცებულობის უსაფრთხოებაზე დაფიქრების დრო აღარ რჩება. ეფექტურ სახელმწიფო სქემებს ესაჭიროება ძლიერი ინფრასტრუქტურა და მართვისა და ადმინისტრაციის პოტენციალი, რომ შესძლოს გადასახადების შეგროვება.

#### **სოციალური უსაფრთხოების სისტემა ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება:**

1. ინდივიდუალური თანასწორობის პრინციპს, რაც ნიშნავს დახმარებების შესრულებული სამუშაოსა და გამომუშავების მიხედვით დაანგარიშებას და
2. სოციალური ადეკვატურობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს დაბალშემოსავლიანთათვის დახმარების უფრო მეტ ოდენობას, ვიდრე მათი კონტრიბუცია იყო და დამატებით დახმარებებს (კონტრიბუციის გარეშე) მათზე დამოკიდებული პირებისათვის.

#### **სოციალური უსაფრთხოების სისტემა ძირითადად ფინანსური რესურსების შიდა რედისტრიბუციის ოპერირების რამდენიმე ფორმას იცნობს:**

1. ფინანსური რესურსების მომავალი პენსიონრებიდან ამჟამინდელი პენსიონრებისთვის მიწოდებას;

2. ჰორიზონტალურ რედისტრიბუციას, რაც რესურსების ორ-ნევრიანი ოჯახებიდან ერთნევრიან ოჯახებზე და დამოკიდებული პირების არ მქონე ოჯახებიდან ასეთების მქონეთათვის გადანაწილებას გულისხმობს;
3. ვერტიკალური რედისტრიბუციას, რაც რესურსების მაღალშემოსავლიანთა მიერ დაბალშემოსავლიანებზე გადანაწილებას გულისხმობს.

სოციალური უსაფრთხოების პროგრამები რედისტრიბუციული ხასიათისაა უმეტესწილად, რადგან ყველა თანაბრად იბეგრება. თუმცა ზოგან დახმარების თანაფარდობა გამომუშავებასთან კლების ტენდენციასთან გამომუშავების ზრდის შემთხვევაში. რადგან სოციალური უსაფრთხოების საპენსიო ნაწილი ყველაზე დიდი რესურსის აკუმულირებასთან და შემდეგ გაცემასთანაა დაკავშირებული მოდით უფრო ღრმად შევისწავლოთ მისი მართვისა და ადმინისტრირების პრინციპები.

რადგანაც სოციალური უსაფრთხოების დახმარებები დახმარებების სამუშაო ბაზრიდან საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ გაცემას გულისხმობს, ის თუ რამდენად უზრუნველყოფილი იქნებიან მომავალი პენსიონრები სოციალური უსაფრთხოებით, დემოგრაფიული ტენდენციებით განისაზღვრება. მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა (თუ შობადობის მაჩვენებელიც აღმავალი ტენდენციით არ ხასიათდება) ეკონომიკური ზრდის შეფერხების ინდიკატორია, რამეთუ სიცოცხლის ზრდის მაჩვენებელი პირდაპირ კორელაციაშია სოციალ-ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთან, და თავის მხრივ ამცირებს ბავშვთა ხვედრით წილს მოსახლეობაში, ისევე როგორც ამცირებს შრომისუნარიანთა ანუ დოვლათის შემქნელთა ხვედრით წილს საერთო მოსახლეობაში. რადგან ხანდაზმულთა პენსიები დღეს მომუშავეთა მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე გაიცემა უმეტესად (თაობათა სოლიდარობის პრინციპზე დაყრდნობით), აუცილებელია დასაქმებულთა რიცხვი 4-ჯერ მიანც აღემატებოდეს პენსიონერთა რიცხვს, ამ სისტემის ასამოქმედებლად და გადასახადების ამოღების გასაიოლებლად. სწორედ ამიტომ, რომ საპენსიო ასაკის განსაზღვრას სოციალური პოლიტიკოსები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან.

სხვადასხვა ქვეყნებში საპენსიო ასაკიც სხვადასხვაა და საპენსიო სქემებიც. მაგალითად, იტალიაში, ახალ ზელანდიასა და იაპონიაში მაღალი საპენსიო ასაკია საჭირო იმისათვის, რომ სრული პენსია მიიღო. ნახევარგანაკვეთზე მომუშავეთა ნაწილობრივი პენსიები არის აშშ-ში და შვედეთში. ბოლო წლებში საფრანგეთმა გაზარდა აუცილებელი 37-40 წლიანი სამუშაო სტაჟი, იმისათვის რომ დაინიშნოს პენსია. გახსოვთ ალბათ, 2010 წელს საფრანგეთის საპენსიო ასაკის ზრდის გეგმას რა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები მოჰყვა, მაგრამ ქვეყნის ამჟამინდელი და მოსალოდნელი დემოგრაფიული მონაცემები ასეთ ცვლილებებს მოითხოვს. საფრანგეთის მთავრობის განცხადებით,

საპენსიო დეფიციტი, რომელიც 2010 წელს 10.7 მილიარდი ევრო იყო 2020 წლისათვის 50 გახდებოდა. პრინციპში საფრანგეთს დაბალი საპენსიო ასაკი ჰქონდა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგალითად დანიაში საპენსიო ასაკი 67 წელია, დიდ ბრიტანეთში 68 წლამდე გაზრდა იგეგმება (ბბს ახალი ამბები, 15.02.2010). ამიტომ ზოგჯერ სოციალური პოლიტიკის ასეთი ცვლილებებით გაჯერება მიზანშეწონილია.

ადრეული საპენსიო ასაკის დაწესებით, იქმნება ნაადრევად პენსიაზე გასვლის მოტივაცია. ადრეულმა საპენსიო ასაკმა, როგორც დასაქმების სტრუქტურის მეთოდმა, მიიყვანა ქვეყნები მაღალ სახელფასო გამომუშავებამდე და მაღალ დეფიციტამდე, საპენსიო დავალიანებებამდე და რეალური ბენეფიტების ეროზიამდე. ზოგიერთ ქვეყანაში მეუღლეებსა და დამოკიდებულ პირებსაც ენიშნებათ პენსიები, რაც ქორწინების მოტივაციის ზრდის პოლიტიკაა, მიუხედავად იმისა, რომ ზრდის „მუქთა მჭამელთა“ სექტორს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კვლევებმა ცხადყო, რომ განქორწინებების რიცხვმა მაინც არ იკლო დასავლეთ ევროპაში.

პოლიტიკოსთა ენთუზიაზმს დასაქმებულთა სამუშაო ბაზარზე დაკავების პერიოდის გახანგრძლივების თაობაზე თავისი მიზეზი აქვს. მას ამოძრავებს პენსიონერთა სხვებზე დამოკიდებულების თანაფარდობის შემცირებისაკენ სწრაფვა. იმ სამ მიზეზთა შორის რატომაც დასაქმებული შრომის ბაზარს ტოვებს არის: ჯანმრთელობა, სიმდიდრე და შრომის ბაზრის გადატვირთვა. ამ სამიდან ორი ოპტიმიზმის საბაბს იძლევა პენსიონერთა მომავალი კოჰორტის საპენსიო ასაკის გაზრდისათვის, რადგან ჩვენს საუკუნეში ხანდაზმულობა უკავშირდება: სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას, გაუმჯობესებულ ჯანმრთელობის მდგომარეობას, სამუშაო პირობების ცვლილებებს, განათლების დონის ამაღლებას, შრომის მოთხოვნის ცვლილებებს. აქედან გამომდინარე გახანგრძლივებული საპენსიო ასაკი უფრო საინტერესო პერსპექტივას ჰპირდება მომავალ პენსიონერებს ვიდრე მისი ალტერნატივა, კერძოდ საცხოვრებელი სტადარტის შემცირება პენსიონერებისა და მომსახურებისათვის.

თუ შრომის ბაზარს აქვს უნარი შექმნას საკმარისი სამუშაო გარემო, რომელსაც ხანდაზმული მომსახურეთა ათვისების უნარი ექნება და გაზარდოს დასაქმების საერთო დონე, პოტენციური უკუგება იქნება ეკონომიკური ზრდა და ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება ყველასათვის. ახლახანს გამოქვეყნებულმა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (2001:61) გამოთვლებმა ცხადყო, რომ საშუალო საპენსიო ასაკის მცირე ზრდა მოახდენს თანასწორ ან უფრო დიდ ზეგავლენას პენსიაზე გასვლის ღირებულებაზე ვიდრე საპენსიო ბენეფიტების მკვეთრად შემცირება. მთლიანობაში „კეთილდღეობის დანაკარგი“ რაც შეიძლება მოჰყვას სამუშაო პერიოდის ზრდას ჩანაცვლდება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით. რადგან ადამიანები ცხოვრობენ უფრო მეტს ვიდრე ადრე, სამუშაო დღეების ზრდა არ ნიშნავს საპენსიო დღეების შემცირებას (ესპინ-ანდერსენი,

2002). რასაკვირველია, ეს გათვლები ქვეყნის განვითარების სტატუსის შესაბამისად ლავირებს და განვითარებული სამყაროს საპენსიო პეიზაჟს უფრო რეალისტურად ასახავს ვიდრე განვითარებისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ალბათ უფრო ადვილი გასაგებია რატომ ხასიათდება სოციალური უსაფრთხოების სისტემა მსოფლიოში არა მარტო არათანაბარი მოცვით, არამედ დანახარჯის განსხვავებული მაჩვენებლითაც. გარდა სოციალური, დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორებისა სოციალური უსაფრთხოების სისტემის რაგვარობა პოლიტიკურ გადანყვეტილებაზეა დამოკიდებული. ამიტომაცაა, რომ ქვეყნის ეკონომიკური წარმატებულობა არ არის იმის აუცილებელი პირობა, რომ ამ ქვეყანაში კარგად განვითარებული და დაფინანსებული სოციალური უსაფრთხოების სისტემა იყოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, აუხსნელი დარჩებოდა რატომ არ აქვს ასეთი სქემები ისეთ მდიდარ ქვეყანას, როგორცაა მაგალითად, გაერთიანებული არაბთა ემირატები. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უსაფრთხოება საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებაა, და დახმარების სახელმწიფო სქემები უკვე 179 ქვეყანაში არსებობს, რაც მზარდი ტენდენციაა წინა საუკუნის დასაწყისის მონაცემებთან შედარებით (მაგ., 1940 წელს მხოლოდ 57 ქვეყანას ჰქონდა დახმარების სახელმწიფო სქემები), დღესდღეობით, ჯერ კიდევ არსებობს დედამიწაზე 49 ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია ასეთი სქემები, რაც იმას ნიშნავს, რომ 66 მილიონი ადამიანი დახმარების გარეშეა.

ჯერ კიდევ ცალსახად არ არის ჩამოყალიბებული მოსაზრება იმის შესახებ, თუ **რას უნდა ემსახურებოდეს სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა** – სიღარიბის აღმოფხვრას თუ მის პრევენციას? მსოფლიო ბანკის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ცალსახაა – სოციალური უსაფრთხოების სისტემა უნდა ემსახურებოდეს ღარიბთათვის სოციალური რისკების უკეთ გამკლავებისათვის მხარდაჭრას, მაგრამ ისე, რომ მათ რისკის გაღების მოტივაცია და ენთუზიაზმი არ დაეკარგოთ. მსოფლიო ბანკის პოლიტიკაა სახელმწიფო დანახარჯის მაქსიმალურად შემცირება ამ სექტორში. ამ მიზნების მიღწევა კი შესაძლოა რეფორმისთვის შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

- ფუნდამენტური საპენსიო რეფორმით;
- სავალდებულო და ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების აგებით;
- სოციალური დახმარების უნივერსალური მოდელიდან მიზნობრივ მოდელზე გადასვლით;
- უფრო ეფექტური სამუშაო ბაზრის შექმნით;
- მინიმალურად რიგიდული ხელფასების განსაზღვრით, და
- უსაფრთხოების ქსელების შექმნითა და საზოგადოებრივი მონაწილეობით.

**მსოფლიო ბანკის ზეგავლენა დიდია მესამე მსოფლიოს ქვეყნების საპენსიო სქემების შექმნის საქმეში.** ამ მხრივ არც საქართველოა გამო-ნაკლისი. საპენსიო სქემების პრივატიზაცია ამ რეგიონის ქვეყნებში ყველაზე პოპულარული პროგრამაა. ახალი „საპენსიო კონვენცია“ გულისხმობს მსოფლიო ბანკის სამ ან ოთხ სვეტიან საპენსიო სქემებს. ის შედგება:

- პირველი სვეტისაგან, რაც არის მოდიფიცირებული სახელმწიფო გადასახადი, რაც გულისხმობს გადასახადს სქემის ამ სვეტიდან გასვლისთანავე, და ხასიათდება მაღალი ასაკობრივი ლიმიტით და დაბალი ბენეფიტებით;
- მეორე სვეტისაგან, რაც სავალდებულო კერძო დაფინანსების პენსიებია, რაც არც მეტი არც ნაკლები იძულებით ინდივიდუალური ფულის დაზოგვის სქემაა;
- მესამე სვეტი არის ნებაყოფლობითი ფონდები, რომლებსაც თან ახლავს მნიშვნელოვანი საგადასახადო მოტივაცია;
- მეოთხე ანუ ნული სვეტი, არის მიზნობრივი (მინს-ტესტირებული) დახ-მარების სქემა მათთვის, ვინც სხვა საშუალებით ვერ შეძლო დანაზოგის აკუმულირება.

იდეოლოგიური პრობლემა სახელმწიფოს, ბაზარსა და ოჯახებს შორის სოციალური დაცვის პასუხისმგებლობის გადანაწილების შესახებ კვლავ გადაუჭრელია. სოციალური დაცვის სისტემის ერთ-ერთი სეგმენტია საპენსიო უზრუნველყოფა, რომლის მუდმივი პრობლემაა საპენსიო ასაკის დადგენა, სხვადასხვა ტიპის გადასახადების გაზრდა თუ შემცირება, პენსიის სხვადასხვა სახეობების დანერგვა თუ გაუქმება.

საქართველოს საპენსიო სისტემა შედგება როგორც სახელმწიფო ასევე კერძო ნაწილისაგან, მაგრამ დღესდღეობით საქართველოში რეალურად მოქმედებს სახელმწიფო საპენსიო სისტემა. რამდენიმე წელია გამოჩნდნენ კერძო კომპანიები, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას საფუძველი ჩაუყარონ კერძო საპენსიო სისტემის შექმნას, მაგრამ ეს ინიციატივა ჯერჯერობით ჩანასახოვან მდგომარეობაშია (სოციალ-დემოკრატები »პუბლიკაციები« საარსებო მინიმუმი, ხელფასი და საპენსიო სისტემა საქართველოში). დღეს პენსიებს განსაზღვრავს და გასცემს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი. საქართველოში პენსიის დანიშვნის საფუძვლები ორ კატეგორიად იყოფა: ძირითადი და კატეგორიების შესაბამისად. **პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძვლებია:**

- საპენსიო ასაკის მიღწევა;
- შეზღუდული შესაძლებლობების დადგენა;
- მარჩენალის გარდაცვალება.



ამჟამად მინიმალური სახელმწიფო პენსია 55 ლარია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა – 70- 80 ლარი, ასაკობრივი პენსია კი გაიზარდა 100 ლარმდე.

ხანდაზმულთა პენსიები საერთო ეროვნული პროდუქტის ძალიან დიდ პორციას შეადგენს და ყველაზე დიდი სახელმწიფო ხარჯია. 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო პენსიებზე გამოყოფილია 932,3 მილიონი ლარი (ბიუჯეტის 13,1%). საერთაშორისო მონეტარული ფონდის მონაცემებით, საქართველოში საპენსიო გადასახადი 2004 წელს 97 მილიარდ ლარს შეადგენდა, 2005 წელს კი 21 მილიარდს. შემოსავლის სხვა წყაროებს შორის მაგალითად, პენსიების წილი 27 პროცენტს შეადგენს, მიზნობრივი დახმარებისა კი მხოლოდ 7 პროცენტს. 2007 წლის მონაცემებით, პენსიები შეადგენენ საქართველოს თვიური შიდა ეროვნული პროდუქტის 3.47 პროცენტს, ხოლო მთლიანი სოციალური დაცვის დანახარჯის 79.8%. .

ერთი შეხედვით საპენსიო წილი საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ ის მაინც საარსებო მინიმუმზე დაბალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისტემა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას – უზრუნველყოს ადამიანების სოციალური უსაფრთხოება. მაგალითად მეზობელ სომხეთში საშუალო პენსია დაახლოებით 65 დოლარიის ეკვივალენტია და ყოველწლიურად საერთო ეროვნული პროდუქტის 6 პროცენტს შეადგენს; მეზობელ აზერბაიჯანში 125 დოლარის ეკვივალენტი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში 240 დოლარისა. ამასთან, საშუალო ხელფასთან საშუალო პენსიის თანაფარდობითაც ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს: საქართველო – 14.0 პროცენტს, სომხეთი – 20.1 პროცენტს, აზერბაიჯანი – 33.2 პროცენტს, რუსეთის ფედერაცია – 36.6 პროცენტს (სოციალ-დემოკრატები»პუბლიკაციები»საარსებომინიმუმი, ხელფასი და საპენსიოს სისტემის საქართველოში).

თუ გავითვალისწინებთ, რომ გაეროს ანგარიშების თანახმად, საქართველო შედის „დემოგრაფიულად მომაკვდავ“ ქვეყნების რიცხვში, ე.ი ერის დაბერების პროცესი გრძელდება, ასევე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ქვეყანაში რეალურად დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებითაც კი, ძლივს უტოლდება პენსიონერთა რაოდენობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული საპენსიო სისტემა არა მარტო უსუსური და არაეფექტურია, არამედ გაუმართლებელია ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ამგვარი სისტემის არსებობის პირობებში, ხელისუფლება მალე ვეღარ შეძლებს პენსიების გაცემას(სოციალ-დემოკრატები»პუბლიკაციები»საარსებომინიმუმი, ხელფასი და საპენსიოს სისტემის საქართველოში).

არადა ზოგადად, საპენსიო დაზღვევა (ისევე, როგორც ჯანმრთელობის) საშუალებას აძლევს ინდივიდებს შეამცირონ სამომავლო რისკები თავიანთი ცხოვრების მანძილზე მოხმარების რეგულირებით. ყოველ საპენსიო სქემას გარკვეული უპირატესობაც აქვს და ნაკლიც კონკრეტული ინდივიდისთვის

მოცემულ სიტუაციაში. მაგალითად, კერძო საპენსიო სქემების უპირატესობა არის მზარდი დანაზოგები, რაც ეკონომიკას აძლიერებს; კერძო საბანკო სექტორის განვითარება; და მომავალი პენსიონერების სარგებელი, რომელიც უსაფრთხო და მაღალ ბენეფიტებს მიიღებენ. თუმცა იგი, უდავოდ გაზრდის უთანასწორობას პენსიონერთა შორის, და ქალთა სიღარიბის ზრდას შეუწყობს ხელს. ფინანსირებად სქემებში ფულის თავმოყრა ამცირებს მოდიფიცირებული სახელმწიფო გადასახადის დაგროვებას, რაც ზრდის სახელმწიფო ვალებს და ამცირებს არსებულ პენსიებს.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. რომელი ორგანოა პასუხისმგებელი პენსიების ადმინისტრირებაზე საქართველოში?
2. რომელი კანონით რეგულირდება პენსიები საქართველოში?
3. რა არის საპენსიო ასაკი საქართველოში?
4. კონსპექტში წარმოდგენილია რა შედის სახელმწიფო პენსიის დანიშვნის ძირითად საფუძვლებში. რა არის სახელმწიფო პენსიის კატეგორიების შესაბამისად დანიშვნის პირობა საქართველოში?

## სოციალური კეთილდღეობა

### მიმოხილვა

სოციალური კეთილდღეობის სისტემის მიზანი

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის სისტემის შექმნაში

პროპორცია ბენეფიციარისათვის მიწოდებული მომსახურების საფასურსა და ამ მომსახურების ბენეფიციარამდე მიწოდების საფასურს შორის

მიზნობრივი დახმარება:

- საფეხურები
- მეთოდები
- პირუკუ მოტივაციის ფაქტორები

მოდით განვიხილოთ სოციალური კეთილდღეობის არსი. როგორც შევთანხმდით, სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართულ სოციალურ დახმარებებს სოციალური კეთილდღეობის დახმარებებად მოვიხსენიებთ.

მოგეხსენებათ, სიღარიბის მაღალი მაჩვენებლით ძირითადად ის ქვეყნები ხასიათდებიან, რომელთა ეკონომიკური განვითარების მაჩვენელი დაბალია. ეს ქვეყნები კი, განვითარებად ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნებიან. განვითარებად სამყაროში კი მაღალია უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულებისა და საერთაშორისო სააგენტოების მხარდაჭერის მოპოვების საჭიროების მაჩვენებელი. ამიტომაც, სოციალური კეთილდღეობის სისტემის სტრუქტურული ჩარჩოს შემუშავებაზე სწორედ ეს ორგანიზაციები მუშაობენ უმეტესწილად.

მსოფლიო ბანკისა და მონეტარული ფონდის დღის წესრიგში არ ფიგურირებს სოციალური პოლიტიკის ისეთი ტრადიციული კომპონენტები, როგორიცაა: სოციალური ექსკლუზია, შემოსავლების უთანასწორობის შემცირება, სამუშაო უფლებები, სოციალური ინტეგრაცია, რაც მეტად დამახასიათებელია მაგალითად, საერთაშორისო შრომის ორგანიზაციისთვის. სახელმწიფო, როგორც მეპატრონე, ფინანსური აგენტი, და მომსახურების მიმწოდებელი აღარ მონაწილეობს კეთილდღეობის სექტორში. ამას პოზიტიური ასპექტებიც აქვს, როგორიცაა:

- ძლიერი მონოპოლიის აღკვეთა;
- მომსახურებების მიწოდების პლურალიზაცია;
- არჩევნის თავისუფლების ზრდის ტენდენციები;
- ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია.

**მსოფლიო ბანკისა და მონეტარული ფონდის შეხედულებისამებრ**, სოციალურ ფულად ტრანსფერებს საბაზრო ეკონომიკაში უნდა ჰქონდეს სწორად სტრუქტურირებული მოტივაცია, რამაც უნდა გაამხნევოს ინდივიდები იმუშ-

აონ, დანაზოგი შექმნან, გადასახადები გადაიხადონ, რისკი გაიღონ, და მიმართონ სახელმწიფოს, როგორც დახმარების უკანასკნელ საშუალებას. ეს კი განსხვავდება წარსული ფილოსოფიისაგან, სადაც სახელმწიფო იყო ოჯახების შემოსავლის უსაფრთხოების ინტეგრალური ნაწილი. სახელმწიფო ინტერვენცია გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი მარცხს განიცდის – თავდაცვის, განათლების, გზებისა და სხვა სპეციალური უზრუნველყოფის საკითხებში, ისიც მხოლოდ იმ ეტაპამდე, სანამ ბაზარს შეეძლება მათი რეგულირება.

იმისათვის, რომ სოციალურ პოლიტიკაში შეიქმნას ბალანსი სოციალურ უსაფრთხოებასა (უნივერსალური, არა-შემოსავალზე-დამოკიდებული დახმარება) და სოციალურ კეთილდღეობას შორის (შერჩევითი, საჭიროების ტესტირება) აუცილებელია სამიზნე ჯგუფების გამოყოფა. დასავლეთსა და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული პოლიტიკური ეკონომიკის თვალსაზრისით, სოციალური დაცვა აღიარებს მხოლოდ რამდენიმე ინსტრუმენტს - დაზღვევაზე და საგადასახადო სისტემაზე დაფუძნებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებმაც უნდა დაიცვან მოქალაქეები სიღარიბისაგან.

მიზნობრივი-საჭიროების ტესტირების საფუძველზე შექმნილი დახმარებები ღარიბთათვის გამოიყენება ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში და საკმაოდ სტიგმატიზირებული დახმარებაა. მიუხედავად ამისა, თარგეთირება ანუ მიზნობრივი დახმარება არის პროცესი, რომელიც დახმარებას მიმართავს მათკენ, ვინც ამას უკიდურესად საჭიროებს. **მიზნობრივი დახმარება სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:**

1. მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრას;
2. მიზნობრივი დახმარების მეთოდების შემუშავებას მიზნობრივი ჯგუფის იდენტიფიკაციისა და რესურსების ამ ჯგუფისაკენ მიმართვისთვის;
3. ადმინისტრაციული სტრუქტურის შექმნას შემუშავებული მეთოდოლოგიის განსახორციელებლად.

მიზნობრივი დახმარების მეთოდოლოგია მოითხოვს აპლიკანტის მონაცემების შეგროვებას, შეფასებას და ვერიფიკაციას. აპლიკანტის მონაცემები შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ:

- სოციალური და დემოგრაფიული;
- შემოსავლის, როგორც ოფიციალური ასევე არაოფიციალური; და
- ქონებრივი მონაცემები.

აუცილებელია ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც ინკლუზიისა და ექსკლუზიის ცდომილებებს მაქსიმალურად შეამცირებს. **რა არის ინკლუზიის ცდომილება?** ინკლუზიის ცდომილებაა სახეზე, როდესაც პროგრამაში მოხვდა ისეთი ხალხი, ვისაც ეს კონკრეტული მიზნობრივი დახმარება არ ეკუთვნით დახმარების მიზნობრიობიდან გამომდინარე. **რა არის ექსკლუზიის ცდომილება?** ექსკლუზიის ცდომილებაა სახეზე, როდესაც პროგრამაში ვერ მოხვდა ისეთი

ხალხი, ვისაც ეს კონკრეტული მიზნობრივი დახმარება ეკუთვნით დახმარების მიზნობრიობიდან გამომდინარე.

ინკლუზიის ცდომილება იწვევს პროგრამის ღირებულების ზრდას, ექსკლუზიისა კი პირიქით. თუმცა, ამ უკანასკნელ შედეგებზე დაყრდნობით, არც იმის ფიქრის საშუალება გვეძლევა, რომ ინკლუზიის შეცდომები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ექსკლუზიისა, რადგან ექსკლუზიის ცდომილებაც ძალიან საგანგაშოა. ინკლუზიისა და ექსკლუზიის ცდომილება შეგვიძლია ავირიდოთ მეთოდოლოგიის დახვეწით. მიზნობრივი დახმარების ბენეფიტებს, ჩვეულებრივ, უფრო მეტი ადმინისტრაციული ღირებულება აქვს, ვიდრე არამიზნობრივს. ასე რომ, მიზნობრივი დახმარების მეთოდი, რომელიც მაქსიმალურად ამცირებს ცდომილებას ზრდის ადმინისტრაციულ ღირებულებას, რაც თავის მხრივ ამცირებს პროგრამის ღირებულებას.

მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ **რა პროპორცია ყალიბდება უშუალოდ ბენეფიციარისათვის მიწოდებული მომსახურების საფასურსა და ამ მომსახურების ბენეფიციარამდე მიწოდების საფასურს შორის**. პირველი არის თანხა ან მომსახურება, რომელსაც ბენეფიციარი იღებს, ხოლო მეორე - თანხა, რაც ბენეფიციარისთვის ამ თანხის ან მომსახურების მიწოდებისათვის გვჭირდება. ეს გულისხმობს, როგორც მიწოდებლის დროს, ისე ანაზღაურებას და ტრანსპორტირების ხარჯებს. ბუნებრივია, მეორე პირველს ყველა შემთხვევაში აღემატება, მაგრამ საქმე ისაა რამდენჯერ. თუ მეორე საგრძნობლად აღემატება პირველს, დასაფიქრებელია ადმინისტრირების ეფექტიანობა.

თარგეთირების მეთოდი, რომელიც სოციალურ და დემოგრაფიულ მახასიათებლებზე ან ქონების მფლობელობაზეა აგებული გრძელვადიან ღირებულებებს უწევს სოციალურ დახმარებას, რამეთუ ეს ინდიკატორები უფრო სტაბილური ინდიკატორებია დროში განერილი, მაშინ როცა შემოსავლის ინდიკატორი ამჟამინდელ ღირებულებას ასარგებლებს მეტად. რადგან ამჟამინდელი ღირებულებები მეტნი არიან რაოდენობრივად ვიდრე გრძელვადიანი ღირებულები, ამ უკანასკნელთა უგულებელყოფა თარგეთირებისას საგრძნობლად შეამცირებდა პროგრამის ღირებულებას.

**არსებობს რასაკვირველია მიზნობრივ დახმარებასთან დაკავშირებული პირუკუ მოტივაციის ფაქტორები**. მაგალითად, მას შეუძლია დასაქმების დემოტივაცია, დახმარებებზე გრძელვადიანი დამოკიდებულების გამოწვევა, ოჯახური სტატუსის შეცვლისა და მიგრაციის მოტივირება. მაგალითად, მიზნობრივი დახმარება, რომელიც კონკრეტულ ოჯახურ სტრუქტურაზეა განერილი, ვთქვათ მარტოხელა დედებზე, იწვევს ამ სოციალური კომპოზიციის გახშირებას ბენეფიტის მიღების მიზნით. მიზნობრივი დახმარება, რომელიც შემოსავალზეა დამოკიდებული შემოსავლების დამალვას ან სამუშაოს შემცირებას იწვევს, დახმარების მიღების მიზნით. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ დახმარება აღემატება შესაძლო ანაზღაურებას. ეს კი იწვევს სოციალურ ინერტულობას,

რაც დამოუკიდებელი ცხოვრების რეჟიმზე გადასვლის შესაძლებლობას ამცირებს, დახმარების მიმღების დახმარებაზე „დამოკიდებულობის“ ხარისხს კი ვერ ამცირებს. მაგალითად, ბალკანეთში არსებული დაბალი ბენეფიტები, ვერ იქნება მოტივაცია უმუშევრობისა, რადგან ის პირიქით ზრდის დასაქმების მოტივაციას.

### **არსებობს თარგეთირების შემდეგი მეთოდები:**

- შემოსავლის ტესტირება – ფორმალური შემოსავლების ტესტირება, დამყარებული დოკუმენტების შემოწმებაზე; აქვს საშუალო ადმინისტრაციული ღირებულება, მაგრამ ძალიან მაღალი თარგეთირების ცდომილება;
- პროქსი მინს ტესტირება – სოციალური მუშაკი (საქართველოში სოციალური აგენტი) აფასებს ოჯახის მდგომარეობას წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმით. ამ მეთოდის ადმინისტრაციული ღირებულება ყველაზე მაღალია და ბენეფიციართა შერჩევას ყველაზე დაბალი ცდომილება აქვს, თუ ადეკვატური ინფორმაცია მიენოდებათ სოციალურ მუშაკებს (საქართველოში სოციალური აგენტებს) ბენეფიციარებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ყველაზე მაღალი ცდომილებას მივიღებთ;
- თემის თარგეთირება – ადგილობრივი საბჭო ან სოციალური სააგენტოები განსაზღვრავენ თუ რამდენად მიესადაგება ოჯახი დახმარებას, ამ ტიპის თარგეთირებას დაბალ ადმინისტრაციული ღირებულება აქვს, სწორი თარგეთირების შემთხვევაში;
- კატეგორიზირებული თარგეთირება (ყველა წევრი ამ სპეციფიკური კატეგორიისა უფლებამოსილია მიიღოს დახმარება) – ხასიათდება ძალიან დაბალი ადმინისტრაციული ღირებულებით, მაგრამ მოსალოდნელი მაღალი ცდომილებით; სიზუსტე დამოკიდებულია მონიტორინგის ხარისხზე;
- თვით-თარგეთირება – ადმინისტრაციული ღირებულება დაბალი აქვს, მაგრამ პროგრამული საფასური მაღალი შეიძლება ჰქონდეს, თარგეთირების ცდომილება სხვადასხვაგვარია; სტიგმატიზირებული დახმარებაა.

მიზნის მიღწევა შესაძლოა სამიზნე სტრატეგიის უნივერსალურ სისტემაში განთავსებით. შესაძლოა დაწესდეს შეღავათები საშემოსავლო გადასახადებში, ან დამატებითი სარგებლის დაწესება შემოსავლების მიხედვით, ან დახმარების განწევა კონკრეტული საჭიროებისა და არა შემოსავლის მიხედვით. რასაკვირველია, სოციალური კეთილდღეობის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის მიერ საკუთარი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას და არა დახმარების მიწოდებით მის უყარათო ხარჯვას. ამიტომ, ძალიან დაკვირვებითაა შესაქმნელი დახმარებების სისტემა, მათი ხანგრძლივობა და ოდენობა. აუცილებელია განისაზღვროს ადეკვატური საარსებო მინიმუმი, რისი იგნორირებაც ხდება მაშინ,

როცა მინიმუმ ხელფასი და მინიმალური პენსია ამ საარსებო მინიმუმზე დაბალია.

კეთილდღეობის კრიზისიდან გამოსვლის სწორ გზას მივყავართ სელექტივიზმის გაზრდამდე, რომელიც ორი გზითაა შესაძლებელი:

1. შემოსავლის ტესტირებით უნივერსალური სქემებისათვის, როგორცაა საპენსიო დაზღვევა, რაც ნიშნავს შემცირებულ ბენეფიტს მაღალშემოსავლიანთათვის;
2. აპლიკანთა რიცხვის გაზრდით სოციალური დახმარებების ხელმისაწვდომობის გზით.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. როგორ ფიქრობთ, კატეგორიზირებული დახმარების სისტემა რატომ შეიცვალა თარგეთირების სისტემით?
2. როგორ იმუშავებდა საქართველოში თემის თარგეთირების მეთოდი?

## სოციალური უზრუნველყოფა

### მიმოხილვა

სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მიზანი

სოციალური დაზღვევის სქემები:

- სახელმწიფო
- კერძო

დაზღვევის ბაზრის პრობლემები

სოციალური დაზღვევა საქართველოში

სოციალური მუშაკი სოციალური დაზღვევის სისტემაში

დასავლეთსა და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული პოლიტიკური ეკონომიკის თვალსაზრისით, სოციალური დაცვა აღიარებს მხოლოდ რამდენიმე ინსტრუმენტს - დაზღვევაზე და საგადასახადო სისტემაზე დაფუძნებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებმაც უნდა დაიცვან მოქალაქეები სიღარიბისაგან.

როგორც შევთანხმდით, სოციალური კეთილდღეობა უმწეოთა დახმარებას გულისხმობს და სოციალური უსაფრთხოება ოჯახებისთვის სიღარიბის პრობლემის მაქსიმალურად არიდებას ისახავს მიზნად, **სოციალური უზრუნველყოფის სისტემა კი შექმნილია იმისათვის, რომ ადამიანები სხვა სოციალურ რისკებთან გაუმკლავებლობის პრობლემის წინაშე არ დადგნენ.** ეს რისკები დაკავშირებულია, სამუშაოს დაკარგვასთან, ასაკთან, ჯანმრთელობის გაუარესებასთან და ა.შ. სოციალური უზრუნველყოფა დაზღვევის პრინციპს ეფუძნება.

**არსებობს სახელმწიფო და კერძო სოციალური დაზღვევის სქემები,** რომლებიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უპირველესი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სახელმწიფო სოციალური დაზღვევა სოციალური უსაფრთხოების ნაწილია და სავალდებულოა უმრავლეს ქვეყნებში ან ფისკალური სუბსიდირებით ხორციელდება და სოციალური უსაფრთხოების გარანტიას ქმნის. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, სავალდებულო სოციალური დაზღვევის პროგრამები ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვაა. მთავრობებს უჭირთ ღარიბთა და ე.წ. “უღირს” ღარიბთა იდენტიფიცირება, რომლებსაც სისტემის ხარჯზე ფუქსავატობა აურჩევიათ ან დაუფიქრებლობის გამო სამომავლო რისკების განსაზღვრა არ ძალუძთ და მათი გამორჩევა მათგან, ვისაც ამის უნარი შესწევს და უმწეო მდგომარეობაშიც ფუქსავატობის გამო არ აღმოჩენილან. ამიტომ მთავრობა სავალდებულო სოციალური დაზღვევით ცდილობს ამ სირთულის დაძლევას. სახელმწიფო, სავალდებულო დაზღვევის საშუალებით ირიდებს “დაუფიქრებელ” მოქალაქეთა სამომავლო ტვირთად ჩამოკიდების პასუხისმგებლობას.



სოციალური კეთილდღეობის დახმარებისაგან განსხვავებით, სოციალური დაზღვევა საშუალო და მაღალი კლასის დახმარებაა. ეს განსაკუთრებით ასეა მაგალითად, აშშ-ში, სადაც ფულადი დახმარება პენსიონერთა და უმუშევართათვის პოზიტიურ კავშირშია წინა გამომუშავებასთან. თუმცა ისეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ უმუშევრობის დაზღვევით სახელმწიფო თავისდაუნებურად კიდევ უფრო ზრდის დაუსაქმებლობის მაჩვენებელს, რადგან უმუშევარი, რომელიც დაზღვეულია უმუშევრობაზე კარგავს მოტივაციას ეძებოს სამსახური და მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს დაზღვევა, რაც სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება. მაგალითად, აშშ-ში ბოლო დეკადების მანძილზე სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების წილი შეკ 2.7 პროცენტადან 7.4 პროცენტამდე გაიზარდა, მაშინ როცა მიზნობრივი კეთილდღეობის პროგრამების ხარჯვითი წილი უცვლელია ამავე პერიოდის მანძილზე. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ბევრად აღემატება სოციალური კეთილდღეობის დანახარჯს. სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების უარყოფითი გავლენა სოციალური კეთილდღეობის პროგრამებზე აშკარაა. დედვეიტი (“ფუჭი” საერთო დანაკარგი) გადასახადის ყოველ ექსტრა დოლარზე იზრდება გადასახადებიდან ამოღებული შემოსავლების ზრდასთან ერთად. მაღალი გადასახადები, რაც აუცილებელია საშუალო კლასის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვის ზრდის დედვეიტის ტვირთის ოდენობას გადასახადზე, რაც სიღარიბის მიზნობრივ პროგრამებზე უნდა დაიხარჯოს (მენკიუ, 2001).

ზოგიერთთა მოსაზრებით, დაბალშემოსავლიანმა ქვეყნებმა სადაზღვევო პროგრამები უნდა გადააქციონ გადასახადებით ფინანსირებად დასაქმების დახმარებად, რომელიც უნდა იყოს მარტივი, ხელმისაწვდომი, თანაბარი ოდენობის დახმარება, და ძირითადი სოციალური დახმარების პაკეტის შემადგენელი ნაწილი. მაგრამ სოციალური დაცვის მკაფიოდ განერილი გეგმის არარსებობა აფერხებს კეთილდღეობის ხარჯების ზრდას და არაეფექტურ ხარჯვას. ძველი სისტემის ნგრევისას, მოქალაქეებს იმედი ჰქონდათ, რომ ახალი მთავრობა დაიწყებდა საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი საზოგადოებისა და გაუმჯობესებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას, მაგრამ სახელმწიფო დაპირება ე.წ. „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ მოდელის შექმნის შესახებ მხოლოდ ლოზუნგად დარჩა. ფუნდამენტური რეფორმების დაგეგმვისა და გატარების ნაცვლად მცირე მასშტაბიანი ღონისძიებები ტარდებოდა, რაც მხოლოდ საგანგებო მდგომარეობებთან გამკლავების პოტენციალს ფლობდა. რეფორმის დღის წესრიგი საერთაშორისო მონეტარული ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ დგებოდა. ეს ორივე ორგანიზაცია პრივატიზაციასა და ლიბერალიზაციას ეკონომიკაში პრიორიტეტად მიიჩნევდნენ.

ჩამოყალიბდა მცირე და საშუალო ვადიანი პრიორიტეტები. მოკლე ვადაში, აქცენტები კეთდებოდა დაზოგვაზე. საერთაშორისო ორგანიზაციები რეკო-

მენდირებდნენ დასაქმების დაბალ ღირებულებას, ინვალიდობის პენსიების შემცირებას, მომხმარებელთა გადასახადების შემოღებას. მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, სუბსიდირება უნგრეთში დაეცა 7-დან 1.5 პროცენტამდე, ხოლო პოლონეთში 8.2 დან 0.7 პროცენტამდე 1989-სა და 1993 წლებში. საშუალო და გრძელვადიანი პრიორიტეტები სოციალურ სფეროში გულისხმობდა სახელმწიფოს როლის გაუქმებას არსებული მომსახურებების მიწოდებაში და ეფექტიანობის ზრდას ამ მომსახურების მარკეტიზაციითა და პრივატიზაციით. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სოციალური ბენეფიტების შემცირებით გარდა სოციალური კეთილდღეობის დახმარებისა, რაც არის კარგად გამიზნული უსაფრთხოების ქსელის შექმნა ლარიბთათვის. საბაზრო ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებისა და ეკონომიკაში გადასახადებისა და სუბსიდიების საშუალებით რესურსების გადანაწილების გარეშე.

მოდით, კერძო დაზღვევის სისტემაზეც ვისაუბროთ, რომელიც საკმაოდ მსუყე სიამოვნებაა და განსაკუთრებით იმ ადამიანებს იზიდავს, რომლებსაც რისკთან გამკლავების საფრთხე დისკომპორტს უქმნის. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ შეიძინონ ნებისმიერი სახის დაზღვევა, რომელსაც განვდებიან და, რომელიც მათი აზრით, მოსალოდნელ რისკებთან გამკლავების ყველაზე კარგი საშუალებაა მათთვის. როგორც იცით, ბევრი სახის დაზღვევა არსებობს, მანქანის, უძრავი ქონების, ხანძრის წინააღმდეგ, ჯანმრთელობის, სიცოცხლის და ა.შ. არსებობს, ასევე, დაზღვევა ღრმა ხანდაზმულობისაც: თანხა, რომელსაც თქვენ იხდით დღეს, სადაზღვევეო კომპანია კი, თქვენ მომავალში ამ თანხას გადაგიხდით ყოველწლიურად თქვენი სიცოცხლის მანძილზე.

**დაზღვევის ბაზარი ძირითადად ორი პრობლემის წინაშე დგას, რომლებიც რისკთან გამკლავების პროპაგანდირებას აფერხებს:**

- ერთი არის უარყოფითი შერჩევა: რისკიანი ადამიანი უფრო ხშირად მიმართავს სადაზღვევე კომპანიას, ვიდრე არარისკიანი;
- მეორე კი მორალური საფრთხე: დაზღვევის შეძენის შემდეგ ადამიანი ნაკლებ მოტივირებულია რისკიანად არ მოიქცეს.

სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ სადაზღვევეო კომპანიები აფასებენ რისკს იმ მოსალოდნელი რისკების შეფასებაზე დაყრდნობით, რის წინაშეც ისინი დადგებიან კლიენტის მიერ დაზღვევის შეძენისთანავე. სწორედ ამიტომაცაა, რომ დაზღვევის მაღალი ღირებულება მისაღებია რისკიანი ადამიანებისთვის, ხოლო ნაკლებ რისკიანები კი ცდილობენ თვითონვე იზრუნონ თავიანთ უსაფრთხოებაზე და აირიდონ დაზღვევის ტვირთი.

**საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ სოციალური დაზღვევის სისტემა შეიცვალა** გადასახადებზე დაფუძნებული ჯანდაცვის სისტემით. 2005 წელს ახალი საგადასახადო კოდექსით შემოტანილი „სოციალური გადასახადის“ ცნებით გადასახადმა დაკარგა მიზნობრიობა და ჯანდაცვის გადასახადი საბიუჯეტო შენატანის ნაწილი გახდა. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებით ხირციელდებოდა. 2007 წლიდან სახელმწიფო ხარჯების დიდი ნაწილი ადმინისტრირებისათვის გადაეცათ კერძო სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც თავად ახორციელებენ დაზღვეულთათვის მომსახურების შესყიდვას. სოციალური მომსახურების სააგენტო მის მიერვე იდენტიფიცირებული ყველაზე ღარიბი ოჯახებისათვის იძენს ჯანდაცვის დაზღვევის პოლისებს კერძო სადაზღვევო კომპანიებისათვის. დამქირავებლების მიშვეობით დაზღვეულია მოსახლეობის 6%, ნებაყოფლობით 1%, დაზღვევის არ მქონენი კი მოსახლეობის 76% შეადგენენ (ჩაგანავა, 2011). 2008 წლიდან სოციალური გადასახადი გაუქმდა. დღესდღეობით სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების ერთადერთ წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები წარმოადგენს. სამწუხაროდ ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ვერც დაზღვევს შეძენის სტიმულირება მოხერხდა და ვერც ხელმისაწვდომობის გაზრდა.

გაზეთი ბანკები და ფინანსების მიერ ჩატარებულმა კვლევამ (გამოიკითხა 500-მდე რესპონდენტი) მოსახლეობის დამოკიდებულებების შესახებ სადაზღვევო სისტემისადმი ცხადყო, რომ საქართველოში ყველაზე აქტუალური ჯანმრთელობის დაზღვევაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოიკითხულთა მხოლოდ 22% სარგებლობს. ავტომობილს აზღვევს 8,6%, რაც თავისთავად დაბალი მაჩვენებელია მანქანებით გადატვირთული თბილისისთვის. სიცოცხლის დაზღვევით მოქალაქეთა მხოლოდ 7% სარგებლობს. იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც დაზღვევის არც ერთი სახით არ სარგებლობენ გამოიკითხულთა საერთო რაოდენობის 55%-ს შეადგენს.

არცერთი სადაზღვევო პროდუქტით ვინც არ სარგებლობს, მათი 54,5% ასე იქცევა, რადგან არ აქვს შესაბამისი ფინანსური საშუალება. 25,6% უბრალოდ, არ ენდობა სადაზღვევო კომპანიებს.

ეს მონაცემები კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის **სოციალური მუშაკის როლს დაზღვევის სიტემაში საქართველოში**. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა არ არის ინფორმირებული დაზღვევის სისტემისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული მომსახურებების შესახებ. არაინფორმირებული ადამიანი კი სწორ არჩევანს ვერ აკეთებს. გარდა ამისა, მომსახურების მიმღებთა უმრავლესობას აქვს კუთვნილი დაზღვევით სარგებლობის პრობლემა უამრავი ბარიერების გამო: ინფორმაციული, სა-

ტრანსპორტო, ტრანსპორტირების ხარჯების გადახდის და ა.შ. სოციალური მუშაკები სადაზღვევო სქემებს შორის განსხვავების ახსნას დიდ დროს უთმობენ, თუმცა ეს მათ სამუშაო განრიგს მიღმაა და შესაბამისად ფორმალურად არც აისახება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოში. მაგრამ ფაქტია, რომ მოსახლეობას სჭირდება ამგვარი მომსახურების მიწოდება და ეს ნიშა ამოსავსებია.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. თქვენი აზრით, სავალდებულო სოციალური დაზღვევის პროგრამები ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვაა?
2. რა არის ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის დაბალი მაჩვენებელი საქართველოში?

## სოციალური კეთილდღეობის მოდელები

### მიმოხილვა

სოციალური კეთილდღეობის მოდელები:

- ბევერიჯის მოდელი
- ბისმარკის მოდელი
- სუბსიდირებული მოდელი
- სკანდინავიური მოდელი
- ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპული მოდელი
- იაპონური მოდელი

კეთილდღეობის განმსაზღვრელი კომპონენტები

კეთილდღეობის თეორეტიკოსთა მოსაზრებები კეთილდღეობის სისტემაზე:

- პიგოუს მოსაზრება
- პარეტოს მოსაზრება
- ბენტემის მოსაზრება
- როულსის მოსაზრება
- ნოზიკის მოსაზრება

როგორ განვსაზღვროთ „კეთილდღეობის სისტემა“? შევთანხმდეთ, რომ ის არის სოციო-ეკონომიკური სისტემა, რომელიც ემსახურება კეთილდღეობის პრინციპებს სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად. იმის მიხედვით, თუ რა სოციალური პოლიტიკის კურსს ატარებს სახელმწიფო განისაზღვრება სოციალური კეთილდღეობის ხარისხი ქვეყანაში. თუმცა, იდეოლოგიური პრობლემა სახელმწიფოს, ბაზარსა და ოჯახებს შორის სოციალური კეთილდღეობის როლისა და ამ როლთა გადანაწილების შესახებ კვლავ გადაუჭრელია. არსებობს სხადასხვა ტიპის სოციალური კეთილდღეობის მოდელი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს გავიხილავთ:

**ბევერიჯის (იგივე ანგლო-საქსური, რესიდუალური ანუ ლიბერალური) მოდელი**, რომლის მიხედვით, სოციალური დახმარება უკიდურესად უმწიფოებს უნდა გაენიოთ. დიდი ინგლისელი ეკონომისტისა და სოციალური რეფორმატორის უილიამ ჰენრი ბევერიჯის აზრით, ბენეფიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმის საზომად კი მან როუნტრის უკიდურესი სიღარიბის ზღვარი აიღო. ამ პრინციპზე დაყრდნობით აგებული სისტემის ფუნქციონირებისათვის გათვლილი ღირებულების შესანარჩუნებლად როუნტრი იძულებული იყო კომპრომისზე წასულიყო ადამიანის დასაქმების საჭიროებაზე უარის თქმით. თავად ბევერიჯის ერთ-ერთი ჩანაწერი ცხადყოფს მის მიერ იმის დაშვებას, რომ დაგეგმილი დანახარჯი არ იქნებოდა საკმარისი პრობლემის მოგვარებისათვის, მაგრამ მას სურდა „თუ სოციალური პოლიტიკა მოითხოვს ბენეფიტებისა და კონტრიბუციების საარსებო მინიმუმზე ზევით გაზრდას არ დაზიანებულიყო სქემის სტრუქტურა“ (ლენინერსტერ, ., ილლს, ჟ.. იაცჰაუდ, ., & ჭებბ, ჟ. 2004). ბევერიჯის მოდელის მიხედვით, არავის არ უნდა

ჰქონოდა სამედიცინო და განათლების ღირებულების ტვირთი. ეს კი მოსახლეობის უმეტესობას სიღარიბიდან ამოიყვანდა. შესაბამისად მხოლოდ მცირე ოდენობა ისარგებლებდა ეროვნული დახმარების უსაფრთხოების ქსელით. უნივერსალური საოჯახო დახმარება უნდა დაწესებულიყო ბავშვის აღზრდისათვის მისი აღზრდის ხარჯის შესაბამისად (გლენერსტერი, ჰილსი, ვები 2004).

ბევერიჯის მოდელმა დიდი სახეცვლილება განიცადა ისტორიის მანძილზე, რადგან თავდაპირველი ჩანაფიქრი დაგეგმილისამებრ ვერ ამუშავდა. მოდელის უპირველესი ნაკლი ის იყო, რომ გათანაბრებული სადაზღვევო ბენეფიტები დასახმარებელთა განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობისადმი არ იყო სენსიტიური, რაც გამონვეული იყო დიდნილად საცხოვრებელი რენტის ნაირგვარობით ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. რენტის ღირებულების კალკულაციაში გაუთვალისწინებლობა მოითხოვდა *ეროვნული დახმარების საბჭოს* მიერ დაწესებული მიზნობრივი დახმარებების ტესტირებით იდენტიფიცირებას. ამჟამად რენტის საფასური გათვალისწინებულია საბინაო ბენეფიტში, თუმცა ოჯახების სიღარიბის მიზნობრივი დახმარების პროგრამაში ჩართვის საფასურად. ეს საკითხო დღემდე გადაუჭრელია.

მოდელმა არც პენსიონრებისთვის იმუშავა ჯეროვნად. უნივერსალური, თანაბარი საპენსიო ბენეფიტები არა-ღარიბთა მოცვას გულისხმობდა, რაც სცილდებოდა ხაზინის შესაძლებლობებს. ბევერიჯის სურვილი, რომ ეს ბენეფიტები საგადასახადო ფონდიდან არ გახარჯულიყო, და დახმარებები გაცემულიყო თანაბარი კონტრიბუციული სადაზღვევო სქემიდან ღირებულების შემცირებას ისახავდა მიზნად. ეს კი ღარიბთა ზურგზე გადაივიდა. ხაზინას სურდა, რომ ბენეფიტები გადასახადების გადამხდელთა ტვირთად არ ყოფილიყო, ხოლო პროფესიული კავშირები დაბალშემოსავლიანთა ინტრესებს იცავდნენ.

სქემა დაქორწინებულ ქალებს დამოკიდებული პირის სტატუსს ანიჭებდა, ხოლო დაუქორწინებულ ქალბატონებს კონტრიბუტორის იგივე სტატუსს ანიჭებდა, რაც მამაკაცს ჰქონდა. ქორწინება სოციალური დაზღვევის კონტრაქტს წარმოადგენდა ბევერიჯის მოდელის მიხედვით. ქალისა და ბავშვების საჭიროებები მეუღლის ვალდებულება იყო.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ვალდებულებას სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში კისრულობდა თუ მათ ეს დაზიანება ომის ან სანარმოო ტრავმის შედეგად მიიღეს. ეს საკითხი მოდელმა მომდევნო ათწლეულებში გამოასწორა შმმპ-თვის შემოსავლების მიხედვით და საგადასახადო სქემებიდან გადასახადების გაცემის საშუალებით.

**ბისმარკის (იგივე ცენტრალურ ევროპული, ანუ კონსერვატული, ანუ მიღწევებზე ორიენტირებული) მოდელი**, რომლის მიხედვითაც, სოციალური დახმარება მხოლოდ შრომის ბაზარზე მყოფთ გაენევათ. ბისმარკის მოდელის მახასიათებლებში უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია პრინციპი ბენეფიტების გაცემისა – ბენეფიტებს გამომუშავება და დამსახურება სჭირდება. ბისმარკის

მოდელი ოჯახზე ორიენტირებული მოდელია, და დახმარებაც შემომტანზეა მიბმული. ამ მოდელის მიხედვით მამაკაცი გამოიმუშავებს დასაქმების ბაზარზე და დახმარებების ოდენობაც ამაზე დამოკიდებული, ხოლო ქალისათვის დახმარება ხელმისაწვდომია ქორწინებისა და ოჯახის შუამავლობით. გამოდის, რომ ბენეფიტებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობისათვის ორი ბაზარია აქტიური – დასაქმებისა და ქორწინების. სოციალური დაცვა შესრულების ხარისხზეა დამოკიდებული და სოციალური უსაფრთხოების სისტემის ორგანიზებით ხორციელდება, ხოლო მათთვის, ვინც „დაბალ სამემსრულებლო კულტურას“ ამჟღავნებენ საგადასახადო სისტემიდან ორგანიზებული მწირი უსაფრთხოების ქსელის სქემებია ხელმისაწვდომი (ესპინ-ანდერენი, 2002).

დახმარების ოდენობა დამოკიდებულია ფინანსურ კონტრიბუციასა და შემოსავალზე. ამ მოდელის მიხედვით, ფულადი ბენეფიტის ფუნქცია მამაკაცთა ხელფასის ჩანაცვლებაა – კომპენსირება დასაქმების ბაზარზე გამოიმუშავების ლეგიტიმურად დაკარგვის შემთხვევაში. ხელფასის ჩანაცვლებელი ფუნქციის გამო კეთილდღეობის ეს მოდელი უპირატესობას შემოსავლების უსაფრთხოებასა და სტატუსის დიფერენცირების შენარჩუნებას ანიჭებს.

ეს მოდელი ჰორიზონტალური რედისტრიბუციის პრინციპზეა აგებული. მისი ადმინისტრირება კი სამმხრივი ერთობით ხორციელდება: დამქირავებლები, დაქირავებულები და სახელმწიფო, ოღონდ ავტონომიის დაცვით. თვით-ადმინისტრირება ხორციელდება სუბსიდირების პრინციპის დაცვით, იმიჯნება რა დაცვა და ზეგავლენის ქვეშ მოქცევა სახელმწიფოს მხრიდან. პირდაპირი სახელმწიფო ინტერვენცია უკანასკნელი ზომია და ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს ქვედა იერარქიის (მაგალითად თემი, ოჯახი) ბუნებრივი ნიშნის შენარჩუნებას ან აღდგენას ემსახურება.

ამ მოდელის მკვეთრი მახასიათებელი ასევე ფოკუსირება არა ინდივიდებზე თავიანთი პერსონალური მახასიათებლებისა და შესაძლებლობების მიხედვით, არამედ მათი ოჯახური და სოციალური სტატუსის მიხედვით. ამ მოდელის მიხედვით უპირატესობა, მაღალანაზღაურებად, სრულ განაკვეთზე მომუშავე მამაკაცსა და ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ან საერთოდ უმუშევარ ოჯახის დედას ენიჭება. მოდელი უპირატესობას გარკვეული სოციალური ჯგუფისა და საქმიანობის მქონეებს ანიჭებს. ქალი პასიურ საზოგადოებრივ როლშია დანახული, მისი კონტრიბუცია მეტად დაფასებულია ოჯახში ვიდრე კარიერაში. არადა, ქალთა მაღალი დასაქმების მაჩვენებელი საჭიროა არა მხოლოდ მოსახლეობის სიბერესთან ბრძოლისათვის, არამედ ოჯახებში სიღარიბის რისკების შემცირებისათვისაც. ეს გამოუყენებელი სამუშაო პოტენცია კი მობილიზების შემთხვევაში მომავალი კეთილდღეობის სისტემის ფინანსირების უზრუნველყოფის საშუალებაა.

**სუბსიდირებული (იგივე სამხრეთ ევროპული, იგივე კათოლიკური),** მოდელი სოციალური პრობლემების გადაჭრის ოჯახზე ორიენტირებული მოდელია. სუბსიდირებული მოდელი სამხრეთ ევროპული ქვეყნების კულტურულსა და

რელიგიურ მახასიათებლებზე გალივდა. მის ფუნდამენტს ამ საზოგადოებაში არსებული ოჯახური და გენდერული ტრადიციები განაპირობებენ. ამ მოდელისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან აღსანიშნავია კეთილდღეობის მომსახურებების უნივერსალიზაცია (ჯანდაცვა, განათლება), რაც სოციალურ აქტორთა (პროფესიული კავშირების, მემარცხენე პარტიების, და მოსახლეობის ზოგადად) დაკვეთაც. შემოსავლების შენარჩუნების პოლიტიკა (შშმპ-თა და პენსიონერთა, ავადმყოფობისა და დაუსაქმებლობის ბენეფიტები) ოკუპაციური ხასიათისა და ორიენტირებულია დასაქმებულებსა და მათზე დამოკიდებულ პირებზე. კეთილდღეობის მომსახურებების მიწოდება საჯარო სექტორის ადმინისტრირებით ხორციელდება სახელმწიფო შემოსავლებიდან. თუმცა სხვადასხვა ქვეყანა სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში რედისტრიბუციის განსხვავებული პრინციპებით ხელმძღვანელობს. ამ მოდელისათვის ასევე ხანდაზმულთა კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამუშაო ასაკის მოსახლეობისა. პენსიებზე ამ ქვეყნებში სოციალური დანახარჯის უდიდესი წილი მოდის, გაცილებით მეტი ვიდრე უმუშევრობის ბენეფიტებზე, საოჯახო დახმარებებზე, საგადასახადო შეღავათებზე, მინიმუმ ხელფასზე. ამ სისტემის სახელმწიფო სოციალური და ზრუნვის მომსახურებები ყველაზე დაბალ განვითარებულ დონეზეა სხვა მოდელებთან შედარებით, როგორც დანახარჯის, ასევე ხელმისაწვდომი მომსახურებების თვალსაზრისით.

ამ მოდელის განმასხვავებელი ნიშანი სამხრეთ ევროპული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი „ფემილიალიზმია“, რაც იმას გულისხმობს, რომ ოჯახი უფრო მეტად, ვიდრე სახელმწიფო ან ბაზარი, ეწევა კეთილდღეობის წარმოებას. გაფართოებული ნათესაური ქსელი ინანილებს ზრუნვისა და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას და რესურსებს. ოჯახი კისრულობს სესხისა და დასაქმების ვალდებულებას თავისი წევრებისათვის ურთიერთობების კაპიტალის გამოყენებით.

ისმის კითხვა „ფემილიალიზმი“ სამხრეთ ევროპული ქვეყნების კეთილდღეობის სისტემის პოლიტიკური არჩევანია თუ ის ავსებს კეთილდღეობის სისტემაში არსებულ დეფიციტს? თუ უკანასკნელია მიზეზი, მაშინ გამოდის, რომ „ფემილიალიზმი“ ამ მოდელისათვის გარემოებით გამოწვეული აუცილებლობაა, სანამ იგი არ იზრუნებს არსებული დეფიციტის ამოვსებაზე. ზოგიერთი მეცნიერი „ფემილიალიზმს“ კულტურულ ტრადიციებსა და კათოლიციზმს უკავშირებს; ზოგიერთი კი ოჯახების თავდადებას შეუნარჩუნონ თავიანთ შვილებს ცხოვრების სტანდარტი უმუშევრობის დროს, ან ხანდაზმულ დიასახლისთა მოვალეობის გრძნობას მოხუცების ან შშმ ოჯახის წევრებისადმი.

ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, სუბსიდირებული მოდელი არ მოიაზრება კეთილდღეობის ცალკე მდგომ მოდელად, რადგან არ გააჩნია სხვა მოდელებისაგან მკვეთრად განმასხვავებელი მახასიათებლები. ის მცირედ განსხვავდება კეთილდღეობის ბისმარკის (კონსერვატიული) მოდელისაგან. მათი აზრით, ეს მოდელი ნაკლებ განვითარებულ კონსერვატიულ მოდელს წააგავს.



ზოგიერთნი კი მას კონსერვატიულისა და სოციალ დემოკრატიული (სკანდინავიური) მოდელების ნაზავად მიიჩნევენ. სხვანი კი მას ყველაზე პრიმიტიულ მოდელად მიიჩნევენ, რომელიც კეთილდღეობის ინსტიტუციონალიზიის მცდელობაა მხოლოდ, რომელიც სოციალური დახმარებებით შემოიფარგლება (ესპინ-ანდერსენი, 2002).

**სკანდინავიური (იგივე ნორდიკული, სოციალურ დემოკრატიული, ანუ ინსტიტუციური) მოდელი**, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ყველა წევრის დახმარებას, განურჩევლად მათი დასაქმებისა და სოციალური სტატუსისა. სკანდინავიური მოდელის მიხედვით, ბენეფიტები ეძლევა ყველა ინდივიდს და არა მხოლოდ ოჯახს, მაგალითად თუ ქალი გაშორებულია მეუღლესთან, მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ბენეფიტი. ერთადერთი გამონაკლისია ავადმყოფობისა და დაუსაქმებლობის ბენეფიტი. ეს დამოკიდებულია უკანასკნელ დამქირავებელზე და/ან პროფესიული კავშირის წევრობაზე. ბენეფიტები გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული გადასახადებისაგან. რადგანაც სკანდინავიური მოდელი ყველაზე მსუყე ბენეფიტებით ხასიათდება, შესაბამისად გადასახადებიც ძალიან მაღალია. თუმცა მაღალი გადასახადები არ იწვევს სახალხო მღელვარებას, რადგან მოსახლეობა თავს სოციალურად დაცულად გრძნობს განურჩევლად სოციალური კლასისა და ეკონომიკური მდგომარეობისა. კეთილდღეობის მიწოდებაზე სახელმწიფოა უმეტესწილად პასუხისმგებელი, მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული ოჯახი, ეკლესია ან არასამთავრობო სექტორი (გათსისი, 2002ს).

სკანდინავიური მოდელის კიდევ ერთი მახასიათებელია მოსახლეობისათვის სხვადასხვა მომსახურების მიწოდება ნაცვლად ფულადი დახმარებებისა. სოციალურ სფეროში ბენეფიტების ორგანიზებაცა და ფინანსირებაც (იქნება ეს ტრანსფერები თუ მომსახურება) ერთიდაიგივე უნიფიცირებული სისტემიდან წარმოებს.

სკანდინავიური მოდელის უპირველეს ამოცანას მეორე მხოფლიო ომის შემდეგ მოქალაქეთა დასაქმება წარმოადგენდა. თუმცა მიუხედავად სკანდინავიის ქვეყნებში დასაქმების ბაზარზე დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებლისა, რაც ალბათ ნაწილობრივ ქალთა და მამაკაცთა თითქმის თანაბარი აქტიურობით აიხსნება დასაქმების ბაზარზე, ეს გაჭირდა 70-იან წლებიდან დანიაშიც, ნორვეგიაშიც და შვედეთშიც.

ამ მოდელის სხვა მოდელებისაგან ყველაზე მეტად განმასხვავებელი მახასიათებელი ის არის, რომ ის იმართება კონტროლირებადი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც შემოსავლების უთანასწორობა, კეთილდღეობისა და ძალაუფლების დისტრიბუცია იზღუდება. ეს კი სკანდინავიის ქვეყნებში არსებული საპარლამენტო დემოკრატიის შედეგია, სადაც პოლიტიკური სისტემის გარდა წარმოდგენილია დამქირავებელიცა და დაქირავებულიც. მოდელი სოციალურ დემოკრატიულ მოდელად იწოდება ხშირად, რაც ართუ ისე

მართებულია, რადგან იგი არ წარმოადგენს სოციალურ დემოკრატიული იდეოლოგიის სრულ განსახიერებას. ის უფრო ეროვნული პოლიტიკური შეთანხმებაა სოციალური სისტემის ორგანიზებისა და დაფინანსების თაობაზე. განურჩევლად იმისა, თუ რომელი პარტიაა ქვეყნის სათავეში ამ საკითხის ირგვლივ საერთო ფასეულობები და პრინციპები დომინირებდნენ განსხვავებულ შეხედულებებზე. ამიტომაც, საერთო ინტერესები არ დაზარალებულა და შეთანხმებაც უფრო ადვილი მისაღწევი აღმოჩნდა ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში.

მიუხედავად ამ კომპრომისებისა შეხედულებებსა და პრინციპებს შორის გლობალიზაციის ეპოქამ მაინც დააყენა მოდელი იმის გარკვევის აუცილებლობის წინაშე თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ კომპრომისების შენარჩუნება 21-ე საუკუნეში იმ სახით, რა სახითაც ის წინა საუკუნეში ფუნქციონირებდა. ამჟამინდელი ეკონომიკური სიტუაციისადმი ამ მოდელის ადაპტაციის აუცილებლობის საკითხი წამოიჭრა. სკანდინავიის ყველა ქვეყანაში სუბლიმენტარული კეთილდღეობის სისტემა განვითარდა ბოლო წლებში, რომელიც ბენეფიტების გაცემის დიფერენცირებით ხასიათდება. ამ სისტემის მიხედვით, უფრო მსუყე ბენეფიტები ეძლევათ შრომის ბაზარზე დასაქმებულთ, რაც სკანდინავიური მოდელის თანასწორობის პრინციპისაგან აშკარა გამიჯვნაა. ამ ცვლილებამ გააუმჯობესა დასაქმებულთა დეკრეტული, ავადმყოფობისა და საპენსიო ბენეფიტები დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის სამუშაო ბაზრის პირობების რეგულირების თაობაზე კოლექტიური შეთანხმების შედეგად.

**ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპული მოდელი**, რომელიც დამახასიათებელია პოსტ-სოციალისტური ბლოკის ქვეყნებისათვის. რასაკვირველია, კეთილდღეობის სისტემა განსხვავებულია ქვეყნებს შორის (მანაბუ, 2004), მაგალითად თუ ჩეხეთში უნივერსალურ ჩარჩოშია მოქცეული, პოლონეთში ლიბერალური ტენდენციები შიემჩნევა, უნგრეთში კი მათ შორისაა; ჩეხეთმა და სლოვაკეთმა 1991 წელს მიიღეს კანონი საარსებო მინიმუმი შესახებ, უნგრეთმა 1992 წელს კანონი სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, პოლონეთმა 1990 წელს მიიღო კანონი სოციალური დახმარების შესახებ. ძირითადი მახასიათებლებია ტენდენცია სახელმწიფო სექტორის გამოთიშვისაკენ კეთილდღეობის სექტორიდან, სხვადასხვა სუბსიდიების გაუქმებისაკენ საქონელსა და მომსახურებაზე, სოციალური და სამედიცინო მომსახურებების პრივატიზაციისა და მარკეტიზაციისაკენ, მესამე სექტორის გააქტიურების ნახალისებისაკენ.

სოციალური მომსახურებების ფონდი გამოეყო სახელმწიფო ბიუჯეტს, საპენსიო ფონდი გამოეყო ჯანდაცვის დაზღვევის სისტემას, სოციალური უსაფრთოება დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ ხორციელდება, და რეგიონული და ადგილობრივი მთავრობის პასუხისმგებლობა გაფართოვდა. ეს მოდელი წარმოადგენს ბისმარკისეული კონსერვატიული კორპორატიზმისა და პოსტ-კომუნისტური კონსერვატიზმის მოდელთა ნარევს. ეს მოდელი ამავე დროს ხასიათდება ნეო-ლიბერალური ტენდენციებით, რაც გამოიხატება:

- ბაზრის დერეგულირებაში, მათ შორის დასაქმების ბაზრისა, პირდაპირი და არაპირდაპირი დასაქმების ღირებულების შემცირებაში, ყოფილი სახელმწიფო ქონებისა და მომსახურების მარკეტიზაციასა და პრივატიზაციაში;
- ქვეყნისა და მთავრობისთვის დამახასიათებელ კონსერვატიულ მიდგომებში, რომელშიც ეკლესია და ოჯახი ცენტრალურ ფასეულობებს წარმოადგენენ;
- წარსულ მემკვიდრეობაზე ორიენტირებულობაში, რომელიც წმინდად ნეო-ლიბერალური მოდელის დამკვიდრებას აფერხებს;
- სუსტ საგადასახადო პოლიტიკაში. იქ, სადაც საგადასახადო (შემოსავლის აკუმულირების) ტენდენციები სუსტდება, სახელმწიფო ქონება, მათ შორის კეთილდღეობაც ნიავდება.

**იაპონური მოდელი**, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც კონსერვატიული და ლიბერალური კეთილდღეობების ქვე-კატეგორია და განიხილება, როგორც შრომასა და დასაქმებაზე ორიენტირებული კეთილდღეობის მოდელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია (უზუაში, 2004):

- მცირე და ხანმოკლე სახელმწიფო დახმარებები;
- მომსახურების მიმღებთა მაღალი კონტრიბუციები;
- ფისკალური თავსებადობა სქემებს შორის (მომსახურეთა პენსიების დაზღვევასა და ეროვნულ საპენსიო დაზვევებს შორის, ან მომსახურეთა სამედიცინო დაზღვევასა და ეროვნულ სამედიცინო დაზღვევას შორის);
- კერძო კეთილდღეობის გამოყენება;
- ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის ურთიერთობის მუდმივი მონიტორინგი.

მისი ორიენტაციის იაპონური მახასიათებელი, რაც იაპონურ სისტემას სხვებისაგან გამოარჩევს არის მისი მაქსიმალურად მასტიმულირებელი და შრომის ნაყოფიერების ზრდისაკენ მიმართული დასაქმების პოლიტიკა. ეს მოიცავს: სამუშაო ადგილზე გადამზადების გამართულ სისტემას, გრძელვადიანი დასაქმების კონტრაქტებისა თუ საკადრო როტაციის სისტემას. ეს კი დაქირავებულთა შესრულების ხარისხს მაქსიმალურად უზრუნველყოფს.

კეთილდღეობის იდეოლოგიის მსაგვსად, არც კეთილდღეობის მოდელია „წმინდა“ სახით წარმოდგენილი დღევანელ მსოფლიოში, რადგან სოციალური პრობლემებიცა და მათი მოგვარების სურვილი და შესაძლებლობები დროსთან ერთად იცვლება. იცვლება თავად კეთილდღეობის გაგებაც და მისდამი დამოკიდებულებაც. ფიცპატრიკი (2001) გვთავაზობს, კეთილდღეობის განმსაზღვრელი კომპონენტების კლასიფიკაციას: ბედნიერება, უსაფრთხოება, უპირატესობები, საჭიროება, დაფასება, შედარებითობა. იდეალურ სამყაროში სოციალური კეთილდღეობის სისტემა მოქალაქეთა ექვსივე მახასიათებლით

დაკმაყოფილებას შეეცდებოდა, მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი კეთილდღეობის მიდელებიდან რომელი ან/და რამდენად ქმნის მოქალაქის კეთილდღეობის ყველა ან უმრავლესი კომპონენტით უზრუნველყოფის გარანტიას ძნელი სათქმელია. ამაში შეიძლება დაგვეხმაროს, იმის გააზრება თუ როგორ ესმით კეთილდღეობა სოციალური კეთილდღეობის ცნობილ თეორეტიკოსებს და გავეცნოთ მათ მოსაზრებას სოციალური კეთილდღეობის სისტემის რაგვარობის შესახებ.

19-ე საუკუნის ინგლისელი კეთილდღეობის ეკონომისტის **პიგოუს აზრით** (ფიცვატრიკი, 2001), ინდივიდუალური კეთილდღეობა დაკავშირებულია საბაზრო არჩევანზე და სოციალური კეთილდღეობა მატულობს ან კლებულობს ნაციონალური კეთილდღეობის კლებასა და მატებასთან ერთად და იზომება ისეთი ეკონომიკური ინდიკატორით, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი. მისი აზრით, კეთილდღეობა სურვილის საკითხია, და სურვილი კი მონეტარული ერთეულით იზომება, რაც ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მეტს იხდის ადამიანი რაღაცაში, მით უფრო სურს მას ის. მისი მოპოვების შემთხვევაში კი უფრო მაღალია მისი კეთილდღეობის მაჩვენელი. თუმცა პიგოუს კრიტიკოსების აზრით, ადამიანის სურვილს ყოველთვის მისი მონეტარული ქმედითობა ვერ განსაზღვრავს, რამეთუ არსებობს ლიმიტი, რომელიც ზღუდავს სურვილისა და მონეტარული გადამხდელუნარიანობის დიადას, მაგ., ყველას სურს სუფთა ჰაერი ისუნთქოს, მაგრამ ლიმიტირებულია ზღვარი, რომლის მიღმაც ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჰაერის სისუფთავე, მიუხედავად იმისა თუ რამდენის გადახდის სურვილი გვაქვს ჩვენ ამაში ბაზარზე.

ამავე საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსის, ეკონომისტისა და სოციოლოგის **პარეტოს აზრით** კი საზოგადოება, რომელსაც ძალუძს გააუმჯობესოს თავისი ერთი წევრის სოციალური პირობებიც კი, აუმჯობესებს თავის კეთილდღეობის სისტემას თუ ამის შედეგად არავის მდგომარეობა არ უარესდება (ფიცვატრიკი, 2001). მისი აზრით, თუ ცვლილება ერთი ადამიანის მდგომარეობას მაინც აუარესებს, ესეთი ცვლილება უსამართლოა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად არათანაბარია საზოგადოება, და რამდენად მდიდარი გახდება სოციალურად დაუცველი ადამიანი, რომლის სოციალური პირობების გაუმჯობესებასაც სხვისი სოციალური პირობების გაუარესება მოჰყვება. პარეტოს პრინციპს აკრიტიკებენ რადგან თვლიან, რომ ის ძალიან კონსერვატულია და არ ითვალისწინებს სიმდიდრის თავდაპირველ დისტრიბუციას და იმას თუ რამდენად უსამართლო იყო ის თავიდანვე; და იმის გამოც, რომ ის საჯარო პოლიტიკის რედისტრიბუციულ ფუნქციას არ განიხილავს. მისი პრინციპი შეუთავსებელია მთავრობის ყველა ქმედებასთან. ისინი თვლიან, რომ პარეტოს აზრით, ჩვენ უნდა უარვყოთ ნებისმიერი საზოგადოებრივი რესურსი, ეროვნული თავდაცვიდან, გარემოს დაცვით დამთავრებული, რადგან ისინი საგადასახადო შემოსავლებიდან უნდა დაფინანსდეს, რომლის ტვირთი ძირითადად მდიდრებზე და საშუალო კლასზე მოდის (გუფთა, 2001).

19-ე საუკუნის ინგლისელი სოციალური რეფორმისტისა და უტილიტარიზმის ქომავის **ბენტემისათვის** სოციალური კეთილდღეობა არის სოციალური სარგებლისა და ბედნიერების უდიდესი რიცხვისათვის გადანაწილება. მისი აზრით, ბუნებამ კაცობრიობა ორი ბატონის მმართველობაში მოაქცია: სიამოვნების და ტკივილის. მხოლოდ მათზეა დამოკიდებული რას გავაკეთებთ, რას ვამბობთ, ან ვფიქრობთ. მისი აზრით, ინდივიდის სწრაფვა საკუთარი ბედნიერებისაკენ არ არის აუცილებლად „სწორი“ ქმედება, რადგან ხშირად ინდივიდუალური ძალისხმევა საზოგადოებისათვის უფრო მეტი ტკივილისა და ნაკლები სიამოვნების მომტანი შეიძლება იყოს (ფიცვატრიკი, 2002). ამიტომ, საზოგადოება ისეთ სამართლებრივ სივრცეში უნდა მოვაქციოთ, რომ სიამოვნების ოპტიმალური შენარჩუნება და ტკივილის მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობა შეიქმნას საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობისათვის.

უტილიტარიზმის მთავარი ამოსავალი სარგებლიანობაა—იმ კმაყოფილებისა და ბედნიერების ზომა, რომელსაც ადამიანი განიცდის გარკვეულ სიტუაციაში. მათი აზრით, მთავრობის მთავარი მიზანია საზოგადოების ყველა წევრის სარგებლიანობათა ჯამის მაქსიმალიზაცია. შემოსავლების გადანაწილების უტილიტარისტული მიდგომა ეფუძნება დაშვებას კლებადი ზღვრული სარგებლიანობის შესახებ. მათი აზრით, შემოსავლის ერთი დამატებითი ფულადი ერთეულით გაზრდა ღირებს უფრო მეტ დამატებით სარგებელს აძლევს, ვიდრე მდიდარს. გამოდის რომ, როდესაც პიროვნების შემოსავალი იზრდება, დამატებითი ფულადი ერთეულიდან მიღებული დამატებითი კეთილდღეობა მცირდება. ეს გულისხმობს იმას, რომ მთავრობა უნდა ცდილობდეს შემოსავლების უფრო თანასწორ გადანაწილებას. თუმცა ისინი უარყოფენ შემოსავლების სრულ გათანასწორებას, რადგან აღიარებენ ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს, რომ ადამიანები რეაგირებენ სტიმულებზე. გამოდის, რომ უტილიტარისტული მთავრობა შეეცდება გაანონასწოროს თანასწორობის გაზრდით მიღებული სარგებლობა და სტიმულების დამახინჯების შედეგად მიღებული დანაკარგი (მენკიუ, 2000).

20-ე საუკუნის ამერიკელი ფილოსოფოსის, ლიბერალიზმის ქომავის **როულსის აზრით კი**, საზოგადოება, სადაც რესურსები სამართლიანად ნაწილდება კეთილდღეობის უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. სამართლიანი გადანაწილება კი, მიუსაფართა სარგებელს გულისხმობს. სოციალური კეთილდღეობა, ამიტომაც უსამართლო უთანასწორობის აღკვეთას მოითხოვს და არა თავისთავად უთანასწორობისა. თანასწორობა კი არის, როგორც ფილოსოფიური ცნება, ასევე პოლიტიკური პრინციპი. როულსის აზრით, თუ ჩვენი მიზანი ღირსება მდგომარეობის გაუმჯობესებაა, მაშინ კერძო მესაკუთრეობამ და თავისუფალმა ბაზარმა უნდა შექმნას დოვლათი და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი გადანაწილება. დამატებით კი, მისივე

აზრით, ამ დოვლათის სამართლიანი გადანაწილების უზრუნველსაყოფად აუცილებელია რედისტრიბუციული საგადასახადო სისტემის, ეგალიტარული კეთილდღეობის სისტემის, გარკვეულწილად სოციალიზირებული საკუთრების მფლობელობის არსებობა, და ლიმიტირებული საბაზრო რეგულირება. როულსი მოიზრება, როგორც სახელმწიფო კეთილდღეობის კაპიტალიზმის მხარდამჭერი (ფიცპატრიკი, 2001).

როულსის აზრით (მენკიუ, 2000), სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი ყველაზე უარეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის კეთილდღეობის გაზრდა უნდა იყოს. ყველა ადამიანის სარგებლიანობათა ჯამის მაქსიმიზაციის ნაცვლად, რასაც უტილიტარისტები გვთავაზობენ, როულსი მინიმალური სარგებლიანობის მაქსიმიზაციას გვთავაზობს. მის მიერ ჩამოყალიბებულ ამ წესს **მინიმალური კრიტერიუმი** ეწოდება. იმის გამო, რომ ეს კრიტერიუმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საზოგადოების ყველაზე უიღბლო პიროვნებას, მინიმალური კრიტერიუმი ამართლებს სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია შემოსავლების თანაბარი გადანაწილებისაკენ. მდიდრებიდან ღარიბებისკენ შემოსავლების გადანაწილებით საზოგადოება აუმჯობესებს ყველაზე ღარიბი ადამიანის კეთილდღეობას. ხოლო, როდესაც ჩვენ მდიდრებისაგან მიღებულ თანხებს ღარიბთა დასახმარებლად ვიყენებთ, თავს ვიზღვევთ სიღარიბისაგან.

მიუხედავად ამისა, მინიმალური კრიტერიუმს არ მიეყვარათ სრულიად თანაბარ საზოგადოებამდე. თუ მთავრობა შემოსავლების სრული გათანაბრების პირობას იკისრებს, მაშინ ადამიანებს აღარ ექნებათ თავდაუზოგავი მუშაობის სტიმული, საზოგადოების მთლიანი შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდება, და ყველაზე ღარიბი ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობაც გაუარესდება. ამგვარად, ის შემოსავლებს შორის უთანასწორობის არსებობას უშვებს, ვინაიდან ეს უთანასწორობა ინვესტ სტიმულების გაზრდას და აძლიერებს საზოგადოების უნარს, დაეხმაროს ღარიბებს. რადგან როულსის ფილოსოფიაში წონა მხოლოდ საზოგადოების ყველაზე უიღბლო წევრებს აქვთ, ამიტომ ეს ფილოსოფია შემოსავლების უფრო მეტ გადანაწილებას მოითხოვს, ვიდრე უტილიტარისტთა ფილოსოფია.

ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსი, ლიბერტარიანელი **რობერტ ნოზიკის აზრით** კი, თუ შემოსავლის გადანაწილების განმსაზღვრელი პროცესი სამართლიანია, შედეგად მიღებული გადანაწილებაც სამართლიანია, როგორი უთანასწორობაც არ უნდა იყოს. ლიბერტარიანელთა აზრით, შესაძლებლობათა თანასწორობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოსავალთა თანასწორობა. მათი აზრით, მთავრობამ უნდა გააძლიეროს ინდივიდთა უფლებები, რათა ყველას ჰქონდეს თავისი უნარის გამოვლენისა და წარმატების მიღწევის ერთნაირი შესაძლებლობა. თამაშის ასეთი წესების შემოღების შემდეგ მთავრობას აღარ აქვს იმის მიზეზი, რომ შეცვალოს შემოსავლის საბოლოო გადანაწილება. მათი აზრით, დაუშვებელია, რომ მთავრობამ წაართვას ერთს და მისცეს მეორეს,

თუნდაც იმ მიზნით, რომ შემოსავლების უფრო სამართლიან გადანაწილებას მიაღწიოს (მენკიუ, 2000).

როგორც დავინახეთ უტილიტარიზმი და ლიბერალიზმი საზოგადოების მთლიან შემოსავალს განიხილავს, როგორც განაწილებულ რესურსს, რომელსაც სოციალური მგეგმავი თავისუფლად გადაანაწილებს ამა თუ იმ სოციალური მიზნის მისაღწევად, ლიბერტარიანიზმი კი ამტკიცებს, რომ თვითონ საზოგადოება არანაირ შემოსავალს არ იღებს – შემოსავალს იღებენ მხოლოდ საზოგადოების ინდივიდუალური წევრები (მენკიუ, 2000).

გოსტა ესპინ-ანდერსენი (ესპინ-ანდერსენი, 1990 ბათლერთან და უოტთან, 2007:102) თვლის, რომ კეთილდღეობის სისტემა არა მხოლოდ მექანიზმია, რომელიც სოციალური უთანასწორობის სტრუქტურაში იჭრება, არამედ ის აქტიურადაა ჩართული სტრატეგიკაციის პროცესში ბენეფიტებზე დიფერენცირებული უფლებების დაწესებით. როგორც ვხედავთ, ძალიან რთულია თანასწორობის გარანტიორი სოციალური კეთილდღეობის სისტემის შექმნა. საუკუნეების მანძილზე თანასწორობის ცნება სადავო საკითხია. სოციალური თანასწორობა შეიძლება განისაზღვრებოდეს სიმდიდრის მინიმუმის ზღვარით, რომლის ქვევით არავინ არ უნდა აღმოჩნდეს, და რომლის ზევითაც არავის არ უნდა ჰქონდეს აღმოჩენის უფლება. თუმცა საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით თანასწორები, რამეთუ ჩვენ ყველა ვართ განსხვავებულები, მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს ისიც, რომ არსებობს ნიშნები რომელთა მიხედვითაც ჩვენ ყველა განსხვავდებით, იმ ნიშნებზე დამატებით რომელთა მიხედვითაც ჩვენ ყველა მსგავსნი ვართ. არ უნდა აგვერიოს თანასწორობა იდენტურობაში. არსებობს ის დასაკმაყოფილებელი მინიმუმი განურჩევლად დროისა და სივრცისა, რომელიც საბაზისო აუცილებლობებს წარმოადგენს ყველასათვის განურჩევლად. ესენია: საჭმელი, სუფთა წყალი, თავშესაფარი, ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება, საიმედო გარემო, ჯანმრთელობა, განათლება, და ავტონომია (ფიცპატრიკი, 2001).

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. თქვენი აზრით, რატომ წავიდა როუნტრი კომპრომისზე და დათმო ადამიანის დასაქმების საჭიროების კომპონენტი?
2. კეთილდღეობა სუბიექტური განცდაა თუ შეგვიძლია ობიექტურ კრიტერიუმებზე შეთანხმება?
3. ესპინ-ანდერსენის მიერ წარმოდგენილი კეთილდღეობის მოდელების კლასიფიკაციას დასაქმებასა და კეთილდღეობასთან მიმართებით აკრიტიკებენ კოლეგები. რა არის კრიტიკის საფუძველი? თქვენ თუ ეთანხმებით? რატომ?

4. წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომელშიც დათო და გიორგი იდენტური რესურსების მფლობელები იყვნენ. დღეს კი სიტუაცია იცვლება. წარმოგიდგინთ ამ ცვლილების სხვადასხვა ვერსიას:

- დათოს რესურსები იზრდება, გიორგისი უცვლელია;
- დათოს რესურსი მცირდება, გიორგის რესურსი იზრდება;
- ორივეს რესურსი მცირდება;
- ორივეს რესურსი უცვლელია;
- ორივეს რესურსი იზრდება.

შეკითხვა: რომელ ვერსიაში რჩება საზოგადოება

- უფრო მოგებული?
- უფრო წაგებული?



## სოციალური დაცვის სისტემის მოდერნიზაციის პოლიტიკა

### მიმოხილვა

განსხვავებები სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო და არაფორმალურ მომსახურებებს შორის

სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის ტრანფორმაცია

ზრუნვისა და კეთილდღეობის მომსახურებების პრივატიზაციის სტრატეგიები

არგუმენტები პრივატიზაციის წინააღმდეგ და სასარგებლოდ

პრივატიზაციის ზემოქმედების გაზომვა მორალისა და დამოკიდებულების თვალსაზრისით სოციალურ მუშაკის როლი ტრანსფორმირებად სოციალური კეთილდღეობის სისტემაში

აღბათ გაინტერესებთ რას გულისხმობს სოციალური მომსახურებების მიწოდების მოდერნიზაცია. რატომ არის დაუსრულებელი დებატები იმის თაობაზე, სოციალური დაცვის სისტემის მიწოდებელი სახელმწიფო უნდა იყოს, არასამთავრობო თუ კერძო სექტორი? რას უკავშირდება მომსახურებების მოდერნიზაციისა და პრივატიზაციის პროცესი? რა უფრო მეტ სარგებელს მოუტანს მომსახურებით მოსარგებლეს სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო მომსახურებით სარგებლობა? უკავშირდება თუ არა კერძო მომსახურების შესყიდვა რაიმე პრობლემას გარდა იმისა, რომ მასში უნდა გადავიხადოთ პირდაპირ ჯიბიდან? ან კერძო მომსახურებით სარგებლობა მხოლოდ ჯიბიდან გადახდას გულისხმობს? რამდენად გადაჭრის მოქალაქეთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა მომსახურებების შესახებ მათ სოციალურ კეთილდღეობას? რა როლს ასრულებს სოციალური მუშაკი სახელმწიფო, არასამთავრობო და/ან კერძო მომსახურებების მიწოდების შემთხვევაში? იგივეა თუ არა სოციალური დაცვის მომსახურებების პრივატიზაცია, მაგალითად განათლების, ჯანდაცვის, სოციალური კეთილდღეობის სფეროში? რა განსხვავებებია მათი მიწოდების ფორმებს შორის? ამ და კიდევ სხვა საკითხებზე გვექნება საუბარი ამ თავში, რადგან აუცილებელია სოციალურ მუშაკს ზედმინევენით კარგად ესმოდეს განსხვავებები მიწოდების ფორმებს შორის, და შედეგები, რაც სხვადასხვა ფორმით მიწოდებისას დგება. ეს მას საშუალებას მისცემს ბრმად არ გახდეს რადიკალური პოზიციის მქონე და გაიაზროს ის სირთულეები და ძლიერი მხარეები, რაც მიწოდების სხვადასხვა ფორმებს ახლავს.

წინა თავებში ჩვენ ვისაუბრეთ რა არის სახელმწიფო მომსახურება. ახლა კი, მოდით გავიაზროთ რას ნიშნავს კერძო, არასამთავრობო და არაფორმალური მომსახურება. კერძო სექტორი არის მოგებაზე ორიენტირებული, რაც თითქმის ავტომატურად ნიშნავს მომსახურების ხარისხზე ზრუნვას და შედეგად კარგი ან ძალიან კარგი მომსახურების მიღებას. სიტყვა „თითქმის“ შემთხვევით არ გამოიყენება, ვიგულისხმე ის, რომ ყველა ქვეყნის ყველა სფეროში კერძო ნიშნავს უკეთეს ხარისხს, მაგრამ ამ მითის დამანგრეველი შემთხვევებიც არსებობს და ამიტომაც გამოვიყენე ეს სიტყვა. ამის საუკეთესო მაგალითია ბრიტანეთის

ჯანდაცვის სისტემა, ბრიტანეთის მოსახლეობის უმრავლესობას სწამს, რომ მათი სახელმწიფო სისტემა არ ჩამოუვარდება თუ არ სჯობს კერძოს. კერძო სისტემა ხშირად მომლოდინეთა გრძელ სიაში მოხვედრას არიდებს ადამიანებს, ან განსხვავებულ მომსახურებას და ინფრასტრუქტურას სთავაზობს მათ და რაც მთავარია შექმნილია არჩევანი. რადგან კერძო ფირმის კაპიტალის ზრდის წყარო თავად ფირმის მიერ მიღებული მოგებაა, კერძო მენარმე დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებაში. სოციალური მომსახურებების შემთხვევაში აქ რელევანტური კითხვაა *რის ხარჯზე?*

მაგალითად, ბავშვთა კეთილდღეობის მომსახურებების პრივატიზებისას შედეგზე ორიენტირებული საზომი ჩრდილავს შესრულებაზე ორიენტირებულ ხელშეკრულებებს. ხდება სააგენტოს ბიუჯეტირების სისტემიდან აქტივობებზე დაფუძნებულ ღირებულების სისტემაზე გადასვლა. ამან გაშვილების მომსახურებების პრივატიზაციის უმრავლეს შემთხვევებში მოიტანა წლის განმავლობაში გაშვილებულ ბავშვთა რაოდენობის ზრდა, მხოლოდ 2 პროცენტის უკან დაბრუნება მომსახურების სისტემაში, მინდობით აღზრდის ადმინისტრაციული დანახარჯის შემცირება 18-დან 8 პროცენტამდე, მინდობით აღზრდაში საშუალო დღიური დანახარჯის შემცირება (ბლექსტონი & ჰაკიმი, 2003). თუმცა სანინალმდეგო არგუმენტებიც არსებობს, მაგალითად, როგორცაა უფრო შეძლებული კლიენტების მომსახურება მოგების ზრდისა და დანახარჯის შემცირების მიზნით; ან მომსახურების სისტემის სუსტი რეგულირების შემთხვევაში მომსახურების ხარისხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ისიც შეიძლება სანინალმდეგო არგუმენტად განვიხილოთ, რომ სახელმწიფო მომსახურების პრივატიზაცია ამცირებს დაქირავებული საჯარო მოხელეების რაოდენობას, თუმცა ეს არ ნიშნავს დასაქმების საერთო მაჩვენებლის შემცირებას.

განკერძოების თვალსაზრისით, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა განსხვავდება, განათლებისა ან ჯანდაცვისაგან, რომლებიც მეტად შეესაბამება კომერციალიზაციას თუნდაც სპეციალიზებული საერთაშორისო ჯანდაცვის კორპორაციების არსებობის გამო, რომლებიც ხშირად თანამშრომლობენ კერძო ფირმებთან. განათლებისა და ჯანდაცვის პრივატიზაციის მოდელებს ხშირად ახლავთ სპეციალიზებული ფინანსური მექანიზმებიც, როგორცაა დაზღვევის სქემები, საგადასახადო მოტივატორები, სახელმწიფო სუბსიდიები, გრანტები, სესხები მომხმარებელთათვის (მაგალითად სტუდენტებისათვის). ეს ფაქტორები კი იშვიათად ახლავს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს მომსახურებებს.

**მოდით განვიხილოთ რა ფუნქციებს კისრულობს მოხალისეთა/ არასამთავრობო და არაფორმალური სექტორები.** ლიონსისა და ლორენსის (2006) აზრით, კერძო და მოხალისეთა/არასამთავრობო სექტორებს აქვთ როგორც განმასხვავებელი, ასევე მსგავსი ნიშნებიც. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორი მოგებაზეა ორიენტირებული, ხოლო მოხალისეთა სექტორს განმარტავენ როგორც „არამომგებიანს“, მათ ორივეს შეუძლიათ მომსახურების

ბევრი ნაირსახეობის მიწოდება (მომხმარებლებს მეტი არჩევანის საშუალებას აძლევენ). ეს კი, შეიძლება ითქვას, უკეთ პასუხობს ცვალებად სოციალურ საჭიროებებს და მომხმარებელთა მოთხოვნებს. გარდა ამისა, სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ამ ორივე სექტორს სახელმწიფო მინიმალურ სტანდარტებს უწესებს და ქირაობს მათ, რათა გადააბაროს გარკვეული ფუნქციები.

მოხალისეთა/არასამთავრობო სექტორს 1990-იანი წლებიდან დაეკისრა მეტი სახელმწიფოსეული პასუხისმგებლობა მომსახურების მიწოდებაზე და სულ უფრო მეტი სოციალური მუშაკია იქ დასაქმებული. ეს ცვლილება შეიძლება შევაფასოთ, როგორც გამოძახილი მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციისა, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ან ევროპაში გავრცელებული „ძალაუფლების დეცენტრალიზაციის“ იდეისა. „ძალაუფლების დეცენტრალიზაციის“ პრინციპი გვთავაზობს, რომ გადწყვეტილების მიღება და პასუხისგება უნდა მოხდეს პრობლემასთან ყველაზე დაახლოებულ დონეზე. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, როცა ოჯახის ან მოხალისეთა/არასამთავრობო სექტორის რესურსები ვერ განვდება მოთხოვნილებებს. ეს იდეა კათოლიკური ეკლესიის სწავლებიდან მოდის და მან წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის სოციალური სისტემის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით საფრანგეთის (კანანი და ავტორები, 1982).

არაფორმალური სექტორის როლი მოიცავს რიგს რეალური ან პოტენციური დამხმარეებისა და მზრუნველებისა, ძირითადი ან დიდი ოჯახიდან დაწყებული, მეგობრებით და მეზობლებით დამთავრებული. ამ წრეს აფართოვებენ უანგარო და ცალსახად მოხალისე ჯგუფები, როგორცაა სამეზობლო ასოციაციები და ახალგაზრდების ორგანიზებული ჯგუფები. როგორც წესი, სოციალური მუშაკები არ არიან ამ სექტორში „დასაქმებული“. მაგრამ ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ სოციალურმა მუშაკმა იცოდეს ოჯახის და თემის რესურსების შესახებ და მათთან შეთანხმებულად იმუშაოს. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა იმ შემთხვევაში, როცა პროფესიული ინტერვენციის მთავარი სამიზნეა თემის განვითარება და არა პერსონალური ზრუნვა (ლიონსი და ლორენსი, 2006).

სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ ძირითადი სოციალური მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით, ეს იყო ისტორიულად მნიშვნელოვანი სექტორი ყველა ქვეყანაში. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება ბევრ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში. ნაწილობრივ ეს იმიტომ გამოწვეულია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოს (მაგალითად, უკრაინას) არ აქვს საზოგადოებრივი კეთილდღეობის დიდი სამსახურების და არც არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებელი ფული. ეს აგრეთვე მნიშვნელოვანია (დიდ) ოჯახზე და/ან უფრო ფართო თემზე კულტურულ შეხედულებებთან მიმართებითაც. მაგალითად, კონფუციანელთა საზოგადოებაში (მაგალითად, ჩინეთში) მთელ რიგ პრობლემებზე (ბავშვის საქციელზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ცოლ-

ქმრის ურთიერთობაზე) ლაპარაკი ოჯახის გარეთ სამარცხვინოდ ითვლება (ლიონსი და ლორენსი, 2006).

რეალურად, სახელმწიფო კეთილდღეობა (მაგალითად, ფინანსური დახმარება სოციალური დაზღვევის გზით) პირველად გერმანიაში შემოიღეს XIX საუკუნის ბოლოს. ამ ბოლო დროს სახელმწიფო კეთილდღეობა ყველაზე მეტად განვითარდა ჩრდილოეთის ქვეყნებში, როგორცაა დანია და შვედეთი, იქ მომხმარებელს მაღალი ხარისხის უნივერსალურ მომსახურებას აწვდიან. მართალია, სახელმწიფო კეთილდღეობის შექმნა და შენახვა ნაწილობრივ შეძლებული სახელმწიფოს ფუნქციაა, მაგრამ ამ საქმეში პოლიტიკური იდეალები და კულტურული ფასეულობებიც თამაშობს როლს. აქ იმ ფასეულობებზეა ლაპარაკი, რომელიც მიზნად ისახავს თანასწორთა საზოგადოების შექმნას, სადაც საბადებელი თანაბრად ნაწილდება და საზოგადოების ფენებს ერთმანეთისგან უკიდურესად განსხვავებული შემოსავალი არ აქვთ. მაგრამ, ისეთმა ძლიერმა ქვეყანამ, როგორცაა აშშ უარი თქვა სახელმწიფო კეთილდღეობის შექმნაზე, რადგანაც ამ სახელმწიფოს პოლიტიკაში უფრო დიდი ყურადღება ექცევა პიროვნულ ძალისხმევას და არჩევანს, ვიდრე სოციალურ სოლიდარობას.

როგორც არ უნდა იყოს, 1980-იან და 1990-იან წლებში სახელმწიფო კეთილდღეობას ბევრი მონინააღმდეგე ჰყავდა. მას ინუნებდნენ სიძვირის, მასზე დამოკიდებულების ჩამოყალიბების და თავისუფალი არჩევნის შეზღუდვის გამო. ეს კრიტიკა ბევრ ქვეყანაში იყო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მხარდასაჭერად გაჩაღებული მოძრაობის გამოძახილი, რომელიც, თავისთავად გლობალიზაციის ნიშანია. შედეგად, იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ყვაოდა სახელმწიფო კეთილდღეობა, ის მთლიანად არ დანგრეულა, მაგრამ სახელმწიფოს როლი უწინდელთან შედარებით შემცირდა. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფომ (ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურებიც იგულისხმება), რომელიც ყველა მომსახურებას უშუალოდ ახორციელებდა, მთელი ძალისხმევა დაგეგმვაზე, რეგულირებაზე და სამსახურების დაქირავებაზე გადაიტანა. ახლა უშუალოდ მომსახურების განხორციელებაზე კერძო და მოხალისეთა სექტორები აგებენ პასუხს. შედეგად მივიღეთ „კეთილდღეობის შერეული მოდელი“, რომელიც ახლა უფრო გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში (კარი, 2008).

ივიკის აზრით (2010), 1980-იან წლებში დაიწყო სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის დიდი ტრანსფორმაცია. ტრანსფორმაცია ეფუძნებოდა პრივატიზაციას, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას და ლოკალიზაციას. სოციალურ სფეროში სახელმწიფო პასუხისმგებლობა ბაზარს, მოქალაქეებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცა. სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის ტრანსფორმაციას დასავლეთის წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა დაუჭირეს მხარი (ბერკელი და მოლერი 2002 ივიკთან 2010). ივიკის აზრით, ეს ტრანსფორმაცია შთამბეჭდავი სოციალური სიახლეა. თუმცა, ის არ არის

ტრანსფორმაცია, რომელიც იწყება მკაფიოდ განსაზღვრული „ა“ პუნქტიდან საბოლოო დანიშნულების „ბ“ პუნქტამდე. ის იწყება გაურკვეველი ადგილიდან და აქვს ასევე გაურკვეველი საბოლოო მიზნის მისაღწევი მონახაზი. ის ტრანსფორმაციის პროცესია.

სოციალურ სამუშაოსა და ზოგადად სოციალური პროფესიების წარმომადგენლები ჩართულნი არიან ამ პროცესში. საკითხი ისე კი არ დგას ჩვენ მხარს დავუჭერთ თუ შევეწინააღმდეგებით ამ ტრანსფორმაციის პროცესს; ჩვენ მის შუაგულში ვართ და შეგვიძლია მისი მიმართულების შეცვლა და არავითარ შემთხვევაში მისი შეჩერება ან იგნორირება. სოციალური სფეროს პროფესიონალები უნდა მოერგონ ამ ცვლილებას და იყვნენ აქტიურნი, შემოქმედებითნი და კონსტრუქციულნი ამ პროცესში.

სოციალური მომსახურებების პრივატიზაციის ისტორიას სხვადასხვა ფესვები აქვს. პირველი არის ოსბორნისა და გაბლერის მიერ გაჟღერებული იდეა, *მესაჭეობისა და ნიჩბის მოსმის* მკაფიოდ გამიჯვნის შესახებ. ოსბორნისა და გაბლერის ანალიზის მიხედვით, თანამედროვე სახელმწიფო ნიჩბის მოსმის მთელ რიგ აქტივობებშია ჩართული (ოსბორნი და გაბლერი 1992). მათი აზრით, სახელმწიფო საჭის მართვას უნდა ახორციელებდეს, იძლეოდეს მიმართულებას და ხელს უწყობდეს აქტიური ბაზრის განვითარებას მოგებაზე ორიენტირებული და არამომგებიანი აქტორებისათვის. მეორე მოსაზრება პრივატიზაციის აუცილებლობისათვის გაჟღერდა ისეთი საერთაშორისო სააგენტოების მიერ, როგორცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და ევროპის კავშირი. ეს ორგანიზაციები სახელმწიფოებს უბიძგებენ გახდნენ მეტად კონკურენტუნარიანნი ბაზარზე და შეამცირონ სახელმწიფო ხარჯები. ამის შესანიშნავი საშუალება კი საერთო მოხმარების მომსახურებების პრივატიზებაა.

**მომსახურებების პრივატიზაცია ორი კურდღლის ერთდროულად დაჭერაა. ერთი მხრივ, მცირდება სახელმწიფო ხარჯები და მეორე მხრივ, იზრდება პროდუქციის სექტორი.** მაგალითად, ევროპის კავშირში სოციალური მომსახურებები მეორე ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი დარგია. ამიტომაც სოციალური მომსახურებების პრივატიზება ძალიან მომზიდველია. უფრო მეტიც, ეს გაზრდის ხარჯ-ეფექტიანობას, ხარისხსა და არჩევანს. თუმცა სოციალური მომსახურებების პრივატიზების საკითხი ჯერ კიდევ დისკუსიის თემაა ევროპაში. მომსახურებების პრივატიზება არ არის სავალდებულო. „ბოლშევინის დირექტივები“ (ek 2006ბ) არ იქნა მიღებული, მაგრამ მომსახურებების პრივატიზება კვლავ რეკომენდირებულია წევრი სახელმწიფოებისათვის. მესამე მიზეზია ზედმეტად მზრუნველი სახელმწიფო. სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის შექმნისას ბევრი ადამიანი იყო ღარიბი და გაუნათლებელი. სწორედ ამიტომ განვითარდა რისკებთან კოლექტიურად გამკლავების სოციალური დაცვის სისტემა. საბოლოოდ მთლიანობაში განათლება, დასაქმება, ჯანდაცვა, საცხოვრისი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. პოსტმოდერნისტულ სახ-

ელმწიფოში კი, სადაც მოსახლეობა განათლებულია ეს კოლექტიური დაცვის სისტემა ძველმოდურია. უფრო მეტიც, ის ადამიანებს დამოკიდებულს ხდის სისტემაზე და მომსახურებებზე (მარსლენდი 1996). დასაქმებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოში, სადაც აქცენტი აქტივაციასა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე კეთდება სამუშაო თუ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის ინდივიდუალური რისკის გაღებისა და რისკის გაზიარების სისტემა უფრო ადეკვატური. უმრავლეს სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის მქონე ქვეყნებს გარკვეული რისკები კოლექტიური სექტორიდან პრივატიზებულ სექტორზე გადააქვთ.

ევროკავშირის ქვეყნებში **ზრუნვისა და კეთილდღეობის მომსახურებების პრივატიზაციის ორი დომინანტი სტრატეგია არსებობს: კლიენტზე მიბმული ბიუჯეტი ან პერსონალური ზრუნვის ბიუჯეტი და ბაზრის გახსნა ტენდერისათვის.** ნიდერლანდების კვლევის მიხედვით, კლიენტთა ორი მესამედი მათზე ზრუნვისათვის უხდის ნათესავეებს, მეგობრებს ან მეზობლებს. 70 000 კლიენტიდან 95 პროცენტზე მეტი (მთელი კლიენტების 10 პროცენტი) ძალიან კმაყოფილია პერსონალური ზრუნვის სისტემით (ველზელი 2002, რემაკერსი და უინჯაარტი 2005 ივიკთან 2010). მათ მოსწონთ ის, რომ აქვთ არჩევანის თავისუფლება, გადაწყვეტილების უფლება და შეუძლიათ მზრუნველებისა და მომსახურებების დაქირავება. დისკუსია ოთხ ასპექტზე მიმდინარეობს:

- პირველი, არჩევანის თავისუფლება: მისაღებია ცხენზე ჯირითის გაკვეთილებში ან დასასვენებლად ფულის გადახდა პერსონალური ზრუნვის ბიუჯეტიდან?
- მეორე, როგორ მოქმედებს ბიუჯეტის ეს სისტემა არაფორმალურ ზრუნვაზე და ურთიერთობაზე ნათესავეებთან, მეგობრებთან, რომლებსაც ზრუნვისათვის უხდის? ისიც საკამათოა, რამდენად აზიანებს პერსონალური ზრუნვის ბიუჯეტი ურთიერთობას, ხდება რა არაფორმალური ურთიერთობის ფორმალიზება - ნათესავეები ხდებიან მზრუნველები: საკუთარი ნათესავის „მსახურები“.
- გამოიკვეთა ასევე რამდენიმე ინდიკატორი ზრუნვის მომსახურების სამომავლო მიმართულებების დასადგენად: ზოგიერთი კლიენტი, განსაკუთრებით კი გონებრივი ან ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები ძალიან ცუდად ექცევიან მზრუნველებს (ჰანსენი და ჯენსენი 2004).
- და ბოლოს, პრობლემა რასაც ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტირების ამ სისტემაში არის ანგარიშვალდებულება, სუპერვიზია და ფინანსური სისტემის განუსაზღვრელი დასასრული. ის ქმნის ასევე ახალ ბიუროკრატიულ მექანიზმს, რაც ხელის შემშლელია მომხმარებლებისათვის და ზრდის კონტროლის მექანიზმს.

თუმცა, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება არჩევანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეოლოგიას, რაც მომხმარებელს პერსონალური ბიუჯეტით უფრო ეძლევა ვიდრე არაფულადი მომსახურებით.

**მოდით ახლა პრივატიზების მეორე სტრატეგია მიმოვიხილოთ: ბაზრის გახსნა ტენდერისათვის.** უმეტეს ევროპულ ქვეყნებში, როგორცაა სკანდინავიის, სამხრეთ ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ზრუნვის მომსახურებები უმეტესად სახელმწიფოს მიერაა ორგანიზებული და ხორციელდება ღია ბაზარზე მოგებაზე ორიენტირებული ზრუნვის მიმწოდებლების კონტრაქტირებით და სახელმწიფო მომსახურებების გარე კონტრაქტირებით. ევროპის ქვეყნებში, როგორცაა გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, ნიდერლანდები, სახელმწიფო უწყებებმა და სადაზღვევო სააგენტოებმა უნდა „შეისყიდონ“ სოციალური ზრუნვის მომსახურებები ღია ბაზარზე. ამ სისტემაზე გადასვლა შედარებით ადვილია ამ ქვეყნებში, რადგან აქ უკვე არსებობდნენ ზრუნვის მომსახურების დამოუკიდებელი მიმწოდებლები, უმეტესად კი არამომგებიანი ზრუნვის ინსტიტუტები. ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად ზრუნვის სპეციფიკურ ფორმაზე იყვნენ ორიენტირებული (შეზღუდული შესაძლებლობები, ხანდაზმულები, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფერო, მოზრდილთა ზრუნვა და ა.შ.) და სპეციფიკურ რეგიონებში. მათი დაფინანსება ხდებოდა ფიქსირებული ხელშეკრულებით რეგიონალურ სააგენტოებთან ან სამინისტროსთან. თუმცა, სისტემა იცვლება ღია საბაზრო სისტემად როგორც მომგებიანი, ასევე არამომგებიანი ორგანიზაციებისათვის. მუდმივი დოტაციები და დახურული ბაზარი მიმწოდებელთა მცირე ჯგუფებისათვის აღარაა ნებადართული. ეს სისტემა იცვლება ბიუჯეტირებულ სისტემად, რომელიც ეფუძნება ფიქსირებულ ფასიანი მომსახურების სისტემის პრინციპს. მიმწოდებელს ეძლევა შანსი მონაწილეობა მიიღოს ტენდერში ერთი, ორი ან მთელი რიგი „პროდუქტით“. ინსტიტუტები არ არიან მიჯაჭვული კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან კონკრეტულ ტერიტორიაზე. მათ შეუძლიათ თავიანთი პროდუქტის ან მომსახურების მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით და საზღვრებს გარეთაც (უისტოუ 1996).

პრივატიზაცია უკვე ზემოქმედებს მომსახურების მიწოდების ბაზარზე. იზრდება შტატგარეშე დასაქმების მსურველთა რაოდენობა, რომლებიც ზრუნვას სთავაზობენ, კონსულტანტებად მუშაობენ ან სხვა კეთილდღეობის მომსახურებებს სთავაზობენ კლიენტებსა თუ მომხმარებლებს (ევანსი და კერნი 2003, ივიკთან 2010). მეორე, მცირე ბიზნესის მზარდი ბაზარი, ხშირად ოჯახური ფირმები ხდებიან ბავშვებზე ან ხანდაზმულებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებზე ზრუნვის მიმწოდებლები; ან ფერმერები, რომლებიც თავიანთ ფერმებს 24 საათიან ზრუნვის მომსახურებად ან საოჯახო სასტუმროებად აქცევენ ხანდაზმულთათვის ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (ევიკი და სხვები 2002). მესამე, სოციალური ზრუნვის ინსტიტუტები ხსნიან მომსახურებებს სხვადასხვა სამიზნე

ჯგუფებისათვის (პოდლენი, 2005 ევიკთან, 2010). კეთილდღეობისა და ზრუნვის მიწოდებას, ჯანდაცვასა და ზრუნვის მიწოდებას ან სოციალურ საცხოვრისსა და ზრუნვის მიწოდებას შორის წყალგამყოფის მოშლა პოპულარული ხდება.

რთულია ასე სწრაფად პრივატიზაციის შედეგების გააზრება, მაგრამ მოდით დავაჯამოთ არგუმენტები პრივატიზაციის წინააღმდეგ და სასარგებლოდ:

- პრივატიზაცია ამცირებს სახელმწიფო/ ხარჯებს, მაგრამ სავარაუდოდ ზრდის სოციალურ მომსახურებებზე დახარჯულ მთლიან ბიუჯეტს;
- სავარაუდოდ, საბაზრო სტრატეგიას მიყვავართ სოციალური კეთილდღეობის მზარდ ბაზრამდე. ადამიანები ვერ უძლებენ ცდუნებას შეისყიდონ სოციალური მომსახურებები. დასავლეთის სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემაში ფუფუნების სოციალური მომსახურებები ვითარდება, კონკრეტულად მდიდარ ხანდაზმულთა ან მდიდარ ოჯახთა ხარჯზე, რომლებსაც შეუძლიათ კერძო ბავშვზე ზრუნვის მომსახურების და/ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურების შესყიდვა;
- პრივატიზაცია გვიძლევს მეტი ინოვაციისა და დინამიკურობისა-კენ. უნდა ველოდოთ ახალი პროდუქცია-ბაზრის კომბინაციას;
- სავარაუდოდ პრივატიზაცია მეტ არჩევანს, ეფექტიანობასა და ხარისხს გვთავაზობს;
- მრავალი ინდიკატორია, იმისა, რომ ბევრი ადამიანი სრულიად გარიყულია მომსახურებების ბაზრიდან, რადგან ისინი არსად არიან დარეგისტრირებული ან არ იხდიან მომსახურების გადასახადს. თანამედროვე წყობაში სოციალური უფლებით სარგებლობა გარკვეულ ვალდებულებებთანაა დაკავშირებული;
- პრივატიზაციის სტრატეგია ნაკლებად ეხება მოხალისეებსა და არაფორმალური სექტორის წარმომადგენლებს. ის უფრო მეტად შეხებაშია სამოქალაქო საზოგადოებასა და უსასყიდლოდ მზრუნველების თავდადებასთან.

უფრო რთულია პრივატიზაციის ზემოქმედების გაზომვა მორალისა და დამოკიდებულების თვალსაზრისით. ეს არის სოციალური სექტორის ეკონომიზაციის პროცესი, როგორც ბობ დიკონმა თქვა, „ჯანმრთელობა ყველასათვის გადაიქცა ჯანმრთელობის ბაზრები ყველასათვის“ (დიკონი 2000). მართალია, ძირითადად კერძო სექტორს უშუალოდ მომხმარებლები უხდიან მომსახურების საფასურს, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში საფასურის ანაზღაურება სადაზღვევო სისტემითაც შეიძლება. ზოგადად კი ყველა თანხმდება იმაზე, რომ ანაზღაურების საკითხი ზღუდავს მომსახურების ხელმისაწვდომობას და მომხმარებელთაგან გამორიცხავს ხელმოკლე ადამიანებს (ლაიონსი და მონიონი, 2004 ლიონსთან და ლორენსთან 2006).



სოციალური სექტორის ეკონომიზაციის შედეგები ნაკლებადაა შესწავლილი. უოლკერის აზრით, სოციალური პოლიტიკის მთავარი ფუნქცია ეკონომიკური სისტემისა და „ეკონომიკური“ ფასეულობების ლეგიტიმაციაა. მას ძალიან მცირე როლი აკისრია რესურსებისა და ცხოვრების შანსების დისტრიბუციაში, და სოციალური პრიორიტეტები ექვემდებარება ეკონომიკურ პრიორიტეტებს (უოლკერი, ორმეროდი და უიტი, 1979; უოლკერი, უინიარდი და პონდი, 1983).

არადა თავად ადამ სმიტის აზრითაც კი, ბაზარი შეძლებს თავისი პოტენციის მაქსიმალურად გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალ კონკურენციასთან ერთად „სიმპათია“ და „მორალური სენტიმენტები“ მოახდენენ მაკონტორლებელ ზეგავლენას კონკურენტებზე და მეორე თუ მთავრობა დააფუძნებს „საჯარო ინსტიტუტებს და „საჯარო სამუშაოებს“. მარშალის აზრს თუ მოვიშველიებთ (სმიტი 1937:681 უოლკერთან 1994), სოციალური პოლიტიკა იყენებს ძალაუფლებას შეცვალოს და გაანოციეროს ეკონომიკური სისტემა იმ შედეგების მისაღწევად, რასაც ის დამოუკიდებლად ვერ მიაღწევს, და ამისათვის ის ხელმძღვანელობს ისეთი ფასეულობებით, რომლებიც არ განისაზღვრება ღია საბაზრო ძალებით.

პრივატიზაცია უგულებელყოფს და ცვლის სოციალური სფეროს არსს. *სოციალური ერთსულოვნება და სოციალური სამართლიანობა* ამ ცვლილებაში ითარგმნება როგორც *კერძო ინტერესი* ან როგორც ყოფილმა პრემიერმა ტეტჩერმა განაცხადა თავის სიტყვაში 1987 წელს „არ არსებობს ისეთი რამ როგორც საზოგადოება“ (ივიკი, 2010).

მოდით ახლა განვიხილოთ **რა როლი ეკისრება სოციალურ მუშაკს სოციალური დაცვის სისტემის მოდერნიზაციის პროცესში?** იცვლება მისი ფუნქციები თუ იგივე რჩება? რა გამოწვევების წინაშე აყენებს ეს პროცესი სოციალურ მუშაკს? ჰუგმანის აზრით (2009), ნეოლიბერალიზმის შედეგად მოხდა კეთილდღეობის სფეროს კომოდიფიკაცია ანუ შეცვლა. ამ შეცვლილ სფეროში სოციალური მუშაკები (სხვა პროფესიონალებთან ერთად) მომსახურების მომწოდებელთაგან კეთილდღეობის მწარმოებლებად გადაიქცნენ. ხოლო მომსახურების მიმღებნი, შესაბამისად – მომხმარებლებად. ლესკოსეკის აზრით (2009), გლობალიზაციის პროცესი ზემოქმედებს სოციალურ სამუშაოზე და არა მხოლოდ ახალი რისკის წინაშე მდგომი ჯგუფების შექმნით. ისინი ქმნიან ისეთ სოციალურ რეალობებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ სოციალურ სამუშაოზე. უოლშტინის აზრით (ბეკთან 2003:54–56), ახალ სოციალურ წყობაში სახელმწიფოები ჩამოყალიბდებიან ტრანსნაციონალური ბიუროკრატის კოალიციად და შეთანხმდებიან საერთო ფასეულობებზე, ნორმებზე, პოლიტიკურ იდეებზე, მართვისა და პრობლემების გადაჭრის გზებზე. ეს კოალიცია დაფუძნებული იქნება კომპლექსური სოციალური ფენომენის ტექნოკრატულ გაგებაზე. ის შეიმუშავებს უნიფიცირებულ „მართვის“ სტილს – სახელმწიფოს მართვისა და სოციალური ყოფის უნივერ-

სალურ და გამარტივებულ ფორმულებს. ახალი სოციალური წყობის თანავეტორია სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური ინტერაქციის პარალელურ ფორმას. მისი მთავარი ფუნქცია იქნება კოსმოპოლიტური მორალისა და ფასეულობების გამოხატვა და იმ სფეროებში ოპერირება, რომლებშიც მთავრობა ნაკლებ ეფექტიანია (ჰარელი და ვუდსი, 1995). ეს ცვლილებები იწვევს კლასიკური „სახელმწიფო კეთილდღეობის“ სისტემის შეცვლას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენდა შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და სოლიდარობა. ლესკოსეკის აზრით (2009), ნეო-ლიბერალიზმმა შეცვალა სამართლიანობის გაგება. მან შეამცირა გადასახადები მდიდრებისათვის (იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ მათ უნდა შეძლონ მათივე მონაპოვრით სარგებლობა), დაჰყო რა ხალხი *დამსახურებულ* და *დაუმსახურებელ* მოქალაქეებად (დასაქმებულები და დასაქმების გარეშე მყოფნი), რამაც ხელი შეუწყო სოციალური უთანასწორობის ზრდის ლეგიტიმაციას. ის სოლიდარობას პირად არჩევნად მიიჩნევს, ხოლო მონყვლად მოსახლეობაზე ზრუნვას ინდივიდების მოვალეობად და არაფორმალური სექტორისა და კერძო მომსახურებების განვითარებისაკენ მოგვიწოდებს (ლესკოსეკი, 2005).

სოციალურ სამუშაოს არასოდეს მიუღწევია კონსენსუსისათვის იმის თაობაზე თუ როგორ გაუმკლავდეს უთანასწორობასა და მის გამომწვევ მიზეზებს, და შედეგად განსხვავებული თეორიული ტრადიციები და პრაქტიკული მიდგომები განვითარდა. თუმცა, ამჟამინდელი სიტუაცია განსხვავდება წარსულისაგან იმით, რომ სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემის ნგრევა საჯარო სექტორის ჩამოშლას იწვევს, სადაც სოციალური მუშაკები ძირითადად იყვნენ წარმოდგენილნი. ეს ამკარად ჩანს დიდ ბრიტანეთში, სადაც ბევრი სოციალური მუშაკი ახორციელებს ინდივიდუალურ სოციალურ მომსახურებას. მაგალითად, XXI საუკუნის დასაწყისში ახალკურსდამთავრებული სოციალური მუშაკების დაახლოებით 80 პროცენტი საქმდებოდა სოციალური მომსახურების დეპარტამენტში (ლაიონსი და მონიონი, 2004 ლიონსთან და ლორენსთან 2006). დანიასა და შვედეთში კიდევ უფრო მეტი სოციალური მუშაკი მუშაობს მუნიციპალიტეტებში.

ლესკოსეკის აზრით (2009), პრივატიზაცია და დეცენტრალიზაცია ამცირებს მოთხოვნას სოციალურ მუშაკთა მაღალკვალიფიციურ კადრზე, რომლებიც ჩანაცვლდებიან ვიწრო პროფილის პროფესიონალებით, რომლებსაც აქვთ ძალიან ვიწრო და პრაგმატული ხედვა ადამიანის საქროებებზე, პრობლემებსა და სირთულეებზე. პრაგმატული მიდგომები, ვიწრო ხედვა და არასაკმარისი განათლება არ აძლევს მათ სოციალური რეალობის სტრუქტურული ანალიზის საშუალებას. როგორც კი ისინი გაიზიარებენ ან არ შეეწინააღმდეგებიან ახალი სოციალური წყობის დისკრიმინაციულ იდეოლოგიას, სოციალური ურთიერთობები აურეკლავი დარჩება და სოციალური უთანასწორობა გაძლიერდება. სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლი-

დარობის პრინციპზე დაფუძნებული სოციალური მუშაობა წინაღობას წარმოადგენს ნეო-ლიბერალიზმისათვის; სოციალური მუშაობის აკადემიური დისციპლინაცა და პრაქტიკაც მომავალი რისკებისა და გამონვევების წინაშეა. საპირისპირო სიტუაციააა შშ-ში, სადაც კერძო სააგენტოები ახორციელებენ მრავალგვარ „სოციალურ მომსახურებას“. ზოგი მათგანი ქირობს სოციალურ მუშაკებს, კონსულტანტებსა და უშუალო პრაქტიკის პრაქტიკოსებს.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. რას გულისხმობს *ბოლშტეინის დირექტივები*?
2. თქვენი აზრით, საქართველოს მთავრობამ რომ გადანყვიტოს გამ-ვილების სააგენტოს პრივატიზაცია ეს სასიკეთო ცვლილება იქნებოდა? დააკონკრეტეთ, თქვენი აზრით, რას მოგვიტანს ეს ცვლილება?

## სიღარიბე და სოციალური ექსკლუზია

### მიმოხილვა

სიღარიბის განმარტებები

რა არის სოციალური ექსკლუზია?

სოციალური ექსკლუზიის განმაპირობებელი ფაქტორები:

- დემოგრაფიული
- შრომის ბაზრის
- სოციალური პოლიტიკა.

სოციალური უთანასწორობა

სიღარიბის გაზომვის მეთოდები:

- შემოსავალთან მიმართებით
- ცხოვრების სტანდარტთან მიმართებით
- დანახარჯთან მიმართებით
- შესაბამისობის შკალა

სიღარიბის ზღვარი:

- დაუსაბუთებელ მიდგომა
- მეცნიერული მიდგომა

სამომხმარებო კალათა

შედარებითი სიღარიბის საზომად გამოყენებული შედარებითობის საშუალებები:

- გეოგრაფიული საფუძველი
- მიმართება ბავშვებთან

ბავშვთა სიღარიბე

ქალთა სიღარიბე

სიღარიბის გეოგრაფია

სიღარიბესა და ეთნიკურობას შორის

სიღარიბესა და ეთნიკურობას შორის კორელაცია

დამოკიდებულება სიღარიბისადმი

სიღარიბის თეორიები:

- ფუნქციონალისტური თეორია
- სტრუქტურული თეორია
- ინდივიდუალისტური თეორია

როგორ შევამციროთ სიღარიბის მაჩვენებელი?

აღბათ ყველა დაფიქრებულა იმაზე, თუ რა განაპირობებს მდიდართა და ღარიბთა არსებობას ქვეყნად. იმისათვის, რომ შევიქმნათ წარმოდგენა სიღარიბეზე აუცილებელია გავერკვეთ შემდეგ საკითხებში:

- რა არის სიღარიბე
- რასთან არის ის დაკავშირებული
- როგორ გავზომოთ სიღარიბე
- როგორ არის შესაძლებელი სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება
- საჭიროა თუ არა სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება.

დამეთანხმებით ალბათ, რომ **სიღარიბეზე საუბარი აუცილებელია დავინყოთ იმაზე შეთანხმებით თუ რა არის სიღარიბე?** რადგან იგი ბევრნაირად განისაზღვრება. ერთნი განსაზღვრავენ სიღარიბეს, როგორც მინიმალური რესურსების უქონლობას. თუმცა, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მინიმალური რესურსების უქონლობა არ მიიჩნევა სიღარიბის ერთადერთ და პირდაპირ განსაზღვრებად, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფართო კონცეპტუალიზაციისათვის ერთ-ერთი უპირველესი ელემენტია, რადგანაც იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების პრე-რეკვიზიტად მიიჩნევა – „პოზიტიური თავისუფლების“ გარანტიად. მეორენი, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უუნარობას, რადგან მოხმარებისა (ხარჯვის) და მონაწილეობის საშუალებას ფინანსური რესურსების ფლობა იძლევა, მათ ნაკლებობას კი მოაქვს ცხოვრების დაბალი სტანდარტი. არსებობს უფრო ფართო განსაზღვრებებიც, მაგალითად სიღარიბის გაეროს განსაზღვრება, რომელიც არამატერიალისტურ ელემენტებსაც მოიცავს „გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ნაკლებობა“, „ადამიანური ღირსების ხელყოფა“, „ძალაუფლების ნაკლებობა“; სიღარიბის სხვადასხვა თეორეტიკოსი სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობს, მაგალითად ტაუნსენდის განმარტებით 1979:31), „ადამიანი ღარიბია თუ მას არ აქვს საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ შეიძინოს ისეთი საკვები, ჰქონდეს ისეთი საცხოვრებელი პირობები, მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებებში, როგორც დამახასიათებელია იმ საზოგადოებისათვის, რომელშიც იგი ცხოვრობს“.

რადგან სიღარიბის განმარტებისას ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდულ შესაძლებლობაზე ვსაუბრობთ, ეს ავტომატურად სოციალური ექსკლუზიის საკითხს წამოჭრის. **რა არის სოციალური ექსკლუზია?** მასაც სიღარიბის მსგავსად ბევრი განმარტება აქვს, ეკონომიკური და სოციალური კვლევის ორგანიზაციის აზრით, ექსკლუზია არის “პროცესი, რომლის დროსაც საზოგადოება პოლარიზებულია, სოციალურად დიფერენცირებული და უთანასწოროა“. უოლკერისა და უოლკერის განსაზღვრებით, სოციალური ექსკლუზია არის “ დინამიკური პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი გარიყულია სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სისტემიდან, რომელიც მის საზოგადოებაში სოციალურ ინტეგრაციას განაპირობებს“. ლევიტასისა და უოტისა, ჯაკობსის აზრით (ლევიტასი 1998; უოტი და ჯაკობსი 2000 ბატლერთან და უოტთან 2007) სოციალური ექსკლუზია მოიცავს სხვადასხვა ფენომენს დაწყებული სიღარიბიდან, უმუშევრობიდან და რასიზმიდან დანაშაულამდე და ანტი-სოციალურ ქცევამდე.

მრავალ თეორეტიკოსთა აზრით, სოციალური ექსკლუზია და სიღარიბე განუყოფელი დიადაა, თუმცა ზოგიერთები პირველს უფრო მრავალ ასპექტიან პრობლემად მიიჩნევენ, ვიდრე მეორეს. ოპენჰაიმის აზრით (...), სოციალური ექსკლუზია მულტი-მიზეზობრივია, ფარდობითია და მოიცავს უფრო ნაკლებ

ხელშესახებ ასპექტებს, ვიდრე სიღარიბე; ასპექტებია სტატუსის, ძალაუფლების, თვით-პატივისცემისა და მომავლის რწმენის დაკარგვა. თუმცა ლისტერის აზრით, პატივისცემისა და აღიარების საკითხი ცენტრალურია სიღარიბისთვისაც.

სტრუქტურული მახასიათებლები, როგორცაა უთანასწორობა, პოლარიზაცია, სოციალური მობილობა მიიჩნევა სოციალური ექსკლუზიის არა თანმხლებ, არამედ განმაპირობებელ ფაქტორებად. *სოციალური ექსკლუზიის სააგენტო* სოციალური ექსკლუზიის სამ მაკრო – განმაპირობებელ ფაქტორს გამოყოფს:

- დემოგრაფიულს;
- შრომის ბაზრის და
- სოციალური პოლიტიკას.

წარსულში არსებული დემოგრაფიული ფაქტორები, როგორცაა ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის სიჭარბე, ხანდაზმულები და შესაბამისად დამოკიდებულ პირთა მაღალი თანაფარდობა, ასევე მარტოხელა დედობა სოციალურ ექსკლუზიაზე ნაკლები ზეგავლენის მქონეა ამჟამად. თუმცა ამჟამად არსებული ფაქტორების სიჭარბე როგორცაა შიდა მიგრაცია, მარტო ცხოვრება, თანაცხოვრება შესაძლოა იყოს სოციალური ექსკლუზიის ზრდის ფაქტორები. რაც შეეხება სამუშაო ბაზრის ფაქტორს, ის მოიცავს უმუშევრობას, “ფლექსიბურობას” და სოციალური უსაფრთხოების შემცირებას სამუშაო ბაზარზე, შემოსავლებსა და სამუშაოზე კონცენტრაციის დისპერსიას. სოციალური პოლიტიკის კუთხით კი ექსკლუზია, ბენეფიტების ფასებთან და არა შემოსავლებთან შესაბამისობაში გაცემის, მათი მაქსიმალურად შეკვეცის ან გაუქმების პოლიტიკის, ბენეფიტების ზრდისასაც კი საჭიროების უგულებელყოფის შედეგია. თუმცა, ბრედშოუს აზრით (ბრედშოუ და კოლეგები 2004, ლევიტასთან 2007), თუ სოციალურ პოლიტიკას შეუძლია იყოს სოციალური ექსკლუზიის განმაპირობებელი ფაქტორი, მას მისი შემცირებაც ძალუძს.

**მილიბანდი სამი სახის სოციალურ ექსკლუზიაზე საუბრობს (დოლბანდი 2005 ლევიტასთან, 2007):**

- ფართო
- კონცენტრირებულ და
- ღრმა ექსკლუზიაზე.

**ფართო ექსკლუზია** თუ ადამიანთა დიდ რაოდენობაში ექსკლუზიის ერთი ან ერთზე ცოტა მეტი ინდიკატორი მჟღავნდება. **კონცენტრირებული ექსკლუზია** ნიშნავს ექსკლუზიის პრობლემის გეოგრაფიული კონცენტრაციის მიხედვით განხილვას. ხოლო **ღრმა ექსკლუზია** თუ მრავალი და ერთმანეთის მომცველი ინდიკატორი მჟღავნდება. ერთ ან მეტ ასპექტში სოციალური ექსკლუზია კი ძალზედ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე.

სიღარიბესა და სოციალურ ექსკლუზიაზე საუბრისას, ბუნებრივია სოციალური უთანასწორობის თემას ვერ ავუვლით გვერდს. სიღარიბე დაკავშირებულია უთანასწორობასთან რამეთუ ეს უკანასკნელი სიღარიბის განმაპირობებელი ფაქტორია. თუმცა არა ყოველგვარი უთანასწორობა. მაგალითად, ქონებრივი უთანასწორობა საშუალო და მდიდართა კლასს შორის, კომპანიებში ან პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალაუფლების გადანაწილება ვერ იქნება სიღარიბის განმაპირობებელი ფაქტორი. დღეს დომინანტი ლიბერალური იდეოლოგიის მესვეურები უთანასწორობის აღკვეთაზე ყოველგვარ საუბარს მემარცხენეობად აღიქვამენ. მათი მტკიცებით, მდიდართა ნახალისება ისევე ღარიბთა კეთილდღეობას ემსახურება. მთავარია ქვეყანა ეკონომიკური განვითარების გზაზე იყოს, დანარჩენს ბაზარი დაარეგულირებს. თუმცა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი მზარდი შიდა ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე არ იგივდება სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებასთან და პირიქით ხშირად ზრდის კიდევ უთანასწორობას (დრაგოსი, ლესკოსეკი, 2003). ღარიბთა რიცხვის შემცირება მინიმუმამდე ეკონომიკურადაც გამართლებულია. სიღარიბის დაძლევისათვის გამოყენებული საშუალებები არა თუ არ შეამცირებს მდიდართა სიმდიდრეს, არამედ პირიქით, რამეთუ გაზრდის იმ სეგმენტის მსყიდველობით უნარს, ვისაც ეს ადრე არ ჰქონდა. ასე რომ სიღარიბის აღკვეთა უთანასწორობის აღკვეთის გარეშე სრულიად შესაძლებელია.

მოდით, ახლა განვიხილოთ როგორ გავზომოთ სიღარიბე? ამავდროულად ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იგი აუცილებელად უნდა გაიზომოს მისი მასშტაბების, სიღრმისა და კომპოზიციის გათვალისწინებით. სიღარიბე სხვადასხვა პარამეტრებით იზომება და სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. მაგალითად, **აბსოლუტური სიღარიბე განისაზღვრება, როგორც საბაზისო ფიზიკური საჭიროებებისათვის არასაკმარისი ფინანსური რესურსების ფლობა.** აბსოლუტური სიღარიბე გადარჩენას უკავშირდება. ის ჩვეულებრივ განსაზღვრავს არსებობას, რომელიც გამოიხატება პროდუქციისა და რეპროდუქციისათვის საჭირო მინიმალურ ფიზიკურ შესაძლებლობებში. აბსოლუტური სიღარიბე უკავშირდება ისეთი საბაზისო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას, როგორიცაა საჭმელი, სუფთა სასმელი წყალი, ჰიგიენური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, განათლება, ინფორმაცია და დაკავშირებულია არა მარტო სოციალური მომსახურებების ხელმიუწვდომლობასთან, არამედ შემოსავლის არ ქონასთან. ის განსხვავდება, მაგრამ ამავდროს უკავშირდება სიღარიბის უფრო ფართო ცნებას **საერთო სიღარიბეს, რაც განისაზღვრება ქვეყანაში სიღარიბეში მცხოვრებთა საერთო რაოდენობით.** გვაქვს სიღარიბის კიდევ ერთი საზომი *შედარებითი სიღარიბე.* **შედარებითი სიღარიბე განისაზღვრება არა როგორც საბაზისო ფიზიკური საჭიროებებისათვის არასაკმარისი ფინანსური რესურსების ფლობა, არამედ, როგორც სრულფასოვან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის უუნარობა.** შედარებითი სიღარიბის განსაზღვრა შესაძლებელია

მხოლოდ ერთი და იგივე საზოგადოების წევრების ცხოვრების პირობების შედარებით მოცემულ ისტორიულ ეტაპზე. მეცნიერებმა შემოიტანეს აგრეთვე სიღარიბის *სუბიექტური* საზომი, რაც ადამიანებს ანიჭებს იმის განსაზღვრის პრეროგატივას თუ რამდენადაც ღარიბები არიან ისინი (ბატლერი და უოტი, 2007).

როგორც ვნახეთ, სიღარიბე სხვადასხვა პარამეტრებით იზომება და ამ პარამეტრებისა და განსაზღვრებების ნაირსახეობა ხაზს უსვამს არა იმას, რომ ეს სხვადასხვა რეალობებია, არამედ იმას, რომ აბსოლუტური და შედარებითი სიღარიბის არსიცა და ურთიერთკავშირიც, მასზე განსხვავებული შეხედულებების დემონსტრირებაა, რამეთუ კაცობრიობის გაგებაცა და მოთხოვნილებაც პირველად საჭიროებებზე განსხვავებულია. ასე რომ სიღარიბის განსაზღვრა პოლიტიკურ ფუნქციას წარმოადგენს.

სიღარიბის გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება სხვადასხვა შედეგი მიგვალდებინოს. სიღარიბის გაზომვისათვის აუცილებელია განსაზღვრული იყოს სიღარიბის ინდიკატორები და სტანდარტი ე.წ. **სიღარიბის ზღვარი**, რასთან მიმართებითაც უნდა შეფასდეს ეს ინდიკატორები. მაგალითად, საქართველოში უკიდურესი სიღარიბის ზღვარი არის 47.1 ლარი, სიღარიბის ზღვარი კი 71.6 ლარი (მსოფლიო ბანკი, 2007).

მთავარია ჩამოყალიბებულნი ვიყოთ იმაზე, თუ **როგორ გვინდა სიღარიბის გაზომვა, შემოსავალთან, ცხოვრების სტანდარტთან, თუ დანახარჯთან მიმართებით.** თუ სიღარიბის გაზომვას შემოსავალთან მიმართებით ვაპირებთ, აუცილებელია განვსაზღვროთ მხოლოდ ფაქტიურ შემოსავალთან მიმართებით ვზომავთ თუ მატერიალურ რესურსებთან და აქტივებთან მიმართებით. კვლევებმა ცხადყო, რომ დაბალი შემოსავალი არ არის ცხოვრების დაბალი სტანდარტის პირდაპირი განმსაზღვრელი ფაქტორი. იმ კვლევებმაც კი, რომლებშიც ამ ორს შორის ნათლად გამოხატული კორელაცია დაფიქსირდა, ცხადყო, რომ ხუთიდან ორმა ოჯახმა არ მიიღო გაჭირვების ინდექსი. შეუთავსებლობა შეიმჩნევა განსაკუთრებით მაშინ, როცა შემოსავლის გაზომვა გათვლილია ოჯახზე, ხოლო საცხოვრებელი სტანდარტის ან კეთილდღეობისა ინდივიდზე, გენდერული იმპლიკაციით. ქალთა სიღარიბის საკითხს ქვევით ჩაუვლმავდებით.

ადამიანის ცხოვრების ცუდი პირობების მიზეზად მხოლოდ დაბალ შემოსავალს ვერ მივიჩნევთ ზოგჯერ. ან პირიქით, ადამიანი შესაძლოა თავს აღწევს ცხოვრების ცუდ პირობებს სხვადასხვა საშუალებით: დანახარჯის აქტივიზაციით, სესხის აღებით, საქველმოქმედო ორგანიზაციებში დახმარებისთვის მიმართვით, მათხოვრობით, ქურდობით და სხვა. ასე რომ, მხოლოდ შემოსავლის გაზომვით ვერ მივიღებთ სიღარიბის ზუსტ მარჩვენებელს. შესაბამისად, შემოსავლის მომატებასთან ერთად შესაძლოა არ გაუმჯობესდეს ცხოვრების პირობები, თუ ინდივიდი მთელს ნამატს ვალებში დახარჯავს. ამიტომ, როდესაც საცხოვრებელი პირობები ნაწილობრივ სიღარიბის განსაზღვრის ფაქტორია, საჭიროა როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი საშუალებების გამოყ-



ენება. ამიტომ, მაგალითად ბრიტანეთში, ორ-დონიან საზომს იყენებენ ბავშვთა სიღარიბის გასაზომად, რომელიც მოიცავს როგორც დაბალ-შემოსავლიანობის ინდიკატორს, ასევე მატერიალური სიდუხჭირისა და დაბალი შემოსავლის კორელაციურ ინდიკატორს, როგორც საცხოვრებელი პირობების დამატებით საზომს. ტაუნსენდის აზრით (ტაუნსენდი 1979 ბატლერთან და უოტთან 2007), დაბალკვალიფიციური მუშახელი და მათი ოჯახები სიღარიბეში იმიტომ კი არ ცხოვრობენ, რომ მათ დაბალი ანაზღაურება აქვთ, არამედ დასვენებებისა და ავადმყოფობის შემთხვევებში ანაზღაურების არ ქონისა და დაბალკვალიფიციური სამუშაოსათვის დამახასიათებელი უსაფრთხო სამუშაო გარემოს არ არსებობის გამო. ეს კი სოციალური დაცვის სისტემის ხარვეზებს უსვამს ხაზს.

სიღარიბის საზომად იყენებენ კიდევ ერთ საზომს – *სოციალურ ინდიკატორს* იგივე *შეთანხმებულ მიდგომას*, რომელიც დაფუძნებულია დეპრივაციის ინდექსის აგებაზე (ბატლერთან და უოტთან 2007). ტაუნსენდის (1979) ინდექსი შედგება საზოგადოებისათვის „საჭირო“ იმ საგნებისაგან, რომლებიც თავად ტაუნსენდმა ჩათვალა საჭირო საგნებად. ამ ინდექსის განახლებული ვერსიია გორდონისა და მისი კოლეგების (2000) მიერ შემუშავებული ინდექსი *შეთანხმებულ მიდგომა*, რომელიც ეფუძნება საზოგადოების და არა ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებულ საჭირო საგანთა ჩამონათვალს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი შემოსავლის გარდა კიდევ 4 ტიპის შემოსავალს ვხდებით უმრავლეს ქვეყნებში: კაპიტალურ აქტივებს, დამქირავებლის მიერ მონოდებულ ბენეფიტებს, სახელმწიფო მომსახურებებს, კერძო შემოსავლებს. ეს რესურსები კი ქალებსა და მამაკებისათვის სხვადასხვაა ხშირ შემთხვევაში. ამავე დროს, რესურსების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად გადაქცევა დროს მოითხოვს – უმეტესწილად კი ქალების დროს. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც რესურსები იზომება, განსაკუთრებით შემოსავალი, შედეგებზე ზემოქმედებს. რაც უფრო მოკლეა პერიოდი, მით უფრო დიდია სხვაობა შემოსავალსა და მოხმარებას შორის, ე.ი. მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი. რაც უფრო გრძელია პერიოდი, მით უფრო დაბალია სიღარიბის მაჩვენებელი, რადგან დროებითი შეუსაბამობა შემოსავალსა და საჭიროებებს შორის არ ფიქსირდება.

ზოგიერთნი მიიჩნევენ, რომ დანახარჯი არის სიღარიბის უფრო ზუსტი საზომი, როგორც უფრო საიმედო საზომი შემოსავლისა და საცხოვრებელი სტანდარტისა, თუმცა ამასაც თავისი პრობლემები ახლავს, მაგალითად პერიოდული მსხვილი დანახარჯი, და დანაზოგებისა და სესხების ფაქტები. ამავე დროს, ოჯახურ მეურნეობაში ერთი წევრის შენაძენი შესაძლოა სხვების საცხოვრებელ მდგომარეობას უფრო აუმჯობესებდეს, ვიდრე მისას. მაგალითად, ოჯახის დედის უმრავლესი საოჯახო შენაძენი. ასე რომ, არც შემოსავლისა და არც დანახარჯის ინდიკატორებზე დაყრდნობით არაა შესაძლებელი რეალური კეთილდღეობის გაზომვა.

როგორც ზევით ავლნიშნეთ, სიღარიბის ინდიკატორების სიღარიბის დონის დასადგენად გამოყენებისათვის, აუცილებელია მათი გაზომვა “სიღარიბის ზღვართან” მიმართებით, რომელიც მიიჩნევა იმ ზღვრად, რომლის ქვევითაც აღმოჩენილი ადამიანი ღარიბად მიიჩნევა. ამ ზღვარის დადგენისთვის სხვადასხვა მიდგომა გამოიყენება. ეს მიდგომები იყოფა *დაუსაბუთებელ* და *მეცნიერულ* მიდგომებად. *დაუსაბუთებლად* მიიჩნევა მიდგომა, რომელიც არაა დაკავშირებული საჭიროების ან სიდუხჭირის კრიტერიუმთან. *დაუსაბუთებელი* მიდგომა მეტად გამოსადეგია და შედეგიანია ოფიციალური სიღარიბის გამოსათვლელად თავისი სიმარტივისა და საერთაშორისო მოხმარებისათვის ვარგისიანობის გამო. ძირითადი მაგალითებია: მინიმუმ შემოსავალი სოციალური დახმარების სქემების მიხედვით; საშუალო შემოსავლის პროცენტული მონაცემი, მაგალითად დღეს ევროპაში არსებული მედიანას 60%; მსოფლიო ბანკის 1, 2 და 4 დოლარიანი დღიური გამომუშავება.

სიღარიბის ზღვარზე დიდ ზეგავლენას ახდენს დროის განზომილება. როგორც კი ეს ზღვარი დადგინდება, თანდათან ცვლილებების მონიტორინგისთვის ის ან უნდა დაფიქსირდეს რეალურ ვადებში, ან დამოკიდებული გახდეს შემოსავლის ზრდაზე, ან რეგულარულად შეიცვალოს მოსალოდნელ ცვლილებებთან მიმართებაში. სიღარიბის ზღვარი ადგენს ღარიბთა რაოდენობას და შემადგენლობას, რასაც მოსდევს იმ პოლიტიკის სწორად განსაზღვრა, რომელმაც ეს ხალხი მაქსიმალურად უნდა ამოიყვანოს ამ გაჭირვებიდან სიღარიბის ზღვრამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არაფერს გვეუბნება ჩვენ სიღარიბის სიღრმესა და ინტენსიურობაზე, ანუ იმაზე თუ სიღარიბის ზღვარს რამდენად ქვევითაა ხალხის შემოსავალი. აუცილებელია “სიღარიბის დონეების” გაზომვა, რაც იმის საშუალებას მოგვცემდა, რომ სიღარიბის დაძლევის მხოლოდ რაოდენობრივ ინდიკატორებს არ დავყვარდნოთ. ისინი ვინც ოდნავ სცილდებიან სიღარიბის ზღვარს უფრო ადვილი „ამოსაყვანები“ არიან ამ ზღვრამდე, ვიდრე ისინი, ვისი შემოსავალიც საგრძნობლად სცილდება დანესებულ ზღვარს ე.ი. რაოდენობრივი მაჩვენებელი არაფერს გვეუბნება სიღარიბის დონეებს შორის სხვაობის გაუქმებაზე.

**როგორ დგება სამომხმარებო კალათა** ეს უკვე ე.წ. „მეცნიერული“ მიდგომის პრეროგატივაა. ხშირად მას ექსპერტები ადგენენ, და დროშიც ყოველთვის განახლებადი არ არის. სიღარიბე იზომება მათი შეხედულებისამებრ ღარიბთა ცხოვრებისათვის აუცილებელი საარსებო მინიმუმისა და საბაზისო მოთხოვნილებების საგნების აღრიცხვით. ასევე გამოიყენება *მონაცემი დანახარჯის არ არსებობის შესახებ ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე და ფუფუნების საგნებზე*. ეს მიდგომა კი ვერანაირად ვერ გამოდგება მათზე, ვინც ამჯობინებს ხანგრძლივი მოხმარების ან ფუფუნების საგნებზე ხარჯვას აუცილებელი მოთხოვნილებების საგნებზე უარის თქმის ხარჯზე. რასაკვირველია, ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგროვებული ინფორმაცია არ იძლევა ობიექტუ-

რი რეალობის ასახვის საშუალებას. ბოლო პერიოდში ტარდება სოციალური გამოკითხვები, იმისათვის, რომ საზოგადოებამ თავადვე განსაზღვროს მინიმუმი საცხოვრებელი სტანდარტი. ეს სამ მიზანს ემსახურება:

1. ის ადგენს იმ საგნებსა და აქტივობებს, რასაც უმრავლესობა მიიჩნევს აუცილებელ მინიმუმად, და არ შემოიფარგლება ექსპერტთა ერთი ჯგუფის შეთანხმების საფუძველზე მიღებული კონსენსუსით;

2. გამოავლენს მათ, ვინც იძულებულია, რესურსების სიმწირის გამო ამ აუცილებელი მინიმუმის გარეშე იცხოვროს;

3. დადგინდეს შემოსავლის ზღვარი, როდესაც აუცილებელი მინიმუმის შეძენა შეუძლებელია.

ჰოლმანი გვთავაზობს ღარიბთა ჩართვას სიღარიბის დაძლევის ინიციატივებში, რადგან მისი აზრით მხოლოდ მათ შეუძლიათ „სიღარიბის გამომწვევი მიზეზების ადვოკატობა“ (ჰოლმანი, 1978 ალკოკთან 2006:200). „წარმომადგენელთა“ ჩართულობის პრეცედენტი „მხარდამჭერთა“ ჩართულობაზე ეფექტიანი იქნება (უიტი და ვინარდი 1983 ალკოკთან 2006:196), რადგან „ღარიბთათვის კამპანიები“ ნაკლებ ეფექტინია „ღარიბებიდან ინიცირებულ“ კამპანიებთან შედარებით (ჰილსი, 2006:197). ჰოლმანი ამბობს, რომ სიღარიბის ინიციატივებმა უნდა მისცეს ღარიბ ხალხს გამომხატვის საშუალება, ამავე დროს გარანტიით, რომ „მათ აზრს შესაბამისი გამომხატურება მოჰყვება“, რადგან ღარიბთა წამომადგენლები ხშირად თავს სწორედ ამ გარანტიაში დაურწმუნებლობის გამო იკავებენ (ჰოლმანი ალკოკთან, 2006:199).

როგორც უკვე ავლინებთ, სიღარიბის მაჩვენებლები ინდივიდებზე გამოითვლება, თუმცა იზომება ოჯახებზე და არა ამ ოჯახის თვითოეულ წევრზე, რამაც შეიძლება დიდი ცდომილება მოიტანოს რესურსების არათანაბრად გადანაწილების გამო ოჯახის შიდა სტრუქტურებში, და აქედან გამომდინარე არაზუსტი მონაცემი მივიღოთ სიღარიბეში მცხოვრებთა შესახებ, განსაკუთრებით კი ეს ეხება ქალებსა და ბავშვებს. ამასვე უკავშირდება ის პრობლემა თუ **როგორ შევადაროთ სხვადასხვა კომპოზიციის ოჯახები. ამის გასაზომ ინსტრუმენტს შესაბამისობის შკალა** (Equivalence Scale) ეწოდება და გამოიყენება მორბილთა და ბავშვთა სხვადასხვა საჭიროებების დასადგენად, მსგავსთა შედარების მიზნით. რამდენად ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ამ ინსტრუმენტის გამოყენება სათუთა, თუნდაც იმიტომ, რომ სტანდარტული *შესაბამისობის შკალა* არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების გაზომვას.

განვიხილოთ **შედარებითი სიღარიბის საზომად გამოყენებული შედარებითობის საშუალებები**: პირველი – გეოგრაფიული საფუძველი, მეორე მიმართება ბავშვებთან. განვიხილოთ პირველი: ტრადიციულად სიღარიბე იზომებოდა ეროვნულ შედარებითობაზე დაყრდნობით, რამეთუ ხალხი ცხოვრების დონეს

ადგილობრივი შედარებითობით საზღვრავს. მაგრამ, როგორც უკვე განვიხილეთ, გლობალიზაცია სულ უფრო აფართოვებს შედარებითობის დიაპაზონს.

ახლა განვიხილოთ ბავშვებთან მიმართებაში სიღარიბის ტენდენციები. **როგორ უნდა გავზომოთ ბავშვთა სიღარიბე** სხვა ბავშვების ცხოვრების სტანდარტთან შედარებით თუ მთელ მოსახლეობასთან შედარებით? თუ ბავშვები ვერ იღებენ მონაწილეობას სოციალურ ცხოვრებაში დაბალი ცხოვრების სტანდარტის გამო, ეს შედარება ემყარება სხვა ბავშვების ცხოვრების წესთან შედარებას. გამოდის, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე მოზრდილთა, ეს უთანასწორობა ვერ დაფიქსირდება და ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი რეალურზე დაბალი იქნება. მაგალითად, აშშ-ში დაფიქსირდა სხვადასხვა შედეგები ბავშვებთან მიმართებაში, თანაც უფრო მდიდარ შტატებში უფრო მაღალი მაჩვენებლით და ღარიბ შტატებში უფრო დაბლით. ეს იმის შედეგია, რომ აბსოლუტურად უგულვებელყოფილი იყო ეკონომიკური უთანასწორობის მაჩვენებელი.

ბავშვები ოჯახებისათვის დამატებით ხარჯებთან არიან დაკავშირებული. ბევრ ქვეყნებში მშობელთა გამომუშავება დაბალია ბავშვიან ოჯახებში დედის შემცირებული შრომისუნარიანობის გამო. ამ კუთხით, ქვეყნებს შორის სრულიად განსხვავებულ შედეგებს ვაწყდებით. მაგალითად, აშშ, გაერთიანებულ სამეფოს, კანადასა და იტალიაში ბავშვთა სიღარიბე აღემატება დადგენილ ზღვარს. იგივე სურათია საქართველოშიც, სადაც ბავშვთა სიღარიბე აღემატება მთლიანი მოსახლეობისას 4 პროცენტით (მსოფლიო ბანკის კვლევა, 2009). ნორდიკულ ქვეყნებში კი სრულიად საწინააღმდეგო სურათია (ლისტერი, 2004). მაგალითად, გერმანიაში სიღარიბის „ახალი“ ტალღა ბავშვების სიღარიბის მაჩვენებლის ზრდით ხასიათდება, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებში, რომლებიც გრძელვადიან უმუშევართა ოჯახებში ცხოვრობენ. გერმანიაში ყოველი მეხუთე ბავშვი ამის მსხვერპლია (ეი.ი. 19 პროცენტი მთელი ბავშვებისა), მაშინ როცა 1998 წელს ეს ეხებოდა მხოლოდ ყოველ მეშვიდეს. ისეთ ქალაქებში, როგორც არის ბერლინი, სადაც იმიგრანტთა დიდი რაოდენობაა (25 წლამდე მოზარდთა 40 პროცენტი), ყოველი მესამე ბავშვი უკვე ღარიბია (ლაბონტ-როსეტი, 2008). როგორც ვხედავთ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კორელაციაში არ არის ბავშვთა სიღარიბის დონესთან. მნიშვნელოვან როლს თამაშობს რასა და სოციალური კლასი. კვლევები ცხადყოფენ სიღარიბის უარყოფით ზეგავლენას ბავშვთა განვითარებაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და სამუშაო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებაზე.

რუქსტონისა და ბენეტის აზრით (რუქსტონი და ბენეტი 2002:35 ლისტერთან 2004), აუცილებელია სიღარიბე დავინახოთ „ბავშვების თვალთ“, რადგან ეს უფრო ინფორმირებულ სურათს დაგვიხატავს. ტეს რიჯის ბავშვზე ორიენტირებული სიღარიბის კვლევამ გამოააშკარავა, რომ ბავშვებს ადარდებთ ის, რომ ისინი სტიგმატიზირებული არიან; ისიც, რომ ისინი არიან „განსხვავებულნი“;

ისიც, რომ „მორგებასა“ და „ჩართულობასთან“ დაკავშირებული პრობლემები მათში აგრესიას ზრდის და ისინი კონფლიქტამდე მიჰყავს (რიჯი, 2002:4 თავი ლისტერთან, 2004). სტიგმა მონიჭული ადამიანებისთვისაც დიდი პრობლემაა, მაგრამ არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ ბავშვებისა და მოზარდების შემთხვევაში შეიძლება გამანადგურებელი აღმოჩნდეს, რადგან ისინი სწორედ თავიანთი იდენტობის გრძნობის ფორმირების პროცესში არიან (ლისტერსი, 2004).

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო (სილარიბე საქართველოში, 2008), რომ სილარიბე ბავშვებში გავრცელებულია და ბავშვები გვევლინებიან სილარიბის უფრო მაღალი რისკის წინაშე, ვიდრე ზოგადად მოსახლეობა. ბავშვთა 12 პროცენტი უკიდურეს სილარიბეში ცხოვრობს, განსხვავებით მთლიანი მოსახლეობის სილარიბის 9 პროცენტის მარჯვენებისა; ხოლო 28 პროცენტი სილარიბის ზღვარს ქვევითაა; ეს მარჯვენებელიც აღემატება საერთო მოსახლეობისას, რაც 24 პროცენტს უტოლდება. ამავე კვლევამ ცხადყო, რომ ბავშვები უფრო მგრძობიარენი არიან სილარიბის მიმართ თუ ისინი ოთხ ან მეტ ბავშვიან ოჯახში ცხოვრობენ; თუ ისეთ ოჯახში ცხოვრობენ, სადაც არავინაა დასაქმებული; თუ ოჯახში ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მაინც არის; თუ ოჯახში არ არის საშუალოზე მაღალი განათლების მქონე სამუშაო ასაკის ქალი; თუ შიდა ქართლში ცხოვრობენ; და თუ ისინი სოფლად ცხოვრობენ.

ბევრი ქვეყანა ბავშვთა სილარიბის დაძლევის პოლიტიკურ პრიორიტეტად აღიარებს. ამ მიზანს კი სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით აღწევს. მაგალითად, ასეთი პრიორიტეტი გამოიკვეთა გაერთიანებული სამეფოს ბოლო წლების პოლიტიკურ მიზნად. ამას მოჰყვა ბენეფიტების სისტემიდან საგადასახადო სისტემაზე გადასვლა. ამის მაგალითია *საოჯახო კრედიტის* ჩანაცვლება *დასაქმებულ ოჯახთა საგადასახადო კრედიტით*, რაც 2003 წელს *ბავშვის საგადასახადო კრედიტმა* და *დასაქმების საგადასახადო კრედიტმა* ჩაანაცვლა. ეს იყო „პროგრესული უნივერსალიზმის“ ელემენტის წარმოჩენა ბავშვთა სილარიბის დაძლევის მკაფიოდ გამოხატული მიზნის დემონსტრირებით „შემოსავლებზე-ორიენტირებული მიდგომის“ გამოყენებით (ჰილსი და კოლეგები 2006:21). ბავშვთა საგადასახადო კრედიტი სტანდარტიზებული ბენეფიტია ბავშვებისათვის, რომელიც მიენიჭება ოჯახებს მინიმალური ხელფასებით. 25 წელს ზევით ყველა დასაქმებულისათვის, რომელიც მინიმუმ 30 საათი მუშაობს კვირაში სულ მცირე 4 კვირის განმავლობაში ხელმისაწვდომია ეს დახმარება (ალკოკი, 2006).

მთავრობის კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენდა ბავშვთა სილარიბის მეოთხედით შემცირება 2005-2006 წლებისათვის და განახევრება 2010 წლისათვის, სილარიბის შედარებითი საზომის შემოსავლის 60 პროცენტთან მედიანასთან მიმართებით. მოგვიანებით დაემატა სილარიბის აბსოლუტური საზომი და მატერიალური დეპრივაცია მთავრობამ დაანერგა მაღალი დედათა დახმარების გრანტები 1999 წელს, უფრო გრძელვადიანი დედათა დახმარებები 2002 წელს, და უფრო მაღალი ბენეფიტები დედათათვის, რომლებსაც შეზღუდული შესა-

ძლებლობების მქონე ბავშვები ჰყავთ 2001 წელს. უფრო მონიფულეები იღებდნენ საგანმანათლებლო დახმარებას 2004 წლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით და უწყვეტი განათლებისა და ტრენინგის უფრო მაღალ ბენეფიტებს 2006 წლიდან.

შედეგად ბავშვთა სიღარიბე 2006-2007 წლისათვის შემცირდა 1.4 პროცენტით „საბინაო ხარჯების გაუთვასინინებლად“ და 3.0 პროცენტით „საბინაო ხარჯების გათვალისწინებით“. ყველაზე მეტად გატარებული პოლიტიკით იმ მარტოხელა დედების შვილებმა ისარგებლეს, რომლებიც ნახევარ-შტატზე მუშაობენ. ბავშვთა სიღარიბე ორივე დაუსაქმებელ მშობლიან ბავშვებში 3-4 პროცენტით შემცირდა და 9-10 პროცენტით მარტოხელა დედების შვილებში. შედარებითი სიღარიბე შემცირდა ბავშვებში, სამუშაო ასაკის მშობლებში და პენსიონრებში, მაგრამ გაიზარდა სამუშაო ასაკის უშვილო ადამიანებში და ერთ დასაქმებულ ნევრიან ოჯახებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი სიღარიბის ყველაზე ნაკლებ მაჩვენებელს აფიქსირებდა. ძირითადად მოხდა ისე, რომ დასაქმებასთან მიმართულმა ბენეფიტებმა ჩაანაცვლა დასაქმებასთან დაუკავშირებელი ბენეფიტები. ჰილისა და კოლეგების აზრით (2006), გრძელ ვადაში ანტი-სიღარიბის სტრატეგია დამოკიდებულია „განათლების, დასაქმების და სხვა პოლიტიკებზე, რომლებიც მშობლების საჭირო უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფასა და გამომუშავების უნარიანობას უზრუნველყოფენ“ (ჰილი და კოლეგები 2009:34).

ბევრს საუბრობენ ასევე **სიღარიბის ფემინიზაციაზე**. ქალები ღარიბთა შორის ყოველთვის სჭარბობდნენ. რატომ? ამის გააზრებაში დაგვეხმარება იმაზე ჩაფიქრება თუ რამდენად ხელმისაწვდომია ქალებისათვის რესურსები და შესაძლებლობები. რადგანაც ისინი ჯერ კიდევ არათანაბრადაა განაწილებული დედამიწის ბევრ ქვეყანაში, ამიტომაც არსებობს უთანასწორობა. ის კვლევები კი, რომლებიც ოჯახის შემოსავალზე დაყრდნობით ზომავენ სიღარიბეს, ასკვნის, რომ ოჯახში არ არიან ღარიბები თუ ოჯახის შემოსავალი სიღარიბის ზღვარს აღემატება. ოჯახის ყველა წევრი ერთნაირად ღარიბი ან მდიდარია. ასეთი დაშვებების დამტკიცება შეუძლებელია ისეთი მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მათ სისწორეს ასაბუთებენ (დალი, 1989).

უმრავლესი ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემა იმ ეპოქაში ჩამოყალიბდა, როდესაც ქალის როლი განსხვავებული იყო და ის ნაკლებად მოიაზრებოდა ოჯახს გარეთ, მას დამოკიდებული პირის სტატუსი ჰქონდა. ამიტომაც სწორედ სოციალური დაცვის პოლიტიკის მიერ გამოწვეული უთანასწორობის შედეგია უამრავი ასაკოვანი ქალის ეკონომიკური პრობლემები. უმრავლესი თანამედროვე სოციალური დაცვის სისტემა შრომის ბაზარზე ქალის შრომის სტატუსის გათვალისწინებასთან ერთად არ ითვალისწინებს მის თავდაუზოგავ აუნაზღაურებელ შრომას ოჯახში. სწორედ ოჯახში არსებული უამრავი პასუხისმგებლობები ბოჭავს ქალს უფრო მეტი დრო გაატაროს სამსახურში და შესაბამისად მიიღოს უფრო მაღალი სოციალური დახმარება ხანდაზმულობი-

სას. წარმოიდგინეთ, რომ ქალს ყოველ სახლში გატარებულ დღეზე, რასაც ის ახმარს შვილებს, მასზე დამოკიდებული სხვა პირებსა და სხვადასხვა საოჯახო საქმეებს სოციალური დაცვის სისტემაში მინიმალურ კრედიტს ვაძლევთ, ეს ხომ მის ღირსეულ სიბერეს უზრუნველყოფდა (დინიტო, 2005). თუ ქალი არაფორმალური ზრუნვის მიმწოდებელი არ იქნებოდა მაშინ ეს ხარჯები ხომ სახელმწიფოს უნდა აენაზღაურებინა, გამოდის რომ პასუხისმგებლობით გრძნობით აღჭურვილი ქალი იჩაგრება, მისი შრომა არ არის დაფასებული და აღიარებული სოციალური მომსახურების სისტემის მიერ.

დალის აზრით (1998), სიღარიბისადმი ყველაზე მგრძობიარენი აღმოჩნდნენ ქალები, რომლებიც:

- ზრდიან შვილებს;
- არიან ხანდაზმულები;
- არიან უსახლკარონი;
- დაბალანაზღაურებად სამუშაოზე მსახურობენ;
- სრულ სამუშაო განაკვეთზე მუშაობენ შინ.

განსხვავებულია სიღარიბისაგან თავის დაღწევის სტრატეგიებიც ქალებსა და მამაკაცებს შორის. ქალების „გადარჩენის“ სტრატეგიებს შორის ვაწყდებით მაგალითად, ხარჯების შემცირებას, ძირითადად კი საკვებზე და საწვავზე. ღარიბი ოჯახებისათვის საკვებზე დანახარჯი ფიქსირებული დანახარჯი არ არის, არამედ რანჟირებს არსებული ფინანსების მიხედვით (დალი, 1989). ალბათ წარმოგიდგენიათ რამდენად არასახარბილოა ეს ჯანმთელობისათვის და შემდგომში რა პრობლემებსა და შესაბამისად გაორმაგებულ სამედიცინო ხარჯებს იწვევს. კიდევ ერთი გზა, რომელსაც დალი წარმოგიდგენს ძალიან ამაღლებელია: უქმეებზე ბავშვების ლოგინში შექცევა სადილამდე, რომ საუზმის მიწოდება არ იყოს აუცილებელი. ამ დღეს ნაცვლად სამი ულუფისა ორი ულუფა მიწოდებათ ბავშვებს. ამავე დროს, ერთი ხელი ტანსაცმელი გადაურჩება გარეცხვას.

როდესაც ქალებს სიღარიბის განმარტება სთხოვეს ის მრავალგანზომილებიანი აღმოჩნდა (დალი, 1989):

- სამზარეულოს დალაგება ღამით, როდესაც ბავშვებს სძინავთ, რომ სასუსნავები არ მოითხოვონ;
- შიში, რომ ბავშვები იზრდებიან იმ შეგრძნებით, რომ ცხოვრება ასეთია და მისგან არაფერ სხვას არ უნდა ელოდო;
- არჩევანის არ ქონა;
- ტრანკვილიზატორების მიღება პრობლემებთან გამკლავების უნარის გამოსამუშავებლად.

გრეჰემი (გრეჰემი, 1986 ალკოკთან, 2006) გვიამბობს ქალზე, რომელიც გათბობას მხოლოდ მაშინ რთავს, როდესაც მეუღლეა სახლში, ხოლო როდესაც ის მარტოა ის პლედშემოხვეულია სახლში. ლენდი და როუზი კი თვლიან (ლენდი და როუზი, 1985 ალკოკთან, 1987), რომ თვით უარყოფა ქალის სპეციფიკურ

ხვედრადაა მიჩნეული სიღარიბეში და ის მსხვერპლშენიშნავს ან იძულებითი ალტრუიზიმი“.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ქალები და მამაკაცები შრომას თანაბრად არ იყოფენ, რადგან მამაკაცები უმეტესწილად არ კისრულობენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას სახლში და ბავშვების აღზრდაში. მაგალითად, საქართველოში სულ რამდენიმე ოჯახში თუ შევხვდებით მამაკაცს, რომელიც უფლის შვილებს ან ალაგებს სახლს, ამზადებს საკვებს და ა.შ. ისეთ ოჯახებშიც კი, სადაც ქალი მხოლოდ დასაქმებული და სხვა ყველა ოჯახის წევრი მასზე დამოკიდებული პირი, ის მაინც მარტოა ოჯახის საქმეების პასუხისმგებლობის წინაშე.

ლისტერი ამბობს, რომ „სიღარიბეს აქვს გეოგრაფია“ (ლისტერი, 2004:69). ეს ძირითადად ურბანული ფენომენია, თუმცა რურალური სიღარიბის პრეცედენტებიც უხვადაა იზოლაციის, მობილურობის შეზღუდვის გამო, რაც ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემებითაა გამოწვეული. ღარიბთა უბნები ხასიათდებიან მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურითა და ფიზიკური გარემოთი, მეზობელთა შორის უნდობლობით, მაღალი დანაშაულობით, დაბალი ხარისხის მომსახურებებით და სავაჭრო ცენტრებით (ბატლერი და უოტი, 2007). ღარიბთა უბნების დაარსება ემსახურებოდა გეოგრაფიულ ლოკაციაზე მიმართული პროგრამების შექმნას, თუმცა მას მოჰყვა აშკარა სეგრეგაცია მოსახლეობაში, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ღარიბთა სტიგმატიზირების საკითხი. მენკიუს აზრით (2001), ლოკაციების სუბსიდირებით ღარიბები რჩებიან ამ უბნებში და ხელოვნურად მცირდება მათი გარე მობილობა. ამ უბნებში ფირმების დაარსების მოტივირებით (მაგალითად, საგადასახო კრედიტების მიცემით) და პროდუქციის შექმნით იზრდება საკუთრების საფასური, რენტა და მიზანი – მათი დაარსებით გაჭირვებულებისათვის სარგებლის მოტანა, მიუღწეველი რჩება. ამიტომ ნაცვლად ლოკაციაზე ორიენტირებული პროგრამებისა, უმჯობესია საგადასახადო კრედიტების შეთავაზება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც დაასაქმებდნენ ღარიბებს.

**სიღარიბე მგრძობიარეა ეთნიკური მახასიათებლების მიმართაც.** უმცირესობების სახელფასო დისკრიმინაციის მაგალითები უხვადაა დღევანდელ მსოფლიოში. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ნაკლებ სახელფასო განაკვეთს სთავაზობენ ბევრ ქვეყნებში. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში სიღარიბის მაჩვენებელი ეთნიკურ უმცირესობებს შორის 40 პროცენტია, რაც ორჯერ აღემატება თეთრკანიანი ადგილობრივი მოსახლეობის იგივე მაჩვენებელს. Josef Rowntree Foundation-ი წარმოადგენს განსხვავებებს თავად უმცირესობების ჯგუფებს შორისაც, მაგალითად ბანგლადეშელ მოსახლეობას შორის სიღარიბის მაჩვენებელი 65 პროცენტია, მაშინ როდესაც პაკისტანელთა შორის 55 პროცენტია, აფრიკელ ამერიკელთა შორის 45 პროცენტია და ინდოელთა და კარიბიელთა შორის მხოლოდ 30 პროცენტია. ვიეტნამში ანალოგიურმა კვლევამ ცხადყო, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სიღარი-



ბის მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია უმრავლესობასთან შედარებით. ერთ სულ მოსახლეზე საერთო ეროვნული დანახარჯი 35პროცენტით გაიზარდა, ხოლო უმცირესობების წარმომადგენლებზე მხოლოდ 20 პროცენტით (მატე-ბრაშვილი, 2009).

2004 წლის კვლევამ ცხადყო, რომ ვიეტნამელი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სიღარიბის მიზეზი არის არა განათლების სიმცირე ან ადგილობრივი მდებარეობა, არამედ მათი უმრავლესობასთან შედარებით გაცილებით დაბალი შემოსავალი. თუმცა, ვიეტნამში ეთნიკურ უმცირესობათა სიღარიბე სოფლად ქალაქისას აღემატება. 2002-2004 წლების კვლევამ ჩინეთის 22 პროვინციაში ცხადყო, რომ ეთნიკურ უმცირესობათა 1/3 სიღარიბეს განიცდის ეთნიკური უმრავლესობასთან შედარებით (მატებრაშვილი, 2009).

ამავე დროს, **არსებობს სიღარიბის რამდენიმე თეორია, რომელთა მიხედვითაც სიღარიბის მიზეზები სხვადასხვაა.** მოდით რამდენიმე განვიხილოთ: ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, სულაც არ არის საჭირო სიღარიბის აღმოფხვრა, რადგან ის აუცილებელია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. **ეს ფუნქციონალისტური თეორიაა** და ამტკიცებს, რომ სიღარიბეზე საუბრისას უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ მისი ღირებულება, არამედ სარგებელიც საზოგადოებისთვის. რომ არ იყვნენ ღარიბები ვერავინ შეასრულებდა „ჭუჭყიან“ სამუშაოს, როგორცაა დალაგება, შინა მოსამსახურეობა და ა.შ. სიღარიბე ეხმარება წარჩინებულებს წინსვლაში, რადგან კიდევ უფრო ზრდის მდიდართა ზევით მიმართულ მობილობას. იგი არის დემარკაციის ხაზი, ერთგვარი საპირწონე რომლის ქვევითაც ისინი არ უნდა აღმოჩნდნენ, რადგან „ქვეშ“ ყოფნა ასოცირებულია სიზარმაცესთან, უუნარობასთან, კრიმინალთან, დასაქმების შანსების ნაკლებობასთან და ა.შ. სიღარიბე ეხმარება ეკონომიკურ განვითარებასაც, რადგან რომ არა ღარიბები ვინ იყიდიდა დაფუჭებულ საკვებს, მეორად ტანსაცმელს და ა.შ. **ამავე დროს, ამ თეორიის მიხედვით, სიღარიბე აუცილებელია მთელი რიგი პროფესიების არსებობისთვის, როგორცაა პოლიცია, სამხედრო სამსახური, პროსტიტუცია, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ა.შ. ასე რომ ამ შეხედულების მიხედვით საკითხავია საჭიროა თუ არა სიღარიბის აღმოფხვრა.**

მეორეა **ინდივიდუალისტური თეორია**, რომლის მიხედვითაც სიღარიბე ღარიბთა ინდივიდუალური თვისებების შედეგია. ეს თვისებები მათ ან თანდაყოლილი აქვთ ან შეძენილი. ამ თეორიის ერთ-ერთი განშტოების მხარდამჭერი თეორეტიკოსები გენეტიკურ ფაქტორსაც უსვამენ ხაზს და ამტკიცებენ, რომ მაგალითად სიზარმაცე გენეტიკური ფაქტორია. ამ მოსაზრების მომხრე თეორეტიკოსი ჰოლმანი (ჰოლმანი, 1978 ალკოკთან 2006) აკავშირებს სოციალურ სტატუსსა და პრესოციალურ მახასიათებლებს, როგორცაა ინტელექტი და ამტკიცებს, რომ ისინი განაპირობებენ ადამიანის მიღწევებს ან წარუმატებლობებს სხვა თანდაყოლილ თუ შეძენილ პერსონალურ თვისებებთან კომბინა-

ციაში. თუმცა, თავადვე ამ დასკვნის საწინააღმდეგო შედეგებსაც ამზეურებს, როდესაც ამბობს, რომ მათი უმრავლესობა, ვინც სიღარიბის განმაპირობებელი თვისებების მატარებელია თავად არ განიცდიან სიღარიბეს (ალკოკი, 2006:38). ამერიკელმა მწერალმა უილიამ რაიანმა სიღარიბის ინდივიდუალისტურ თეორიას „მსვერპლთა დადანაშაულება“ უწოდა (შავი აკადემია, 2002). ლისტერი კი თვლის (2004), რომ სიღარიბის „მსხვერპლნი“ თავად არიან თავიანთი გამოცდილების შემქმნელები, რადგან არასოდეს არ ცდილობენ სტრუქტურული ბარიერების განადურებისათვის ბრძოლას.

ინდივიდუალისტური თეორიის მეორე განშტოების მხარდამჭერები სიღარიბის გამომწვევ ფაქტორებად ოჯახსა და საზოგადოებას მიიჩნევენ. ამ მოსაზრების მხარდამჭერთა აზრით, არასაკმარისი ზრუნვა მშობლის მხრიდან და სოციალური გარემო ადამიანის ფასეულობების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლის მქონე და სწორედ ეს განსაზღვრავს მისი ცხოვრების შანსებს (ალკოკი 2006:38). მაგრამ ეს მოსაზრებაც შეარყია ჯოზეფის კვლევამ, რომელმაც ცხადყო, რომ ყველა ღარიბის შვილი როდია ღარიბი და ყველა ღარიბი როდია ღარიბთა ოჯახიდან (რუტერ და მეჯი, 1976; ბრაუნი და მეჯი, 1982 ალკოკთან, 2006). სწორედ ამ დასკვნების საფუძველზე კიდევ უფრო აშკარა ხდება სტრუქტურული ფაქტორის დიდმნიშვნელოვნება სიღარიბის ფენომენში, რადგან ის აშკარად არ შემოიფარგლება პათოლოგიური მახასიათებლებით (ალკოკი, 2006). ხოლო ბევრი პათოლოგიური ფაქტორი აუარესებს „სტრუქტურულ მიზეზებს“ (უეისი და გალი, 2007: 905).

საინტერესოა ასევე **სტრუქტურული თეორია**, რომლის მიხედვითაც სიღარიბე სისტემურ პრობლემებში წარმოიშობა, ამცირებს სიცოცხლის შანსებს, რესურსებისა და მომსახურებებისადმი ხელმიუწვდომლობისა და მონანილეობის დაბალი დონის გამო (განსი, 1995; ჯილი, 1998). სიღარბის სტრუქტურული თეორია ორიენტირებულია სისტემის ცვლილებაზე და არა თავად ღარიბთა შეცვლაზე (სტრიერი და ბინიამინი, 2009). სიღარიბის პრობლემის გადაჭრის გზად მიიჩნევა სისტემის ანალიზი და მისი ზეგავლენის გააზრება საზოგადოებაზე. ჯეინ ადამსი მოგვიწოდებს სტრუქტურის ზედმინევნით გააზრებისაკენ და ახალი სოციალური რეგულაციების შექმნისაკენ. სწორედ ამიტომაცაა, რომ რადიკალური სოციალური მუშაობის თეორია აკრიტიკებს სოციალური პრობლემების „შერჩევით ფსიქოლოგიურ ახსნა-განმარტებებს“, რასაც მივყავართ მათი (პრობლემების) ინდივიდუალიზაციისაკენ ნაცვლად პოლიტიკური დისკუსიისა (შტაუბ-ბერნასკონი, 2009:19 შატებრაშვილთან, 2010). ალკოკის აზრით (ალკოკი, 2006 შატებრაშვილთან, 2010), სიღარიბის ფაქტი არის მისი არამართებული იდენტიფიკაციის შედეგი და/ან მისი აღმოფხვრისაკენ მიმართული სტრატეგიის არამართებულობის შედეგი.

სიღარიბეს კიდევ უფრო ამწვავებს და სტიგმატიზირებულს ხდის მისდამი საზოგადოების დამოკიდებულება. რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სოცია-

ლური მუშაკების დამოკიდებულება ც ღარიბებისა და სიღარიბისადმი საკმაოდ ამბივალენტურია. საქართველოში მათი ნაწილი ღარიბებს ადანაშაულებს სიღარიბეში, მათი აზრით ისინი არ არიან საკმარისად მოტივირებულნი, რომ გაიმჯობესონ მდგომარეობა. მეორე, მცირე ნაწილი კი ხვდება, რომ სტრუქტურული ცვლილებებია გასატარებელი, და რამდენიც არ უნდა შეეცადოს ღარიბი ადამიანი, ის მაინც უძლურია გაუმკლავდეს მის უმწეო მდგომარეობას. მაგრამ ამ სტრუქტურული მანკიერებების გამოსწორებაში სოციალური მუშაკის როლი ნაკლებადაა გააზრებული. თავად ფაქტი, რომ ქვეყანაში მიმდინარე სიღარიბის დაძლევის პროგრამაში სოციალური მუშაკის როლი არ არის ფორმალიზებული მონაწილე იმას, რომ არც სამთავრობო და არც არასამთავრობო დონეზე არ არის გააზრებული სოციალური მუშაობის პროფესიული მისია.

საგრძობლად შეიცვალა სოციალურ მუშაკთა დამოკიდებულება სიღარიბისა და მისი გამომწვევე მიზეზებისადმი ბრიტანეთში. მაგალითად როდესაც 1969 წელს ჩატარდა გამოკითხვა ფიგინსის მიერ, სიღარიბის გამომწვევ მიზეზად სოციალურმა მუშაკებმა ინდივიდუალისტური მახასიათებლები დაასახელეს. ხოლო ჰედრიკრონისა და ალექსონის მიერ ჩატარებულმა კვლევაში 1985 წელს პროფესიულ ორგანიზაციებში, მხოლოდ 15,9 პროცენტმა მიაწერა სიღარიბე ინდივიდუალურ მახასიათებლებს, 55,9 პროცენტმა კი ეკონომიკურ სისტემას. შესაბამისად პროფესიონალთა მზობა და თავდადება მოახდინონ სასიკეთო სოციალური ცვლილებები და ღარიბთა დახმარება სოციალურ მუშაკთა პრიორიტეტად მიიჩნიონ 1985 წელს უფრო გამოვლინდა ვიდრე წინა კვლევაში, მაშინ როცა 60-იანი წლები რადიკალური სოციალური მუშაობის აღზევების პერიოდი და სოციალური ცვლილებისათვის ბრძოლა პროფესიულ მისიადაა მიჩნეული. ამას კვლევაც მონაწილეობს, როდესაც 1969 წელს გამოკითხულ სოციალურ მუშაკთა 53 პროცენტმა დაასახელა სოციალური ცვლილება პროფესიის მთავარ მიზნად, შედარებით 37 პროცენტისა 1985 წელს. 80-იანი წლების სოციალური მუშაკი უფრო მოსურნეა ემსახუროს უფრო მაღალი კლასის წარმომადგენლებს საზოგადოებაში მეტი პატივისცემის დამსახურებისათვის, ღარიბებს გარემოსთან ადაპტირებას ასწავლიან ნაცლად სოციალური ცვლილებებისათვის ბრძოლისა.

სიღარიბის დაძლევისთვის ბრძოლა სულ უფრო ნაკლებად მიიჩნევა პროფესიულ მისიად (რიზერი და ეპშტეინი, 1987). არადა უდიდესია სოციალური მუშაკის როლი როგორც სიღარიბის დაძლევისათვის ბრძოლაში, ასევე მისი ტვირთის შემსუბუქებისათვის. სიღარიბესთან ბრძოლის სარბიელზე სოციალური მუშაკის როლი მკვეთრად დააქნინა და შებოჭა ნეო-ლიბერალურმა შეხედულებებმა მომსახურების უტილიტარიზაციისადმი ინდივიდუალისტური მიდგომის გამო. არადა სიღარიბის დაძლევისათვის ბრძოლა მათ სათემო მობილიზაციისა და „აქტივებზე-დაფუძნებული“ კეთილდღეობის სქემების განვითარებისაკენ მოუწოდებს ადგილობრივ დონეზე. ეს კი მოსახურების სრული ინდივიდუალიზაციის ფონზე რთული ამოცანაა (მენტლი და ბაკვიტი 2010:13).

დადგა დრო დავსვით შეკითხვა – როგორ შევამციროთ სიღარიბის მაჩვენებელი? ერთნი მიიჩნევენ, რომ მთავრობამ უნდა შექმნას უსაფრთხოების ქსელი, რომელიც მოქალაქეების სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვევით ჩავარდნის პრევენციას უზრუნველყოფს. ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში მაგალითად, მიზნობრივი-საჭიროების ტესტირების საფუძველზე შექმნილი დახმარებები გამოიყენება ღარიბთათვის, ვინც ამას უკიდურესად საჭიროებს. მიზნობრივი დახმარების მეთოდები მოიცავს: ა) სოციალურ და დემოგრაფიულ მახასიათებლებს ან ქონებრივ მახასიათებლებს და ბ) შემოსავლის მახასიათებლებს. მიზნობრივი დახმარების მეთოდი, რომელიც სოციალურ-დემოგრაფიულ ან ქონების მფლობელობაზეა აგებული გრძელვადიან ღარიბებს უწევს სოციალურ დახმარებას, რამეთუ ეს ინდიკატორები უფრო სტაბილური ინდიკატორებია დროში განერილი, მაშინ როცა შემოსავლის ინდიკატორი ამჟამინდელ ღარიბებს ასარგებლებს მეტად. რადგან ამჟამინდელი ღარიბები მეტნი არიან რაოდენობრივად ვიდრე გრძელვადიანი ღარიბები, ამ უკანასკნელთა უგულებელყოფა მიზნობრივი დახმარების პოლიტიკის გატარებისას საგრძნობლად ამცირებს პროგრამის ღირებულებას. სწორედ ამიტომაც, ბევრი ქვეყანა სწორედ ამ პოლიტიკას ატარებს, თუმცა მოკლევადიან შედეგს იძლევა და გრძელ ვადაში სიღარიბის მაჩვენებელი მკვეთრი კლებით არ ხასიათდება.

მეორენი კი ფიქრობენ, რომ ქვეყანაში მინიმუმ ხელფასის დაწესება დაეხმარება მოქალაქეს სიღარიბის პრობლემის დაძლევაში, და თანაც მინიმალური დანახარჯით სახელმწიფოს მხრიდან. ამ ერთი შეხედვით უნივერსალურ მიდგომას, საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათი აზრით, მაღალი მინიმალური ხელფასის დაწესებით დაბალკვალიფიციური მუშახელისათვის, ირღვევა ეკონომიკის მთავარი პრინციპი, რომ ბაზარმა უნდა დაარეგულიროს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსი.

ბატლერისა და უოტის აზრით (2007), სიღარიბის დონეზე დიდ გავლენას ახდენს კეთილდღეობის სისტემა. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული ტრადიციის მქონე ქვეყნები უკეთ ახერხებენ მოკლე და გრძელ-ვადიანი სიღარიბის პრევენციას. ლიბერალური ტრადიციის მქონე და სამხრეთ ევროპულ ქვეყნებში სიღარიბის უფრო მაღალ მაჩვენებლებს აფიქსირებენ და უფრო ხანგრძლივად, მაშინ როდესაც კორპორატიული ტრადიციის მქონე ქვეყნებში შუალედური მდგომარეობაა. არასტაბილური დასაქმება და მუდმივ ცვალებადი სამუშაო გარემო სამჯერ ზრდის სიღარიბის მაჩვენებელს, მაშინ როდესაც დაუსაქმებლობიდან დასაქმებაზე გადასვლა 1,5-ჯერ ამცირებს მას (ეუროსტატი, 2002). როგორც ვხედავთ, იმას თუ როგორი დასაქმების პოლიტიკა ტარდება ქვეყანაში დიდი ზეგავლენა აქვს სიღარიბის მაჩვენებლებზე. ლუისი კი სიღარიბის დაძლევის უფრო ეფექტიან გზად ეკონომიკური და სოციალური რეკონსტრუქციიდან ინდივიდუალურ ტრენინგსა და თვისებების რეფორმირებაზე გადასვლის პოლიტიკას მიიჩნევდა, და ძვირადღირებული რედისტრიბუციული პოლიტიკიდან ნაკლებ-ფასიანი სოციალური მუშაობისა და საზოგადოებრივ

ფსიქიატრიის გამოყენებისაკენ მოუწოდებდა პოლიტიკოსებს (ლუისი 1961 ტაუნსენდთან 1979:70).

სამწუხაროდ, სიღარიბის დაძლევისა და მასთან გამკლავების უნივერსალური მიდგომა არ არის შემუშავებული სამყაროში, რადგან ის რაც მუშაობს ერთთათვის არ არის იმდენად ეფექტური მეორეთათვის, ის რაც ეხმარება სიღარიბის დაძლევაში ერთგან, არა აუცილებლად ვარგისიანია მეორეგან. ერთთა პრობლემის მოგვარება ზოგჯერ მეორეთა პრობლემის წარმოშობის მიზეზია, და ეს ყველაფერი მგრძნობიარეა დროსთან, ადგილმდებარებასთან და პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებით, როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ კონტექსტში.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. დაუსაბუთებელი მიდგომა მეტად გამოსადეგი და შედეგიანია ოფიციალური სიღარიბის გამოსათვლელად თავისი სიმარტივისა და საერთაშორისო მოხმარებისათვის ვარგისიანობის გამო?
2. საქართველოში გამოყენებულ სიღარიბის განსაზღვრებას როგორ შეცვლიდით?
3. ყველაზე მეტად საქართველოში არსებულმა სიღარიბის რომელმა მონაცემებმა გაგაკვირვათ? რატომ?
4. სიღარიბის რომელ თეორიებს იცნობთ კიდევ? რომელს იზიარებთ? რატომ?
5. რასთან ასოცირდება სიღარიბე თქვენთვის?

## დასაქმების პოლიტიკა

### მიმოხილვა

რა არის დაუსაქმებლობის ბუნებრივი დონე

რა არის ციკლური დაუსაქმებლობა

რა არის შრომის ძალა

სამუშაო ბაზრის პოლიტიკა:

- პასიური
- აქტიური

კეთილდღეობიდან დასაქმებისაკენ პროგრამები და მათი მიზნები

რა პარამეტრებზე დაყრდნობით ყალიბდება დაუსაქმებლობის პრობლემის მოგვარება

რა არის მინიმუმ ხელფასი

რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით გავზომოთ კეთილდღეობიდან-დასაქმებისაკენ პოლიტიკის წარმატება

უმუშევართა დასაქმების დემოტივაციის გამომწვევი ფაქტორები

სუპლიმენტარული დახმარების ნეგატიური ასპექტები

რა არის ფლექსიურობა

პროფესიული კავშირების როლი დასაქმების პოლიტიკაში

დასაქმების პოლიტიკა საქართველოში.

ქვეყნის ცხოვრების სტანდარტის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი დასაქმების დონეა. დაუსაქმებლობის პრობლემა ორ კატეგორიად იყოფა: მოკლე და გრძელ ვადიანი პრობლემა. **დაუსაქმებლობის ბუნებრივი დონე** ქვეყანაში 5-6 პროცენტი დაუსაქმებლობას გუსლიხმობს. თითქმის არ არსებობს დაუსაქმებლობის ნულოვანი მაჩვენებელი. **ციკლური დაუსაქმებლობა** კი დაუსაქმებლობის მაჩვენებლის წლიურ ცვალებადობას ნიშნავს მისი ბუნებრივი მაჩვენებლის გარშემო. **შრომის ძალა** არის დაუსაქმებელთა და დასაქმებულთა რაოდენობის ჯამი. **დაუსაქმებლობის დონე** კი დაუსაქმებელი მუშახელის პროცენტული მაჩვენებლით განისაზღვრება.

სამუშაო ბაზრის პოლიტიკა მოიცავს პასიურ სამუშაო ბაზრის პოლიტიკას და აქტიურ სამუშაო ბაზრის პოლიტიკას. **აქტიური სამუშაო ბაზრის პოლიტიკა თავის მხრივ მოიცავს:**

- დასაქმების დაზღვევას ან მხარდაჭერას
- დასაქმების კანონს, რომელიც მინიმუმ ხელფასს განსაზღვრავს

**აქტიური სამუშაო ბაზრის პოლიტიკა კი მოიცავს:**

- პირდაპირი დასაქმების პროგრამების შექმნას სახელმწიფო სამუშაო ადგილების შექმნით მათ შორის;
- საინფორმაციო და კვლევით დასაქმებით ცენტრებს;
- ტრენინგებს უნარების გაუმჯობესებისათვის.

„კეთილდღეობიდან დასაქმებისაკენ“ პროგრამები მიმართულია იმ უმუშევრების დასაქმებისაკენ, რომლებიც სოციალური კეთილდღეობის დახმარებას იღებენ და მათი ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვების ხელშეწყობას ემსახურება. ასეთი ტიპის პროგრამები ორი ტიპის ჯგუფზეა გათვლილი: უმუშევრებზე, რომლებიც ეძებენ სამუშაოს, რადგან ისინი ვალდებულნი არიან იმუშაონ; და მუშაობისთვის უუნარო უმუშევრებზე, რომლებიც იღებენ ინვალიდობის დახმარებას ან რაიმე სხვა ტიპის დახმარებებს და მოხსნილი აქვთ დასაქმების ვალდებულება. ასეთი პროგრამების მიზანია შეამციროს არა მარტო დაუსაქმებლობა, არამედ გადაჭრას კიდევ უფრო დიდი პრობლემა - შექმნას სამუშაო ადგილები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში დაუსაქმებლობისა და სამუშაო ადგილების არ ქონის პრობლემის მოგვარება სამ პარამეტრზე დაფუძნებით ყალიბდება: ეკონომიკურზე, ქცევითსა და ინსტიტუციურზე (ბრისონი 2000, მილერთან 2003).

მოდით, განვიხილოთ თვითოეული ცალ-ცალკე: **ეკონომიკური** პარამეტრის მიხედვით, უმუშევრობის ძირითად მიზეზებად მიიჩნევა დასაქმების მოთხოვნისა და დასაქმების მიწოდების დეფიციტი. მოთხოვნის დეფიციტი შეიძლება ციკლური იყოს, თუმცა ეკონომიკური აღმავლობის დროსაც კი საყოველთაო უმუშევრობის მიზეზით გამოწვეული დაუსაქმებელთა პრობლემა შეიძლება არც გადაიჭრას, რადგან დამსაქმებელს ყოველთვის ურჩევნია დაიქირაოს ის პირი, რომელსაც არ აქვს უმუშევრობის ისტორია. 1970 წლიდან დღემდე განვითარებულ სამყაროში მთავრობები არ ცდილობენ ინდუსტრიული განვითარების მართვას უმუშევრობის პრობლემის მოგვარებისათვის ან ფულის ჩადებას ეკონომიკაში დასაქმების ზრდის მიზნით შრომის მოთხოვნაზე ზემოქმედებისათვის. მთავრობას რომ უნდოდეს ამის გაკეთება მათი მანევრირება შეზღუდულია ევრო მონეტარული გაერთიანების, ინვესტორებისა და ბაზრის ბირჟის მოთხოვნებით, რაც გულისხმობს, რომ პირდაპირი სუბსიდიები დაღმავალი ინდუსტრიისათვის აკრძალულია ევრო გაერთიანების რეგულაციების მიხედვით. ამის სანაცვლოდ, მთავრობები ატარებენ მიწოდების პოლიტიკას, ანვითარებენ რა საშუალებას, რომლითაც მთავრობას შეუძლია ინდივიდებისა და მომსახურების დახმარება ეკონომიკური პრობლემების გადალახვაში. ეს მოიცავს:

- სუბსიდიებს დაუსაქმებელთა შერჩევის ღირებულების შესამცირებლად – პირდაპირ სახელფასო სუბსიდიებს, თრეინინგების საფასურის დასაფარ გრანტებს, შემცირებულ სახელფასო გადასახადებს;
- უმუშევართა თრეინინგებს იმ უნარ-ჩვევებში, რაც დამქირავებელს სჭირდება;
- დასაქმების სქემებს, რომელთა საშუალებით დაუსაქმებელი იძენს სამუშაო გამოცდილებას, რომელსაც ბაზარზე ვერ შეიძენდა;
- სამუშაოს შეთავაზების პოლიტიკის გაუმჯობესებით, სამუშაოს ძებნაში დახმარებით.

ახლა განვიხილოთ **ქცევითი თეორია**, რომელიც უმუშევრობას უდევს საფუძვლად: ერთნი ამტკიცებენ, რომ დაუსაქმებლობა გამომდინარეობს დაუსაქმებელი ადამიანის ხასიათიდან და არა იქიდან, რომ სამუშაო ადგილი არ არსებობს, არამედ ისინი არ არიან მზად დასაქმდნენ იქ, სადაც ეს შესაძლებელია. ხშირად დაუსაქმებელს აქვს არარეალისტური მოლოდინი თავისი დასაქმების პერსპექტივის შესახებ და სრულიადაც ვერ ათვისებენ იერებს საკუთარ შესაძლებლობებს. ამ შემთხვევაში აუცილებელია დაუსაქმებლის ქცევისა და ხასიათის თვისებების შეცვლა. მეორეთა აზრით, დაუსაქმებლები მოტივაციის დეფიციტით ხასიათდებიან, რაც გრძელვადიანი უმუშევრობის ზეგავლენის შედეგია პიროვნების მორალზე, მატერიალურსა და სოციალურ ასპექტებზე.

**ინსტიტუციური** პარამეტრის მიხედვით, აქცენტი სახელმწიფო სტრუქტურების როლზეა გადატანილი. სოციალური დახმარებები, ზოგ შემთხვევაში, აკარგინებს ადამიანს მის უმთავრეს სამოქალაქო ფასეულობას – შრომის სურვილს. აუცილებელია გაუმჯობესდეს სამუშაო ტესტირების სისტემა, დაიხვეწოს დამსაქმებელთა მომსახურება, რაც ერთდროულად გულისხმობს როგორც, დამსაქმებელთათვის შესაფერისი კანდიდატურის მოძებნაში დახმარებას, ასევე პოტენციური მომსახურის სამუშაოთი უზრუნველყოფას. ამით დამსაქმებლის დროსაც დავზოგავთ. შესაძლოა დამქირავებლისთვის სხვადასხვა საკენკის შეთავაზებაც, მაგალითად როგორიცაა, ხელფასების სუბსიდირება, თრენინგის გრანტების გამოყოფა, საგადასახადო და ეროვნული დაზღვევის შეღავათები. დამქირავებლებს უნდა მიეცეთ საშუალება გრძელვადიანი ვალდებულებების კისრების გარეშე გამოსცადონ კლიენტის მუშაობის ხარისხი. თუმცა, ამას უარყოფითი მხარეც აქვს: დამქირავებელს სახელმწიფოს ასეთი ძალისხმევა უჩინს ეჭვს, რომ მომსახურე არ არის საკმარისად მოტივირებული რომ დასაქმდეს.

სახელმწიფომ გადაწყვიტა უზრუნველყოს თავისი მოქალაქე სავალდებულო ეროვნული მინიმუმ ხელფასით. ეს კი ლეობორისტთა პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი შტრიხია, რომლითაც ისინი დაუსაქმებელს მუშაობის მოტივაციას უზრდიან, რადგან ამ შემთხვევაში ის აიღებს იმდენს, რამდენიც შრომის ფასად უღირს. რასაკვირველია, თუ ეს თანხა არ აღემატება დახმარებას, მაშინ აზრი ეკარგება მუშაობას. აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ მაღალი მინიმალური ხელფასის დაწესებით დაბალკვალიფიციური მუშახელისათვის, ირღვევა ეკონომიკის მთავარი პრინციპი, რომ ბაზარმა უნდა დაარეგულიროს მოწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსი.

დაბალკვალიფიციური მუშახელის მაღალი ხელფასით უზრუნველყოფა შრომის საფასურს ზრდის დამქირავებლისათვის და ამცირებს ფირმების მიერ შრომის რაოდენობაზე მოთხოვნას. ამის შედეგი კი უმუშევრობის მაჩვენებლის ზრდაა იმ მუშახელს შორის, რომლებიც მაღალი მინიმუმ ხელფასის დაწესების გამო უმუშევრები აღმოჩნდნენ. იმ დასაქმებულთა მდგომარეობა, რომლებიც



იღებენ მაღალ მინიმუმ სახელფასო ანაზღაურებას საგრძნობლად გაუმჯობესდა იმათ ხარჯზე, ვინც დაბალ ანაზღაურებაზეც თანახმა იქნებოდა. თუმცა ამ შედეგების მასშტაბები დიდწილადაა დამოკიდებული მოთხოვნის ელასტიურობაზე, და მაღალი მინიმუმ ხელფასის მომხრეთა აზრით, დაბალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა ნაკლებად ელასტიურია, ამიტომაც მინიმუმ ხელფასის დანესება მხოლოდ უმნიშვნელოდ ამცირებს დასაქმების შესაძლებლობებს (მენკიუ, 2001).

ლეიბორისტებმა ახალი დასაქმების მოტივაციის ზრდის პოლიტიკა შეიმუშავეს, რომელიც 9 კომპონენტისგან შედგება: სამუშაოს ძებნაში დახმარება, თრეინინგი, ადამიანის სამუშაოში გამოცდა, სამუშაო სქემების შექმნა, ზედამხედველობის კომპონენტი, დამქირავეებელთა დახმარება, ანაზღაურებადი დასაქმების პოლიტიკა (მომსახურე ოჯახთა საგადასახადო კრედიტი, ინვალიდთა საგადასახადო კრედიტი, ბავშვზე ზრუნვის დახმარება, სახელმწიფო მინიმუმ ხელფასი, მომსახურებისას თრეინინგის გრანტი მარტოხელა დედებისათვის, მიუხედავად გამომუშავეებისა).

**როგორ და რა კრიტერიუმით გავზომოთ კეთილღობიდან-დასაქმებისკენ პოლიტიკის წარმატება?** ერთის შეხედვით თითქოს მხოლოდ დაუსაქმებელთა ინტრესებს ემსახურება ეს პოლიტიკა, რეალურად კი ის ასრულებს როგორც მთავრობის, ასევე დაუსაქმებლისა და ეკონომიკის მრავალ ფუნქციას.

მოდით განვიხილოთ ყველაზე აშკარა კრიტერიუმი, რომლითაც ეს პროგრამები უნდა შევაფასოთ. ერთ-ერთი არის **ეკონომიკური შედეგები ინდივიდუალურ მონაწილეთათვის**, რაც შეგვიძლია გავზომოთ შემდეგი მაჩვენებლებით:

- დაუსაქმებელთა რაოდენობა, რომლებიც აღარ იღებენ დახმარებას და დახმარების პროგრამიდან გამოსვლის ტემპი;
- დაუსაქმებელთა რაოდენობა, რომლებიც დასაქმდნენ;
- დასაქმების ხანგრძლივობა;
- დასაქმებისათვის მზაობის მაჩვენებელი: ახალი უნარები და კვალიფიკაცია.

პოლიტიკის ინიციატივა შეძლებს დასაქმებულთა რიცხვის შემცირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დახმარებაზე დახმარების მსურველ დაუსაქმებელთა ახალ შედინებას არ გაზრდის. ამისათვის აუცილებელია დასაქმების გრძელვადიანი პროგრამების შექმნა. თუმცა არსებობს სხვა გზაც, ე.წ. **დივერსიის გზა**, რაც მაგალითად აშშ-სთვისაა დამახასიათებელი – დახმარებაზე უფლებამოსილებისთვის კრიტერიუმების მაქსიმალურად გამსხვილება, მაგრამ სათუთა რამდენად გამოასწორებს ეს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მეორე კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლოა ამ პროგრამების წარმატების შეფასება არის **ეკონომიკური შედეგები ოჯახებისათვის**. ეს ეხება შემოსავლის

დისტრიბუციას და ოჯახებზე გადანაწილებას. პოლიტიკა, რომელიც ანაწილებს შემოსავალს ოჯახში ინდივიდებს შორის შეიძლება წარმატებულ პოლიტიკად ჩაითვალოს. მაგალითად, საბავშვო ბენეფიტები, რომელიც მშობელს ეძლევა, მაგრამ ბავშვის საჭიროებებს ხმარდება, დასაქმების მოტივაციას ზრდის, რადგან ის მხოლოდ დასაქმებისას ნარჩუნდება. წარმატების გაზომვა შესაძლოა ასევე მოიცავდეს შემოსავლის სვაობის შემცირებას მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

მესამე კრიტერიუმია **ეკონომიკური შედეგები ეკონომიკისათვის**. კეთილდღეობიდან-სამუშაოზე გადასვლის პოლიტიკის უმთავრესი მიზანია – გაზარდოს სამუშაო ასაკის მოსახლეობის პროპორცია სამუშაო ბაზარზე. პირველ რიგში იმიტომ, რომ სამუშაო ასაკის მუშახელს შეუძლია უზრუნველყოს შრომის ეფექტური მინოდება დამსაქმებლებისათვის. მეორე, მათ შეუძლიათ გაზარდონ სამუშაოს მინოდების სისწრაფე, რომლის დროსაც ეკონომიკა ქმნის სამუშაო ადგილებს ინფლაციის წარმოქმნის გარეშე. ეს მოხდება, თუ პოლიტიკა შეამცირებს შრომის ღირებულებას – დასაქმების მსურველთა სახელფასო მოლოდინის შემცირებით, დამსაქმებლებისათვის სახელფასო სუბსიდიების შეთავაზებით, და დამსაქმებლისა და მომსახურების მომღებთა ეფექტიანი დანყვილებით.

მეოთხე კრიტერიუმია **მოგება ხაზინისათვის** გაუმჯობესებული საგადასახადო შემოსავლებით და შემცირებული დახმარებების გაცემით. პროგრამა, თუნდაც მაღალ ხარჯიანი, რომელიც უმუშევარს სამუშაო ბაზარზე დაასაქმებს, შესაძლოა ღირდეს ამაღ, თუ დასაქმებული გადასახადების გადამხდელი გახდება.

მეხუთე კრიტერიუმია **პროგრამის სოპულარობა**, რაც იზომება პროგრამაში ჩართულთა ოდენობით და მათი კმაყოფილებით ამ პოლიტიკის მიმართ.

მეექვსე კი არის **მორალი და ეთიკა**, რომელიც ცვლის ადამიანის ქცევას და დამოკიდებულებას შრომისადმი და მათ საზოგადოებრივი მოვალეობის შეგრძნებას უღვივებს.

იმისათვის, რომ პოლიტიკა წარმატებულად ჩაითვალოს, არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ დაუსაქმებლები დავასაქმეთ: პოლიტიკის შედეგობრივი მოქმედება რომ გავაანალიზოთ, გვჭირდება ვიცოდეთ რა მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ ეს უმუშევრები ამ კონკრეტული პოლიტიკის არ გატარების შემთხვევაში. რა ზეგავლენა ექნება პოლიტიკას სამუშაო ბაზარზე ანუ თუ მოიტანს ის საერთო ეკონომიკურ სარგებელს. უნდა წარმოვიდგინოთ როგორი იქნებოდა სამუშაო ბაზარი ამ პოლიტიკის გარეშე. მაგალითად, ეკონომიკური თვალსაზრისით ამერიკის კეთილდღეობიდან-დასაქმებამდე პროგრამების შედეგები ზოგადად გამამხნეველებელია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მათ ეკონომიკური ზრდის მდგრადობის საწინააღმდეგო მაჩვენებლები აქვთ და არავინ იცის რა შედეგები ექნებოდათ მათ ეკონომიკური დაღმავლობის პერიოდში.

კვლევებმა ცხადყო, რომ ხშირად სამუშაო ბაზარზე **უმუშევართა დასაქმების დემოტივაცია გამონვეულია** სამუშაოს მოძებნის შიშით და ამ სამუშაოს მუდმივობის გარანტიის არ არსებობით, ასევე გარდამავალ პერიოდთან გამკლავების შიშით, დაბალ-ხელფასიანი სამუშაოს შემთხვევაში, ამ ხელფასით საჭიროებების დაკმაყოფილებასთან გამკლავების შიშით, თუმცა ეს ხელფასი დახმარებაზე გაცილებით მაღალია. მათ ხშირად ურჩევნიათ უმუშევრობის დახმარება მიიღონ ვიდრე ამ არასტაბილურ და წინასწარ გაუთვალისწინებელ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რომელიც გარდამავალ პერიოდთანაა დაკავშირებული – დაბალ-ხელფასიანი სამუშაო და თანაც მოკლევადიანი. ამ კვლევების შედეგად მთელი რიგი ღონისძიებები და ზომები გატარდა, რომელიც ხელს შეუწყობდა დაუსაქმებლების სამუშაო ბაზარზე შესვლას, მაგალითად, გაუხანგრძლივდათ საბინაო დახმარებების მიღება, ასევე დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც მოუგვარდათ და ხარჯიც დაეფარათ, მაგალითად, ბავშვზე ზრუნვის ღირებულება.

რადგანაც დაბალი ანაზღაურება არის დახმარებაზე მყოფთა დასაქმების ძირითადი დემოტივატორი, აუცილებელია ხელფასის სუბლიმენტირება. ამ პოლიტიკის გატარებამ საკმაოდ შეუწყო ხელი მარტოხელა დედების დასაქმების მაჩვენებლის ზრდას. საოჯახო კრედიტმა დახმარების მიმღებნი ფინანსურად მეტად მოამაგრა დასაქმებისას, ვიდრე ისინი იქნებოდნენ დაუსაქმებლობის შემთხვევაში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი მოტივაცია ცოტა შერყეული იყო იმაში დაურწმუნებლობით, ექნებოდათ თუ არა ამ დახმარების მიღების უფლება და როგორ ინტერაქციაში იქნებოდა ეს დახმარება სხვა შემოსავლებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სახელფასო სუბლიმენტები ზრდიან დასაქმებულთა მოტივაციას დარჩნენ სამუშაო ბაზარზე, და აღარ მოუნდეთ დაბრუნება დაუსაქმებულთა დახმარების მიღების პროგრამებში, მაინც **არსებობს სუბლიმენტარული დახმარების ორი ნეგატიური ასპექტი:**

1. სახელფასო სუბლიმენტაციას შეუძლია შეამციროს გამომუშავების პროგრესია შუალედურ ვადებში, რადგან მომსახურეები მუშაობისას დამოკიდებულები ხდებიან სახელმწიფო დახმარებებზე. ხოლო ამ სუბლიმენტების შეწყვეტა გამომუშავების ზრდასთან ერთად კვალიფიკაციის ამაღლების, კარიერაში წინსვლის ან მეტი სამუშაო საათების შესრულების დემოტივაციას იწვევს ხოლმე;

2. *ოჯახის დახმარებისა და დასაქმებული ოჯახების საგადასახადო კრედიტის* შეფასებამ გვიჩვენა, რომ სახელფასო სუბლიმენტები წყვილებში “ორ-შემოსავლიანის” სტატუსის მიღების დემოტივაციაა და დაუსაქმებლობას იწვევს ანუ დემოტივირებს დახმარების არ-მიმღებს.

**საგადასახადო კრედიტები** განიხილება, როგორც მიწოდების მოდერნიზაციის საშუალება. იგი მიიჩნევა უფრო მარტივი და ეფექტიანი მიზნობრივი ტესტირების ფორმად. გადასახადის კრედიტის სისტემა ეფუძნება

პროგრესული უნივერსალიზმის პრინციპებს. ეს ნიშნავს ყოველი ბავშვიანი ოჯახის დახმარებას, მაგრამ უფრო მეტ დახმარებას მეტად გაჭირვებულთათვის შემოსავლის ტესტირებაზე დაყრდნობით.

სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა დასაქმების პოლიტიკა აქვს. უმუშევრობასთან გამკლავების განსხვავებულ მექანიზმებს ქმნიან და ეკონომიკური ზრდისა და ადამიანური რესურსების გამოყენების სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. როგორც ვნახეთ, მაგალითად, აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოს ახასიათებთ უმუშევრობიდან-დასაქმებაზე გადასვლის სავალდებულო პროგრამები, რაც გულისხმობს მწირ უმუშევრობის დაზღვევასა და სოციალურ დახმარებას, მაგრამ მკაცრი მოთხოვნით, რომ ბენეფიციარი ჩაერთოს დასაქმების პროგრამებში; კვლევებმა აჩვენა, რომ უმუშევრობის დაზღვევა დაუსაქმებელთა სამუშაოს მოძიების დემოტივაციას იწვევს და თუ დაუსაქმებელი არ იქნება დახმარების იმედზე, მისი დასაქმების მოტივაცია საგრძნობლად იზრდება. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ **დასაქმების ბენეფიტებზე დანახარჯის შემცირებით და ბენეფიტების გამომუშავების ნაცვლად ფასებთან მიბმით გამოანთავისუფლა რესურსები საგადასახადო კრედიტებისა და სახელმწიფო მომსახურებებისათვის. ამან კი ბენეფიტების სისტემის ჰორიზონტალური თანასწორობის საკითხი წამოწია წინა პლანზე და გამონთავისუფლებული რესურსები, სელექტივიზმის პრინციპზე დაყრდნობით, პენსიონრებისა და ბავშვიანი ოჯახებისათვის ბენეფიტების ზრდის მდგრადობის უზრუნველყოფას მოხმარდა (ჰილი და კოლეგები, 2009).**

უმუშევრობის დაზღვევის მომხრეთა აზრით კი, გარდა იმისა, რომ ის არწმუნებს ადამიანებს, რომ განთავისუფლების შემთხვევაში მათ შეუნარჩუნდებათ გარკვეული შემოსავალი, მათი სოციალური უსაფრთხოების გრძნობაც იზრდება. ამავე დროს, ისინი ნაჩქარევად არ იწყებენ ახალ სამუშაოს და ეძლევათ საშუალება მათი კვალიფიკაციისა და სურვილების შესაბამისი სამუშაოს მოძიებისა. ეს კი მათი კმაყოფილების ხარისხს ზრდის და შესაბამისად მათ კეთილდღეობასაც. დასაქმების “კეთილდღეობა დასაქმებისას” მიდგომა (Welfare through Work Type) ახასიათებს მაგალითად შვედეთს, რაც გულისხმობს კეთილდღეობის სისტემას, რომელიც მოიცავს მოსახლეობის დასაქმებას, როგორც კეთილდღეობის სისტემის მთავარ და ინეგრალურ წინაპირობას. დასაქმების უფლებას იგივე სტატუსი აქვს, რაც შემოსავლის დაცვის უფლებას. ნორდიკულ ქვეყნებში დასაქმების პოლიტიკის დასაქმებულებსა და დასაქმების მაძიებლების ინტერესებზე მორგება სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ამას შრომითი ურთიერთობის ახალი ფორმებიც ცხადყოფენ, მაგალითად როგორიცაა **„ფლექსიქიურიტი“** (ტერმინი, რომელიც ფლექსიბურობისა და უსაფრთხოების ნაზავია). ის დასაქმებულებისა და დასაქმების მაძიებლების სამუშაო პირობებზე მაქსიმალურად მორგებას

გულისხმობს. მაგალითად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოს სიმცირე მეტყველებს იმაზე, რომ დასაქმების ბაზარი არ არის გაჯერებული ქალებით, და თუ ქალები არიან დასაქმებულნი, ისინი სრულ განაკვეთზე მუშაობენ (ესპინ-ანდერსენი, 2002). ეს ბუნებრივია ზღუდავს მათი დედობის ფუნქციას.

სოლიდური, უნივერსალური კეთილდღეობის სისტემა კი ამცირებს სოციალურ პრობლემებს და ზრდის შემოსავლის მოსაკრებელს, ქნის ასევე სოციალური სამართლიანობის განცდას. ამის შესანიშნავი მაგალითია გაერთიანებული სამეფოს დასაქმების, შენარჩუნებისა და წინსვლის პროგრამა (ERA), რომელსაც ტონი ბი და უოლკერი “სოციალური სამართლიანობისაკენ სვლას“ უწოდებენ (ტონი ბი და უოლკერი, 2009:129). იდენტური პროგრამა აშშ-შიც ხორციელდება დღემდე. მან უკვე მაღალი უკუგებით გაამართლა მასში ინვესტირება. ის არის ნათელი დემონსტრირება პერსონალიზებული მომსახურებების უპირატესობისა, რომელიც ხელს უწყობს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და პროდუქტიულობის ზრდას. ამ პროგრამის ბენეფიციარებს სამი წლის განმავლობაში მრჩეველი ჰყავდათ. გარდა ამისა, პროგრამა მოტივირების მექანიზმებს მოიცავდა და მაგალითად მათთვის, ვინც კვირაში დასაქმებული იყო 30 სთ და მეტი, 13 კვირის განმავლობაში, 400 ფუნტიანი ბონუსი იყო გათვალისწინებული (რომლის მიღებაც 6-ჯერ იყო შესაძლებელი). ეს საკმაოდ ძვირიანი პროგრამა იყო და მისი გაგრძელება ძვირი დაუჯდებოდა მთავრობას. როდესაც პროგრამის კონსულტანტებს ჰკითხეს, რა კონპონენტის გაუმჯობესებაა საჭირო პროგრამის სრულყოფისათვის, მათ ერთხმად მიუგეს, რომ უფრო მაღალი მინიმუმ ხელფასი (ტონი ბი და უოლკერი, 2008).

დასაქმების მაჩვენებლები განისაზღვრება დასაქმების ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობით, მუშაობის მსურველთა და სამუშაო უნარების მქონეთა პროპორციით. ხშირია შემთხვევები, როდესაც უნარების მიუხედავად სხვადასხვა გენდერული თუ ეთნიკური ნიშნით ხდება სამუშაოს უნარიანი ადამიანების დისკრიმინაცია. ამის მაგალითები უხვადაა დღევანდელ სამყაროში. მაგალითად, ესექსის უნივერსიტეტის კვლევამ ცხადყო, რომ ბრიტანეთში პაკისტანელთა და ბანგლადეშელთა 73 პროცენტი შემოსავალი 60 პროცენტი ნაკლებია გაერთიანებული სამეფოს საშუალო სახელფასო შემოსავალზე, რაც „სიღარიბის ზღვრად“ არის აღიარებული. ამავე კვლევამ აღმოაჩინა, რომ მონიჭული ასაკის ბანგლადეშელთა მხოლოდ 35 პროცენტი დასაქმებული, და პაკისტანელ ქალთა ეკონომიკური აქტივობა მთელ ბრიტანელ ქალთა აქტივობის მაჩვენებლის ნახევარია. სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრებთა რიცხვი მთელი მოსახლეობის მასშტაბით 25 პროცენტი, მაშინ როდესაც ეს რიცხვი 33 პროცენტი შეადგენს ინდოელი, 40 პროცენტი კარიბიელი, 50 პროცენტი აფრიკელი ამერიკელი მოსახლეობისათვის.

ბავშვთა სიღარიბის საინიციატივო ჯგუფის კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ აფრიკელ ამერიკელთა აკადემიური მიღწევები ყველაზე მაღალია სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით ინგლისში,

მათი დასაქმების მაჩვენებელი მაინც სამჯერ ჩამოუვარდება თეთრკანიანი მოსახლეობისას.

თუ განვიხილავთ დასაქმების პრობლემას საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით ვნახავთ, რომ მცირეა ეროვნული უმცირესობების ხვედრითი წილი სახელმწიფო დაწესებულებებში<sup>1</sup>. სახალხო დამცველის აზრით, ამის მიზეზია შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა კვალიფიციური კადრის საქართველოდან მიგრაცია და გასულ წლებში განვითარებული მეორეხარისხოვანი მოქალაქეობის შეგრძნება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში.

სახალხო დამცველის იგივე ანგარიში ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების სპეციალური პროგრამების აუცილებლობას ეროვნული უმცირესობებისათვის. მისი აზრით, აუცილებელია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება და მათი მოტივაციის გაზრდა. მაგალითად, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობით ჯავახეთის სატრანზიტო რეგიონის ფუნქციის შექმნის ხაზგასმა, რაც რეგიონში ახალი ინვესტიციების მოზიდვასთან და საქონლისა და ფინანსების ბრუნვის მატებასთან ასოცირდება. ან მაგალითად, ნინოწმინდაში ციხის მშენებლობა მოსახლეობის ნაკლებ შემოფოთებას გამოიწვევდა თუ ამ მშენებლობის დადებით მხარეებზე მიეწოდებოდათ ინფორმაცია, რაც მშენებლობაზე დასაქმების შესაძლებლობებთან ერთად პატიმრებისათვის საჭირო პროდუქტის ადგილობრივი მოსახლეობიდან შექმნის შესაძლებლობას ნიშნავდა.

დასაქმება სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციის განმაპირობებელი ფაქტორია, რაც პირდაპირ კორელაციაშია სოციო-ეკონომიკური ფაქტორების მოგვარებასთან. საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის შრომის ბაზრის კვლევა<sup>2</sup> ცხადყოფს, რომ, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში დასაქმების მაჩვენებელი იმერეთთან შედარებით 4-ჯერ დაბალია, რაც ბუნებრივია, ამ რეგიონის ეთნიკურ უმცირესობებზეც აისახება. ისედაც დასაქმების დაბალმაჩვენებლიან რეგიონებში, კიდევ უფრო მეტი აქცენტი გასაკეთებელი ეთნიკური უმცირესობების მქონე პირთა დასაქმების პოლიტიკის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართვაზე.

დიდია ასევე ქართული ენის მაღალ დონეზე ცოდნის აუცილებლობა დასაქმებისათვის. ბოლო წლებში ეს საკითხი მეტადაა მოგვარებული წინა წლებთან შედარებით, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხრიდან, რადგან გაიზარდა მათი

<sup>1</sup> სახალხო დამცველის 2007 წლის ანგარიშის მიხედვით

<sup>2</sup> უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის 2002 წლის სახელმწიფო პროგრამის უმუშევრის შემწეობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევა

თვითშეგნება იმის თაობაზე, რომ ენის ცოდნა ინტეგრაციისაკენ გადადგმული უპირველესი ნაბიჯია.

რასაკვირველია დიდ როლს განათლებაც თამაშობს, რაც ბევრ ქვეყნებში მეორე თაობის წარმომადგენლებში გაცილებით მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, ვიდრე ემიგრანტთა პირველ თაობაში. გაერთიანებულ სამეფოში დაბადებული ეთნიკური უმცირესობების კვალიფიკაციის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე მათი ოკეანის გაღმა დაბადებული მშობლებისა. ბრიტანელი ჩინელი მოსახლეობა სამუშაო ბაზარზე დასაქმებით უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, ვიდრე სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, თუმცა იგივე კვალიფიკაციის მქონე თეთრკანიან ბრიტანელებთან შედარებით გაცილებით დაბალი დასაქმების მაჩვენებლით ხასიათდებიან. გეოგრაფიულად განსხვავებული მაჩვენებლები გვაქვს, მაგალითად შოტლანდიაში უფრო მაღალია ბანგლადეშელ და პაკისტანელ ახალგაზრდა ქალთა დასაქმების მაჩვენებელი, ვიდრე ჩრდილო ინგლისში.

განურჩევლად წარმოშობისა, ბრიტანეთში დაბადებულ ეთნიკურ უმცირესობათა დასაქმების მაჩვენებელი აღემატება ახალჩამოსულთა დასაქმების მაჩვენებელს. ბანგლადეშელთა მხოლოდ 20 პროცენტი, პაკისტანელთა 30 პროცენტი, აფრიკელ ამერიკელთა 40 პროცენტი მუშაობს სრულ განაკვეთზე, რაც გაცილებით დაბალია თეთრკანიან ბრიტანელთა დასაქმების 50 პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით. უფრო მეტიც, მიუხედავად თანაბარი კვალიფიკაციისა, პაკისტანელი და ბანგლადეშელი მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელი ჩამოუვარდება თეთრკანიანებისას. მდებარეობითი სქესის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შესახებ სტერეოტიპული შეხედულება აფერხებს მათ დასაქმებას, რადგან დამსაქმებლის აზრით ისინი ბავშვის გაჩენისთანავე დაანებებენ თავს მუშაობას.

ჰოლანდიაში განხორციელებულმა კვლევამ 2005 წელს ცხადყო, რომ მაროკოელთა 27 პროცენტი და თურქთა 21 პროცენტი უმუშევარია. 2001 წლის ეკონომიკური დაღმავლობის დროს, ემიგრანტთა დაუსაქმებლობა გაორკეცდა. 2001 წელს 10 პროცენტიან ზრდა შეიმჩნეოდა, 2005 წელს კი ამ მაჩვენებელმა 20 პროცენტს მიაღწია. ეთნიკური უმცირესობათა ახალგაზრდა ასაკის წარმომადგენელთა დაუსაქმებლობის მაჩვენებელი ორჯერ მეტია, ვიდრე იგივე ასაკის ადგილობრივი მოსახლეობისა.

ხშირად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აღმოჩნდებიან ხოლმე დასაქმებითი დისკრიმინაციის მსხვერპლნი ქვეყანაში მომხდარი კონკრეტული ფაქტის გამო და არა მხოლოდ ან/და აუცილებლად ეთნიკური წარმოშობის მიზეზით ზოგადად (მაგ., როგორც ეს მოხდა აშშ-ში პირველი 8 თვის განმავლობაში 9/11 შემდეგ). აშშ-ს თანაბარი დასაქმების შესახებ *ლობის კომისიამ* მიიღო 488 საჩივარი 9/11 დაკავშირებული დასაქმებითი დისკრიმინაციის თაობაზე, ამასთან 301 იყო იმ პირთა საჩივარი, რომლებიც დაითხოვეს სამსახურიდან. ადვოკატური ჯგუფების გამოკითხვის შედეგების

მიხედვით, 20-60 პროცენტი ამერიკელმა მუსულმანმა და არაბმა პირმა განიცადა პირადი დისკრიმინაცია 9/11 შემდეგ.

ძალიან დიდია სოციალური მუშაკის როლი დასაქმების სფეროში. რადგან დასაქმება ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური უფლებაა, რაც მას გარკვეულ პასუხისმგებლობებსაც აკისრებს სოციალური მუშაკები მთელს მსოფლიოში ეხმარებიან მომსახურების მიმღებთ როგორც დასაქმების უფლების აქტივიზაციაში, ასევე პასუხისმგებლობების გააზრებაში. ამავე დროს მას აქტიური ფუნქციის შესრულება შეუძლია შრომის ბაზრისა და ტრენინგ საჭიროებების შეფასებაში (კემბელი, 1996). ამის საილუსტრაციოდ გამოდგება, ბრიტანეთის დასაქმების პოლიტიკა: მთავრობამ გადამწყვიტა პასიური პოლიტიკიდან, რომელიც უმუშევრობის დახმარების შეთავაზებას გულისხმობდა, უფრო აქტიურ პოლიტიკაზე გადასულიყო. ეს კი გულისხმობს დაუსაქმებელთა სამუშაოს აქტიურად მაძიებლობას, რაც მათი დასაქმების ინტერვიუებზე გასვლის დაფიქსირებით ხდება, რომლებსაც ეწოდებათ რესტარტ (Restart ანუ თავიდან დაწყება) ინტერვიუები. ამ ინტერვიუებისგან თავის არიდების შემთხვევაში ისინი აღარ იქნებიან უფლებამოსილი მიიღონ დახმარება. ასევე დახმარების პირობა გახდა დასაქმების თრეინინგებზე დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარება შეწყდება. სახელმწიფომ ამასთანავე გააძლიერა კონტროლი დაუსაქმებლისა და მისი მრჩევლის ურთიერთობაზე, რომელსაც ევალება სასარგებლო რჩევები მისცეს მომსახურების მიმღებს დასაქმებისა და თრეინინგების შესახებ. სწორედ ეს არის ის, რაც ასე განასხვავებს ლეიბორისტებს კონსერვატორებისაგან (შატბერაშვილი, 2009).

**დასაქმების პოლიტიკაზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ პროფესიული კავშირების თემას.** შრომის ბაზარზე პროფკავშირები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. პროფკავშირების მიზანია მშრომელთათვის სამუშაო პირობების გაუმჯობესება შრომის ატრიბუტების მართებული კომბინაციის უზრუნველყოფით. შრომის ბაზარზე პროფკავშირები ორნაირი სტრატეგიით მოქმედებენ: ან ცდილობენ შრომაზე მოთხოვნის ამაღლებას, ან ზღუდავენ შრომის მიწოდებას (ბინაძე, ლიპარტია & ციმინტია, 2009). 1970-იან წლებში სოციალური მუშაკების მეზო დონის საქმიანობის გააქტიურება და წარმატება დიდწილად იყო დაკავშირებული მათ მიერ პროფესიული კავშირების შექმნასთან და კოლექტიური ქმედების ინიცირებასთან. მაგრამ მომდევნო პერიოდის ეკონომიკურ კრიზისს მოჰყვა პრე-კენესის პერიოდის „წმინდა კაპიტალისმისკენ“ სწრაფვა. ამან კი მთავრობები დააფიქრა ბაზრის ფუნქციონირებისათვის ხელის შემშლელი ყველა არსებული თუ წარმოსახვითი ბარიერის მოხსნაზე, ძირითადად სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ობიექტების პრივატიზაციაზე და პროფკავშირების დასუსტებაზე (ფერგისონი, 2009).



მოდით ახლა განვიხილოთ დასაქმების პოლიტიკა საქართველოში. ადამიანის შრომითი უფლებები საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიხედვით უზრუნველყოფილია. არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ქვეყანაში მხოლოდ 1.7 მილიონია ადამიანი დასაქმებული, აქედან თვითდასაქმებულთა რიცხვი 700 000-ია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ რამდენიმე ინიციატივა განხორციელდა ამ კუთხით, სამწუხაროდ დასაქმების პოლიტიკა სისტემურ ხასიათს არ ატარებს. საქართველოში 2006 წელს მივიღეთ შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების უფლებებსა და მოვალეობებს, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. 2008 წელს მომზადდა სამმხრივი შეთანხმება პროფკავშირებს, დამსაქმებულებსა და სახელმწიფოს შორის, რამაც სოციალური დიალოგის დანყებისათვის მოამზადა ნიადაგი. 2010 წელს კი პრემიერ მინისტრმა გამოსცა ბრძანება *სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ*. თუმცა დასაქმების მაჩვენებლები ამ ცვლილებების ფონზე მაინც არ არის სახარბიელო.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. საქართველოში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელია. მიუხედავად ამისა, დასაქმების საკითხში ნაკლებად არიან ჩართულები სოციალური მუშაკები. თქვენი აზრით, რატომ?
2. რამდენად ეფექტიანად მიგაჩნიათ დასაქმების ინიციატივები, რომლებიც საქართველოში განხორციელდა ვარდების რევოლუციის შემდეგ?

## ადამიანის უფლებები და სოციალური მუშაობა

### მიმოხილვა

რას მოიცავს ადამიანის უფლებების იდეა  
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია  
საერთაშორისო ხელშეკრულებები  
გაეროს ადამიანის უფლებების სტრუქტურა  
ადამიანის უფლებების მოუგვარებელ საკითხებზე მიმდინარე დისკუსიები  
მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფების დამცველი ხელშეკრულებები  
ადამიანის უფლებათა რეგიონული ხელშეკრულებები  
განუყოფლობის პრინციპი  
უნივერსალიზმი  
ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები  
ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ვალდებულებების შესრულების საქმეში  
შესაძლებლობებისეული მიდგომა  
უფლებებზე დამყარებული მიდგომა  
ადამიანის უფლებების დაცვის სამომავლო და მოუგვარებელი სფეროები  
ადამიანის უფლებების დარღვევა არასამთავრობო სტრუქტურების მიერ  
ადამიანის უფლებები და სოციალური მუშაობა

სოციალურ სამუშაოსთვის ადამიანის უფლებების მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება. ადამიანის უფლებები ერთდროულად მარტივიც არის და საკმაოდ მნიშვნელოვანიც, რადგან ყველა ადამიანს აქვს უფლებები, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია (ჰილი, 2008). სოციალური მუშაობა არის პრაქტიკული პროფესია ფასეულობათა ძლიერი სისტემით და სავარაუდოდ ის ემყარება სოციალურ სამართლიანობას. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ეთიკის კოდექსი სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების ხელშეწყობასა და თითოეული ინდივიდის ღირსების დაცვას მთავარ პროფესიულ ეთიკურ პრინციპებად ასახელებს (სსმა, 2006). ამერიკის სოციალური მუშაკთა ეროვნული ასოციაციის (NASW) განცხადებით:

*„სოციალური სამართლიანობა არის ხედვა იმის თაობაზე, რომ ყველა იმსახურებს თანასწორ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს და შესაძლებლობებს. სოციალური მუშაკების მიზანია, გახსნან მიღწევისა და შესაძლებლობების კარი ყველასთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მეტად უჭირს.“ (NASW, 2004)*

სოციალური მუშაობის უფლებადაცვითი როლი ხაზგასმულია სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციასა (IFSW) და სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციას (IASSW) მიერ ჯერ კიდევ 2000 წელს მიღებულ და დამტკიცებულ საერთაშორისო სოციალური მუშაობის განსაზღვრებაში, რომელიც ამბობს (შტაუბ-ბერნასკონი, 2009):

სოციალური მუშაობა მხარს უჭერს სოციალურ ცვლილებას, ადამიანთა ურთიერთობების პრობლემების გადაჭრას, ადამიანთა გაძლიერებასა და გათავისუფლებას მათივე კეთილდღეობისათვის. ადამიანის ქცევისა და სოციალური სისტემების თეორიებზე დაყრდნობით, სოციალური მუშაობა ერევა ადამიანის გარემოსთან ინტერაქციის პროცესში. ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპი ფუნდამენტურია სოციალური მუშაობის პროფესიისათვის.

პუსიკის აზრით (პუსიკი, 1969 შტაუბ-ბერნასკონთან, 2008), თუ კი არსებობს რაიმე გამაერთიანებელი ფასეულობა კეთილდღეობის სფეროს ყველა წარმომადგენლისათვის, ეს არის ადამიანის უფლებები. და თუ ამ სფეროს ყველა სექტორისათვის არსებობს რაიმე ძირითადი ტექნიკური პრობლემა – შემთხვევის მართვიდან დაწყებული სოციალურ უსაფრთხოებამდე და დანაშაულიდან დაწყებული რეაბილიტაციამდე – ეს არის როგორ უნდა დავიცვათ და ვაქციოდ ქმედითად სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების უფლებები.

სოციალური მუშაკების უფლებადაცვითი როლის გააზრება და აღიარება არ არის ლიმიტირებული მხოლოდ პროფესიის მესვეურებით. 1993 წელს გაეროს ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციის პარალელურად მომზადდა სახელმძღვანელო სახელწოდებით *ადამიანის უფლებები და სოციალური მუშაობა*, რომელიც არის მასწავლებლების, სოციალური მუშაკებისა და სხვა პროფესიონალების ერთობლივი პროდუქტი.

რა შეიძლება იყოს უფლებების, როგორც ნორმატიული კონცეფციის როლი ემპირიულ, გამოყენებით მეცნიერებებში როგორიცაა ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურის თეორია? მათი კონტრიბუციაა აღწერა და ახსნა და არა ეთიკური ან მორალური გადანყვეტილებები კარგსა და ცუდზე, სწორსა და არასწორზე. ამიტომაც, ადამიანის უფლებების დარღვევა მხოლოდ ლეგალური სანქციებით დასჯადი არ უნდა იყოს, არამედ ახსნილი, თუ მისი შემცირება გვინდა (შტაუბ-ბერნასკონი, 2008).

სოციალური მუშაობის ორმანდატიან ბუნებაზე ბევრი თქმულა: ერთია მისი დამხმარე ფუნქცია, მეორე მაკონტროლებელი, მაგრამ შტაუბ-ბერნასკონი (2009) მის მესამე მანდატზე საუბრობს, რომელიც შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- მისი მეთოდების მეცნიერული აღწერა და ახსნა, რომლებიც სოციალური პრობლემების გადაჭრასა და პრევენციისათვის არის შესაფერისი და
- ეთიკური საფუძველი, პროფესიის ეთიკური კოდექსი, რომელიც სოციალური მუშაობის შემთხვევაში ორიენტირებულია სოციალურ უფლებებსა და სოციალურ სამართლიანობაზე.

შტაუბ-ბერნასკონის მიხედვით (2009), ძალაუფლებასა და სოციალურ ცვლილებაზე ორიენტირებული თეორიები და მეთოდები რადიკალურ სოციალურ სამუშაოს უკავშირდება. გზამკვლევი სოციალური ცვლილების განსახორციელებლად სტრუქტურულ სოციალურ სამუშაოშიც ხომ სწორედ ისეთ კომპონენტებს მოიცავს, რომლებიც ადამიანს მისივე უფლებების გამოყებაში ეხმარება:

- კრიტიკული ცნობიერების ამაღლება და ფიქრის ქმედებათა დაკავშირება;
- გაძლიერება;
- დემოკრატიული სათემო მუშაობა ან თემის ორგანიზება;
- თავშესაფრების, შეხვედრის ადგილების ორგანიზება, მსხვერპლთათვის გამოხატვის საშუალების უზრუნველყოფა და ძალაუფლების წყაროს შეფასება;
- ადვოკატობა ინდივიდისა და ორგანიზაციის დონეზე;
- ღირსების და ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის ფასეულობის წარმოჩენა სოციალური აგენტის დონეზე.

ახლახანს ღია საზოგადოება საქართველოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საქართველოს საზოგადოების დიალოგის გაუმჯობესება სოციალური მუშაობის პოლიტიკის განსავითარებლად“ ფარგლებში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ განხორციელებულმა სოციალური მუშაობის სიტუაციურმა ანალიზმა, რომლის მიზანი იყო საქართველოში არსებული სოციალური მუშაობის მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ცხადყო, რომ საქართველოში სოციალური მუშაკის როლად და მიჩნეული სოციალური ცვლილებების ინიცირება სოციალური მუშაკების მიერ (59,8 პროცენტის მონაცემებით), ისევე როგორც ბენეფიციართა გაძლიერება საკუთარ უფლებებსა და შესაძლებლობებით სარგებლობაში (85,2 პროცენტის მონაცემებით). მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა სოციალური უფლებების შელახვის მაღალი მაჩვენებლის ფონზე სოციალური მუშაკების სოციალური აქცივიზმი ან მათი კონტრიბუცია სოციალური პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში არ შეინიშნება.

ასეთი პასიურობის მიზეზი შეიძლება იყოს მაკრო დონეზე სოციალური ადვოკატობის, სოციალური ცვლილებებისა და პოლიტიკის აქტორის როლის პროფესიულ მოვალეობად გაცნობიერების დაბალი დონე, რაც პროფესიული მანდატის მოკრძალებულ გააზრებაზე მიუთითებს, მაგრამ პროფესიის განვითარების ამ ეტაპზე ბუნებრივია. გაღიზიანება, რომელიც ახლავს არა სასიკეთო ცვლილებებზე ორიენტირებული სამუშაოს შესრულებას სასიკეთო ცვლილების ინიცირების გამოცდილებითაცაა ნაკარნახევი. ამავე დროს დიდ როლს თამაშობს თვით-რწმენა, რომ შეგვიძლია სასიკეთო ცვლილებების კეთება ადამიანთა საკეთილდღეოდ. თვითრწმენას კი დიდწილად განაპირობებს ცოდნა როგორც პრობლემის, ასევე მისი გადაჭრის გზების შესახებ. ამიტომ

აუცილებელია სოციალური მუშაკები აღჭურვით უფლებაცვითი საქმიანობისათვის შესაბამისი ცოდნითა და ტექნიკით.

მოდით, დავინყოთ იმის გაანალიზება თუ რა იგულისხმება ადამიანის უფლებებში. ლიონსისა და მისი კოლეგების აზრით (2006), ადამიანის უფლებები შეიძლება აღვიქვათ, როგორც გამაერთიანებელ სოციალურ პრინციპთა ნაკრები, დაყოფის გარშემო არსებული მრავალრიცხოვანი დისკუსიების საპირისპიროდ. ამდენად, ისინი ქმნიან მნიშვნელოვან სახელმძღვანელო ინსტრუმენტს იმისა, თუ როგორ შეიძლება დავძლიოთ ან გავუმკლავდეთ სოციალური დაყოფის ნეგატიურ ასპექტებს, როგორცაა ინსტიტუციური და ჩვეულებრივი უთანასწორობები.

თუმცა, ნაკლებია კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ როგორ არის ადამიანის უფლებები დადგენილი ან რომელია მათ შორის უფრო მნიშვნელოვანი, ინდივიდუალური თუ კოლექტიური უფლებები; რა უფრო წინ დგას ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებები. მართლაც, დროთა განმავლობაში მოხდა ადამიანის უფლებების ჩვენეული გაგების ადაპტირება და გაფართოვება.

იფმა (იფი, 2001ა ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006) გამოყო ადამიანის უფლებების სამი თაობა, რომლებმაც მოგვიყვანა ამ საკითხის დღევანდელ გაგებამდე. პირველი თაობა აღმოცენდა მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლობის ეპოქიდან და სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებას მოიაზრებდა. ამ თაობის ადამიანის უფლებებს იყენებენ ადვოკატობის საქმეში და ამ უფლებების საფუძველზე მოხდა ბევრი თანამედროვე სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება. მეორე თაობა მოიცავდა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ამ უფლებებზე გავლენა ფემინიზმმა მოახდინა და ის ბევრ სფეროში გამოიყენება, მათ შორის სოციალურ სამუშაოშიც. ადამიანის უფლებების მესამე თაობა ცდილობს წარმოადგინოს მთელი რიგი უნივერსალობებისა, რომელიც კარგად ჩანს ბევრ ფართომასშტაბიან ინიციატივაში (იქვე), როგორცაა ათასწლეულის განვითარების მიზნები (სიუპოლი, 2004 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006) და მსოფლიო მოძრაობა სიღარიბის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ადამიანის უფლებები თანდათან სოციალური ურთიერთქმედების სულ უფრო მეტ ფილოსოფიურ სფეროს მოიცავს.

ადამიანის უფლებების მესამე თაობა იმ საუკუნის ნაშიერია, რომელიც მოესწრო საოცარი მასშტაბის ომებსა და მსოფლიო იმპერიების ნგრევას. მართალია მას კეთილშობილური მიზნები აქვს, მაგრამ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ყველაფერი უნივერსალურის სარგებლიანობა და სიცოცხლისუნარიანობა სადავოა. უნივერსალური ადამიანის უფლებების შექმნის პროცესი შეიძლება იქცეს განსხვავებული აზრის ჩახშობად, სხვადასხვაგვარი მოსაზრებების უგულებელყოფად და წყალ-წყალა კანონების

შექმნად, კანონებისა, რომლებზე დათანხმებაც ადვილია და თავის არიდებაც. ამ პრინციპების შექმნის მამოძრავებელმა ძალამ გაერომ მოიპოვა მოჩვენებითი და ძალაუფლების არმქონე ორგანიზაციის რეპუტაცია (ლიონსი, მენიონი და კარლსენი, 2006).

ნებისმიერი უფლების დეკლარაციის მიღმა იმალება პასიური შეხედულება ადამიანის სიცოცხლესა და მოქალაქეობრიობაზე. უფლებები პასუხობს კითხვებს „რა მეკუთვნის მე?“ ან „რა უნდა მივიღო მე?“ ის არ პასუხობს აქტიური მოქალაქეების შეკითხვას – „რა უნდა გავაკეთო მე?“ (ო'ნელი, 2002 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006). იფი და ფისკე (იფი და ფისკე, 2006 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006) ამტკიცებენ, რომ ადამიანის უფლებებში პასუხისმგებლობებთან შედარებით გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული უფლებებით სარგებლობას. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებები არ შეიძლება ჰქონდეთ (და არც აქვთ) მინიჭებული იმ თემების ან ქვეყნების მაცხოვრებლებს, სადაც ადამიანის მოვალეობები არ განაპირობებს მათ წარმატებას. ეს იმ ქვეყნებში ხდება, სადაც კორუფცია და ავტოკრატიაა გაბატონებული. ალბათ საჭიროა, რომ შეიქმნას სათანადო დეკლარაცია ადამიანის მოვალეობების შესახებ (იქვე). საინტერესოა, რომ ბავშვის უფლებების და კეთილდღეობის აფრიკულ ქარტიაში (1999) ბავშვის უფლებები განერილია ოჯახის წინაშე მათი პასუხისმგებლობების კონტექსტში.

ადამიანის უფლებებიდან შეიძლება გამოსადეგი პრინციპების ამოკრება სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად და ეს პრინციპები გამოიყენება, მაგრამ ისინიც არ არის შეუზღუდავი. ადამიანის უფლებები ქმნის საფუძველს და ძალისხმევის ობიექტს საერთაშორისო სოციალური მუშაობის ფორმულირებისთვის (რეიჩერტი, 2003; იფი, 2001ა ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006). აგრეთვე ამზადებს ნიადაგს უფლებებზე დამყარებული პრაქტიკისეული მიდგომებისთვის, რაც მას (ადამიანის უფლებებს) თეორიიდან პრაქტიკად აქცევს. იფი და ფისკე (იფი და ფისკე, 2006 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006) ამტკიცებენ, რომ თემის განვითარებისეული პერსპექტივის მოშველიება შეიძლება დაგვეხმაროს ადამიანის უფლებების რეალიზებაში.

ადამიანის უფლებები არის საერთაშორისო სამართლისა და პროცედურების ფართო და კომპლექსური სისტემა. მოდით, განვიხილოთ ადამიანის უფლებების იდეა და ის ძირითადი ხელშეკრულებები, რომლებიც ქმნიან ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალს. ასევე მოკლედ მიმოვიხილოთ გაეროს ადამიანის უფლებების სტრუქტურა და ადამიანის უფლებების მოუგვარებელ საკითხებზე მიმდინარე დისკუსიები; და შემოგთავაზებთ კომენტარებს ადამიანის უფლებებში სოციალური მუშაობის როლზე (ჰილი, 2008).

შტაუბ-ბერნასკონის აზრით (2008), კულტურულსა და ფასეულობათა პლურალიზმის ფონზე აუცილებელია მისაღებ საერთო დენომინატორზე

შეთანხმება. სწორედ ასეთად გვევლინება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც ამ აუცილებელ სტანდარტს ქმნის და საშუალებას აძლევს ორგანიზებულ პროფესიას დაიჭიროს მკაფიო პოზიცია და გეზი აიღოს კონსტრუქციული ქმედებისაკენ. დეკლარაციაში მკაფიოდ არის გაცხადებული ის ფილოსოფია, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს. “ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებებით“ (გაერო, 1948, მუხლი 1). როგორც ადამიანის უფლებების მკვლევარი ჯეკ დონელი აღნიშნავს:

*საკუთრივ ტერმინი ადამიანის უფლებები მიაჩნდება ორივეს, მის ბუნებასა და წარმომავლობას: ეს უფლებები ადამიანს აქვს უკვე იმიტომ, რომ ის ადამიანია. ეს უფლებები ნებისმიერ ადამიანს აქვს, განურჩევლად მისი უფლებებისა და მოვალეობებისა, რომელიც მას შეიძლება გააჩნდეს (ან არ გააჩნდეს) როგორც მოქალაქე, ოჯახის წევრს, მოსამსახურეს, ან რომელიმე საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრს (ჯეკ დონელი, 1993: 19).*

1920-იანი წლების დასაწყისში ერთა ლიგამ შეიმუშავა და მიიღო ბავშვთა უფლებების დეკლარაცია. ლიგას ჰქონდა ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე კომიტეტები, როგორცაა მაგალითად, ტრეფიკინგთან ბრძოლის კომიტეტი (რომელსაც ხელმძღვანელობდა სოციალური მუშაობის პიონერი – გრეის აბოტი). ლიგა აგრეთვე სპონსორობდა ბავშვთა შრომისა და სასჯელის სისტემის რეფორმის ბევრ ინიციატივას. აგრეთვე ლიგის ქარტია კოლონიზებულ ქვეყნებში ზოგიერთი სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლების საგანგებოდ დაცვისაკენ მოუწოდებდა (ჰილი, 2008).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან მოყოლებული ადამიანის უფლებათა საკითხებზე გაერომ 200-ზე მეტი დოკუმენტი დაამტკიცა (სნარი, 2002 ჰილისთან 2008). ბევრი სხვა კი რეგიონულმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ადამიანის უფლებების შესახებ ფართომასშტაბიანი და კომპლექსური მსჯელობის ფარგლებში. 1948 წლიდან ადამიანის უფლებათა სფერო მკაფიოდ განისაზღვრა (გაეროს მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დებულებებით. ეს არის გარდამტეხი და საოცრად ყოვლისმომცველი დოკუმენტი. აქ უფლებების სამი „თაობა“ გამოიკვეთა (ვრონკა, 1995). პირველი რიგი უფლებებისა არის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. მე-3-დან 21-ე მუხლის ჩათვლით ეს უფლებები განსაზღვრულია, როგორც სიცოცხლისა და თავისუფლების უფლება; თავისუფლება წამებისგან და არაადამიანური სასჯელისგან; თავისუფლება გაუმართლებელი დაკავებისა და დაპატიმრებისგან; თავყრილობის თავისუფლება; აზრის გამოთქმის თავისუფლება და ა.შ. დოკუმენტი ასევე გვპირდება დემოკრატიული მმართველობის უფლებას. როგორც 21 მუხლშია აღნიშნული, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, მონაწილეობდეს

თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში“. შემდეგ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა. ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის სხვა ეკვივალენტური ფორმით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას“ (გაერო, 1948).

პირველი თაობის ამ უფლებებს ხშირად „ნეგატიურ უფლებებად“ მოიხსენიებენ, ვინაიდან, ისინი ხელისუფლებისგან ითხოვენ ნეგატიური ქმედებებისგან, ან ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების შეზღუდვისგან თავის შეკავებას (ჰილი, 2009).

22-ედან 27-ე მუხლის ჩათვლით მოცემულია (მეორე თაობის) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. ეს მოიცავს: სოციალური უსაფრთხოების, საკადრისი დასაქმების, დასვენების და გართობის, საკვების, ჩასაცმელის, საცხოვრებლის, ჯანდაცვის, განათლების და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებს. 25 მუხლის 1 პარაგრაფი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ სამუშაოზე. აქ ვკითხულობთ:

*ყოველ ადამიანს – აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, (საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო ზრუნვისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით) რომელიც აუცილებელია პირადად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად; უფლება იყოს უზრუნველყოფილი უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან არსებობის საშუალების დაკარგვის (მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო) სხვა შემთხვევაში.*

ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს „პოზიტიური უფლებები“ შეარქვეს, რადგან ქვეყანამ საგანგებო ნაბიჯები უნდა გადადგას მოქალაქეების ამ უფლებების დასაკმაყოფილებლად (ჰილი, 2009).

28-ე მუხლი ზოგადად აღწერს მესამე თაობის უფლებებს. ეს ის უფლებებია, რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო საქმიანობით და თანამშრომლობით შეიძლება იყოს გარანტირებული. აქ ვკითხულობთ: „ყოველ ადამიანს აქვს ისეთი სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლება, რომლის პირობებშიც, შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა სრულად განხორციელება“. ეს განცხადება შეჯერებულია 22-ე მუხლთან, რომელიც აღნიშნავს, რომ: „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უსაფრთხოების უფლება და უნდა შეეძლოს, ეროვნული ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში), განახორციელოს თავისი ღირსების შესაფერისი უფლებები. ამ მუხლის მიხედვით, ადამიანს ენიჭება მშვიდობის, პატიოსანი ვაჭრობის და, უბრალოდ, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის უფლება. იფის მიხედვით (იფი, 2001 ჰილისთან, 2009), მესამე თაობის უფლებები



მოიცავს ეკონომიკური განვითარების უფლებას; უფლებას განეკუთვნებოდეს სტაბილურ, ერთსულოვან საზოგადოებას; გარემოს დაცვით უფლებას, კერძოდ, უფლებას გქონდეს სუფთა და დაუბინძურებელი ჰაერი, წყალი და საკვები; უფლებას იცხოვროს ისეთ ფიზიკურ გარემოში, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს მიაღწიოს სრულ ადამიანურ პოტენციალს“ (გვ.39).

**საერთაშორისო ხელშეკრულებები.** ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია არის მრავლისდამტევი დეკლარაციაა. საერთაშორისო სამართალში ეს ნიშნავს, რომ ეს არის განაცხადი კეთილი განზრახვების შესახებ, რომელსაც კანონის ძალა არ აქვს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას მოყვება ორი ხელშეკრულება, რომლებშიც განსაზღვრულია ხელმომწერი ქვეყნების ვალდებულებები: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICESCR). ორივე მათგანი 1966 წელს მიიღო გენერალურმა ასამბლეამ. ეს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი დეტალურად განაგრძობს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მნიშვნელოვან დებულებებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი ამოქმედდა 1976 წლის 23 მარტს, მას შემდეგ, რაც 35-მა ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება (ძალაში შესვლისთვის საჭირო პროცედურა) (UNOHCHR, 2005a). ამჟამად უკვე 155 ქვეყანამ გააკეთა ამ დოკუმენტის რატიფიცირება და გახდა პაქტის მონაწილე მხარე (UNOHCHR, 2006). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს და მას 152 ქვეყანა მიუერთდა. აშშ-ს არ მოუხდენია მისი რატიფიცირება და მეტწილად არ უჭერს მხარს სოციალური და განსაკუთრებით, ეკონომიკური უფლებების კონცეფციას (UNOHCHR, 2006) (ჰილი, 2008).

**მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფების დამცველი ხელშეკრულებები.** მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია და პაქტები უზრუნველყოფენ ყველა (კატეგორიის) ხალხის დაცვას, მაინც გრძელდება ადამიანების ზოგიერთი ჯგუფების ჩაგვრა და მათი უფლებების შეზღუდვა. ამიტომ, აუცილებელი გახდა დამატებით ახალი დეკლარაციებისა და კონვენციების მიღება. ამ დოკუმენტთაგან სოციალური მუშაობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – *საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (ICIFRD)*, *კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW)*; და *კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (CRC)*. ორი პაქტი, ზემოხსენებული სამი კონვენცია და ორი ხელშეკრულება ([1]კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ [1984] და [2] ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია

[1990]) ქმნიან „შვიდ მთავარ საერთაშორისო ხელშეკრულებას ადამიანის უფლებების შესახებ“ (UNOHCHR, 2005ბ). თითოეულ მათგანს ადამიანის უფლებათა შესაბამისი კომიტეტი ხელმძღვანელობს, რომელიც იღებს ანგარიშებს და ზედამხედველობს ნეკრი ქვეყნების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებების შესრულებას. ამ შვიდი ხელშეკრულებიდან, აშშ-მ მხოლოდ (1) რასობრივი დისკრიმინაციის კონვენციას, (2) სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების პაქტს და (3) ნამების წინააღმდეგ კონვენციას გაუკეთა რატიფიცირება. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებათაგან, ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება გააკეთა ყველაზე მეტმა ქვეყანამ. ეს კონვენცია უზრუნველყოფს ბავშვთა გადარჩენის, დაცვის და განვითარების უფლებას. მხოლოდ აშშ-ს და სომალის არ გაუკეთებია ამ დოკუმენტის რატიფიკაცირება. კანადას რატიფიცირებული აქვს ყველა ხელშეკრულება, გარდა მიგრანტი მუშის კონვენციისა. ეს ხელშეკრულება 2003 წელს შევიდა ძალაში და ჯერ მხოლოდ 34 ქვეყანაა მასთან მიერთებული (UNOHCHR, 2006). ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება რომ ამუშავდეს (ან ადამიანის უფლებათა ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ძალაში რომ შევიდეს), მისი რატიფიცირება უნდა მოახდინოს ქვეყნების დადგენილმა რაოდენობამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება ან მასთან მიერთება ნიშნავს, რომ ქვეყანა ეთანხმება მის დებულებებს და მზად არის მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების განხორციელებაში. ქვეყანას შეუძლია მხოლოდ ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, რაც ნიშნავს, რომ მის პრინციპებს ზოგადად უჭერს მხარს. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება არ არის მისთვის იურიდიულად სავალდებულო (ჰილი, 2009).

გაეროს ფორმატში შემუშავებული დეკლარაციებისა და ხელშეკრულებების გარდა, არსებობს **ადამიანის უფლებათა რეგიონული ხელშეკრულებები**. ერთი ასეთი მაგალითია ევროპის სოციალური ქარტია. ეს ქარტია 1961 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მოგვიანებით დაიხვეწა და გაფართოვდა (ჰილი, 2009). ქარტია ამბობს, რომ „სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ მომსახურებები, რომლებიც სოციალური მუშაობის მეთოდების გამოყენებით, ხელს შეუწყობს როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოებრივი ჯგუფების კეთილდღეობას, და მათ ინტეგრაციას გარემოში (14 თავი, ევროპის სოციალური ქარტია).

**განუყოფლობის პრინციპი.** ადამიანის უფლებათა კონცეფციის მნიშვნელოვანი კომპონენტია უფლებათა განუყოფლობის პრინციპი. ეს არის ადამიანის უფლებების გლობალური ხედვა. იმისთვის, რომ პიროვნების ღირსება არ შეილახოს, ყველა სახის უფლება უნდა იყოს დაცული, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო, კულტურული და პოლიტიკური უფლებები და რამდენადაც შესაძლებელია, გლობალური მასშტაბით. პოლიტიკური თავისუფლება ბევრს არაფერს მისცემს მშვიდ ხალხს; კარგად დაპურებულ ხალხს სამოქალაქო თავისუფლების გარეშე,

აკლია ადამიანური ღირსების მთავარი კომპონენტი; და ბოლოს, მშვიდობისა და სამართლიანობის მსოფლიო წესრიგის გარეშე, არც ერთი ეს უფლება არ იქნება გარანტირებული. სოციალური მუშაობის პროფესიას აქვს პრეტენზია, რომ მართლაც ესმის უფლებების განუყოფლობის იდეა თავისი ერთდროული აქცენტით ინდივიდუალურ თვითგამორკვევაზე, განვითარებაზე, სოციალურ და ეკონომიკურ სამართლიანობაზე (ჰილი, 2008).

**უნივერსალიზმი.** ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ძირითადად ისეა შედგენილი, რომ უნივერსალურობაზე უნდა იყოს მორგებული. ამასთან, პროცესი იძლევა იმის უფლებას, რომ ქვეყნებმა თავი შეიკავონ ხელშეკრულებების ზოგიერთ დებულებასთან მიმართებით და შემოგვთავაზონ უნივერსალიზმის იდეის ოდნავ შეცვლა. ამ თავშეკავებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ხელშეკრულების ძირითად არსს. ბრალდებები, რომ ეს დოკუმენტი დასავლურ ყაიდაზეა შექმნილი, ადამიანის უფლებათა სისტემას „რეჟიმად“ წარმოაჩენს და ზოგიერთი შიშობს, რომ მას გამოიყენებენ, სუსტი და განსაკუთრებით, ლარიბი განვითარებადი ქვეყნების სუვერენიტეტის გამონწევად. მართლაც, 1948 წელს, აშშ-ს ანთროპოლოგიურმა ასოციაციამ გააკეთა განცხადება, სადაც „უარყოფდა ადამიანის უფლებების ნორმების უნივერსალურობას“. განცხადებაში ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში „ჩამოთვლილია ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც კულტურულად, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად არაუნივერსალურია“ (ფოქსი, 1998 ჰილისთან, 2008). მას შემდეგ საკმაოდ გამძაფრდა დებატები თემაზე უნივერსალიზმი თუ ფარდობითობა.

რაც შეეხება სოციალური მუშაობის პრაქტიკის სფეროს, განსაკუთრებით გართულდა და გამწვავდა კამათი ბავშვების, ქალების, სხვა ჩაგრული ჯგუფებისა და ოჯახის უფლებების შესახებ. შტაუბ-ბერნასკონი (2008) თვლის, რომ თუ სოციალურ სამუშაოს სურს აირიდოს ფართოდ გაკრიტიკებული ჰეგემონიური უნივერსალიზმის ფორმები, იგი თავად უნდა დაფიქრდეს ამის მიღწევის გზებზეც.

1981 წელს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციამ მიიღო *ადამიანისა და ხალხების უფლებების აფრიკული ქარტია*. რეგიონულ ხელშეკრულებებს შორის ეს დოკუმენტი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ცდილობს ადამიანის უფლებების კულტუროლოგიურ კონტექსტში გააზრებას. ქარტიაში დევს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების იდეა (მუთუა, 2000 ჰილისთან, 2009). როგორც მუთუა განმარტავს, „ქარტიის აზრით, ინდივიდუალური უფლებები აზრს კარგავენ სოციალურ და პოლიტიკურ ვაკუუმში, თუ შერწყმული არ არიან პიროვნების მოვალეობებთან... ამრიგად, პიროვნებებზე მოვალეობების დაკისრებით, ის ცდილობს პიროვნების უფლებები მოარგოს თემისა და პოლიტიკური საზოგადოების უფლებებს (გვ.8). ასე მაგალითად, 21-ე მუხლის მიხედვით, პიროვნებას აქვს მოვალეობა „გაუფრთხილდეს ოჯახის ჰარმონიულ

განვითარებას და იმრომოს ოჯახის ერთსულოვნებისა და პატივისცემისთვის; ყოველთვის პატივი სცეს მშობლებს და, საჭიროების შემთხვევაში, არჩინოს ისინი“ (მუთუა, 2000:8 ჰილისთან, 2008).

## **ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები**

გაეროს მიერ დადგენილ და მართულ ადამიანის უფლებებს, ახორციელებს კომპლექსური ბიუროკრატიული აპარატი. აქ გაერთიანებულია: ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (გაეროს სამდივნოს დეპარტამენტი); სხვადასხვა ხელშეკრულების კომიტეტები; ადამიანის უფლებათა საბჭო; საგანგებო ექსპერტები და კიდევ ბევრი სხვა. უმაღლესი კომისრის უმნიშვნელოვანესი საქმეა მსოფლიოს ყურადღება მიაპყროს ადამიანის უფლებების ზნეობრივი მხარისკენ.

სოციალური სამსახურისათვის საინტერესო ხელშეკრულებების განხორციელებაზე მუშაობს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა კომიტეტი: ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი; რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი; ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი და ბევრთა უფლებების კომიტეტი. ეს კომიტეტები განიხილავენ და აფასებენ ანგარიშებს იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებენ მონაწილე ქვეყნები შესაბამისი ხელშეკრულების დებულებებს. მონაწილე მხარეები ზრუნავენ ადამიანის უფლებათა კომიტეტებისა და მათი პერსონალის შენახვაზე. ისინი ვალდებული არიან, კომიტეტს პერიოდულად ჩააბარონ ანგარიში ჩატარებული სამუშაოს თაობაზე (ჰილი, 2008).

## **გაეროსა და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ვალდებულებების შესრულების საქმეში**

ადამიანის უფლებათა გლობალური მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ ყველას მიერ ყველა ვალდებულების შესრულებას. ზოგი იმასაც ფიქრობს, აზრი აქვს თუ არა ისეთ საერთაშორისო კანონებს, რომლებიც ვერ მუშაობენ. ბოლოს და ბოლოს, რუანდის, დარფურის, კამბოჯის და ბოსნიის ამბები ხომ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ხელშეკრულებების მიღების შემდეგ მოხდა. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW) უკვე მიღებული იყო, როცა თალიბანმა ქალების დაჩაგვრა მოახერხა. მსგავსი მაგალითები ბევრია (ჰილი, 2008).

კარგი, რასაც გაეროს ადამიანის უფლებათა სისტემა აკეთებს, არის ის, რომ წარმოადგენს გლობალური სტანდარტების საცავს და აქვს უწყებები, რომლებსაც შეუძლიათ მონადინებული ქვეყნების წახალისება და დახმარება

მუშაობაში. გაეროს ცოტა რამის გაკეთება შეუძლია, როცა ქვეყანას არ უნდა პატივი სცეს თავისი მოქალაქეების უფლებებს. ამდენად, ხელშეკრულებების მონაწილე ბევრი სახელმწიფო უხეშად არღვევს ადამიანის იმ უფლებებს, რომლის მხარდაჭერაც მისმა მთავრობამ იკისრა. რობერტ დრინანი თავის წიგნში, (დრინანი, *შერცხვენის მობილიზაცია*, 2001) გვთავაზობს ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ „შერცხვენის“ ტაქტიკა. [...] თუმცა, სამწუხაროდ, არიან ისეთი ქვეყნებიც, რომელთა შერცხვენა შეუძლებელია (ჰილი, 2008). შერცხვენის პოლიტიკის გამოყენება სოციალური მუშაკების პროფესიული ვალდებულების ნაწილია, რადგან მათ არა მარტო კოლეგებისა და საკუთარ ხელისუფალთა წინაშე მართებთ უფლებადარღვევათა გამომზეურება და უფლებადარღვეულთა დასაცავად ბრძოლა, არამედ საერთაშორისო სოციალური მუშაობის ინსტრუმენტების საშუალებითაც.

ჰილი (2008) გვახსენებს, რომ 1996 წელს *საერთაშორისო ამნისტიამ* გამოსცა დეკლარაცია, რომლითაც მოუწოდა ჯანდაცვის სპეციალისტებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იკისრონ ადამიანის უფლებების დარღვევების გამოაშკარავების საქმეში. „საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის, განსაკუთრებით წამების ფაქტების გამოძიებაში, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ჯანდაცვის სპეციალისტების დახმარება“ (AI, 1996). მართალია, ეს ექიმებსა და ექთნებს ეხება, მაგრამ სოციალური მუშაკებიც ჯანდაცვის პროფესიონალები არიან და ამიტომ, მათაც უნდა იცოდნენ ამ პასუხისმგებლობის შესახებ. იმავდროულად, დეკლარაცია, „მოუწოდებს საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებს, გაეროსა და მის შესაბამის ორგანოებს ყურადღება გაამახვილონ ჯანდაცვის პროფესიონალების ეთიკურ პასუხისმგებლობაზე, რათა მათ ხმა აიმაღლონ თავიანთ პაციენტებზე განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ. „ამით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციასა და სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციას“ (AI, 1996).

*ჰუმან რაითს ვოჩის* ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ მისი ერთ-ერთი ამოცანაა „უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს“ ადამიანის უფლებების დამრღვევი მთავრობები (HRW, 2006a). *ჰუმან რაითს ვოჩის* ინტერესების სფერო მოიცავს ადამიანის უფლებების ფართო სპექტრს, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტებს, ქუჩის ბავშვებისადმი მოპყრობას, დამნაშავე ლიდერების გასამართლებას, პატიმართა უფლებებს, საიმეგრაციო კანონმდებლობას, სექსუალურ უმცირესობათა საკითხებსა და ბევრ სხვას. ამ ამოცანის შესრულებაში სოციალურ სამუშაოს დიდწილად შეუძლია დახმარება გაუწიოს არა მარტო ამ ორგანიზაციას დასახული ამოცანის შესრულებაში, არამედ ემსახუროს საკუთარ პროფესიულ მისიას.

## სოციალური სამართლიანობა

ადამიანის უფლებებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით სოციალური სამართლიანობის საკითხს. სოციალური სამართლიანობა ემყარება სოციალური კონტრაქტის ბევრ თეორიას. ამ თეორიათაგან ბევრი აღიარებს, მთავრობის მიერ მოწოდებულ, სოციალური კეთილდღეობის იდეას (ადამიანის უფლებების ჩათვლით). მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის კონტრაქტი ხალხსა და მთავრობას შორის, თანაბარი სარგებლის მისაღებად (ნუსბაუმი, 2000ა ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006). დომინელი, გვთავაზობს, რომ:

*სოციალური მუშაკების მოვალეობაა საჯარო ყურადღება მიაპყრონ იმათ სიმამაცეზე, ვინც იბრძვის სოციალური ექსკლუზიის გადასალახავად და ცდილობს გააძლიეროს ისინი, ვინც გარემოებების ტვირთის ქვეშ არიან მოქცეულნი. არათანასწორ სამყაროში სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის განვითარების ნახალისება იძლევა სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის საზრიან საფუძველს raison d'être. (დომინელი, 2002, გვ 4)*

სამართლებრივ ჩარჩოებზე თუ ვისაუბრებთ, არსებობს სოციალური სამართლიანობისკენ მიმავალი სამი მთავარი გზა: დისტრიბუციული, პროცედურული და რეტრიბუციული სამართალი. დისტრიბუციული სამართალი ეხება სამართლიან შედეგებს ან გამოსავლებს. ამის მაგალითად გამოდგება კომპენსაციის მოთხოვნა და თანასწორ შესაძლებლობებზე დავა. პროცედურული სამართალი ეხება პროცედურების და მმართველობის სამართლიანი სისტემის შექმნას და მხარდაჭერას. კარგი მთავრობის კონცეფციამ ბოლო წლებში შექმნა მნიშვნელოვანი ჩარჩოები განვითარებისთვის. რეტრიბუციული სამართალი გულისხმობს სამართლიან პასუხისგებას ან სასჯელს (ტაილერი და სხვები, 1997 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006). ეს სისხლის სამართლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა და მოიცავს კანონის დამრღვევის დაპატიმრების იდეას. ზოგადად ეს ორი მიზეზით კეთდება: დამრღვევის დასასჯელად და მოსახლეობის დასაცავად. ამ სისტემის ყველაზე უკიდურესი ფორმა გახლავთ ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის აშშ–სა და ჩინეთში) მიღებული სიკვდილით დასჯა. ყველა ეს მოვლენა ეხება სოციალური მუშაკების მიერ მომსახურების განვითარებას დასავლეთში, ისევე, როგორც სოციალური და თემის განვითარების პროგრამებს სამხრეთის ქვეყნებში (ლიონსი, მენიონი და კარლსენი, 2006).

სოციალური კეთილდღეობის და სისხლის სამართლის სისტემებში, იზრდება ყურადღება მეოთხე სფეროზე – აღდგენით სამართალზე (ლოსონი და კატზი, 2004 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006). ანაზღაურების სამართლისეული მიდგომა ნასესხებია (მაგ., კანადისა და ახალი ზელანდიის) კულტურასა და სამართალზე დაფუძნებული პრაქტიკიდან (ფოქსი, 2005 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006). ეს ცვლის იმ გზას, რომლითაც

ზოგიერთი პოლიციური ძალები უდგებიან დანაშაულს, განსაკუთრებით, ახალგაზრდების დანაშაულს. იდეა ის გახლავთ, რომ დამნაშავეს თხოვენ მსხვერპლთან პირისპირ, უსაფრთხო მოლაპარაკების გზით გამოასწოროს/ აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ამ სიტუაციაში მსხვერპლს შეუძლია, გამოთქვას, თუ რა ზეგავლენა იქონია მასზე დანაშაულმა (მაგ., საკუთრების დაკარგვა, ემოციური ზენოლა). ასეთი მოლაპარაკებისას შეიძლება ანაზღაურებაზე შეთანხმება, რომელიც ჩანაცვლებს დამნაშავეს დაკავებას. თუ ეს ეფექტიანი აღმოჩნდა, ეს არა მხოლოდ შეაჩერებს რეციდივიზმს, არამედ, დაეხმარება ახალგაზრდებს გაისიგრძეგანონ მათივე დანაშაულის უარესი შედეგების შესაძლებლობა (ლოსონი და კატზი, 2004 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006). შეიძლება შედეგი სამმაგი იყოს – შერიგება, ანაზღაურება და ტრანსფორმაცია (იქვე). მთელ ამ პროცესში კი განუზომლად დიდია სოციალური მუშაკის როლი, რომლის უმთავრესი ელემენტი არის მისი ჰოლისტიური მიდგომა უფლება შეზღუდულ პირთა უფლებების დასაცავად, მათი თავდადება გააუმჯობესონ მთელი საზოგადოების სოციალური მდგომარეობა (უილსონი და კოლეგები 2008).

### **შესაძლებლობებისეული მიდგომა**

ადამიანის უფლებებზე საუბრის თემა დაუსრულებელი იქნება, თუ არ შევეხებით შესაძლებლობებისეულ მიდგომას. ის უკავშირდება ადამიანის უფლებებს და წინა პლანზე წამოწევს თანასწორობის საკითხს. სენი (სენი, 1982 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006) და ნუსბაუმი (ნუსბაუმი, 2000 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006), ადამიანის შესაძლებლობებზე მსჯელობისას, ყურადღებას ამახვილებენ ინდივიდუალურ სოციალურ აგენტებზე. სენი (სენი, 1982, 1999 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006) ადამიანურ კაპიტალს ხედავს, როგორც უნარების, ცოდნისა და ეფექტიანობისთვის საჭირო ძალისხმევას. ადამიანის უნარიანობა მას ესმის, როგორც ფოკუსირება შესაძლებლობაზე, რათა შემატო ფასეულობა პიროვნულობას. ხოლო „ფუნქციონირება“ არის ის, რასაც ადამიანი მიაღწევს. შესაძლებლობებისეული მიდგომა შეიძლება იყოს მცდელობა გავიგოთ, რატომ მოქმედებენ ადამიანები ასე და არა სხვაგვარად. ეს არა მარტო აადვილებს („ფუნქციონირების“) შედეგების გაგებას, არამედ შედეგების მიღების პროცესსაც. აქ შედის პროცედურის უსამართლობები, პიროვნების არჩევანის თავისუფლება, სისტემური ან სტრუქტურული უთანასწორობები. სენი (სენი, 1999 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006) გვთავაზობს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ჩვენ უნდა მივცეთ ადამიანებს საშუალება, სოციო-ეკონომიკური განვითარების ფარგლებში, შექმნან საკუთარი შესაძლებლობები (ან ქმედებები, რომლებიც ფასეულია მათთვის), მიუხედავად იმისა, თუ რას გვკარნახობს საზოგადოება.

შესაძლებლობებისეული მიდგომის სანიმუშოდ წარმოიდგინეთ, ორი ახალგაზრდა კაცი, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ. ერთმა მათგანმა იმიტომ აირჩია ქუჩაში ცხოვრება, რომ მას არ მოსწონს კომფორტული საზოგადოების აკრძალვები, ქუჩაში კი თავს უფრო კომფორტულად და თავისუფლად გრძნობს. მეორეს არ აქვს ფული, დაკარგა სამსახური და საცხოვრებელი. ორმა ახალგაზრდა კაცმა ერთნაირი შედეგი მიიღო და ისინი კეთილდღეობის ერთნაირი პრინციპით ცხოვრობენ. მაგრამ ამ ორი ადამიანის გაკეთებული არჩევნის უკან სხვადასხვა მიზეზი დგას. შესაძლებლობებისეული მიდგომა აღიარებს სხვადასხვა მოტივაციებს და აწოდებს მათ საჭიროებაზე უკეთესად მორგებულ მომსახურებას. ამ საქმეში ის ტოლერანტობის და მონაწილეობის ჩარჩოებში მოქმედებს. ეს მიდგომა არის ალტერნატიული პოზიცია კეთილდღეობის გასააზრებლად. ნუსბაუმის შესაძლებლობებისეული მიდგომა უფლებებით სარგებლობის ისეთივე საბაზისო პოსტულატია, როგორც მაგალითად ადამიანის უფლებები (ნუსბაუმი, 2000ა ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006).

### **უფლებებზე დამყარებული მიდგომა**

ადამიანის უფლებების კონცეფცია მიზნად ისახავს ფასეულობების უნივერსალური სისტემის საშუალებით, გააერთიანოს სხვადასხვა ხალხები. ამის ერთი შედეგი გახლავთ განვითარების ახალი პათოსი, რომელსაც უფლებებზე დამყარებული მიდგომა ეწოდება. მთავარი ასპექტი უფლებებზე დამყარებული მიდგომისა არის მონაწილეობის უფლება, რომელიც მოიცავს ხმის მიცემის უფლებას და საკუთარი უფლებების ადვოკატობის შესაძლებლობას. ეს მიდგომა განვითარების გაგებას გამიჯნავს ქველმოქმედების და ქველმოქმედის (ან მოწყალეების გაღების) დამოკიდებულებისგან. სანაცვლოდ გვთავაზობს მიდგომას, როცა მომსახურება და რესურსები ყველასაგან აღიქმება ადამიანის ძირითად უფლებად და აუცილებლად გულისხმობს მონაწილეობას. შედეგად, ეს მიდგომა აძლიერებს ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობენ „განვითარებაში“. მაღლდება მათი სტატუსი განვითარებული ქვეყნების დონემდე. ეს ემყარება იმ პოსტულატს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და უნდა ჰქონდეს შესაბამისი ადამიანის უფლებები.

სოციალური მუშაკები ხშირად უწევენ ადვოკატობას იმ ადამიანებს, ვისი უფლებებიც შელახეს ან უგულვებლყვეს (ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, პატიმრები). სოციალური მუშაობის მოქცევამ ადამიანის უფლებების პროფესიის ჩარჩოებში, გახსნა განვითარების ახალი გზები და შექმნა იდენტობის ახალი ფორმა – მსოფლიოს მოქალაქე. უფლებებზე დამყარებული მიდგომა ადამიანებს მოქალაქეებად მოიაზრებს და არა კეთილდღეობის აქციონერებად, კლიენტებად ან ბენეფიციარებად. „კლიენტი“ არ არის მკაფიო და, მოქალაქესთან ან პარტნიორთან შედარებით,



სხვადასხვა პროფესიულ მნიშვნელობას მოიცავს. აგრეთვე, განვითარების სააგენტოებმა განვითარებად ქვეყნებში დაიწყეს ადამიანების მოაზრება პარტნიორებად და მოქალაქეებად; და არა დახმარების უსახურ მიმღებებად. ამ ცვლილებამ ბევრი დებატები გამოიწვია, რადგან უფლებებზე დამყარებული მიდგომის დამკვიდრება აუცილებლად გამოიწვევს ძალაუფლების იერარქიის ცვლილებას. ამგვარად, განვითარების პრაქტიკოსები, სოციალური მუშაკების ჩათვლით, მზად უნდა ყოფილიყვნენ უსიტყვოდ დაეთმოთ ძალაუფლებისა და კონტროლის ნაწილი. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა.

ბევრი სოციალური მოძრაობა მიმართავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონკრეტულ განმარტებას. მაგრამ უფრო ჰოლისტიური მიდგომა მოიცავს ნაკლებად თვალშისაცემ ასპექტებსაც, როგორცაა კულტურული და სოციალური უფლებები, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულად მოიაზრება. კონსენსუსის მონახვა ძნელი და შეიძლება არასასურველიც აღმოჩნდა. თანაც აქ სხვა საინტერესო საკითხები გამოდის წინა პლანზე: რომელმა უფლებამ რომელი უნდა შეცვალოს და, კიდევ უფრო საყურადღებოა, თუ ვისი უფლებები უფრო მნიშვნელოვანია? მაგალითად, პიროვნების უფლებები უფრო მნიშვნელოვანია, თუ თემისა? როდის შეიძლება ბავშვების უფლებები მშობლების უფლებებზე წინ დავაყენოთ? უფლებებზე დამყარებული ახალი მიდგომა გვთავაზობს პოზიტიური ცვლილებების პოტენციალს, მაგრამ ზოგს არ სჯერა ამის. მაგალითად, სოციალური ცვლილების ბევრი სააგენტო, იმათი ჩათვლით, რომლებიც მონაწილეობდნენ უფლებებზე დამყარებული მიდგომის შემუშავებაში, ვერ ახერხებს, ან არ არის მონადინებული, პრაქტიკაში გამოიყენოს ის, რისთვისაც იბრძოდა. როგორც ჩანს, მათ აითვისეს ტერმინოლოგია, მაგრამ სრულად არ დანერგეს, ან არც კი გაიაზრეს, მათი მნიშვნელობა. მათი მხრიდან ამ მიდგომის მიღებას, არ მოჰყვა ორგანიზაციულად და პრაქტიკულად მისი დანერგვა (იბენი, 2003 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006).

უფლებებზე დამყარებული მიდგომა შეიძლება გამოსადეგი იყოს, მაგრამ მასაც აქვს თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. როგორც არ უნდა იყოს, თუ ის ეფექტურია, მან უნდა გააძლიეროს ადამიანები, გამოხატოს მათდამი თანადგომა და დაეხმაროს მათ საკუთარ მომავალზე ზრუნვაში. ავად სახსენებელ გაძლიერების კონცეფციას ზედმეტად ხშირად მიმართავდნენ; თუმცა, მისი გულის გული იდეა იყო უთანასწორობასთან, ძალაუფლების იერარქიებთან და უფლებებთან დაკავშირებული საკითხები. გუტიერესი და თანაავტორები (გუტიერესი, 1998 ლიონსთან, მენიონთან და კარლსენთან, 2006) გაძლიერების პრაქტიკაში გამოიყენების სპეციალურ გზებს გვთავაზობენ. ის ემყარება ისეთ პრინციპებს როგორცაა: უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა, პიროვნების ჰოლისტიური მოაზრება, საკუთარ ძალებში დამარწმუნებელი დახმარების პროცესი (რომელიც გვიჩვენებს „ურთიერთობის ძალის“ და არა „ურთიერთობაზე ძალადობის“ მოდელს). ბოლოს აქვე ლაპარაკია იმ მრავალ-

აირ როლზე, რომელიც სოციალურმა მუშაკებმა უნდა იკისრონ გაძლიერების პრაქტიკაში (ლიონსი, მენიონი და კარლსენი, 2006).

### **ადამიანის საერთაშორისო უფლებების დაცვის სამომავლო და მოუგვარებელი სფეროები**

არსებობს ადამიანთა რამდენიმე ჯგუფი, რომელსაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი თითქმის არ იცავს; თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, კონვენციებსა და სხვა სპეციალიზებულ ხელშეკრულებებში ასახულ ზოგიერთ საკითხს. ახალი ხელშეკრულება, რომელიც 2006 მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და ძალაში შევიდა 2008 წელს, დაიცავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა უფლებებს. არ არსებობს სპეციალური ხელშეკრულება სექსუალური უმცირესობების დასაცავად; ისევე, როგორც არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც დაიცავდა მოსახლეობას სამთავრობო სტრუქტურების მიერ ჩადენილი დანაშაულისგან.

#### **ადამიანის უფლებების დარღვევა არასამთავრობო სტრუქტურების მიერ.**

ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო სამსახურები ყურადღებას ამახვილებდნენ საჯარო, სამთავრობო სფეროებზე. ადამიანის უფლებათა დამცველები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ კერძო მილიციებსა და მემბოხე ჯგუფებს. სოციალურ მუშაკებს კარგად მოეხსენებათ, რომ ადამიანის უფლებები შეიძლება დაარღვიონ (და არღვევენ კიდევ) მრავალეროვნულმა და ნაციონალურმა კორპორაციებმა, კერძო ორგანიზაციებმა, ოჯახებმა და მეზობლებმა. ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავი სფერო და მათი პოტენციური დაცვა კვლავაც არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და გლობალურ დონეზე ნაკლებად არის რეგულირებული.

### **ადამიანის უფლებები და სოციალური მუშაობა**

ადამიანის უფლებათა მოძრაობა ეფუძნება თითოეული ადამიანის პატივისცემის და ღირსების სათანადო დაფასებას. ადამიანის პატივისცემა და პიროვნების ღირსება არის სოციალური მუშაობის საყრდენი. ამდენად, სრული ჰარმონიაა სოციალურ სამუშაოსა და ადამიანის უფლებებს შორის. ამაზე დაყრდნობით, სოციალური მუშაკების საერთაშორისო ფედერაციამ (1988) თავის პოლიტიკის დოკუმენტის წარდგინებას ასეთი განცხადება წაუშვა: „სოციალური მუშაობა იმთავითვე ადამიანის უფლებათა პროფესიაა. მისი ძირითადი პრინციპია თითოეული ადამიანის ღირსების დაცვა, ხოლო ერთ-ერთი მთავარი ამოცანა – მიუკერძოებელი სოციალური სტრუქტურების განვითარება, რომლებსაც შეეძლება უზრუნველყონ ადამიანის უსაფრთხოება და დაიცვან

მისი ღირსება“. [...] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო სოციალური მუშაობის პოლიტიკის სამ მთავარ დოკუმენტში (სოციალური მუშაობის გლობალური დეფინიცია, განცხადება ეთიკურ პრინციპებზე და სოციალური მუშაობის განათლებისა და ტრენინგის გლობალური სტანდარტები) ლაპარაკია ადამიანის უფლებებზე (IASSW, 2004).

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. მომსახურების მიწოდებისას სოციალურმა მუშაკმა ადამიანის მიერ გაკეთებული არჩევანის განმაპირობებელი მიზეზებით უნდა იხელმძღვანელოს თუ მხოლოდ შედეგით? რატომ?
2. რა სახის ქმედებებს გულისხმობს შტაუბ-ბერნასკონი, როდესაც ამბობს: კულტურულსა და ფასეულობათა პლურალიზმის ფონზე აუცილებელია მისაღებ საერთო დენომინატორზე შეთანხმება. სწორედ ასეთად გვევლინება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც ამ აუცილებელ სტანდარტს ქმნის და საშუალებას აძლევს ორგანიზებულ პროფესიას დაიჭიროს მკაფიო პოზიცია და გეზი აიღოს კონსტრუქციული ქმედებისაკენ.

## მტკიცებაზე დაფუძნებული გავრცელება და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკა

### მიმოხილვა

ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკა:

- პირდაპირი
- არაპირდაპირი

ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკის მიზნები

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის ინსტრუმენტები

ოჯახური დახმარების საშუალებები:

- პირდაპირი ფულადი დახმარებები
- არაფულადი დახმარებების

ბავშვზე ზრუნვის ადმინისტრირება

ხარისხიანო ზრუნვის კომპონენტები

ბავშვებში ინვესტირების აუცილებლობა საკამათო თემა არ უნდა იყოს 21 საუკუნეში, რადგან თანამედროვე ეკონომიკა მოითხოვს მომავალ მუშახელს გაუმჯობესებული უნარებითა და ცოდნით, ასე რომ დღეს ინვესტირება ბავშვებში ხვალინდელი ძლიერი ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობის გარანტია.

ბავშვთა კეთილდღეობა კი ნიშნავს ბავშვებისათვის ისეთი ცხოვრების პირობების შექმნას, როდესაც მათი გონება, სული და სხეული შესაბამისად ვითარდება განვითარების შესაბამის ეტაპზე. ამისათვის აუცილებელი პირობაა:

1. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა ნათლად და მტკიცედ იყოს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული საზოგადოებრივ სექტორში.
2. ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდებოდეს ოჯახის პოლიტიკას, რომელიც მასზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს.
3. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის უმთავრესი მიზანი იყოს ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის დადებითი გარემოს შექმნა.

აღბათ დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია ბავშვთა კეთილდღეობაზე ვისაუბროთ მათი ოჯახების კეთილდღეობაზე ზრუნვის გარეშე. ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკა კი შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი პოლიტიკა. **პირდაპირი პოლიტიკა** ოჯახური პრობლემების მოგვარებისაკენ მიმართული პოლიტიკის კურსია პირდაპირი გზით. ხოლო **არაპირდაპირი პოლიტიკა** კი მიმართულია ოჯახური პრობლემების მოგვარებისაკენ, მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური კურსის ფარგლებში, სადაც ოჯახიც ავტომატურად მოიაზრება, მაგალითად, მოსახლეობის ზრდის პოლიტიკა (პრო და ანტინატალური), შემოსავლების უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც ბავშვიანი ოჯახებისათვის მისაღები საცხოვრებელი პირობების შექმნაზეა ორიენტირებული, დასაქმების პოლიტიკა მომსახურე მშობლებისათვის, დედათა და

ბავშვთა ზრუნვის პოლიტიკა, გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, და ა.შ. არაპირდაპირი პოლიტიკა მოიცავს ღონისძიებებს სხვა პოლიტიკურ ასპექტში – არა ოჯახთან უშუალოდ დაკავშირებული მიზნებისათვის, თუმცა, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ კეთილდღეობაზე. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადმა, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ ანიოს საშემოსავლო მოსაკრებელი, შესაძლოა დაბალშემოსავლიან ოჯახში ცოლის მუშაობის მოტივაცია დანიოს დაბლა; საემიგრაციო ან დასაქმების ბაზრის პოლიტიკამ, შესაძლოა გამოიწვიოს ოჯახების სეპარაცია, რადგან მეუღლეები შესაძლოა იძულებულნი გახდნენ დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ძიებაში.

ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკა განიხილება, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ყველა სოციალური პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს იმისდა მიხედვით, თუ რა ზეგავლენა მოახდინა მან ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე. ოჯახის პოლიტიკა მოიცავს იმ კანონებს, რომლებიც უშუალოდაა მიმართული ოჯახებისაკენ, მაგალითად, კანონი ოჯახის შესახებ, შემოსავლების ტრანსფერის პოლიტიკა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მომსახურება, ბავშვთა ზრუნვის მომსახურება და ა.შ. ოჯახური პოლიტიკა გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ პოლიტიკას და პირიქით. მას შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს სხვადასხვა სოციალური საკითხის მოგვარებაში, ისევე, როგორც ამა თუ იმ პოლიტიკის პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ მოექცეს. ოჯახი შეგვიძლია გამოვიყენოთ, არა მარტო როგორც ობიექტი, არამედ, როგორც საშუალება სოციალური პოლიტიკის ცვლილებებისათვის.

ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პოლიტიკას შემდეგი მიზნები აქვს:

- გააძლიეროს ოჯახი სოციალურად და ეკონომიკურად, რათა უკეთ შეასრულონ მშობლობის პასუხისმგებლობა;
- გაზარდოს შობადობა და ხელი შეუწყოს დიდი ოჯახების შექმნას;
- პროპაგანდა გაუწიოს ოჯახის დაგეგმარებას;
- გაზარდოს ქალთა შესვლა სამუშაო ბაზარზე;
- გაზარდოს ოჯახებში ქალთა როლი სანამ ბავშვები პატარები არიან;
- დაიცვას ბავშვები ძალადობის, ექსპლუატაციისა და უგულვებლყოფისაგან;
- მხარი დაუჭიროს ქალთა თანასწორობას;
- პროპაგანდა გაუწიოს ქორწინებას და ბავშვზე ზრუნვას მერიტალური სტატუსის მიუხედავად;
- ხელი შეუწყოს სამუშაოსა და ოჯახის ცხოვრების დაბალანსებას;
- დაეხმაროს მოქალაქეებს მშობლობის ფასეულობების გათვითცნობიერებაში;
- დაეხმაროს მშობლებს კრიზისებისა და პრობლემების გადალახვაში.

**ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტი არსებობს: ფულადი დახმარებები, მომსახურება, და კანონები/რეგულაციები.** დღესდღეობით განვითარებულ სამყაროში ოჯახური დახმარების შემდეგ სამუალებებია:

**ბავშვთა შემოსავლო ტრანსფერი** – საოჯახო პოლიტიკის ყველაზე დიდი კომპონენტია. იგი წარმოადგენს ფულად დახმარებას, რომელიც შექმნილია არასაკმარისი ხელფასების შესავსებად ოჯახის დახმარების მიზნით, ან ბენეფიტს, რომელიც მიმართულია სოციალური რისკის შედეგად დაკარგული შემოსავლის ასანაზღაურებლად.

**ოჯახური შეღავათები** – სხვადასხვა ოდენობის ფულადი დახმარება ბავშვთა ასაკისა და რაოდენობის მიხედვით, რომელიც არ არის შემოსავალზე დამოკიდებული დახმარება. ეს დახმარება უმეტეს ქვეყნებში სოციალური უსაფრთხოების სისტემიდან გამოიყოფა და შეადგენს საერთო შიდა პროდუქტის (სშპ) 2.4 პროცენტს. სხვა ფულადი დახმარებებისაგან განსხვავებით, ეს დახმარება არ არის ინდექსირებული.

**ბავშვთა დახმარება** – ფულადი დახმარება, რომელსაც სახელმწიფო უხდის ოჯახს, როგორც ბავშვთა დახმარების საფასურს დანამატის სახით, თუ მშობლები ვერ იხდიან თავიანთი შვილების მზრუნველობის საფასურს, როდესაც ბავშვი სხვა ოჯახშია განთავსებული ან გაშვილობილებულია. ამ დახმარებას სახელმწიფო უზრუნველყოფს მთელ რიგ ქვეყნებში: ავსტრიაში, დანიაში, ფინეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, ისრაელში.

**ჩვილ ბავშვთა მზრუნველობა** - უმეტეს ქვეყნებში ორი წყაროდან ფინანსდება: განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტროდან. ყველაზე ეფექტიანი მზრუნველობის სამსახური დანიას აქვს, რომელიც მსუყედ სუბსიდირებს 6 თვიდან – 3 წლამდე ასაკის ბავშვთა 60 პროცენტს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვილ ბავშვთა მზრუნველობას საფრანგეთში, რათა ბავშვს პატარაობიდანვე განუვითარდეს სოციალიზაციის უნარ-ჩვევები.

პირდაპირი ფულადი დახმარების ალტერნატივაა **საგადასახადო შეღავათები**, ზოგიერთ ქვეყანაში კი გადასახადები და ფულადი დახმარებები ინტეგრირებულია.

**ბავშვის საგადასახადო კრედიტი** – სტანდარტული ბენეფიტია ბავშვებისათვის რომელიც იმ ოჯახებს მიეწოდება, რომლებსაც მინიმალური სახელფასო შემოსავლები აქვთ. ის მაგალითია ბენეფიტების სისტემიდან საგადასახადო სისტემაზე გადასვლის.

**საყოფაცხოვრებო შეღავათები** – ფულადი დახმარება, რომელსაც სახელმწიფო აძლევს ოჯახებს თავიანთი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, შვედეთში საყოფაცხოვრებო შეღავათები შვილიან ოჯახების 1/3 ეძლევა და ოჯახის შემოსავლის 15-20 პროცენტს შეადგენს, ხოლო საფრანგეთში 1/4 ოლებს ამ დახმარებას, რაც ოჯახის შემოსავლის 10-20 პროცენტს შეადგენს.

**დეკრეტული ფულადი დახმარება** – ფულადი დახმარებაა სოციალური დაზღვევის ფონდიდან, მსგავსად საპენსიო, ინვალიდობისა და უმუშევრობის დახმარებებისა. ეს დახმარება ყველა განვითარებულ ქვეყანაშია, გარდა აშშ-სა. სკანდინავიურ ქვეყნებში ეს დახმარება მამებსაც კი ეძლევათ. ეს დახმარება ზოგ ქვეყნებში ხელფასის ოდენობის ტოლია, ზოგან ხელფასის ნახევრისა, ზოგან კი ფიქსირებული თანხაა ყველასათვის განურჩევლად ხელფასის ოდენობისა. ბევრ ქვეყნებში ტარდება პოლიტიკა, რომ ეს დახმარება არაბიოლოგიურ მშობლებსაც დაენიშნოთ. სადეკრეტო პერიოდის ხანგრძლივობა განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში: მაგლითად, ჰოლანდიასა და საფრანგეთში 3 თვეა, კანადაში 6, იტალიაში 9, დანიაში 1 წელი, შვედეთში 1,5 წელი, ავსტრიაში, უნგრეთში, ფინეთსა და გერმანიაში 3 წელია, საფრანგეთში 3 წელია მესამე ბავშვზე.

თუ შევეცდებით გავიაზროთ რა არის შვილის ყოლის საფასური, ვნახავთ, რომ უპირველეს ყოვლისა, ის უკავშირდება პირდაპირ ხარჯებს როგორცაა დამატებითი ოჯახის წევრისათვის საჭირო კვების, ჩაცმის ხარჯები. ასეთი ხარჯები კი მარგინალური ეფექტის მქონეა დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის. ამავე დროს მას ახლავს შესაძლებლობის საფასური, რაც ყველაზე მეტად დედის საშემოსავლო შეზღუდვებში გამოიხატება და წარმოადგენს ღირებულების ტვირთს, რომლის ინტერნალიზება თანამედროვე ოჯახებს სულ უფრო ნაკლებად სურთ. პოლიტიკოსები თვლიან, რომ შესაძლებლობის საფასურის საკითხი შეიძლება მოგვარდეს უფრო მეტი დღის ცენტრებისა და უფრო ხანგრძლივი ანაზღაურებადი შვებულებების საშუალებით. თუმცა ეს არ მუშაობს იმ ქვეყნებში, რომლებშიც დამქირავებლები მშობლობას დიდ საფასურს ადებენ. გამოდის, რომ ხშირ შემთხვევებში კარიერის დაწყება დედობაზე უარის თქმას უკავშირდება და ბავშვის საფასური უთანაბრდება ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობის სარგებელს (ეპინ-ანდერსენი, 2002).

ამიტომ, უმნიშვნელოვანესია ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა ხორციელდებოდეს მშობლების მხარდაჭერის პოლიტიკის ფონზე. ბავშვის განვითარების ყველაზე მეტად განმაპირობებელი ფაქტორია მშობლების განათლების მაღალი დონე ბავშვის განვითარების საკითხებზე. თუ არ შემუშავდა მშობლებიდან შვილებში ისეთი რესურსების გადაცემის მექანიზმში ჩარევის სტრატეგია, მაგალითად როგორცაა კოგნიტური უნარები საქმე წინ არ წავა. რეგრესული სიმულაციის ანალიზს თუ მოვიშველიებთ, ბავშვებში სიღარიბის მაჩვენებლის 10 პროცენტისიან ზრდა გამოიხატება იმ მონიფული ასაკის ადამიანთა რაოდენობის 8.5 პროცენტისიან ზრდაში, რომლებიც ყველაზე დაბალი კოგნიტური უნარებით გამოირჩევიან (ესპინ-ანდერსენი, 2002). გამოდის, რომ ბავშვობაში ბავშვების განვითარებაზე რესურსების ეკონომიას გრძელ-ვადამი უფრო სავალალო შედეგი და გაათმაგებული დანახარჯი მოაქვს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის.

ჩვენი დროის პოლიტიკის პარადოქსი ის არის, რომ ბავშვობის სიდუხჭირის საფასური ძალიან დიდია და მისი აღმოფხვრის ღირებულება კი საკმაოდ მოკრძალებული. პირველი ნაბიჯი, რასაკვირველია არის ოჯახების მხარდამჭერი პოლიტიკის „შესაძლებლობის ფარგლების“ დადგენა. როგორც კი ამაზე ჩამოვყალიბდებით, ბავშვობის სიდუხჭირის შემცირებას უნდა შევეცადოთ უფრო ძვირადღირებული „მომსახურების სტრატეგიის“ „ტრანსფერების სტრატეგიით“ ჩანაცვლებით. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ორი ურთიერთდამოკიდებულია. ოჯახის ბენეფიტები ემატება ოჯახის შემოსავალს და რაც უფრო მსუყეა ის, მით უფრო ნაკლები ბავშვზე ზრუნვის სუბსიდია იქნება საჭირო. ამავე დროს, რაც უფრო მეტს მუშაობს დედა, ნაკლები სუბსიდია იქნება საჭირო ბავშვის აღზრდისათვის. ამიტომ აუცილებელია მშობლების დოვლათის შემქმნელად ჩამოყალიბების პოლიტიკის მხარდაჭერა. რეგრესული სიმულაციის ანალიზი გვთავაზობს, რომ დღის ცენტრების ყოველ 10 პროცენტთან ზრდას მოჰყვება დედათა დასაქმების 5.3 პროცენტის ზრდა (ესპინ-ანდერსენი, 2002).

ბავშვებისა და შვილების დახმარების ერთიანი პოლიტიკის წარმატების მრავალი მაგალითიდან, აღსანიშნავია გაერთიანებულ სამეფოში შრომის პარტიის მიღწევა – Sure Start პროგრამა, რომელიც ხასიათდება მომსახურების ფართო სპექტრის შეთავაზებით (დანყებული ოჯახის საჭიროებებიდან, ბავშვის ზრუნვამდე და დედათა დასაქმებამდე). მისი წარმატება მშობლების ინტენსიურმა ჩართულობამ განაპირობა. ისინი ბიუჯეტის ადმინისტრირების საბჭოს მესამედს შეადგენდნენ. ამ პროგრამის შედეგად მშობლების მშობლობის უნარ-ჩვევებიც დაიხვეწა. ტოინბისა და ვოლკერის აზრით, ამ პროგრამის ნაყოფი ათწლეულების მერე უფრო აშკარად გამოიყვანებდა, როდესაც ეს ბავშვები გაიზრდებიან (ტოინბი და ვოლკერი, 2008).

საქართველოში სამწუხაროდ მიუხედავად საკმაოდ წარმატებულად მიმდინარე ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა პრევენციული მიდგომა სუსტია და მშობლების ძლიერი მხარდაჭერის პოლიტიკაც არ არსებობს. არადა, კვლევებმა ცხადყო ასეთი საჭიროების აუცილებლობა (იხილეთ ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა *პრევენციის დახმარების აღდგენის საშიშროების ანალიზი*). რეფორმის ძლიერი მხარე და წარმატების განმაპირობებელი ფაქტორია სოციალურ მუშაკთა აქტიური ჩართულობა, მაგრამ ზეჭარბი ბიუროკრატიული ფუნქციების შესრულებისა და საგზაო ხარჯების სიმწირის გამო სოციალური მუშაკები შებოჭილები არიან ვიზიტების განხორციელებაში და არც სოციალურ მუშაკთა სამუშაო ფართი ითვალისწინებს მომსახურების მიმღებთა კონსულტაციისა და თერაპიისათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეს. გამოდის, რომ მათი ფუნქცია მიკრო პრაქტიკის ისეთი ელემენტებით შემოიფარგლება, მაგალითად, როგორცაა გადამისამართება, მომსახურებების



კოორდინირება, შემთხვევის მართვა და ვერ სწვდება კონსულტირებისა და თერაპიის კომპონენტებს (შატბერაშვილი, 2011).

მომსახურების დახვეწისათვის, უილსონისა და კოლეგების აზრით (2008), ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკის უმთავრესი მოვალეობად მიაჩნიათ ბავშვთა ზრუნვის საკითხებში იმგვარად ჩარევა, რომ პატივი ვცეთ მათ შეხედულებებს, და მხარი დავუჭიროთ მათი ინტერესების დაკმაყოფილებას. ამ მიზნების მიღწევის ეფექტიანი გზებია:

1. ჩვენი ცნობიერების ამაღლება და იმის გააზრება თუ, როგორ ზემოქმედებს ჩვენივე ბავშვობის გამოცდილება ჩვენს დამოკიდებულებაზე ბავშვებისადმი;
2. განვივითაროთ ბავშვებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

ბავშვზე ზრუნვის ადმინისტრირება სხვადასხვაგვარად ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში ან ზოგჯერ ერთი და იგივე ქვეყანაშიც. მაგალითად, განვითარებული სამყაროს უმეტეს ნაწილში იგი სუბსიდირებულია სახელმწიფო ფულით და შესყიდულია კერძო ბაზარზე. ურთიერთდამოკიდებულება მომსახურების ან პროდუქტის ღირებულებასა და ისეთ ფაქტორებს შორის როგორცაა: შრომის საფასური, ხარისხი და მომსახურების მიწოდების რაოდენობა, რაც ზეგავლენას ახდენს ფასზე, გამოიხატება **ღირებულების ფუნქციაში**.

აუცილებელია, რომ ბავშვები ხარისხიანი ზრუნვის ქვეშ იყვნენ და მომზადდნენ მომავალი ცხოვრებისათვის. მაღალხარისხიანი ზრუნვა განისაზღვრება 2 ურთიერთდამოკიდებული კომპონენტით: **პროცესის ხარისხი და სტრუქტურის ხარისხი**. პირველი ასახავს ბავშვზე ზრუნვის ხარისხს მზრუნველობის სისტემაში, ხოლო მეორე კი გარემოებით სტანდარტებს, რომელიც ძირითადად მთავრობის მიერ რეგულირდება.

ბავშვზე ზრუნვის ხარისხი შემდეგი ინსტრუმენტებით იზომება:

- ადრეული ბავშვთა განვითარების შეფასების შკალა;
- გარემო პირობების შეფასების შკალა;
- მზრუნველთა ინტერაქციის შკალა;
- სტრუქტურის ხარისხი: ჯგუფის ზომა, მზრუნველისა და აღსაზრდელის თანაფარდობა, მზრუნველის გამოცდილება ამ სფეროში, მზრუნველის ფორმალური განათლება, მზრუნველის ტრენინგი ბავშვთა დაცვაში.

რამდენადაც ადვილია სტრუქტურული ხარისხის კონტროლი და რეგულირება, იმდენად რთული და რესურსდამოკიდებულია ხარისხის მონიტორინგი. ამისათვის აუცილებელია არა მხოლოდ კარგად გამართული

მონიტორინგის მექანიზმი და მაღალკვალიფიციური კადრები, არამედ კარგად ფორმირებული მომსახურებების განვითარების პოლიტიკა. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს არა მხოლოდ მომსახურებების ხარისხის უზრუნველყოფას, არამედ ხარისხის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მოტივაციის ზრდას, და თან მეგობრული და მხარდამჭერი პოლიტიკის ჩარჩოში.

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. საქართველოში ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვის პირდაპირი პოლიტიკა ხორციელდება თუ არაპირდაპირი?
2. თქვენი აზრით, ბავშვზე ზრუნვა მთავრობის ფუნქცია უნდა იყოს თუ მან ეს ფუნქცია სხვა კომპეტენტურ ორგანოებს უნდა გადააბაროს?
3. რა მიგაჩნიათ საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ძლიერ და სუსტ მხარეებად? დაასაბუთეთ რატომ?

## გლობალური სოციალური და დემოგრაფიული ტენდენციები

### მიმოხილვა

სხვადასხვა სახელმწიფოს მიდგომა ხანდაზმულთა პრობლემების მოგვარებისადმი  
მოსახლეობის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები  
სხვადასხვა საზოგადოების დამოკიდებულება ხანდაზმულებისადმი  
სხვადასხვა სახელმწიფოს მიდგომა ხანდაზმულთა პრობლემებისადმი  
სოციალური მუშაკის როლი ხანდაზმულთა პრობლემების მოგვარებაში

მსოფლიოში ძალიან სწრაფად იზრდება ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობა. მოდით გავიაზროთ რას უკავშირდება ეს ზრდა და რა არის მისი განმაპირობებელი ფაქტორები. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში სიცოცხლის ხანგრძლივობა მამაკაცთათვის 77 წელია, ხოლო ქალებისათვის 81 (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2008ბ). აშშ-ში 65 წელს ზევით ასაკის ადამიანები ქვეყნის მოსახლეობის 12.4 პროცენტს შეადგენენ, საუკუნის დასაწყისში მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენდნენ. 65 წელს ზევით ასაკის ყველაზე სწრაფად მზარდი მოსახლეობა 90 წელს ზევით ადამიანები არიან. საბ-საჰარაში აფრიკაში, უმრავლესობა 40 წლამდე ცოცხლობს (დინიტო, 2005).

მსოფლიო მოსახლეობა თითქმის გასამკეცდა 1950 წლიდან 2008 წლამდე: 2.5 მილიარდიდან 6.7 მილიარდამდე, სადაც აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკისა და დასავლეთ ინდოეთის მოსახლეობის პროპორცია 68 პროცენტს 80 პროცენტამდე გაიზარდა. ხოლო 2008 წელს ინდოეთშიც და ჩინეთშიც მოსახლეობის მილიარდით ზრდა მთლიანი ზრდის მაჩვენებლის 37 პროცენტს შეადგენს. ევროპაში კი 1950 წელს აღირიცხებოდა მსოფლიო მოსახლეობის 22 პროცენტს, რაც ამჟამად 12 პროცენტამდეა შემცირებული.

განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, უკანასკნელ ათწლეულებში მოსახლეობა წელიწადში დაახლოებით 1 პროცენტით იზრდება, და მომავალში უფრო ნელი ზრდაა მოსალოდნელი. მრავალ აფრიკულ ქვეყანაში, მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა დაახლოებით 3 პროცენტს შეადგენს, შიდსის ეპიდემიის გავრცელების მიუხედავად. ამ ტემპით კი, მოსახლეობა ყოველ 23 წელიწადში ერთხელ ორმაგდება.

გაეროს კონსერვატიული ნაწილის პროგნოზირებით, მომავალ 22 წელიწადში მსოფლიო მოსახლეობა 1.3 მილიარდით გაიზრდება. შედარებით ლიბერალური ნაწილის პროგნოზირებით 4.7 მილიარდით და 10.7 მილიარდს მიაღწევს. გაეროს პროგნოზირებით, განვითარებულ ქვეყნებს შორის მოსახლეობის შეუმჩნეველი გრძელვადიანი ზრდა მოსალოდნელია მხოლოდ ავსტრალიაში, კანადაში, ახალ ზელანდიასა და აშშ-ში.

**რას მოიტანს ზრდის ასეთი ტემპი?** ზოგიერთი ქვეყნისათვის შიმშილს. ზოგერთისათვის კი სიღარიბის მორევებიდან თავის დაღწევას კიდევ უფრო შეაფერხებს.

**სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა სხვადასხვა სისწრაფით იზრდება.** ხანდაზმული მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება ხანდაზმულთა დამოკიდებულების თანაფარდობა სამუშაო ასაკის მოსახლეობაზე. მაგალითად, იაპონიაში თანაფარდობამ 27 პროცენტს მიაღწია 2001 წელს, და მოსალოდნელია გაიზარდოს 47 პროცენტამდე 2025 წლისათვის. ეს ნიშნავს, რომ ერთი ხანდაზმული მოდის 2 სამუშაო ასაკის ადამიანზე. ხოლო რადგან ხანდაზმულთა პენსიები დღეს მომუშავეთა მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე გაიციმა უმეტესად (თაობათა სოლიდარობის პრინციპზე დაყრდნობით), აუცილებელია დასაქმებულთა რიცხვი 4-ჯერ მაინც აღემატებოდეს პენსიონერთა რიცხვს, ამ სისტემის ასამოქმედებლად და გადასახადების ამოღების გასაიოლებლად.

**მოდით შევეცადოთ გავიაზროთ მოსახლეობის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები.** ჩვენ უკვე ვიცით, რომ დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში საკმაოდ მაღალია შობადობის მაჩვენებელი. საპირისპირო მონაცემები გვაქვს განვითარებულ სამყაროში, სადაც საგრძნობლად გაიზარდა ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობა და იკლო სიკვდილიანობის ინდექსმა. სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 1000 დაბადებულზე 178-დან 68-მდე შემცირდა. ასევე საგრძნობლად მოიმატა ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობამ როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა 41-დან 62 წლამდე. მესამე მსოფლიოში მოსახლეობის მესამედს შეადგენენ ბავშვები 15 წლის ასაკს ქვევით. განვითარებულ ქვეყნებში კი 15 წელს ქვევით ასაკობრივი ჯგუფი მოსახლეობის მხოლოდ 19 პროცენტს შეადგენს, ხოლო 65 წელს ზევით მყოფთა რიცხვი 14 პროცენტს შეადგენს.

**განსხვავდება სახელმწიფოების მიდგომა ხანდაზმულთა პრობლემების მოგვარებისადმიც.** უმრავლეს ქვეყნებში პოლიტიკური მოღვაწეები გულისხმიერებას იჩენენ მათ მიმართ, რადგან ხანდაზმულები მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. განვითარებულ სამყაროში, მთავრობები ზრუნავენ ხანდაზმულთა არა მხოლოდ საპენსიო უზრუნველყოფაზე, არამედ მათი სხვა სოციალური მომსახურებებით უზრუნველყოფაზეც. თავად ხანდაზმულებიც მეტი შემართებით იცავენ თავიანთ ინტერესებს სამუშაო ბაზრიდან გასვლის შემდეგ. ისინი ქმნიან ხანდაზმულთა კავშირებსა და ასოციაციებს, რათა თავიანთი ხმა უფრო მისაწვდომი გახადონ. სამწუხაროდ, იშვიათად თუ ვნახავთ ქვეყანას, სადაც ისინი ისე მივიწყებულნი იყვნენ, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

ხანდაზმულები ხშირად დისკრიმინაციას სწორედ ასაკის გამო განიცდიან. ხშირად დაკნინებულია მათი შესაძლებლობები. ასაკით მოხუცებულობა ავტომატურად სისუსტესა და უსუსურობასთანაა ასოცირებული. ფუკოს 188

აზრით (ტვიგი, 2000), სოციალური გერონტოლოგია ებრძვის გადაჭარბებულ აქცენტს სხეულზე და მისი ფუნქციონირების შეზღუდვაზე, როგორც ეს ხშირად ბიო-სამედიცინო მოდელებშია წარმოდგენილი. მისი აზრით, პოლიტიკური ეკონომიკისეული მიდგომა ხაზს უსვამს იმ სტრუქტურულ პრობლემებს, სოციალურსა და ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც ინვევენ მოხუცთა იზოლირებას, სიღარიბეს, მატერიალური რესურსების სიმწირეს, სოციალურ ექსკლუზიას. სწორედ ეს ფაქტორები და არა სხეულის ფუნქციონირების შესუსტებაა პრობლემური. სოციალური პოლიტიკის ამოცანაა მათ სხეულებზე ოპრესიულ ფოკუსირების ნაცვლად იმ სტრუქტურული პრობლემების გააზრება, რის წინაშეც ისინი დგანან (თაუნსენდი, 1986, უოლკერ და ფილიფსონი, 1986 ლიშმანთან, 2000).

**რასაკვირველია, განსხვავდება სხვადასხვა საზოგადოების დამოკიდებულება ხანდაზმულობასა და ხანდაზმულებისადმი.** ძალიან ტრადიციულ საზოგადოებაში და ბევრ რელიგიურ ჯგუფებში, ხანდაზმულებს პატივისცემით ეპყრობიან, შესაბამისად ისინი მაღალი სტატუსით სარგებლობენ. მიიჩნევა, რომ მათ აქვთ სიბრძნე და გამოცდილება, რომელსაც გამოყენება და გათვალისწინება სჭირდება. იგივე ითქმის ზოგიერთი სექტორის ან კლასის წარმომადგენელზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში. მოსამართლეები, პოლიტიკოსები და მაღალი თანამდებობის პირები ხანდაზმულობას დადებით უპირატესობად აფასებენ, მაგალითად ჩინეთსა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. ზოგიერთ ქვეყანაში კი პირიქით, ხანდაზმულობა აშკარად ნეგატიური გამოცდილებაა და ადამიანის ოპრესიაა ასაკის გამო, ისევე როგორც რასიზმი, სექსიზმი, რომლებიც დისკრიმინაციაა ეთნიკურობისა და გენდერის ნიადაგზე (ბითევეი, 1995).

თუმცა უნდა აღინიშნოს, ხანდაზმულობა ოპრესიის სხვა სახეობებისაგან განსხვავდება იმით, რომ ჩვენ ყველა განურჩევლად ეთნიკურობისა, კანის ფერისა და სქესისა როდესმე დავბერდებით. დიდი განსხვავებაა ასაკობრივ დისკრიმინაციასა და ხანდაზმულობას შორის. გარკვეულ ასაკობრივ დისკრიმინაციას ჩვენ მუდამ განვიცდით ცხოვრების მანძილზე, რადგან განსაზღვრულია ასაკი, როდესაც ჩვენ შეგვიძლია გარკვეული ქმედებების ჩადენა, მაგალითად ასაკი, როდესაც სკოლაში შევდივართ ან ვამთავრებთ, როდესაც ჩვენ სექსუალურ ურთიერთობებს ვინწყებთ, როდესაც შეგვიძლია მანქანის მართვა, მოწევა დალევა და ა.შ. ასაკი, როდესაც კრიმინალური პასუხისმგებლობა გვეკისრება, ასაკი, როდესაც პენსიონრები ვხდებით. ბევრ საზოგადოებაში, ხანდაზმულობა და მასთან დაკავშირებული ფასეულობები და დამოკიდებულება მისდამი განსაზღვრავს სოციალურ ცხოვრებას თუ ინსტიტუციურ მოწყობას. ისინი ისე შეუმჩნეველად იჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში, ყოველდღიურ ფასეულობებში და დამოკიდებულებებში, რომ დიდ ზეგავლენას ახდენენ ხანდაზმულთა ყოფაზე და მათდამი სხვების შეხედულებებზეც. ამას კი ვუნოდებთ ინსტიტუციურ ან სტრუქტურულ ხანდაზმულობას. სამწუხაროდ,

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება მსოფლიოში, ხანდაზმულობა მაინც განიხილება, როგორც ნოსტალგიური დამოკიდებულება სხვებზე და ხანდაზმულთა პრობლემების მოგვარების გზები სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, განსაკუთრებით ზოგ ქვეყანაში.

რასაკვირველია არსებობს ხანდაზმულობის უფრო ოპტიმისტური სურათიც. ეს ძირითადად ისეთ ქვეყნებში, სადაც თავად ხანდაზმულებს ესმით რა ძალას წარმოადგენენ და ერკვევიან თავიანთ სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ უფლებებში. ამასთანავე ნათლად ესმით რა არის ხელისუფლის როლი მოქალაქეთა უფლებების დაკმაყოფილებაში, განსაკუთრებით ღვანლმოსილი მოქალაქეებისა. ამის ნათელი მაგალითია აშშ, სადაც ხანდაზმულთა პრობლემებისადმი გულისხმიერ მიდგომას საფუძველი 1920 წლიდან ჩაეყარა. ხანდაზმულები მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ითვლებოდნენ და სწორედ ეს იყო მთავარი მოტივი პოლიტიკური მოღვაწეების გულისხმიერებისა მათ მიმართ.

1935 წელს მიღებულ იქნა *სოციალური უზრუნველყოფის აქტი*. 1965 წელს დაიწყო დიდი ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა *მედიკეიდი* (medicaid), რომელიც არ არის ლიმიტირებული მხოლოდ ხანდაზმულთა ჯგუფით, არამედ არის ღარიბთა სამედიცინო დახმარების პროგრამა. 1996 წელს კი *მედიქეარი* (medicare), რომელიც სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამაა ორმოცამდე მლნ მოხუცებულისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონდე ადამიანისათვის. 1956 წელს სოციალური უზრუნველყოფის აქტის ნაწილი გახდა *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უზრუნველყოფის პროგრამა* და *დამატებითი უსაფრთხო შემოსავლის პროგრამა*, რომელიც დახმარებას უწევს ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს. 1972 წელს, *დამატებითი სოციალური უზრუნველყოფის შემოსავალი* სოციალური უზრუნველყოფის აქტის ნაწილი გახდა და ფულად დახმარებას უწევს ხანდაზმულებს, უსინათლოებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, რომელთა შემოსავალი და რესურსები საარსებო მინიმუმს დაბლაა. 1965 წელს მიღებული *ხანდაზმულ ამერიკელთა აქტი* ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას ითვალისწინებს. 1974 წელს სოციალური უზრუნველყოფის აქტს დაემატა *სოციალური მომსახურების გრანტების პროგრამა*, რომელიც შტატების მოსახლეობას სხვა დახმარებებთან ერთად ხანდაზმულთა მომსახურებისთვისაც გამოუყოფს თანხებს. გარდა ამისა, შეიქმნა უამრავი პროგრამა, რომელიც ხანდაზმულთა დროისა და ენერჯის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, იქნება ეს პენსიონერ მოხალისეთა პროგრამა, მიმღებ ბებია/ბაბუათა პროგრამა თუ სხვა. შეიქმნა ასევე *ამერიკელ პენსიონერთა ეროვნული ასოციაცია*. 1967 წელს შეიქმნა *ასაკობრივი დისკრიმინაციის დასაქმების აქტი*, რომელიც 40-70 წლის შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას ემსახურება.

არც გაერთიანებული სამეფოს მთავრობა უგულვებელყოფს პენსიონერთა საჭიროებებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში. მთავრობამ უამრავი ახალი

ტიპის ბენეფიტი შემოიტანა სისტემაში პენსიონერთა დასახმარებად. გარდა პენსიონერთა საშემოსავლო მხარდაჭერის დახმარებისა, რომელსაც 1999 წელს მინიმალური შემოსავლის გარანტია ეწოდა, 2003 პენსიონერთა კრედიტის დაარსებისა, უამრავი არაფულადი დახმარებებიც შესთავაზა პენსიონერებს. მათ შორისაა ზამთრისათვის სანვავის გადასახადი 1999, მხედველობის უფასო ტესტირება 1999, ტელევიზიის უფასო ლიცენზირება 75 წლისა და უფროსი პენსიონერებისათვის 2001, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო მგზავრობა 2006 წელს (ჰილი და კოლეგები, 2008).

ბევრი მოხუცი სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობს, ჩართულები არიან თაობათაშორის აქტივობებში: ზრუნავენ მეგობრებზე, და-ძმაზე, შვილებზე, შვილიშვილებზე, საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობენ. აბრამოვი და მაშკოვა (2003) გვთავაზობენ *აქტიური ხანდაზმულობის კონცეფციას*. ის მოიცავს აქტივობათა ინდივიდუალურ ნაზავს:

- დასაქმებაში;
- საოჯახო საქმეებში და ზრუნვაში (ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი);
- საზოგადოებრივ საქმიანობაში, მათ შორის მოხალისეობრივ საქმეში;
- გასართობ ღონისძიებებში (მაგალითად, სპორტში, მოგზაურობაში, კრეატიულ ღონისძიებებში).

**სოციალური მუშაკების ფუნქცია ხანდაზმულთა პრობლემების მოგვარებაში** მათ დახმარებასაც მოიცავს სოციალურ გააქტიურებაში, თუ ეს მათი სურვილია; და სოციალური ქსელების გაძლიერებაში. სოციალური მუშაკის მომსახურებას არავინ ითხოვს წმინდად ხანდაზმულობის გამო – ყოველთვის არსებობს სხვა მიზეზი, მაგალითად ფიზიკური ან ფსიქიკური პრობლემები, შეზღუდული შესაძლებლობები, შეზღუდული მობილობა, უგულვებლყოფა ან ძალადობა ან რაიმე კონკრეტული სოციალური საჭიროება (ლორენსი, ლიონსი, ჰაგლერი, 2009). ამასთან აუცილებელია სოციალური მუშაკი დაეხმაროს ხანდაზმულს თავის უფლებებში გარკვევაში და სოციალური პროტესტის ორგანიზებაში. ხშირად მოხუცებს აკლიათ ინფორმაცია არსებულ მომსახურებების ან მათი უფლებების შესახებ; ან ისინი ოჯახური კონფლიქტების მსხვერპლნი ხდებიან და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ აიძულებენ მოქმედებას. ამავე დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც მოხუცსა და მის ახალგაზრდა ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებს შორის თაობათა შორის არსებული ჩვეული გაუგებრობაა. ამ დროს სოციალური მუშაკი ეხმარება არა მხოლოდ მოხუცს, არამედ მის გარშემო მყოფებსაც არსებული პრობლემების ჯეროვნად გააზრებასა და მოგვარებაში. მოხუცებს ხშირად პრობლემები აქვთ არა მათი ფიზიკური ფუნქციონირების დაქვეითების გამო, არამედ არსებული სტრუქტურული პრობლემებისა და მათდამი სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო. ამ სტერეოტიპული დამოკიდებულების ფორმირებას

ლო ხელს უწყობს ტელევიზიით და ფილმებში ხანდაზმულთა სწეულ, ბუზღუნა და ძველ მოდურ ადამიანებად გაშუქებაც (ფიცპატრიკი, 2001).

### **სადისკუსიო თემები და დავალებები:**

1. თქვენი აზრით, რა არის ხანდაზმულობა?
2. თქვენი აზრით, რატომ არიან ასე მივიწყებულნი ხანდაზმულები საქართველოში?
3. როგორ შეიძლება საქართველოში ხანდაზმულთა ცხოვრების გახალისება? და რა როლი აქვს ამაში სოციალურ მუშაკს?



## გამოყენებული ლიტერატურა

- Alcock, P. (2006). *Understanding Poverty*. Palgrave Macmillan
- Alcock, P. (1987). *Poverty and State Support*. Longman Group UK Limited
- Arlt, I. (1933). *Charity Organization Quarterly: A Journal of Case-Work and Social Effort*, II, 3-23.
- Palo Alto, CA:Stanford Center for Research in Disease Prevention.
- ბინაძე, ბ., ლიპარტია, ზ., ციმიტია, კ. (2009). მიკროეკონომიკა. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
- Behn, D.R., Vaupel, J., (1982). *Quick Analysis for Busy decision Makers*. NY: Basic Books
- Black academy (2002). Retrieved from <http://www.blackacademy press.com>
- Blau, J. (2003). *The Politics of Social Welfare Policy~ Chapter 4, pp.90-118. In the Dynamics of Social Welfare Policy*. New York:Oxford University Press.
- Bradshaw, J., Finch, N., Mayhew, E., Ritakallio, V.-M.R. and Skinner, C. (2006) *Child poverty in large families*, Bristol: The Policy Press in association with the Joseph Rowntree Foundation.
- Butler, T., Watt, P. (2007). Understanding Social Inequality. Social Exclusion and te Weflare State, p. 100-134London: SAGE**
- Campbell, C. (2003). Anti-oppressive social work. Promoting equity and social justice. Halifax. Author**
- Campbell, M.(1996) Needs Assessments in Public Policy. Assessing Labour Market and Training Needs, pp. 129-141. Open University Press**
- Colby, E., & Dziegielewsky, S. (2001). *Political Arena*, chapter 13, pp. 271 – 279. *Social Work and People’s Profession*. LYCIUM Books.
- Craig, G. (2002). *Poverty, Social Work and Social Justice. British Journal of Social Work*, 32, 669-682.
- Daly, M., (1989). *Women and Poverty*. Attic Press.
- Dinitto, D.M. (2005). *Social Welfare:Politics and Public Policy*. Pearson Education , Inc
- Danziger, S. (2001). *Social Science and Policy-making: A search for Relevance in the Twentieth Century*. University of Michigan Press.
- Dragos, S. and Leskosek, V. (2003). *Social Inequality and Social Capital*. Peace Institute.
- ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი. პრევენციის დახმარების აღდგენის საშინორების ანალიზი

- Erwin A. B., and Hakim, S (2003). A MARKET ALTERNATIVE TO CHILD ADOPTION AND FOSTER CARE. *Cato Journal, The / Wntr, 2003*
- Ethnic Minority populations and the labor market: an analysis of the 1991 and 2001 Census.* [www.dwp.gov.uk](http://www.dwp.gov.uk)
- EUKN-Netherlands-High unemployment among ethnic minorities.* <http://www.eukn.org>
- Espin-Andersen, G., Gally, D., Hemerijck, A., Myles, J. (2002). Why We Need a New Welfare State. Oxford University Press
- Eves, A. (2006). Complementary and Conflicting. Different Meaning of User Involvement in Social Services. *Temandord.*, pp. 255-276 <http://www.norden.org/pub/velfaerd/social-helse/sk/TN20066517.pdf>
- Ewijk, H., (2010). European Social Policy and Social Work: Citizenship Based Social Work. Routledge
- Ferguson, I., (2009). Another Social Work is Possible. In Theories and Methods of Social Work: Exploring Different Perspectives. Faculty of Social Work, University of Ljubljana*
- Fitzpatrick, T. (2001). Welfare Theory. *Palgrave*
- Fraser, № (1997). Justice Interrupts. Routledge, № 4
- Glennerster, H., Hills, J., Piachaud, D. & Webb, J. (2004) One hundred years of poverty and policy. Joseph Rowntree Foundation, York, UK.
- Gupta, D.K., (2001). Analyzing Public Policy: Concepts, Tools, and Techniques. CQ PRESS*
- Healy, L.M. (2008). International Social Work: Professional Action in an Interdependent World. Oxford University Press.*
- Heller, A. (1985). «Can True and False Needs Be Posited?» From «The Power of Shame». p. 285-299
- Haynes, K. & Mickelson, J. (2003). In affecting Change: Social Workers in the Political Arena. New York: Allen & Bacon.
- Hills, Sefton, Stewart (2009). Towards a More Equal Society: Poverty, Inequality and Policy since 1997. Bristol Policy Press
- Hugman, R., (2010). Understanding International Social Work: Critical Analysis. Palgrave Macmillan
- Jansson, B. (1999). In Becoming an Effective Policy Advocate. Pacific Grove, CA: Brooks/Cole.
- Labon-Roset, C. (2008). Sociopolitical Reforms and New Poverty in Germany.*

- Lavalette, M. & Pratt, A. (2006). *Social Policy, Theories, Concepts and Issue*. Sage Publication, London
- Lawrence, S., Lyons, K., Simpson, G., Huegler, N., (2009). *Introducing International Social Work.. International Perspective on Social Work with Elders*, by Lawrence, S., and Simson, G., pp. 76- 89. Learning Matters Ltd.
- Levitas, R., Pantazis, C., Fahmi, E., Gordon, D., Lloyd, & E., Patsios, D.(2007). *Multidimensional Analysis of Social Exclusion*. Department of Sociology and School for Social Policy Townsend Centre for the International Study of Poverty and Bristol Institute for Public Affairs University of Bristol.
- Lishman, J.(2001). *Handbook of Theory for Practice Teachers in Social Work*.
- Lister, R. (2004). *Poverty*. Polity Press
- Leskosek, V., (2009). *Theories and Methods of Social Work: Exploring Different Perspectives*. Faculty of Social Work, University of Ljubljana
- Lyons, K., Manion, K., Carlsen, M., (2006). *International Perspectives on Social Work: Global Conditions and Local Practice*. Palgrave Macmillan
- Maiss, M. (2010). *Social Work in the service of human being and happiness*. INDOSOW seminar.
- Manabu, S., (2004). *Emerging Eastern European Welfare States: A Variant of the 'European' Welfare Model?\**
- მენკიუ, გ., (2000). *ეკონომიკის პრინციპები*. დიოგონე
- Matthies, A. (2006). *Nordic Civic Society Organizations and The Future of Welfare Services: A model for Europe*. Elanders Gotab AB
- მეზერიშვილი, ლ. (2003) *სახელმწიფოსა და ეკონომიკის დამოკიდებულება*. მეცნიერება, თბილისი
- Midgley, J., Tracy, M.B. & Livermore, M. (2000). *Child and Family Welfare Policies and Services pp.157-173. The Handbook of Social Policy*. Sage Publication, London.
- Midgley, J. (1997). *Social Welfare Around the World, pp.68-87. Social Welfare in Global Context*. Sage Publication, London.
- Miliband, D. (2006) *Social exclusion: The next steps forward*, London: ODPM.
- Miller, J. (2003). *Understanding Social Security: Issues for Policy and Practice*. The Policy Press
- O'Higgins (1992). *Social Policy in the Global Economy, Introduction to Terrance M.Hunsley, Ed Social Policy in Global Economu, Kingston, CA:Queens, U. School of Public Policy*

Oppenheim, C. (1998) *An inclusive society: Strategies for tackling poverty*, London: IPPR.

Pascall, G., (1997). *Social Policy: A New Feminist Analysis*. Redwood Books, Trowbridge, Wiltshire

*Poverty grips the children of ethnic minorities: <http://www.independent.co.uk>*

Saltzman, A. & Proch, K. (1995). *Law in Social Work Practice*. Chicago, Ill:Nelson-Hall.

საარსებო მინიმუმი, ხელფასი და საპენსიო სისტემა საქართველოში, სოციალ-დემოკრატები, »პუბლიკაციები«, <http://www.sdd.ge/ge/?p=1365>

სარტრი, ჟ.პ. (2006). ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია. ჯეოპრინტი.

სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენება, 2008. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში

სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენება, 2007. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში

სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენება, 2004. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში

სოციალურ მუშაკა ეთიკის კოდექსი (2006). საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

**Rietbergen-McCracken, J., (2002). Independent international researcher and expert on environment and development. [http://pgexchange.org/index.php?option=com\\_content&view=article&id=140&Itemid=132](http://pgexchange.org/index.php?option=com_content&view=article&id=140&Itemid=132)**

Schiller, B.R. (2001). *Views of Inequalities and Poverty, pp.1-20. The Economic s of Poverty and Discrimination. Prentice Hall*

Staub-Bernasconi, S. (2009). *Theories and Methods of Social Work Exploring Different Perspective. Faculty of Social Work, University of Ljubljana. Birografica BORI d.o.o.*

Strier, R.& Binyamin, S. (2009). *Developing Anti-Oppressive Services for the Poor:A Theoretical and Organizational Rationale. British Journal of Social Work.*

*Temporary and Persistent Poverty among ethnic minorities and Majority in Rural China. <http://ww.ideas.repec.org>*

Thompson, N. (2002), *Social Movements, Social Justice and Social Work.British Journal of Social Work, 32: 711–722.*

Toynbee, P. & Walker, D. (2008) *Unjust Rewards: Exposing Greed and Inequality in Briatin Today*. Granta Publication.

Townsend, P. (1979). *Poverty in the United Kingdom: a survey of household resources and standards of living*, Harmondsworth: Penguin Books.

შატბერაშვილი, ნ., (2009). სოციალური მუშაობა ეთნიკურ უმცირესობებთან. სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის

შატბერაშვილი, ნ., (2011). სართაშორისო სოციალური მუშაობა. *სოციალური სამუშაოს ეთიკა და ღირებულებები*. ინტელექტი

შატბერაშვილი, ნ., (2011). სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი

Uzuhashi, T., (2003). Japanese model of Welfare state: how it was changes throughout 'the lost Decade~ of 199s? The JJOSSP:Vol 2, No 2

*Videmsek, P. (2009). From the Margin to the Centre: Service Users as Researchers in Social Work Practice. Birografika BORI d. o. o.*

Walker, A. (1984). *Social Planning: A Strategy for Socialist Welfare*. Oxford: Blackwell

Weiss-Gal, I. & Welbourne, P. (2008). The Professionalization Of Social Work: a cross-National Exploration. *International Journal of Social Welfare, IJSW*

*World Bank 2006. Accelerating Vietnam's Rural Development: Growth, Equity and Diversification.*

*World Bank Hanoi, vols I-IV*

*World Bank 2007. Poverty profile in Georgia, 2007.*

Wulczyn, F. (2006). Evidence-based Policy Making in Child Welfare. *Beyond Common Sense*. AldineTransaction.